

გორბი



3

2018



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0134-3459

18003



9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის მე-60 წელი

გაიხი-იხიისი

№3

2018 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გუნა სამნიძე
რამაზ სურგანიძე
ჯეგალ სურგანიძე
ბელა ქაბუჩია
ვახტანგ ლლონტი
თინა შიოშვილი

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფაღვაძე

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2018

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ“-ის
სტამბაში. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



9 1770134 345001

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ყოფიერება, ანოზა

ჯემალ ჯაყელი – ლექსები	3
არდაშელ თაქთირიძე – მოთხრობები	9
ოთარ ჩოგაძე – ლექსები	21
გუნა სამნიძე – კვასა (მოთხრობა)	26
ელენე ჯოგაძე – ლექსები	29
ვილი გოგია – ვისოცკი ბათუმში	31
იამზე ბერიძე – ლექსები	33
ნონა მგალობლიშვილი – ლექსები	40
რამაზ ხმალაძე – ლექსები	43
ლევან ხოზრავანიძე – ლექსები	45

ანიტი, ანალიტიკა

ზურაბ ხაბაძე – უსათაუროდ და უმისამართოდ (გაგრძელება)	46
ნოდარ ბარამიძე – ლადო კოტეტიშვილი (1895-1940): აჭარელი მაჰმადიანის ერთი ფსიქოლოგიური თავისებურების შესახებ	55

წარმოები

რამაზ სურმანიძე – სიმღერა „ჭვანური ხინკალა“	59
აუცილებელი განმარტება	63
მამია ფალავა – ექსპედიციის დღიურები (გაგრძელება)	65
ნოდარ ბასილაძე – ნოდარ დუმბაძე – ჰუმანისტი	88

ჟურნალი

თინა შიოშვილი – მარადიდული ფოლკლორული მარგალიტები	97
---	----

ქართული უნივერსიტეტი 100 წლისა

ჯემალ გორდულაძე – დედა უნივერსიტეტი და მისი საამაყო კურსდამთავრებულები	108
--	-----

დასრული

გიორგი ხორბალაძე – ზურაბ გორგილაძის პოეტური თვალსაწიერი	113
---	-----

მოუხია, ჩხოლა



ტაბაღ ტაყაღი

ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, პოეტს, პროზაიკოსს, ლიტერატურის მკვლევარს, დიდი ნორვეგიელი ჰუმანისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ფრიტიოფ ნანსენის ვერცხლის მედლისა და კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის დიდი ოქროს მედლის Gold Right Hand (ოქროს მარჯვენის) მფლობელს, აბუსერისძე ტბელის, მემედ აბაშიძის, გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატს, ერევნის გრიგორი ნარეკაციის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, ღირსების ორდენის მფლობელს, პოეზიის რაინდს, ბატონ **ჯემალ ჯაყელს** ვულოცავთ დაბადების 90 წელს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

*საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია*

ქართული ანბანი

თავსადღეგრძელო სიმაღლით შესვა,
ვინც სული შენით ამოინათა.
მოსჭიდებიხარ სიცოცხლეს ფესვად
ანბანო, ჩვენთა – ქართლოსიანთა.
სულში წკარუნობ ღამით თუ დილით,
ვით უკვდავების თეთრი მწკარედი
პირველად თქმული, პირველად ქმნილი
და ღვთაებრივი სისუფთავეთი.
შენი სიცოცხლე ზარივით ერთვის
გენებს, როგორაც ნამი დილისა.
ანბანო, სულო ქართულო, ღმერთის
კრიალოსანის თეთრო თილისმავ!
ყველაზე სუფთა გამოსხივებავ

ქართველი კაცის, მისი ბუნების,
ნათელ რწმენათა ნათელ იებად
ნაფერები და ნადუდუნები.
სამშობლოს ბედის, ქართული სულის
დამზევებავ და აღორძინებავ,
მზის მონათესო, ზეგარდმოსულო,
და უკვდავების ამომძივებავ,
შენა ხარ ჩვენი ხმლისა და ზვარის
და ყოვლის, რაიც იმედად გვედო –
შენა ხარ ჩვენი მთისა და ბარის,
მთლად საქართველოს სიცოცხლის კრედო,
მარალი სიბრძნის ზიარჭურჭელი
გელათის, მცხეთის და იყალთოსი.
შენა ხარ ჩვენთა მარად უცვლელი
სულის დვრიტა და აზრის სამოსი.
დარბაზის, ტაძრის, ქვისა და აზრის,
მამის თუ დედის, ძმის თუ დობილის.
სიამაყის და სიცოცხლის ვაზი –
საუკუნეებს შემოჭდობილი.
დიდი სიბერე და სიჭარმაგე
ერის მზისა და მისი მეობის.
მარადისობის გენებს განაგებს,
ყველაზე დიდი მემკვიდრეობის.
ვენახისათვის როგორაც ფესვი, –
მთავარარსობა შენა ხარ ენის.
შენა ხარ ჩემი ხატი და ფრესკა,
ციური ფერი ხმისა და ბგერის.
შენა ხარ, როგორც ქართული გზები
მწვერვალისაკენ აღმა მავალი,
სპეტაკი სულის, ნათელი გზების
წინაპარიც და შთამომავალიც.
ქართული წიგნის უძველესობა,
მისი ფესვები, სული და მდადე.
ლამაზი, როგორც ენამზეობა,
და მშვენიერი, როგორც სიცხადე,
ღვთისა და კაცის ხვედრი და წილი
იმედის ზეცა და მზრუნველობა.
ჭირგადახდილი ერის მეობა.
ქართული ენის სულო ანბანო,
დიდო მიზეზო ხმლის და ფიცისა,
დაე, მირონმა შენმა განბანოს,
ყოველი ღირსი ამა მიწისა.

წვიმა

საოცრებათა ვნების კლავიში
ეცემა გულის სიმს,
მეჩურჩულები – ახლა გამიშვი,
გეჩურჩულები – წვიმს.

თეთრად გათქათებს თეთრი ბალიში,
საყურე ბრწყინავს ძირს,
მეალერსები – ახლა გამიშვი,
გეალერსები – წვიმს.

შენი ფართქალა უბის განივში
დაღლილი ღმერთი ზის,
მემუდარები – დროა, გამიშვი,
გემუდარები – წვიმს.

ისევ და ისევ შენსას არ იშლი,
მორცხვად მარიდებ პირს,
მაგრამ მე ვიცი, არ გადიდარებს
ამოხდომამდე მზის.

თბილისის დროით

მერიდიანებს დავეზიარე
ზღვებით,
ხმელეთით,
ცისფერი ქროლვით,
მაგრამ გულდაგულ სადაც ვიარე,
ყველგან ვიარე თბილისის დროით.

თბილისის დროით გავსჭერ ვარძია
და აღვაზევე სვეტიცხოველი.
რაიც მონაგარს დაუგანძია,
არის მირონის წვეთი ყოველი.

თბილისის დროით ვაწრთე სახნისი,
გადავიხადე ომი მრავალი,
თბილისის დროით მტკივა კრწანისი
დიდი წარსული და მომავალი.

როგორც სინათლე უნმინდეს ფერთა
მოცხუნებული ახლოს თუ შორით,
დიდი სამრეკლო მოძმეთა ერთა
ვაშენე ჩემი თბილისის დროით.

თბილისის დროით მწვანე კორდები
ახასხასდება ზურმუხტის წნორით,
სადაც ინებო, დაგელოდები,
დაგელოდები თბილისის დროით!

ვდბაპბრ აქა და გამაგრებ მიწას

ვდგავარ აქა და ვამაგრებ მიწას,
როგორც მუხა ჯიუტ ფესვებით.
თან ვეფერები, როგორაც მიწას
ნაფერები და ნაალერსები.

ვამაგრებ მიწას შენთვის და მისთვის,
სახლისთვის, ხვალე რომ აშენდება.
ვამაგრებ მიწას ახალ ქუჩისთვის.
რითაც ქალაქი კვლავ დამშვენდება.

ვამაგრებ მიწას ქვეყნისთვის ჩემის
და მშვიდობისთვის ხვალინდელი დღისა,
ვინცა ქართულ მიწას ერთგულობს, შველის
და მისთვის, ვისაც ვთვლი ამის ღირსად.

თოლია და არწივი

წამოთქრიალდნენ!...
ფრთებმა თოლიის
ფირუზისფერი ზეცა ასწიეს.
ასწიეს ფერი ზღვის მოლივლივის
და შეახარბეს ამაყ არწივებს.
მათ ხომ ზღვებისა არრა იციან,
ცად გაჰყივიან მრუმე მწვერვალებს.
ვინაც გულდაგული შენაფიცია
მთებს ბუმბერაზებს და მოელვარეს.

ზღვა და მთა!...
 მაინც რა ლამაზია
 ფიფქა თოლია,
 ლეგა არნივი.
 ჩემი მთა-ბარის სამშვენისია,
 ფირუზის ფერში ამონამძივი.
 არნივი მთებში არის ლამაზი,
 ფიფქათოლია – ტალღებზე ზღვისა.
 ორივეს ვუხმობ ლექსის თავაზით,
 რომელთაც შვენით ალერსი მზისა.

ცივი ბორბო ჩრდილოეთისა

ზამთარი...
 თოვლი და
 ქარდაუდგომელი
 ეს ჩრდილო ბორბო,
 ურჩობის ზღაპარი...
 თეთრმა მდუმარებამ მოიცვა ყოველი,
 თეთრმა მდუმარებამ ჩაძირა მთა-ბარი.
 თეთრი მდუმარება ხმაურობს, სწვდება
 ყველას და ყველაფერს, რაც მოისაკლისა.
 დიდი შურის გამო კარებთან წვება,
 როს ჩარაზულია კარები სახლისა.
 თეთრი მდუმარება ნებივრობს მდუმარი,
 როს ახლავს მრისხანე სუსხი და ქარები.
 ყელში ამოვიდა ასეთი სტუმარი,
 წავიდეს, მწივარის შეალოს კარები.
 კვლავ უხმობს გრიგალებს მთავარი ბორბო,
 კედლებს ეხეთქება, რომ დასცეს კარები,
 თითქოს მოაჯახეს კარებზე ბორბო,
 ერთთავად იღება წარაზი კარები.
 ცივა, როდის მოვა ნანატრი ის დილა,
 რომელიც მოიყვანს მზეს და იმედებს,
 რაც ჩემმა ქვეყანამ ველარსად იხილა,
 არა და... ლოდინი მოცდას არ იმეტებს.
 როდის, როდის წავა ეს მკაცრი ზამთარი –
 ყოველგვარ სითბოსგან გულგამოწურვილი.
 ასე რომ გვეხლება, როგორაც აფთარი
 და საშველს არ აძლევს დათბობის სურვილებს.

ხარის ბანაული, ასაკის სიმძიმე...

ხარო, განუღმა უღელმა იცის,
იგია მისი ხვედრი.
ასაკის სიმძიმე მუხლებმა იცის,
ვერავენ დააყვედრის.

სიცოცლეს რაიმე წონა არა აქვს,
არც დაედება ფასი.
იგი სვამს შარბათს და სამსალას,
ორივეს ერთი ფასით.

ასაკის სიმძიმე მუხლებმა იცის,
გრძნობს თავის თავის წონას.
ვერ შეუმსუბუქებს მუქარით, ფიცით,
ვერც მეფე და ვერც მონა.

მედროვეებს

დახშულია თუ კარლია,
ადვილად აღწევს მაცილი.
იგი ეპოქის დაღია,
საკეთისაგან დაცლილი.
იგი ეპოქის ჭირია,
ჭირია ღვთისა მოსავის.
არავის არა სჭირია,
მაინც გვირგვინით მოსავენ.
უფროსიან მცირეთ და დიდებს
სახელი ტაბუირებით.
ყველა, ვინც აქებს, ადიდებს,
არიან დროის ვირები!



არდახად თაქტირიძე

მარკეტინგი

ბატონი პეტრე მათემატიკოსი იყო. უნივერსიტეტში კითხულობდა უმაღლეს მათემატიკას. პროფესორის ხელფასს იღებდა და ოჯახს არჩენდა, ბედს არ უჩიოდა. სოციალიზმის ეპოქაში ნაცხოვრებს, ძალიან ადარდებდა ახალგაზრდების განათლების დაბალი დონე. თავისუფალ, ბედნიერ და განათლებულ საქართველოში ცხოვრება შესაძლებლად მიაჩნდა და სულ ფიქრობდა, როგორ შეეტანა წვლილი სამშობლოს გაძლიერებაში.

სცადა, ის გაეკეთებინა, რაც კარგად იცოდა – ანაზღაურების გარეშე მოსწავლეების მომზადება გადანყვიტა. ფეისბუქში განცხადება გამოაქვეყნა:

– „ვამზადებ მათემატიკაში, უფასოდო!“ – მხოლოდ 10 მშობელი გამოეხმაურა, ამათგან, ორი ბავშვი მიკინკილდა და ისინიც, მეორე გაკვეთილზე აღარ მისულან.

– მათემატიკაში მოსწავლეების უფასოდ მომზადება მინდა, განცხადება გამოვაქვეყნე, მაგრამ არავინ მოვიდაო! – შესჩივლა ბატონმა პეტრემ თავის შვილს – მარკეტოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს – გოგას.

– უფასოდ მომზადება, არასერიოზულად ჟღერს, ფასი უნდა დაადო! – დაარიგა გოგამ.

განაახლა ბატონმა პეტრემ განცხადება:

– „ვამზადებ მათემატიკაში, თვეში 50 ლარადო!“ – გამომხაურებები იყო, ბავშვებიც შეაგროვა ჯგუფში, მაგრამ ისეთი უვიცები იყვნენ, თვლა არ იცოდნენ, თორემ ორჯერ ორზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. თვის ბოლოს, ფულის გადახდის დრო რომ დადგა, მშობლები მიუვარდნენ:

– ჩვენ გვგონია, ამზადებ, მაგრამ მაინც არაფერი იციან. ფული რაში უნდა გადაგიხადოთ?! – ზედმეტი გამოდგა მტკიცება:

– ბავშვებს ჯერ თვლას ვასწავლიო! – აღარავინ მოინდომა მეცადინეობის გაგრძელება.

– მოსწავლეებს თვეში 50 ლარად ვამზადებ, მაგრამ ისეთები მოვიდნენ, თავში ვერაფერი ჩავუდებო! – შესჩივლა ბატონმა პეტრემ შვილს.

– შენ, სეგმენტი ვერ შეგიჩივია სწორად. მაგ ფასად, ისეთი მშობლები მოგიყვანენ შვილებს მოსამზადებლად, რომელთაც შვილის სწავლაზე ხელი ჩაქნეული აქვთ. ფასი უნდა გაზარდო! – დაარიგა გოგამ.

განაახლა ბატონმა პეტრემ განცხადება:

– „ვამზადებ მათემატიკაში, თვეში 100 ლარადო!“ – გამომხაურებები იყო, არ ცხრებოდა ფეისბუქი. სამი ათ ბავშვიანი ჯგუფი შეიკრიბა, მაგრამ ზოგი – ნათესავმა, ზოგი – მეგობარმა, ზოგი – მეზობელმა და ზოგიც – ნაცნობმა, მთე-

ლი 10 ნუთი რომ დასჭირდა გასახსენებლად, ხვეწნა-მუდართით, თავისი ახლობლების ბავშვები დაამატებინეს და საბოლოოდ, თითო ჯგუფში 30 ბავშვი ირიცხებოდა.

* * *

– მოსწავლეებს თვეში 100 ლარად ვამზადებ, მაგრამ იმდენი მოვიდნენ, ყველას ვერ ვაქცევ ყურადღებას და ხარისხმა დაინიაო! – შესჩივლა ბატონმა პეტრემ შვილს.

– ამ შემთხვევაში, მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას. ფასი გაზარდე და რაოდენობა თავისით დარეგულირდებაო! – დაარიგა გოგამ.

* * *

განაახლა ბატონმა პეტრემ განცხადება:

– „ვამზადებ მათემატიკაში, თვეში 200 ლარადო!“ – გამომხაურებები იყო, სამი ათ ბავშვიანი ჯგუფი შეიკრიბა, სწავლის პროცესიც წარმატებით წარიმართა, ბავშვებმა სიძნელეები დაძლიეს და მოსწრება გაიმჯობესეს, მაგრამ ფორუმებზე გაჩნდა სტატუსები:

– ვილაც პეტრეა, 200 ლარად ამზადებს მათემატიკაში, რა ამბავიაო?!

– ეგ გაუმაძლარი, კაპიკს არ აკლებსო!

– გაღორებულა, ვილაცააო!

– ჩვენი შვილების ხარჯზე მდიდრდებაო!...

* * *

– მოსწავლეებს თვეში 200 ლარად ვამზადებ, შედეგიც კარგი მაქვს, მაგრამ გაუმაძლარს და ღორს მეძახიან, უნდა გავაგებინო, რომ რეპე-

ტიტორობიდან აღებულ ფულს მთლიანად „განათლების გაუმჯობესების ფონდში“ ვრიცხავო! – შესჩილა ბატონმა პეტრემ შვილს.

– ეგ პიარია, კარგს ილაპარაკებენ თუ ცუდს, სულერთია. მთავარია, რომ შენზე ალაპარაკდნენ, ყურადღებას ნუ მიაქცევ, თორემ იცოდევ, გულს გაგიხეთქავენო! – ურჩია გოგამ.

* * *

არ დაუჯერა ბატონმა პეტრემ შვილს, თავმოყვარეობა არავის შეაღაცინა. „განათლების გაუმჯობესების ფონდში“ გადარიცხული თანხის ქვითრები ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

– სულელი ყოფილაო!

– ხედავ, თურმე პიარისთვის სჭირდებოდა ეს ყვლაფერი, ამიტომ ამზადებდა ბავშვებს უფასოდო!

– თუ სიკეთის გაკეთება უნდოდა, ჩუმად უნდა გაეკეთებინა, ქვითრებს რომ აფრიალებსო!

– ეტყობა, თავისივე ფონდში რიცხავსო – ადულდა ფეისბუქი.

* * *

მიხვდა ბატონი პეტრე, რომ მათემატიკისა და ფიზიკის გარდა, არსებობს კიდევ ერთი ზუსტი მეცნიერება – მარკეტოლოგია – რომლის კანონების დარღვევას შეუძლია გულის გახეთქვა გამოიწვიოს. ამიტომ, შემდეგ თვეებში აღებული თანხა „განათლების გაუმჯობესების ფონდში“ აღარ გადარიცხა, დააგროვა და ავტომობილი შეიძინა.

მანანალა

– ბიძია, ბიძია, შენი ლამაზი თვალების ქირიმე, დამეხმარე ბიძია, რაა! – დარბის შუქნიშანზე გაჩერებულ მანქანებს შორის და გაშვერილი მარჯვენა მძღოლის სახესთან მიაქვს, ან ანეულ შუშაზე გამეტებით უბრაზუნებს მუშტს. მარცხენაში კი, მანქანაზე გასასმელად, დიდი

ლურსმანი აქვს მომარჯვებული. მძღოლებიც, ზოგი სიბრალულით, ზოგიც ლურსმნის შიშით, უდებენ ხურდას გაშვერილ ხელში.

– რა „ჟმოტი“ ხარ ბიძია, შენი დედა! – ამკობს, ვინც სახეს მოარიდებს და თავს გვერდზე მიატრილებს.

* * *

და-ძმა, თოკო და კესო, როგორც ყველა მანანალა ბავშვი, ისინიც, ან დედინაცვალმა, ან მამინაცვალმა, ან, სულაც, საკუთარმა მშობლებმა გამოყარეს სამათხოვროდ. შესაძლოა, მშობლები დაეხოცათ, ან, იქნებ, გაუსაძლისი პირობებისა და ჩაგვრის გამო, თვითონ გამოიქცნენ სახლიდან, არავინ იცის, მთავარია, რომ დღისით მათხოვრობდნენ ან ბაზარში ქურდბაცაცობდნენ, ღამით კი, სხვა უსახლკარო ბავშვებთან ერთად, თბილისის ცენტრში, ერთ-ერთ დაუმთავრებელ შენობას აფარებდნენ თავს.

კესო 13 წლის იყო, მაგრამ სიმაღლისა და სავსე მკერდის გამო, უფრო მეტისა გეგონებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ მოუვლელი იყო და თმა, სულ ცოტა, ერთი თვის დასავარცხნი ჰქონდა, მაინც მოგზიბლავდათ მისი სახის თვითნაბადი სილამაზე, ბუნებრივი მანერები და ვულგარულ სიტყვა-პასუხთან შეუსაბამო ფაქიზი მზრუნველობა უმცროსი ძმის – 8 წლის თოკოს მიმართ. კესო „ვეფხი და მოყმის“ ძეგლთან, სანაპიროდან ამოსასვლელ ქუჩაზე, შუქნიშანთან დარბოდა მანქანებს შორის. მისი მიმართვა

– რა არის, ბიჭო, ხურდა ფული გენანება ახალგაზრდა გოგოსთვისო?! – მძლოლებზე, და განსაკუთრებით, ახალგაზრდა ბიჭებზე, მომწუსხველად მოქმედებდა და ჯიბიდან ამოფხეკილი ხურდა ფულით უვსებდნენ პეშვს.

იმავე მოედანზე, მარშალ გელოვანის ქუჩის მხრიდან, შუქნიშანთან, დიდი, იატაკის ლურსმნით ხელში, მანქანებს შორის მორბენალი, დის გემოვნებით აჭრილი ყვითელი თმით, თეთრი, ოვალური სახით, სწორი, ლამაზი ცხვირით, დიდრონი ლურჯი თვალებით, ნითელი ტუჩებით, დაკონკილ ტანსაცმელში გამონყობილი თოკო, მათხოვრის როლის შემსრულებელ ჰოლივუდის მსახიობ ბავშვს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე თბილისელ მანანალას.

* * *

შენობის მეორე სართულის, სიგარეტის ბოლით და აცეტონის ორთქლით გაჯერებულ ერთ

დიდ ოთახში, რომელსაც, კარის მაგივრად, დაფლეთილი მატერია ჰქონდა დაკიდებული და ფანჯრების ადგილზე მუყაოები მიკრული, მიყრილ-მოყრილ ძონძებსა და ცელოფნის პარკებს შორის, ბეტონის იატაკზე ეყარნენ 6-დან 16 წლამდე ასაკის, ორმოციოდე ბავშვი. ღამის სიჩუმიდან შესულის ყურს ხვდებოდა ხვრინვის, ფშვინვის, კრუსუნის და, ზოგჯერ, ტირილის ხმები. შიგადაშიგ, სიცივისგან აკანკალებულებს ეღვიძებოდათ, წამოდებოდნენ, ოთახის კუთხესთან მივიდოდნენ, ჩაჯდებოდნენ, ნებოიან ცელოფნის პარკში სახეს ჩაჰყოფდნენ, აცეტონის ორთქლს რამდენჯერმე შეისუნთქავდნენ და ბარბაცით ბრუნდებოდნენ თავის ადგილას.

დილით, გარიჟრაჟზე, მანანალათა ბუნაგი სახეს იცვლიდა და აფუთფუთებულ ჭიანჭველების ბუდეს ემსგავსებოდა. ბავშვები ირაზმებოდნენ სხვადასხვა ადგილებზე სამათხოვროდ გასასვლელად. ძველებს უკვე წინასწარ ჰქონდათ ადგილები შერჩეული. აი, ახლებს კი, ძალის გამოყენებით უხდებოდათ ბრძოლა მუდმივი ადგილის მოსაპოვებლად. ამიტომ, როგორც წესი, ყოველი დილა ყვირილით, გინებით და მუშტი-კრივით იწყებოდა. შუადღით კი, ბუნაგში ვერავის ნახავდი, დასისხლიანებული და ასლუკუნებული რამდენიმე ბავშვის გარდა.

თავიდან, კესოს და თოკოს უფროსები ჩაგრავდნენ და არც სქესობრივი ძალადობა იყო იშვიათი მათზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ვეფხია გამოჩნდა, კესო თავის გოგოდ გამოაცხადა და ერთი-ორს ცხვირ-პირი დაუნაყა, და-ძმამ საუკეთესო ადგილი „გაითრია“ და ჩაგრულებიდან მჩაგვრელებში გადაინაცვლა.

* * *

ვეფხია უკვე იმ ასაკში იყო, როცა ერთფეროვანი ცხოვრება მობეზრებული აქვთ და თავგადასავლებს ეძებენ. ჯერ ჯიბის ქურდობით დაიწყა, მერე, ბინების გატეხვაზე გადავიდა, თუმცა, ღამეს ისევ ბუნაგში ათევდა, რადგან კესო იქ ეგულებოდა და მანანალების მეთაურობაც არ ეთმობოდა. ღამით, როცა თოკო დაიძინებდა,

ის და კესო საქმეზე გადიოდნენ, დილით ბრუნდებოდნენ და მერე, მთელი დღე ეძინათ. ბოლო დროს, სამათხოვროდ, მარტო თოკო გადიოდა.

ერთ საღამოს, ბუნაგში დაბრუნებულს, სახლის წინ პოლიციის მანქანები დახვდა. სახლში არ შევიდა, ბურქებში ჩაიმალა და დაელოდა, რა მოხდებოდა. ცოტა ხანში, პოლიციელებმა, ხელგადადგრეხილი ვეფხია და კესო გამოიყვანეს, ძალით ჩასვეს პოლიციის მანქანაში და სადღაც წაიყვანეს. გვიან გაიგო, რომ ორივე ქურდობაზე იყვნენ დაკავებულები.

მეორე დღეს, ნაცემი და დასისხლიანებული თოკო ბუნაგში იჯდა და სლუკუნებდა. ასე გაგრძელდა კიდევ ორი დღე. არ აპატიეს ვეფხიას მფარველობის ქვეშ ყოფნა, ლუკმა არავინ გაუყო. მეოთხე დღეს, შიმშილმა ქალაქში გაიყვანა.

– დე, ვილაც ბავშვია, პურს ითხოვსო!

– დაგლეჯილი ტანსაცმელი აცვია და ტირისო! – ტყიპინით ერთმანეთს ასწრებდნენ მოყოლას ეზოდან სახლში შევარდნილი ტყუპები – თაკო და მაკო. ქალი თვითონ გავიდა ეზოში, ტყუპებიც უკან მიჰყვინენ. ბიჭს ხელი მოჰკიდა და სახლში შეიყვანა.

– რა გქვია გენაცვალეო!

– თოკოო! – სლუკუნით უპასუხა ბავშვმა. სამზარეულოში შეიყვანა, საჭმელი გადმოუღო, აჭამა.

– შენი მშობლები სად არიანო?

– მე უპატრონო ვარო!

– სად ცხოვრობო?

– ქუჩაშიო!

– რამდენი წლის ხარო?

– 8-სო!

– ნოდარ, მე ვარ, თეონა. სახლში რომ წამოხვალ, 8 წლის ბიჭის ტანსაცმელი იყიდე და წამოიღე, მერე აგისხნო! – სამსახურში დაურეკა ქმარს. იმ ღამით, თოკო სახლში დატოვეს და მერე, სულ დაიტოვეს. ნოდარი მიდგა-მოდგა, ნაცნობ-მეგობრები შეაწუხა, საქმე ჩააწყო და სასამართლომ, სრულწლოვანებამდე, თოკოზე მეურვეობა მას დააკისრა. სექტემბერში, სკო-

ლაში შეიყვანეს. თოკო ნიჭიერი ბიჭი გამოდგა, სწავლა არ გასჭირვებია. ოჯახური სიტბო და სიყვარული იგრძნო, თეონა და ნოდარი დედ-მამად მიიღო, ტყუპები დებივით შეიყვარა, მეგობრები გარს ეხვეოდნენ, დრო გადიოდა, თოკო – ბატონი თორნიკე გახდა, თითქოს ძველი მოგონებები დავიწყებას უნდა მისცემოდა, მაგრამ ყვითელი თმით, დასისხლიანებული სახით, ჩაღურჯებული თვალთ, გახეთქილი ტუჩით, დაკონკილ ტანსაცმელში გამონყობილი პატარა მანანწალა, ყოველდღე საწოლში აკითხვდა და მისი დანახვისას მონოლილ ფიქრზე

– ამ საზოგადოებას, მაინც მანანწალად მივაჩნივარ, ისევ ქუჩაში გავალ, ჩემი ადგილი იქ არისო! – თანხმობის ნიშნად, თავს უკანტურებდა.

დილის თათბირი საკმაოდ გაუგრძელდა. ეკონომიკის სამინისტროში იყო წასასვლელი, ახალი ბიზნეს-პროექტის შესათანხმებლად. წამოდგა, ჭიქაში დარჩენილი ჩაი მოსვა და კაბინეტიდან გავიდა.

– დღეს აღარ დავბრუნდებიო! – მიაძახა მდივანს.

– თოკოო! – მოესმა ქალის ხმა.

– ალბათ მომეჩვენაო! – ყურადღება არ მიაქცია. მოქაჩვა იგრძნო, გვერდით პატარა მანანწალა ამოსდგომოდა და პერანგზე ექაჩებოდა. გაუკვირდა, აქამდე, მხოლოდ ღამ-ღამობით მოდიოდა, ახლა დღისითაც გამოეცხადა. გაჩერდა. მიტრიალდა. მისკენ ხელებგაშლილი ქალი მოდიოდა. ნაბიჯი უკან გადადგა, სახეზე დააკვირდა

– კესოო! – დაიყვირა და დას გადაეხვია. თანამშრომლები გაკვირვებისგან პირდაღებულები შეჰყურებდნენ, როგორ ტიროდნენ და ეფერებოდნენ ერთმანეთს. პატარა მანანწალა კი, გაღიმიებული, სიხარულისგან მალაყებს გადადიოდა.

დას ქალაქის ცენტრში უყიდა ბინა, სიძეს თვისი მსუბუქი ავტომობილი გადაუღოცა. დის ოჯახისთვის, შემოსავლის წყაროდ, ორი სამარ-

შრუტო ტაქსი შეიძინა, თბილისი-რუსთავის ხაზზე სამუშაოდ. მაგრამ, ერთ თვეში ავტომობილიც გაყიდეს, სამარშრუტო ტაქსებიც, ბინაც ზედ მიაყოლეს, ნაქირავებში გადავიდნენ და ფულის სათხოვნელად, ისევ თორნიკეს მიადგნენ. ყოველდღიურად იზრდებოდა დის და სიძის მადა.

– ამათ მოთხოვნილებებს მე ვერ დავაკმაყოფილებ, კიდევ რომ მოვლენ ფულის სათხოვნელად, უარს ვეტყვიო! – ყოველდღე იქაინებოდა თორნიკე, მაგრამ:

– ჩემი დაა, ჩემზე როგორ ზრუნავდაო?! – ახსენებოდა პატარა მანანნალას დანახვისას, რომელიც, დის გამოჩენის შემდეგ, დღედაღამ გვერდიდან არ სცილდებოდა.

– 10000 დოლარი გვაქვს ორ დღეში ჩასატანი, ფული გვჭირდებაო! – მიადგა ცოლ-ქმარი თორნიკეს.

– მაგდენი ფული არ მაქვს, 2000 დოლარი შემიძლია მოგცემო! – უპასუხა თორნიკემ. პატარა მანანნალა უხერხულად ანრიალდა:

– ბარათზე 1000 დოლარიც მაქვს, იმასაც მოგცემო!

– დანარჩენი შენს მამობილს გამოართვიო! – მოსთხოვა ვეფხიამ.

– მაგას სიკვდილი მირჩენია, შემიფარეს, გამზარდეს, კაცად მაქციეს, ვერ ვთხოვო! – პატარა მანანნალა კი, გვერდით მისჯდომოდა და დამამუნათებელი თვალებით შესცქეროდა.

– კარგი, ჩვენ ნავედითო! – თქვა ვეფხიამ ნაწყენი ტონით. ის და კესო წამოდგნენ და გავიდნენ. დაინახა თორნიკემ, როგორ ამოაცალა ვეფხიამ ბინიდან გასვლისას, შემოსასვლელში დაკიდებული ლაზადის ჯიბიდან გასაღებების ასხმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გამეხებული სახით იჯდა. გაღიმებული პატარა მანანნალა კი, სიხარულისგან ცმუკავდა.

* * *

იმ ღამით, ვეფხია და კესო, წინასწარ გაფრთხილებულმა პოლიციამ მაშინ აიყვანა, თორნიკეს დედობილ-მამობილის ბინიდან დატვირთულები რომ გამოდიოდნენ. იმ დღიდან, პატარა მანანნალა აღარ გამოჩენილა.

შენდობა

ბავშვობის მეგობარი მყავს – ზაზა. ზუსტად ტოლები ვართ, სამი დღით ჩემზე უფროსია. ერთ ეზოში გავიზარდეთ. მეორე სართულზე მე ვცხოვრობ, პირველზე ის. რაც თავი მახსოვს, ან ეზოში ვთამაშობდით ერთად, ან მეორე სართულის აივანზე. საბავშვო ბაღშიც ერთად შეგვიყვანეს და შემდეგ – სკოლაშიც, ერთ კლასში ვსწავლობდით. სანამ პატარები ვიყავით, სკოლაში დედაჩემს მიყვავდით, იქიდან კი, დედამისს მოყვავდით სახლში. გაკვეთილებსაც ერთად ვამზადებდით და საჭმელსაც ერთად მივირთმევდით.

მეხუთე კლასში, კლასელი გოგო შემეყვარდა – თამრიკო, ერთ მერხთან ვისხედით. ზაზას გავანდე ჩემი საიდუმლო. მეორე დღეს, ატირებული თამრიკო მეცა.

– შენ ჩემზე რა ჭორებს ავრცელებ?! –

– რა ჭორებს? – დაბნეულმა ავიჩიჩე მხრები.

– იცი შენ კარგადო!

მეორე გაკვეთილზე, დირექტორთან დამიბარეს. იქ დირექტორი, კლასის დამრიგებელი, თამრიკო, დედამისი და ზაზა დამხვდნენ. ზაზა პირზე დამადგა, ვითომ მე ვთქვი.

– თამრიკო ფიზკულტურის გასახდელში შევიყვანე და ვაკოცეო! – სულ მატყუარა და ნაძირალა მიძახეს, ბოდიში მომახდევინეს და გამომიშვეს. თამრიკო გამებუტა და სხვა მერხთან გადაჯდა. კლასელები კი, ტრაბახას და ჭორიკანას მეძახდნენ და ჩემთან აღარ მეგობრობდნენ. მერე გავიგე, რომ თამრიკო ზაზასაც ჰყვარებია.

* * *

– შენ რა მოიმოქმედე? – მკითხა მოძღვარმა.

– არაფერი, შევუნდე!

– სწორად მოქცეულხარ, ქრისტიანს ცოდვე-
ბის შენდობა უნდა შეეძლოს! – მითხრა მოძღვა-
რმა.

* * *

მეათე კლასში ვიყავი. იმ დროს, „Queen“ იყო
მოღაში. ზაზა ქუჩაში შემხვდა, თავის ორ უბნელ
ძმაკაცთან ერთად.

– „Queen“-ის კასეტა ხომ არ გაქვს, მათხო-
ვეო! – მაშინ, კასეტიანი მაგნიტოფონები ახალი
შემოსული იყო.

– სახლში გამომყევი და მოგცემ!

– არა, დღეს არ მინდა, ხვალ მნახე და მომეცი!

– კარგი, გნახავ! – დანდობილად ვუპასუხე.
მეორე დღეს, რამდენჯერმე შევძახე, მაგრამ
სახლში არ იყო. დედამისმა – ბიძამისთანაა, სო-
ფელშიო!

მეოთხე დღეს შემომძახა.

– ზემოთ, „პერეუზზე“ მივდივარ და გამომყე-
ვი! – გავეყვი. გზაში ვიციინოდით, ვხუმრობდით.
იქ რომ ავედით, მაგის ძმაკაცები დამხვდნენ.

– ბიჭო, რომ შემპირდი კასეტას მათხოვებდი,
რატომ არ მათხოვე?! – შემომიტირა მოულოდნე-
ლად ზაზამ.

– სახლში არ იყავი და როგორ მომეცა? – ვუ-
პასუხე.

– ხომ თქვი, რომ მნახავდი, სიტყვას რომ
იტყვი, შესრულება უნდა!

იმ ორმა ძმაკაცმა გამაკავა და ზაზამ სახეში
გამარტყა. მერე გავიგე, ჩემი დაჩაგვრით, უბან-
ში „მარკის“ ანევა უნდოდა.

* * *

– შენ რა მოიმოქმედე? – მკითხა მოძღვარმა.

– არაფერი, შევუნდე!

– სწორად მოქცეულხარ, ქრისტიანს ცოდვე-
ბის შენდობა უნდა შეეძლოს! – მითხრა მოძ-
ღვარმა.

* * *

სტუდენტი ვიყავი, სიგარეტის მოსაწევედ ეზო-
ში ჩავედი. ზაზა ეზოს ბოლოში, სკამზე იჯდა

და მცირეკალიბრიან შაშხანას – „გეკოს“ ათამა-
შებდა.

– ვა, საიდან გაქვს? – გავიკვირვე. იმ დროს,
შაშხანებს არ აფორმებდნენ და მხოლოდ არა-
ლეგალურად შეიძლებოდა შეძენა.

– მაჩუქეს!

– აბა, მაჩვენე! – ვთხოვე.

– მოიცა, ახლავეო! – 40-50 მეტრში, ეზოს
ონკანთან, მეზობლის ქალი იყო წაკუზული. და-
უმიზნა, ესროლა, თოფი ხელში შემაჩენა, „გარა-
ჟის“ უკან შეძვრა, იქიდან გალავანს გადაეველო
და გაიქცა. დავრჩი გაოგნებული. სროლის ხმა-
ზე, მთელი ეზო ხალხით გაივსო. ყველამ დამი-
ნახა, სკამზე მჯდომი, თოფით ხელში.

– რას ამბობთ, ამ თოფს პირველად ვხედა-
ვო! – სალამოს განაცხადა ზაზამ. კიდევ კარგი,
ტყვიამ ბარდაყის კუნთში გაიარა და იმ ქალმა,
მამაჩემის ხათრით, არ იჩივლა, თორემ ციხე არ
ამცდებოდა.

* * *

– შენ რა მოიმოქმედე? – მკითხა მოძღვარმა.

– არაფერი, შევუნდე!

– სწორად მოქცეულხარ, ქრისტიანს ცოდვე-
ბის შენდობა უნდა შეეძლოს! – მითხრა მოძ-
ღვარმა.

* * *

მერე, ცოლი მოიყვანა – ნონა. კარგი გოგო
იყო, ვმეგობრობდით, სალამობით, ერთად ვე-
ძებდით ზაზას. ნონამ ზეპირად იცოდა ის ადგი-
ლები, სადაც ბიჭები იკრიბებოდნენ სათამაშოდ.
ხან რომელი ბუნაგიდან გამოვათრევდით და ხან
რომლიდან. ჩემი ხელფასი მაგის ვალების დაფა-
რვას ხმარდებოდა. ერთ სალამოს, ნონა ამოვა-
რდა ჩემთან გადარეული,

– მაგ არაკაცს, ჩემი თავი, კარტში წაუგიაო!

ნონა ქმარს გაექცა და აღარ დაბრუნებულა.
ალბათ, ზაზასაც აწყობდა.

– ცოლი აღარ მყავს და თავანი როგორ ჩავა-
ბაროთო?! – უთხრა მოგებულებს. ერთი-ორი მო-
არტყეს და შეეშვნენ. უბანში არავინ ელაპარაკე-
ბოდა ჩემ გარდა. დღედაღამ ჩემთან იყო. ცოტა

ხანში, ქურდობაზე დაიჭირეს. 4 წელი იჯდა. რომ გამოვიდა, მე უკვე დაოჯახებული ვიყავი.

ერთ დღეს, სამსახურიდან მოვედი, ეზოში დამხვდა

– ჩემთან შემოდი, რაღაც უნდა გითხრაო! – შევეყევი.

– ბიჭო, ძმაცაი რომ არ იყო, არ გეტყოდი, შენი ცოლი, ქეთი, არ მომწონს, შენთან ამოვედი, სახლში შემიყვანა და ჩალიჩი დამინყო, მაგრამ მე მაგას ხომ არ ვიკადრებდიო?! გადარეულმა ავირბინე მეორე სართულზე.

– ის არაკაცი იყო ამოსული, ბლარძუნი დამინყო. საშველად რომ ვიყვირე, შეეშინდა და გაიქცაო! – მითხრა ნამტირალევმა ქეთიმ.

* * *

– შენ რა მოიმოქმედე? – მკითხა მოძღვარმა.

– არაფერი, შევუნდე!

– ამდენის შენდობის უფლება ვინ მოგცა, შენი თავი ღმერთი ხომ არ გგონიაო?! – მითხრა გაბრაზებულმა მოძღვარმა.

AMAPOLA

Amapola – ხრინინებს პატეფონი ჟოზეფ ლაკალეს უკვდავ მუსიკას.

ცეკვავს გოგონა მიმოზნეულ ფქვილის ტომრებს შორის. ფეხის წვერებზე აინევა, წელში გასწორდება და ხელებს თავს ზევით მორკალავს, ან ძირს დაეშვება, ხელებს მკერდზე გადაიჯვარედინებს და რევერანსს აკეთებს. ცეკვა და მუსიკა ერთმანეთს ერწყმის, თითქოს ნოტები შესაბამის „პას“ პოულობენ, ხელს ჩაჰკიდებენ და სივრცეში ერთად განიბნევიან. ცეკვა მისია, მხოლოდ მას ეკუთვნის, მას, ერთადერთს – ჭუჭრუტანიდან მომზირალ ბიჭს!

ერთხელ, ამერიკაში – მშფოთვარე 30-იანი წლები...

* * *

Amapola – კვენესის ვიოლინო ჟოზეფ ლაკალეს უკვდავ მუსიკას.

გოგონა უკრავს მიმოზნეულ ნოტებს შორის. ვიოლინო მარცხენა მხარზე დაუყრდნია, ზედ ნიკაპი ჩამოუდია, სიმებზე დარბიან მარცხენა ხელის თითები, იდაყვში მოხრილი მარჯვენა ნაზად უსვამს ხემს. სიმისა და ხემის ყოველი შეხება, ყოველი შეუღლება – ახალი კვენესაა, ახალი სევდა, ლამაზ მუსიკად გადმოფრქვეული. მუსიკა მისია, მხოლოდ მას ეკუთვნის, მას, ერთადერთს – ჭუჭრუტანიდან მომზირალ ბიჭს!

* * *

Amapola – ასხივებს ნახატი ჟოზეფ ლაკალეს უკვდავ მუსიკას.

ბიჭი ხატავს მიმოზნეულ ნახატებს შორის. მარცხენა ხელში საღებავებით მოსვრილი პალიტრა უჭირავს. მარჯვენათი მოზომილად უსვამს მოლბერტზე გადაჭიმულ ტილოზე ფუნჯს. ტილოსა და ფუნჯის ყოველი შეხება, ყოველი შეუღლება – ახალი ფერია, ახალი გამა ლამაზ ნახატად გადმოცემული – ყაყაჩოებით მოფენილ მინდორზე შავკაბიანი გოგონა სწორი, ყორნისფერი თმით, თეთრ ვიოლინოზე უკრავს, თითქოს, ცოტა ხნის წინ აკვენესებული მუსიკა, ჭუჭრუტანაში გამოძვრა და ტილოზე, ნახატად გარდაისახა. ნახატი მისია, მხოლოდ მას ეკუთვნის, მას, ერთადერთს – ჭუჭრუტანიდან მომზირალ გოგონას!

* * *

Amapola – აკვენესებს გოგონა ვიოლინოს, იმავე საღამოს, პეროვსკაიას ერთ-ერთ რესტორანში.

Amapola – ყიდის ბიჭი ნახატს, მეორე დღით, მშრალი ხიდის ქვეშ.

ბევრჯერ, საქართველოში – მშფოთვარე 21-ე საუკუნე...

დეტექტიური ნოველა

– ერთიც დაასხი, მაგის დედაც ვატირეო! – უთხრა მახომ სტუმარს და ხელის ცეცებით ნაპოვნი არყის ჭიქა გაუნოდა.

– ექიმმა ხომ აგიკრძალა დაღევაო?! – სამზარეულოდან გამოსძახა ცოლმა.

– რა მომივა, ამაზე მეტად დავბრმავდებო? – მწარედ ჩაიცინა მახომ და დასხმული არაყი „ზალპით“ გამოცალა.

* * *

დათო: – სალამოს ბეჟანასთან გადავედი. სიმამრი ჰყავდა სტუმრად, ცოლმა სუფრა გაშალა და ცოტა დავლიეთ.

– ქარელში პურის აღება დაუნყიათ და მწყერზე ნადირობენ, მაგარი ბათქაბუთქიაო! – თქვა „ნიკალაევიჩმა“. ბეჟანამ

– წამო, ხვალ წავიდეთო!

– არ მინდა ნადირობა-მეთქი! – მაგრამ მაინც დამიყოლიეს. მეორე დილით ჩემი მანქანით გავუარე ბეჟანას, იმან კიდევე, თავისი ძმა – მახო წამოიყვანა. ნეტავ, რა უნდოდა, ცხოვრებაში თოფი არ უსვრია. მაგას და ბეჟანას სიმამრს – „ნიკალაევიჩს“, გართულებული ურთიერთობა ჰქონდათ – მახოს, თავისი რძალი ვილაც კაცთან დაუნახავს და ძმას უთხრა. კინალამ ოჯახი დაინგრა. მერე მახომ მოუბოდიშა

– ალბათ, მომეჩვენაო! – მაგრამ „ნიკალაევიჩი“ მაინც არ ურიგდებოდა:

– ჩემს შვილს ეს როგორ დასწამეო! ბეჟანამ თვალი ჩამიკრა და მივხვდი, რომ ძმა სიმამრთან შესარიგებლად მოჰყავდა. ჩავსხედით მანქანაში და წავედით. „ნიკალაევიჩი“ წყაროსთან შეგვხვდა. „ლუაზში“ ოთხი კაცი ძაღლებით ველარ ჩავეტიეთ და „ნიკალაევიჩი“ თავისი მანქანით წამოვიდა.

ორი მწყერი ამოფრინდა. ერთი ზევით წავიდა, მეორე უკან. მე ზევით აფრენილს ვესროლე, ალბათ, ბეჟანამ უკან გაფრენილს, რადგან მახომ რომ დაიყვირა და წაიქცა, ბეჟანა მივარდა:

– ძმაო, მოგკალიო! ჩავანვინეთ მანქანაში და ხაშურის საავადმყოფოში წავიყვანეთ. გზაში ბეჟანა ძალიან ნერვულობდა:

– ეს როგორ მომივიდაო! – არ უნდოდა საავადმყოფოში მიყვანა.

– მილიციას შეატყობინებენ და გამოძიება დაიწყებო! მე დავამშვიდე:

– ნუ ნერვულობ, მე დავიბრალე-მეთქი! – მეორე დღეს თოფით მომივარდა, ქუჩიდან ღრიალებდა:

– გამოდი გარეთ შენი დედაო!

მადლობის მაგიერი იყო? – გამომძიებელთან ჩემს თავზე ავიღე და მამაჩემსაც შევეუთანხმდი, რომ კარგ ექიმებს დაახვევდა და იქნებ, ერთი თვალი მაინც გადაგვერჩინა. მე გასვლა მინდოდა, რომ სახეში მიმეფურთხებინა, მაგრამ მამაჩემი გადამიდგა კარებში და არ გამიშვა.

* * *

ბეჟანა: – წინა სალამოს, მე, დათო და ჩემი სიმამრი შევეთანხმდით, რომ მეორე დღეს ქარელში წავიდოდით მწყერზე სანადიროდ. დილით, დათომ თავისი „ლუაზით“ გამომიარა. ჩემს ძმას ვუთხარი

– მახო, რას აკეთებ, წამოდი-მეთქი!

– ხომ იცი, არ მიყვარს ნადირობა, თან შენს სიმამრთანაც არ მინდა შეხვედრაო!

– ისე წამოდი, თოფს ნუ წამოიღებ, „ნიკალაევიჩთანაც“ შეგარიგებ-მეთქი! – ხათრი ვერ გამიტეხა და წამოვიდა. ჩემი სიმამრი წყაროსთან შეგვხვდა, ლოდინი მობეზრებოდა და ჩვენკენ წამოსულიყო. მანქანაში რომ შემოიხედა,

– ძაღლიანად ვერ დავეტევი, ჩემი მანქანით წამოვალ, იარეთ და დაგენევითო! – ქვიშხეთთან დაგვენია.

შუა ნადირობის დროს, ძაღლმა ორი მწყერი ამოაფრინა. ერთი ზევით აფრინდა, მეორე დაბალზე გაფრინდა, უკან. მე ზევით აფრენილს

ვესროლე, დათომ უკან გაფრენილს. ამ დროს, უკნიდან განწირული ღრიალის ხმა მომესმა, გავიხედე და ჩემი ძმა იყო მიწაზე ნაქცეული, მე მეგონა მოკვდა. მივვარდი, ცოცხალი იყო, მაგრამ სახე და ხელები საფანტით ჰქონდა დაღლეული. ჩავანვინეთ მანქანაში, ჩვენც ჩავსხედით და ხაშურის საავადმყოფოში წავიყვანეთ.

მეორე დღეს დათოსთან გადავედი სიმართლის გასარკვევად. რა, ჰგონიათ, რომ მე გავარტყი? „ძმაო, მოგკალი!“ იმიტომ დავიყვირე, რომ ძალით წავიყვანე მახო სანადიროდ. ეგ ლაჩარი სახლში შეიკეტა, არ გამოვიდა და მისი სახლის ფანჯრებს თოფი ვესროლე.

* * *

„ნიკალაევიჩი“: – მომბეზრდა ლოდინი და მაგათი სახლისკენ ფეხით წავედი. წყაროსთან შემხვდნენ დათოს „ლუაზით“. მანქანაში ჩემი ძაღლის ადგილი აღარ იყო

– თქვენ იარეთ და ჩემი მანქანით დაგენვეით-მეთქი! – სახლში ავედი, დავკოქე „ჟიგული“ და ქვიშხეთთან დავენიე.

ნადირობა ახალი დაწყებული იყო. ბიჭები თოფებს ცუდად ატრიალებდნენ, ვიღაცას, ეტყობა, ფეხებიდან აუფრინდა მწყერი, დაბალზე ესროლა და მე გამარტყა ბეჭებში. ბეჭანამ ამომიღო ორი საფანტი კეფიდან. გაბრაზებული დავჯექი მანქანაში და მოშორებით გადავედი, სხვა მინდორში. შუადღით დაცხა და მწყერი აღარ ამოდიოდა. მოვრჩი ნადირობას, ჩავჯექი მანქანაში და დავბრუნდი ძველ ადგილზე, მაგრამ იქ ჩვენები არ დამხვდნენ. სერზე მწყემსი იდგა, იმას ვკითხე.

– აქ კაცი მოკლესო! – მითხრა მწყემსმა.

– სამი გასროლის ხმა იყო, ერთი და მიყოლებით, ერთდროულად, ორი. უკან მიმავალი ბიჭი მიწაზე დაეცა, ერთმა დაიძახა – „ვაიმე, ძმაო, მოგკალიო!“ და დაგდებულს მივარდა. მერე ჩანვინეს მანქანაში, თვითონაც ჩასხდნენ და წავიდნენ! – მეც ჩავჯექი მანქანაში და წამოვედი. მერე გავიგე, მეორე დღეს, ბეჭანა დათოს თოფით მივარდნია.

– გამოდი გარეთ, უნდა მოგკლაო! დათო არ გაუშვიათ და ბეჭანას ტყვიით ფანჯრები ჩაუმტვრევია.

ორი დღის მერე, ჩემმა სიძემ მთხოვა

– „ნიკალაევიჩი“, დათოს შემახვედრეო! მე დათოს ვუთხარი:

– ბეჭანას უნდა დალაპარაკება, ჩემს სახლში შეგახვედრებ-მეთქი! – კარგო! შევახვედრე და ბეჭანამ ჰკითხა:

– შენ როგორ იცი, მახოს ვინ ესროლაო? – დათომ უთხრა:

– მე არ მისვრია, ალბათ, შენ ესროლეო! ბეჭანა საჩხუბრად გაიწია და ერთი გარტყმა მოასწრო, მერე მე ჩავდექი შუაში და გავაშველე.

* * *

მახო: – დღით დათო მოვიდა სიგნალით, ის და ბეჭანა წინა დღით შეთანხმებულან სანადიროდ წასვლაზე. ჩემმა ძმამ მთხოვა წავყოლოდი. ნადირობა არ მიყვარს, მაგრამ ხათრი ვერ გავუტეხე და წავყევი. თოფიც არ წამიღია. „ნიკალაევიჩი“ წამოვიდა თავისი „ჟიგულით“, გზაში დაგვეწია და დავვისიგნალა.

ნადირობისას, მე უკან მიყვებოდი, ნადირობა არ მაინტერესებს, ბუნებას ვათვალიერებდი. ერთდროულად, ორი გასროლის ხმა გავიგონე და უცბად, თვალეები საშინლად ამეწვა, მერე არაფერი მახსოვს, გონს საავადმყოფოში მოვედი.

* * *

– შენ გეცოდინება, მაინც რომელმა გესროლა თოფიო? – ჩააცივდა სტუმარი მთვრალ მახოს.

– ბოლოს რაც დავინახე და გაჩერებული კადრივით მიდგას თვალწინ, სერზე, ხეებს ამოფარებული „ნიკალაევიჩის“ თოფის ლულა და მისი მოჭუტული თვალია, ალბათ, იმ ამბის გამო დასაჯა, მაგრამ ეგ რომ ვთქვა, ჩემს ოჯახს გადაეკიდება და უარესს მომწევს, არც შენ წამოგცდეს სადმეო!

წიგნები

– გოგი, ხომ გაგვიძღვები? – მორიდებით სთხოვს ოჯახის უფროსი თამაძობას.

– მეე, კაცო?! – ამაყად ეკითხება 50-55 წლის მამაკაცი და ფეხზე დგება.

– შენ, გოგი, აბა, შენს მეტი, სხვა ვინ?!

– მაშინ, ჭიქები შევავსოთ! – რიხიანად დასჭექს ბატონი გოგი.

ტანად არც ისე დაბალს და არც ისე მსუქანს, კობტა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მომზირალი ნაცრისფერი თვალები სიამაყით უბრწყინავს. დამადლებული ღიმილი ორივე ლოყაზე ფოსოებს აჩენს. საფეთქლებთან შერჩენილი თმა, რომელიღაც, დიდი მეცნიერის იერს აძლევს. დიდი ხანია მიხვდა, რომ მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, სამეგობროში თავისი აღმატებულება უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ კუჭის წყლული სტანჯავს და ნაღვლის ბუშტიც კენჭებით აქვს სავსე, დარდიმანდობას მაინც არ ეშვება და თამაძობაზე უარს არ ამბობს.

ზოგს ეპატიჟებიან, ზოგს არ ეპატიჟებიან, ზოგს ამოაგდებენ, ზოგს ჩაანაცვლებენ. მხოლოდ ბატონი გოგია მუდამ თამაძის პოსტზე. იმიტომ, რომ სამეგობროში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.

* * *

– გოგი, სკოლაში გვიბარებენ! – მორიდებით ეუბნება ცოლი.

– მერე მე რა ვქნა?! – თავს ანებებს გაზეთის კითხვას სავარძელში გადანოლილი 50-55 წლის მამაკაცი და ცოლს სათვალის ზემოდან გახედავს.

– კარგი, სკოლაში მე წავალ!

– სიგარეტი მომიტანე! – ღრენით ეუბნება გოგი.

ტანად არც ისე დაბალს და არც ისე მსუქანს, კობტა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მომზირალი ნაცრისფერი თვალები

სიბრაზისგან უელავს. მომუნული პირი, მკაცრ იერს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. საფეთქლებთან შერჩენილი თმა განრისხებისგან ყალყზე უდგას. დიდი ხანია მიხვდა, რომ მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, ოჯახში თავისი მრისხანება უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ ბრონქიალური ასთმა აქვს, სიგარეტს მაინც არ ეშვება და ნავახშმევეზე გაბოლებაზე უარს არ ამბობს.

ზოგს ოჯახი ენგრევა, ზოგი თვითონ ანგრევის, ზოგს ცოლი ჩაგრავს, ზოგს – შვილები. მხოლოდ გოგია მუდამ თავის ადგილზე. იმიტომ, რომ ოჯახში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.

* * *

– ჩემო გოგი, აქეთ მოინი! – მორიდებით ეუბნება ნათესავი და საფლავთან ახლოს მიჰყავს.

– სანყალი, რა კაცი იყო?! – ამბობს 50-55 წლის მამაკაცი და მუჭით ალებულ მიწას საფლავში ყრის.

– შენ იყავი კარგად, ჩემო გოგი!

– ღმერთმა გაკმაროთ! – თანაგრძნობით პასუხობს გოგი.

ტანად არც ისე დაბალს და არც ისე მსუქანს, კობტა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მომზირალ ნაცრისფერ თვალებში სევდა ჩასდგომია. მწუხარებისგან მომუნული პირის კუთხეები ძველი მთვარესავით ქვევით აქვს დაშვებული. საფეთქლებთან შერჩენილ თმას ქარი უწენავს. დიდი ხანია მიხვდა, რომ მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, სანათესაოში თავისი გრძნობები უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ სუსტი გული აქვს, ჭირში მაინც დიდს და ცრემლსაც ბლომად ღვრის.

ზოგს ჩაიხუტებენ, ზოგს მოიშორებენ, ზოგს ცხვირს აუბზუებენ, ზოგს გარიყავენ. მხოლოდ გოგია მუდამ მიღებული. იმიტომ, რომ სანათესაოში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.

* * *

– გოგლიკო, უფროსი გეძახის!

– დიახ, ახლავე! – გაღიმებული პასუხობს 50-55 წლის მამაკაცი და ოთახიდან სირბილით გადის.

– გისმენთ ვალერიანოვიჩ! – თვალეებში შესცივინებს უფროსს.

ტანად დაბალს და მსუქანს, პაჭუა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მუდმივად მოლიმარი ნაცრისფერი თვალეები ერთიორად გადიდებული მოუჩანს. ღიმილისგან ოდნავ დაღებული პირის კუთხეები, ახალი მთვარესავით ზევით აქვს აწეული. საფეთქლებთან შერჩენი-

ლი თმა, ყურებს ზემოთ გაბურქვია. დიდი ხანია მიხვდა, რომ მონინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, სამსახურში თავისი მორჩილება უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი და პატარა, პირში თუ პირსუკან დასცინის და აბურჩად იგდებს, მორჩილი კაცის ნილაბს მაინც არ იშორებს და გაღიმებული, ყველას ზრდილობიანად პასუხობს.

ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ზოგს აწინაურებენ, ზოგს აქვეითებენ. მხოლოდ გოგლიკოა მუდამ მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. იმიტომ, რომ სამსახურში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.

სიბრძნე სილამაზისა

...და იშვა, იგი, იესო, ნაზარეთელი, მარად ქალწული მარიამისაგან, ქვაბსა ბეთლემისა – სახლსა პურისა, სწავლებად კაცთა მოდგმისთვის ყველაზე უპირატესისა...

...ეახლნენ მოგვნი, და ძღვნად მიართვეს ოქრო, საკმეველი და მური, ნიშნად მეფობისა, ღვთაებრიობისა და ადამიანურობისა...

* * *

მივიდნენ ყმანვილნი ბრძენთან, გასარკვევად, რომელ არს უპირატეს გარეგნობასა, გონებასა და სულს შორის. დაისვა ბრძენმან ყმანვილნი და მოჰყვა ამბავი ესე, უდაბნოსა მცხოვრებთა ბედუინთა, საჩვენებლად ყმანვილთათვის ძალისა სილამაზისა სხეულისა:

საჰარის უდაბნოში მცხოვრები ბედუინები, ბრძოლის წინ, თავიანთ ტომში არჩევდნენ ყველაზე ლამაზ ქალწულს და დროშის მაგივრად მიჰყავდათ ომში. მთელი ჯარი იცავდა ქალწულს. მას ეწირებოდნენ, მისთვის კვებოდნენ. ვაჟკაცი ხალხი იყო ბედუინები, სიტყვას არ გატეხდნენ, ქალწულის სიკვდილი, ბრძოლის წაგებას ნიშნავდა. ეს იცოდა მონინაალმდეგემ და ამიტომ, მტრისთვის, ის, სამიზნედ იყო გამ-

ხდარი. უკეთეს შემთხვევაში, სახლში დაჭრილი მიჰყავდათ და უარეს შემთხვევაში, მკვდარს მიასვენებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ომში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო, არ ყოფილა შემთხვევა, ქალწულს ულამაზესის ტიტულზე ეთქვა უარი.

* * *

...იხილა ხალხმან გაცხადება სამეზისა – იღებდა იგი, ძე ღვთისა ნათელს, მდინარე იორდანესა შინა, დასტრიალებდა სახით მტრედისა სულინმიდა, და ციდამ ისმოდა ხმა მამისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ!“

* * *

და მოჰყვა ბრძენმან ამბავი ესე მაკედონელისა, ალექსანდრესი, საჩვენებლად ყმანვილთათვის ძალისა სილამაზისა გონებისა:

ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, ალექსანდრე მაკედონელთან მისულა ერთ-ერთი მისი მხედართმთავარი – ანტიპატროსი და შეუჩივლია

– მე ყველა ბრძოლაში პირველი შევდივარ, სიცოცხლეს ვწირავ, თავს არ ვზოგავ, ყველა შენს დავალებას პირნათლად ვასრულებ, შენ

კი, უპირატესობას ჰეფესტიონს ანიჭებ, რადგან ჩემზე წარმოსადეგიაო!

ალექსანდრეს თვალები ხელით მოუჩრდილავს. შორს, ჰორიზონტზე აქლემების ქარავანი დაულანდავს.

– ხედავ იმ ქარავანს? მიდი და გაიგე, საიდან მოდისო! გააჭენა ცხენი ანტიპატროსმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გაანზილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

– ქარავანი პერსეპოლისიდან მოდისო!

– წადი და ჰკითხე, ქარავანი სად მიდისო! – უბრძანებია ალექსანდრეს. გააჭენა ცხენი ანტიპატროსმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გაანზილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

– ქარავანი ქაიროში მიდისო!

– წადი და ჰკითხე, რა მიაქვთო! – გააჭენა ცხენი ანტიპატროსმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გაანზილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

– ფართალი მიაქვთო!

– ჰეფესტიონი მომგვარეთო! – უბრძანებია ალექსანდრეს.

– ხედავ იმ ქარავანს? მიდი, და გაიგე, საიდან მოდისო! გააჭენა ცხენი ჰეფესტიონმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გაანზილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:


– ფართლით დატვირთული ქარავანი, პერსეპოლისიდან ქაიროში მიდისო. აბრეშუმი, შალი და ბამბა მიაქვსო. აბრეშუმი – 20 დრაჰმა ღირს, შალი – 12 დრაჰმა, ბამბა კი, – 10 დრაჰმაო.

– ჰეფესტიონში გარეგნულ სილამაზეზე მეტად, გონებრივ სილამაზეს ვაფასებო! – უთქვამს ალექსანდრეს ანტიპატროსისთვის.

* * *

და მოჰყვა ბრძენმან ამბავი ესე ცხოვრებისა ქრისტესი, საჩვენებლად ყმანვილთათვის ძალისა სილამაზისა სულისა:

...და ეწამა, იგი, იესო, ნაზარეთელი, სიკვდილითა სიკვდილისა დასათრგუნად, და აღსდგა დღესა მესამესა, საჩვენებლად კაცთა მოდგმისთვის ყველაზე უპირატესისა...



ოთარ რობაძე

ბამოსვლა

შენა ხარ ჩემში, როგორც სიკვდილი, როგორც სიცოცხლე, ჟანგბადი, სივრცე, ჯერ უსახო ხარ, მკერდში ხარ გულთან, გულივით ოდნავ და სუსტად მიცემ. სანამ ჩემში ხარ, ვარ უბედური, გზააბნეულის შიშით და ძრწოლით, უკმაყოფილო და უმადური, თითქოს ნამგვარეს შვილი და ცოლი. სანამ ჩემში ხარ, ღმერთი არ არის, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობ უფლის მზერას, ყველა მიყვარს და მაინც არავინ მიყვარს და თითქმის არაფრის მჯერა. გრძელდება ასე... შენ სახეს იძენ – ჰგავხარ ბელურის აფრენას ხიდან, ხან მთვარის ჩასვლას, ხან მზის ამოსვლას, დროდადრო ჩრდილის მონყვეტას მხრიდან.

არ მოვა ქარი

არ მოვა ქარი და შენს კარებთან აღარ დაიწყებს მოთქმას და ტირილს, არ მოვა ქარი, არ მოასკდება დახურულ ფანჯრებს სახით და ტვინით. არ მოვა ქარი და უმისობა გახდება უფრო ძნელი და მწველი. არ მოვა ქარი და უხმაუროდ და უღიმღამოდ ჩაივლის წელი.

არასაშობაო

თქვენ ისევ მოხვალთ შობის მერეც, აღდგომის მერეც, როგორც ჩიტები, ან გემები – ნავსადგურებში, ვეღარ ვუშველი მე ვერაფრით თქვენს ნატიფ ხელებს, თქვენს გულსაც ვეღარ გამოვარჩევ სხვების გულებში. ვერაფერს ვიზამ და ვერ შევცვლი, დღე თუ ხუნდება, თუ ფერწართმეულ შობის ღამეს არ მოთოვს გზაზე, ვერ გაიძულვებთ ვერც წასვლას და ვერც დაბრუნებას, ალბათ, ვერც ქალაქს შეგაყვარებთ სიკეთით სავსეს.

ვერ გაგიმზადებთ ვერც გვირგვინებს სავსეს გვრიტებით,
 ვერც პალმის რტოებს, ვერც გალობით გადაღლილ ქოროს,
 ვერ მოგატყუებთ, მაპატიეთ, ვერ შეგპირდებით!
 ეს ლექსიც არასაშობაო ლექსია მხოლოდ.

* * *

მერწმუნე, ისე შორსაა ღმერთი,
 არ ვიცი, მართლა არის თუ არა
 და მოედანი სამრეკლოს ხედით,
 ჩამავალი მზის სინითლეს ფარავს.
 ვიცი, განიცდი დღეებს ჩემსავით,
 ამ უღმერთობას, უსახურ ბინას,
 სადღაც აქვეა სახლი მესამე,
 სადაც უსაზღვროდ გრილა და თბილა...
 და მაინც ისე შორსაა ღმერთი,
 არ ვიცი, მართლა არის თუ არა
 და მოედანი სამრეკლოს ხედით,
 შენი ოთახის აივანს ფარავს.

მთვარე

ნახვედი, გაგყვა წიგნი და ხატი,
 მთვარე კი დარჩა, როგორც არიფი,
 ვილაც ეზოში კაცევით დადის,
 შენზე მშვიდი და ჩემზე ღარიბი.
 დადის და მგონი ყვაველებს მპარავს
 და როცა მიდის თვალით ვაცილებ,
 მერე ვინახავ შენს ყველა ბარათს,
 როგორც მორწმუნე წმინდა ნაწილებს.

რამდენიმე წლის მერე დასაწერი ლექსი

არაფერს აღარ ვწერ შენზე,
 მე მთვარეს ვაღმერთებ, შენ – მზეს.
 მე ვერსად ვერ ნავალ შენგან,
 ღამდება, საღამოც შენ გგავს.

მე ვითვლი დღეებს და თითებს,
 შენ ღამეს ღრუბლებთან ითევ.
 მე ვრჩები მარტო და ვერთვი,
 შენს ღრუბლებს,
 შენ გამო,
 შენთვის.

* * *

მე ვერ ვიქნები ვერაფრით მთვრალი,
 ვიდრე დამცქერის ცა ეჭვის თვალით,
 ან სანამ ფიქრით (როდესაც შორს ვარ),
 არის ადვილი კვლავ შენთან მოსვლა,
 ან სულაც ქალაქს, რომელსაც ვეტრფი,
 ედება მხრებზე თოვლი თუ ქერტლი,
 ან თუკი სატრფო ბრუნდება ტბებით
 და გინედლდება გამხმარი ფრთები.

დაუშვრებელი ამბავი

როგორც ზემოთ ვთქვით გადი, თუ გინდა დღესვე ენამე,
 ღმერთი არ არის მათი, ღმერთი არ არის მესამე.
 საფრთხობელებსაც რაკი, საქმე აღარ აქვთ ყანაში,
 თვრებიან ტყემლის რახით, ან ჩაით ჩაიხანაში.
 ფოთლებიც ქარით, მეხით, ვიდრე შეკრავენ ირაოს,
 გინდა ამოჰკრა ფეხი, სამყარო ააყირავო.

ხილვა

შენ ფეხის თითებზე აიწევ,
 ნუხანდელ თეთრეულს გამოფენ,
 მოდიან ხილვები და ისევ
 ოთახში შემოსვლას ღამობენ.
 არასდროს ყივიან მამლები
 ქალაქში და ითვლი ათამდე,
 გარდერობს ამშვენებს ქამრები,
 ერთ მათგანს ხვალისთვის გადადებ.

როგორც ჩანს, აფრები დაკეცე,
 როგორც ჩანს, ფარდები აუშვი.
 იესო თუ შეგხვდა აკოცე,
 ქალაქის მტვერსა და ხმაურში.

სბრშქარო

გამახსენდება შენი ავდრები,
 გამოვიხედავ ფანჯრიდან გვიან.
 ლამპიონები, როგორც სანთლები,
 დგანან დილამდე და არსად მიაქვთ.
 ჯერ არის ისევ ძალიან ადრე,
 ძალიან ადრე გათიშეს შუქი,
 ლამეს კი მხოლოდ იმიტომ ვათევ,
 სხვამ არ მომასწროს და დილას გჩუქნი.

* * *

მერიამ ხეები გადაბელა,
 ცოტაც იცალე და გაძელი,
 ნელს ჩვენთან ჩიტების გადაფრენა
 იქნება ადვილი საცქერი.
 ყველა მთა იქნება ცეროდენა,
 ზესკნელიც იქნება შვიდივე,
 ასფალტზე ფერადი ცელოფანი
 იქნება უსულო ჩიტივით.

* * *

ჩაიძირება ჩემი ქალაქი, როგორც ვენეცია,
 ზღვაში კი არა,
 წყალში კი არა, მხოლოდ ჭაობში,
 ჩაიძირება მასთან ერთად ყველა ხრუშჩოვკა
 და ყველა სახლი ათას ცხრაას რომელიღაც წლის,
 ჩაიძირება ყველა ბინა, ყველა კორპუსი,
 ძველიც, ახალიც, სულ ერთია, ლიფტით, ულიფტოდ.
 ჩაიძირება სამთავრობო შენობა ყველა:
 მთავრობის სახლი და შენობა უზენაესის,

უკან მიჰყვება მერია და სამსახურები,
ფართო ქუჩები, ტროტუარი,
სადაც არ ესმით,
სადაც სოფლიდან ჩამოსული ქალბატონები
ყიდიან საცვლებს, ბიუსჰალტერებს,
„ნასკებს“ და წინდებს.
ჩაიძირება და ჩემს ქალაქს მიჰყვება უკან
სხვა ქალაქები,
დიდები და დიდებულები,
სადაც აგებენ უკეთესად ბინებს და ტაძრებს,
მაგრამ ვერ გრძნობენ, როგორ ღპება
ადამიანი და მასთან ერთად,
როგორ ღპება რკინაბეტონიც.

ხმ №1

ამ ხეში ვილაც სუნთქავს,
ამ ხის ქვეშ ხშირად წყალს სვამენ,
როგორც ბრძენმა თქვა, „ბუტკას“
დგამენ და ღამით აფსამენ.
როგორც ირკვევა, – მიდის...
ქიმზე ირხევა ალამი,
წყალიც მიდის და ხიდიც,
ცხოვრებაც მიდის ქალამნით.
როგორც ამბობენ, უნინ,
ბევრმა იწყევლა თავბედი,
დღეს რიცხვი არის ღუნნი,
ღუნ რიცხვში სექსით კავდები.
ღუნ რიცხვში ჩიტიც უსტვენს,
ღუნ რიცხვში უსტვენს ქალაქიც
და ესიზმრება რუსთველს
მთანმინდა, – ძვალთშესალავი.



ბუნა საბნიძე

დღემდე არასოდეს გამისაჯაროებია ჩემი ჩანაწერები, რომელთაც საერთო სათაურად „ახლო წარსულის რეალობიდან“ დავარქვი; არ გამისაჯაროებია, რადგან არასოდეს ჩამითვლია ღირებულად და სხვებისთვის საინტერესოდ. ახლა კი, არ ვიცი, რატომ, გულმა მოინდომა და გამოვიტანე ერთ-ერთი. არ ვიცი, რა ბედი ეწევა დანარჩენს. გულმა მოინდომა-მეთქი, ალბათ, იმიტომ, რომ ერთი წელია, დავბერდი უკვე, რადგან ერთი წელია, აღარ მეფერება დედა! გენიალური გოდერძი ჩოხელი წერდა: „ადამიანები იმიტომ ბერდებიან, რომ თანდათან, ყველაფერთან ერთად აკლდებათ სითბო: მშობლების სითბო, შვილების სითბო, შეყვარებულის სითბო, მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების სითბო“..

ჭეშმარიტად! იმისთვის, რომ წლები მომემატოს, მაგრამ არ დავბერდე, გადავწყვიტე, დედა გავაცოცხლო მოგონებებში იმ ამბებით, რაც ჩვენს რეალურ ცხოვრებაში მომხდარა, მოვხაზო შტრიხები დედას პორტრეტისთვის და ამითი პირუკუ მივფერო იმის სანახევროდ მაინც, რაც უნდა მოვფერებოდი სიცოცხლეში და ვერ მოვასწარი; რაც თავად მეფერა მთელი ცხოვრება.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვავლებ, დედის სახე „შემომცქერის“ თვალებში და მეუბნება, – აბა, ვნახოთო!

მეყოფა კი დრო ამისთვის? ან შევძლებ კი? ანდა ვინმემ დღემდე შეძლო, მოფერებოდა დედას ისე, როგორადაც იკუთვნებს? არამგონია... და მაინც... ვცდი, რასაც მის ნათელ ხსოვნას მივუძღვნი.

ახლო წარსულის რეალობიდან

კვასა

კვასა ძალღის სახელია, გვყავდა ბავშვობაში ერთი საოცრად საყვარელი ლეკვი, რომელიც ვიღაც უგულომ მანქანიდან ჩამოსვა ჩვენს ჭიშკართან და გზა მშვიდად განაგრძო. შეშინებული ლეკვი დაუკითხავად შემოცუნცულდა ჩვენს ეზოში. გავიხარეთ ბავშვებმა – მე და ჩემმა უფროსმა დამ (არცთუ ისე პატარებმა – მე მე-4 კლასელი ვიყავი, ჩემი და კი – მე-9) ავიყვანეთ აკანკალებული ლეკვი ხელში, მივუალერსეთ და სახელად ვუწოდეთ – კვასა.. (დღემდე არ ვიცი, საიდან მოვიტანეთ ეს სახელი). შემდეგ ვაჭამეთ, დავბანეთ, გავაშრეთ და ასე „გამონკეპილი“ დავახვედრეთ სამსახურებიდან დაბრუნებულ დედ-მამას. დედამ გაიხარა, უყვარდა ძაღლები, მამა თითქოს შემოგვწყნარა,

რადგან სახლში უკვე გვყავდა დიდი ძაღლი – ბელკა, მაგრამ სალამოს კვასასთვის პატარა ბუნაგი მანც შეჭედა, თივა ჩაუგო და შიგ შესვა. შეიფერა კვასამ თავისი ახალი სახლი და აღარც გამოდიოდა, ვეხვენებოდი, გამოდიო, მაგრამ ისეთ მიმიკას ლებულობდა, თითქოს ამბობდა, უჩემოდ ითამაშეთ, დამასვენეთო.

საოცარი თვისებები გამოავლინა კვასამ, ისე გამოგხედავდა, თავს შეგაცოდებდა, როგორც სწვევით ხოლმე ლეკვებს, ზოგადად, მაგრამ მადლიერებას მართლაც განსხვავებულად გამოხატავდა – თავის კუდს „გამოედევნებოდა“ და რამდენიმე უსწრაფეს ტრიალს გააკეთებდა, როცა რაიმეს მიწოდებას დავაპირებდით, ეს ყესტი, ერთგვარი მოპირფერებაც კი იყო თითქოს, და კუდის, ასევე, უსწრაფესი ქიციანით ელოდა სასუსნავს. მუდამ თვალეში შემოგვციცინებდა. ხშირად ფეხსაცმლებს იპარავდა აივნიდან, ძებნას რომ დავინებდით, გვათვალყურებდა, თავს დალუნავდა, ქვემოდან ეშმაკურად ამოგხედავდა და გვილიმოდა, დიახ, გვილიმოდა, როცა გაიგონებდა მისი მისამართით ნათქვამს – კვასაააა?! იმ წამსვე გაიქცეოდა, პირით მოარბენინებდა გადამალულ ფეხსაცმელს, წინ დაგვიდებდა და ადგილზე აკუნტრუშდებოდა, თითქოს, ნიშნს გვიგებსო.

ჩემი და, რომელიც კვასას ყველაზე მეტად უყვარდა, თავს დაუდებდა იატაკზე, მივარდებოდა კვასა, ჯერ თმას აუჩქრავდა, მერე კი თათებით ვარცხნიდა.

ერთხელ ჩემი და დედამ რალაციისთვის დატუქსა და კვასა გაეზუტა დედას.

სკოლაში მიმავალს ავტობუსის გაჩერებამდე მიაცილებდა, მერე ავტობუსს გამოედევნებოდა და სირბილით მისდევდა, სანამ არ დაილღებოდა, მონყენილი ბრუნდებოდა შინ. მე და დედა მეორე სმენაში ვიყავით: მე – სკოლაში, დედა – სამსახურში, ჰოდა, დღის მეორე ნახევარში დედას მიაცილებდა. მე ყველაზე ადრე ვბრუნდებოდი სახლში და სანამ სხვებიც დაბრუნდებოდნენ, ჩემთან თამაშით ერთობოდა კვასა. ისე შემოვიცილებდა თამაშში, რომ ვერც კი ვამჩნევდი, დრო როგორ მიიპარებოდა და მეცადინეობას ველარ ვასწრებდი, აი, ამისთვის კი დედა ერთნაირად გვსჯიდა მეც და კვასასაც – კუთხეში გვაყენებდა და იდგა დასჯილი კვასა ჩემთან ერთად კუთხეში მანამ, სანამ მამა არ გამოგვიხსნიდა.

ჩემი დის შემდეგ ყველაზე უფრო დედა უყვარდა, ალბათ, იმიტომ, რომ როგორც პატარა ბავშვს, უგემრიელეს ფაფებს უხარშავდა (მგონი, მაშინ ძაღლის სპეციალური საკვები მაღაზიაში არ იყიდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მე არ გამეგონა), რომელზედაც არც ჩვენ ვამბობდით უარს. ფაფის მოხარშვამდე ისე ცმუკავდა და ნკმუტუნებდა, რომ იფიქრებდით, საცაა ბავშვივით ატიტინდებო.

კვასას მამაც ანებვირებდა – კანფეტი „ირისი“ მოჰქონდა სალამოობით, რადგან „ირისი“ ყველაფერს ერჩინა. კვასას თითქმის არაფერი ეკრძალებოდა „ოჯახში“, ერთი სიტყვით, ძალიან მოკლე დროში ოჯახის სრულფასოვან „წევრად“ გადაიქცა და დიდ პატივშიც იყო ეს პატარა ოთხფეხა არსება.

მთელ სამეზობლოშიც „გავარდა“ ხმა კვასას განსაკუთრებულობაზე და მეზობლებიც „პატივისცემითა“ და სიყვარულით ეპყრობოდნენ მას. მოკლედ, ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული ჩვენი კვასა...

ერთი ჩვენი ნათესავი, ნოდარი, რომელსაც მეტსახელად კოდალას ეძახდნენ (ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი, 42 წლისა წავიდა) ახლოში ცხოვრობდა და ხშირად სალამოობით ჩვენსას გადმოდიოდა მამასთან ერთად ტელევიზორის საყურებლად. იმ ღამესაც, ჩვეულებრივ, გვიანობამდე შემორჩა ტელევიზორს და საუბარს – სოფლიდან ჩამოსული ბაბუა (მამის მამა) გვყავდა სტუმრად. ბაბუა უსაზღვროდ გვიყვარდა შვილიშვილებს. მასზე კეთილშობილი, სუფთა ადამიანი არ მეგულუბა დედამინის ზურგზე. მართალია, ბაბუას ძალიან უყვარდა შინაური ცხოველები, მაგრამ ძაღლის ოთახში ყოფნას არ ეთანხმებოდა და მისდამი პატივისცემის გამო, კვასა ოთახში აღარ შემოვიყვანეთ იმ ღამით (როგორც წესი, იგი ჩვენს დაძინებამდე ჩვენთან ერთად იყო ხოლმე).

ავბედითი ღამე ვახსენე.

გვიანი იყო-მეთქი, კოდალა რომ გავაცვილეთ. უკვე დასაძინებლად ვემზადებოდით, რომ უცებ კარი გაიღო (მაშინ სახლის კარი ღამითაც არ იკეტებოდა) ზღურბლზე ნოდარი დგას, სახეზე ფერი არ ადევს (გულჩვილი იყო კოდალა), მამას ანიშნებს, გამოდიო. გულმა ცუდი გვიგრძნო. გავიდნენ და ასე, ალბათ, ნახევარი საათის შემდეგ შემობრუნდა მამა. კითხვისნიშნის თვალებით მივაშტერდით ყველა, ხმას არ იღებდა, დედამ აიძულა ეთქვა, რატომ გაიყვანა კოდალამ: – ვერ ხედავ, ბავშვები არ დაწვნი, აინტერესებთ, რა მოხდაო?

– აქედან გასულ კოდალას სატვირთო მანქანამ ჩაუქროლა და იმ წამს ლეკვის ნკავნკავიც გაუგონია, მანქანას სიჩქარისთვის მოუმატია და გამქრალა. კოდალა მივარდა ლეკვს მისაშველებლად, მაგრამ ერთი შემოუხედავს მისთვის და თვალები დაუხუჭავს. – ამოილულულა მამამ. ჩვენ ბოლო სიტყვები არც კი გავგიგონია, ისე მოვუშვით ღრიალი:

– ჩვენი კვასაა?! ჩვენი კვასაა?!

ტირილსა და მოთქმაში დედაც აგვყვა.

– სად წაიყვანე? სადაა ჩვენი კვასა? – ვეკითხებოდით გულამომჯდარი მამას. არც მამა იყო კარგ დღეში.

– დავმარხეო!

– წაგვიყვანე, გვაჩვენე, სად დამარხე? ჩვენ გარეშე როგორ დამარხე?

– ხვალ, ხვალ განახებთ, ახლა გვიანია, ვინმე დაგვინახავს, სირცხვილიაო, – სცადა მამამ ჩვენი დაშოშმინება, მაგრამ ამაოდ.

ბაბუმ ანიშნა, გაყევით.

წავედით.

ჩვენს ბაღში დაემარხა ჩვენი საყვარელი არსება მამას. ამოვათხრევიეთ. მამამ წინასწარ კი ჩამოგვართვა პირობა, რომ ხმას არ ამოვიღებდით, მაგრამ დანაპირები ვერ შევასრულეთ – კვასას უსულო სხეულის დანახვაზე ავღრიალდით. მაშინ მამა მკაცრად გაგვინყრა და ზღუქუნზე გადავედით. უკანასკნელად ჩავიხუტეთ იგი და უკანმოუხედავად გამოვიქცით, ვერ შევძელით, გვეყურებინა, როგორ აყრიდა მას მამა მიწას.

გულამომჯდარი შევედით სახლში, სადაც დედასთან ერთად გავაგრძელეთ მოთქმა. დედა თან ტიროდა, თან ჩვენ გვეფერებოდა, ცოტათი დავმშვიდდით.

– შენ რაღა გატირებს, მამა? – ეკითხება უცებ დედა ბაბუს. რომელსაც თვალებზე ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

– რა ვიცი? ალბათ, მართლა იბრეთი* რამე იყო ის ლეკვი, ასე რომ დასტირით ყველანი, მე კი ნება არ მოგეცით, ოთახში ყოფილიყო, იქნებდა, გადარჩენილიყო, – თავს იდანაშაულებდა მოხუცი.

– არა, მამა, ეგ რა შუაშია? ღამით ისედაც არ ვტოვებდით ოთახში. ასე ეწერა საბრალოს.. განა შენ არ მასწავლი, ბედისწერას ვერავინ გაექცევით?– შეეცადა დედა ბაბუს დამშვიდება და გამოუვიდა.

მეორე დღით მინდვრის ყვავილები დავკრიფეთ და კვასას საფლავზე გავიტანეთ, არცთუ ისე პატარა ბავშვებმა, დედამ კი ისევ ის გემრიელი ფაფა მოხარშა, რომელსაც ჩვენც სიამოვნებით შევექცეოდით.

ასე გაგრძელდა დიდხანს...

* იბრეთი – სასწაული, საოცარი, განსაკუთრებული.



ედიენა ჭოგუაძე

ლუსიფერი

ზაზა აბესაძეს

ყველა თქვენგანის მე სულში ვზივარ
ზოგს მეტ-ნაკლებად ზოგს სრულად ვნათლავ
არარაობის მოციქული ვარ
და თქვენთან ერთად ჟამთა სვლას ვმართავ
მე ასრულების ოქროს თევზი ვარ
და თქვენს სურვილებს მივეცი ნება
მე ხომ მშვიდობის შავი მტრედი ვარ
ქვეყნიერების მსურს განდიდება
მე მდიდარი ვარ და თქვენ გყიდულობთ
ძალაუფლებას მე ფულით ვმართავ
თქვენივე აზრებს ჩემში კითხულობთ
და ნეტარების უფსკრულში ჩანხართ
მე ეს გვირგვინი თქვენვე დამადგით
ოცდაათ ვერცხლად გაყიდეთ მრწამსი
და ოქროს ჯვრები ჩამოიკიდეთ
სარწმუნოებას დაადეთ ფასი

* * *

მე იქაც მინდა, შენ გვერდით ყოფნა.
და ახლაც ვიცი, ბევრს მაპატიებ,
არ დაგპირდები, რო აღარ მოვალ,
და თუ არ მოვალ, ნურც მაპატიებ.

ათასი წელი გავიდა თითქოს,
ჩვენი სულები შეხვედრას გვთხოვენ,
შენი სიშორე დამაკლდა სითბოდ
და მე ამ გრძნობით ვიგონებ ყოველს.
ახლა დიდი ვარ, თამამი ვითომ,
სული ბობოქარ ვნებებს ერევა.
ვფიქრობ, უშენოდ, როგორ გავუძლებ
როგორ წამიღებს და მომერევა...
მე იქაც მინდა შენ გვერდით ყოფნა...
და ახლაც ვიცი, ბევრს მაპატიებ,
არ დაგპირდები, რომ აღარ მოვალ.
და თუ არ მოვალ, ნურც მაპატიებ :)



ვიდი ბობია

ვისოცკი ბათუმში

ბარდის ლექსების კვალდაკვალ

მას არ უყვარდა ზურგში ნასროლი ტყვია
და არც მიბჯენით სროლის შხუილი,
მისი ლექსები – ყველასთვის ღია
ხალხის ოცნების იყო ძახილი.

მიუღებელი იყო ცინიზმი მისთვის,
მიუღებელი იყო სალიერი,
ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის,
ამ შეძახილით იყო ძლიერი.

მას არ უყვარდა ავბედი შარი,
სხვისი ხელების სულში ფათური,
ეზიზღებოდა ლაქუცის ხვაჯი,
იყო სიმართლის სანდო მსახური.

ამ საოცარი პოეტის ხმაზე,
თაობებს წამსვე სული ეკვროდა,
თავისუფლების მცირე დოზაზეც,
დაულალავად, მუდამ მღეროდა.

ბათუმის მკვიდრი მცხოვრების გულში
ჯერ კიდევ ცოცხლობს ამბავი ძველი,
როცა აჭარის გულდია ნაპირს
დინჯად მოადგა ქათქათა გემი.

მხოლოდ ერთი დღე – ბარდი ცნობილი,
მისი მეუღლე – ფრანგი ფერია –
იყვნენ ბათუმის ტკბილი ტკივილი,
ეს მოგონებაც იმ დღის ხვედრია...

.....

მას არ უყვარდა ზურგში ნასროლი ტყვია
და არც მიბჯენით სროლის შხუილი,
მისი ლექსები – ყველასთვის ღია,
ხალხის ოცნების იყო ძახილი.

* * *

მეხსიერების კამერა-ობსკურაში აქა-იქ გამოკრთის ახლო წარსულის სურათები:

პარიზი – მონმარტრი, მოსკოვი – ტაგანკა – ეს ადგილები მჭიდრო კავშირშია უნიჭიერესი რუსი შანსონიეს ვალოდია ვისოცკის და ფრანგული სცენის მშვენიერების – მარინა ვლადის ურთიერთობის პერიპეტეიებთან...

მეც ვსერირობდი ახლომდებარე სანახებში და ვიგონებდი ამ ორ დიდ პიროვნებასთან შეხვედრებს, მოსკოვში სალონად ქცეულ მეგობრის ბინაში გატარებულ საღამოებს.

თუმცა მივყვეთ გახსენების რიგითობას...

ჩემი ბავშვობის მეგობარი, ამჟამად საფრანგეთის მოქალაქე, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, ცნობილი ხელოვანი – ოქრომჭედელი, მოქანდაკე და მხატვარი გუჯი ამამუკელის მეუღლე ფრანგი ქალბატონი კატია ბარსაკია.

კატია მამა, ბატონი ანდრე ბარსაკი პარიზის თეატრის „ატელიეს“ მხატვრული ხელმძღვანელი იყო. თეატრმა კლასიკური ფრანგული და რუსული პიესების დადგმით გაითქვა სახელი. სწორედ ამ თეატრის მსახიობი გახლდათ მოსხივცისკარე მარინა ვლადი.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ის კინოგადაღებაზე მოსკოვში იმყოფებოდა. ამ დროს კატია საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელი იყო და როგორც ძველ ნაცნობს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მარინასთან.

განგებამ იწება რუსი ბარდის – ვალოდია ვისოცკის და ფრანგი ფერიას – მარინა ვლადის გაცნობა-დაახლოება. მეც მერგო პატივი მათთან მოხელეებისა მოსკოვში, გუჯის სამხატვრო სახელოსნოში.

მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა მარინას ღვთაებრივი სილამაზე. დღემდე გულით მესმის ვისოცკის მეტაფორული, თამამი, საოცარი ჟღერადობის სიმღერები.

მალე ისინი შეუღლდნენ. საქორწინო მოგზაურობად შავ ზღვაზე კრუიზი აირჩიეს. ოდესა, სოჭი, სოხუმი... ბოლოს თეთრი ლაინერი „გრუზია“ ბათუმს მოადგა. სამწუხაროდ, სტუმრობა მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა – მათ თბილისში ელოდებოდნენ...

25 იანვარს ვისოცკის დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. შორეულ კოსმოსში კაშკაშებს მისი სახელობის ვარსკვლავი, ეთერში კვლავინდებურად ისმის მისი უნიკალური ხმა. მახსენდება მგოსნის მარინასადმი მიძღვნილი ბოლო ლექსი:

„მიყვარხარ ახლა... მოსაყოლად მტრედი ავუშვი,
შენს სიყვარულში, როგორც მზეში, ისე ჩავიწვი...
მიყვარხარ ახლა, დღეს მიყვარხარ, ზუსტად ამ წუთში,
წარსულის არ მწამს, მომავალში კიდევ – რა ვიცი...“

იმასაც ვიგონებ, რომ საქართველოზე აღფრთოვანებით საუბარს ვისოცკი მაიაკოვსკის სტრიქონებით ამშვენებდა ხოლმე:

„Я знаю:
Глупость – эдемы и рай!
Но если
пелось про это,
Должно быть,
Грузию,
Радостный край,
Подразумевали поэты“.

ვისოცკის გარდაცვალების შემდეგ მარინა რამდენიმე წლით დეპრესიაში ჩავარდა, მხოლოდ შვილებთან ურთიერთობდა. დროთა განმავლობაში სულის ძახილმა იძალა, დაიწყო ვისოცკიზე წიგნების წერა. ცხოვრება გრძელდება... მიწიერიც, ზეციერიც...



იპოზა ბერიძე

მზეს მივამსგავსე ყველა პოეტი

მზეს მივამსგავსე პურის თავთავი,
მზის ქალიშვილს კი კრაზანა კლდისა,
ჩემი თვალეზი მზეს მივამსგავსე,
ჩემს გულში სხივი შევუშვი მზისა...
მზეს მივამსგავსე ყველა პოეტი,
მზის სახლს და ბინას მათი წიგნები,
მზე სანამ არის, მზე სანამ ბრწყინავს,
არ შემცივდება, თბილად ვიქნები...
ის სიყვარული, რაც მე მივიღე,
მზისგან მოვიდა, მზისნაირია,
მზემ დაამნიფა ჩემი გრძნობები,
თავბრუ დამასხა, გზა ამირია...
ყველა ყვავილი მზეს მივამსგავსე,
ყველა მზის სხივმა დარგო მიწაში,
მზესუმზირა რომ მხრებში გასწორდა,
გვირილა დადგა მის წინ, მიზანში...
თვალს ვერ ვუსწორებ მე მზეს, მრცხვენია,
ვდგავარ, უბრალოდ, მორიდებული,
რომ მეფერება, მე ხმას ვერ ვიღებ,
გასუსული ვარ, გარინდებული...
დიდი ხანია, რაც მე მზეს ვიცნობ,
მაგრამ ის ჩემზე დიდია, დიდი...
მე მისი ყველა სხივი დავმალე,
რადგან მე იმას ჩემს ტოლად ვთვლიდი...
მზეს მივამსგავსე პურის თავთავი,
მზის ქალიშვილს კი კრაზანა კლდისა,
ჩემი თვალეზი მზეს მივამსგავსე,
ჩემს გულში სხივი შევუშვი მზისა...

მზეს მივამსგავსე ყველა პოეტი,
 მზის სახლს და ბინას – მათი წიგნები,
 მზე სანამ არის, მზე სანამ ბრწყინავს,
 არ შემცვივდება, თბილად ვიქნები...

ჰვარად ჰქონდა გვირილა

გაჭყლეთილი ჩიტის მსგავსად
 ჩემი სული
 წრიპინებს,
 მე გაფრენის ნებას არ ვრთავ,
 ის კი მოკვლას
 მიპირებს...
 აქ ვერ შეხვდა ადამიანს,
 მან გაუგო,
 სხვამ – ვერა...
 რაც იფიქრა, არ დაკარგა,
 თეთრ ფურცელზე
 დანერა...
 ყველა ლექსი ყვავილივით
 დაკვირტა და
 გაშალა,
 მისი ენა და კალამი
 ერთხელაც არ
 დამშრალა...
 თავშლის ნაცვლად ვარდს იხვევდა,
 ჯვარად ჰქონდა
 გვირილა,
 ეკლესიის გუმბათს ჰგავდა
 ტიტა, ტიტა
 ტირილა...
 მის ხელებში მაგნოლია
 რძეს ხარშავდა,
 კვეთავდა,
 წვიმა ერთხანს ჩერდებოდა,
 ცრემლის მსგავსად
 წვეთავდა...
 მზის სხივები მიძივებს კრეფდნენ,
 ღამით ცაზე
 ფანტავდნენ,
 ოქროს ფანქრებს წვერს უთლიდნენ,

ხატავდნენ და
 ხატავდნენ...
 რამდენჯერმე ცას შეასკდა
 სიხარულით
 ტოროლა,
 მერცხალმაც კი იჭიკჭიკა,
 როგორ ?
 თითო-ოროლა...
 გაჭყლეტილი ჩიტის მსგავსად
 ჩემი სული
 წრიპინებს,
 ფრენა უნდა და ვერ ფრინავს,
 მიტოვებას
 მიპირებს...

ყვავილივით გაიშალა ქოლგები

პოეტების ქალაქია ბათუმი,
 პოეტებთან სტუმრად მოდის
 წვიმა,
 თოვლმა ფეხი ვერ შემოდგა ქალაქში
 და ვერც ფიფქმა, თეთრი თოვლის
 შვილმა...
 ცოტა ხანი ისეირნა და მერე
 ყაჩაღივით ჩაგვისაფრდა
 მთებში,
 ყვავილივით გაიშალა ქოლგები,
 „ბუკეტივით“ გვიკავია
 ხელში...
 მივდივართ და მივაქანებთ თეძოებს,
 ზოგი მსუქანს, ზოგი კიდეც
 გამხდარს,
 მაგრამ ჩვენ ვინ შემოგვხედა, როდესაც
 წვიმას უყვარს, პირველ რიგში,
 ვახტანგს...
 არა უშავს, მე შევიგნებ ამ ამბავს,
 წვიმის მსგავსად არ გადმოვყრი
 კურცხლებს,
 დავწერ ლექსებს, ქარის მოსვლას დავუცდი,
 ფოთლებივით გავაყოლებ
 ფურცლებს...

ნავალ მთებში, ბუხრის პირას დავჯდები,
 ნავიხურავ ბამბით ავსილ
 საბანს,
 ჩემი ფიქრი გაფრინდება ჩიტივით,
 შემოივლის მთელი ქვეყნის
 მთა-ბარს...
 ვეფხვის ტყავზე დაინერა ის ნიგნი,
 რასაც ჰქვია სიყვარულის
 მითი,
 ველურია ეს გრძნობა და იმიტომ
 მის სტრიქონებს გავაყოლე
 თითი...
 პოეტების ქალაქია ბათუმი,
 პოეტებთან სტუმრად მიდის
 ნვიმა,
 თოვლმა ფეხი ვერ შემოდგა ქალაქში
 და ვერც ფიფქმა, თეთრი თოვლის
 შვილმა...
 ცოტა ხანი ისეირნა და მერე
 ყაჩაღივით ჩაგვისაფრდა
 მთებში,
 ყვავილივით გაიშალა ქოლგები,
 „ბუკეტივით“ გვიკავია
 ხელში...
 მივდივართ და მივაქანებთ თეძოებს,
 ზოგი მსუქანს, ზოგი კიდევ
 გამხდარს,
 ნვიმა უყვარს მიშელ ლეგრანს, მაესტროს,
 ნვიმა უყვარს, ნვიმის პოეტს,
 ვახტანგს...

ჩემო ნახევარმთავრო

ჩემო ციციანათელავ,
 ჩემო თბილის ქალაქო,
 ჩემო კარგო ქვეყანავ,
 ჩემო მტკვარო, არავგო...
 ჩემო, ჩემო მთანმინდავ,
 ჩემო თერგო, ენგურო,
 დაგებდოს მშვიდობა,
 სიყვარული გერგუნოს...

ქარვისფერი ღვინო ხარ,
ქარვისფერი თავთავი,
ქალწულებიც ბევრი გყავს,
ვაჟნიც ცოლშესართავი...
ყველა ხეზე ფოთლებად
ზურმუხტები კიდია,
ჩემო ცისფერთვალეზავ,
ჩემო ვაჟას მინდიაგ...
მარგალიტო პატარავ,
ყელსაბამო ლალისავ,
გამჭვირვალე ფირუზო,
ზღვისფერ, ზღვისფერ თვალისავ...
ჩემო, ჩემო გულისავ,
ჩემო ერთავ, რჩეულო,
შენი ნიჭით, უნარით,
სხვისგან გამორჩეულო...
ჩემო, ჩემო კალამო,
ჩემო ენავ, მანდილო,
განათლების აკვანო,
შენ ჩემო ავთანდილო...
ჩემო ყველავ, ლამაზო,
ჩემო ნაწნავიანო,
ჩემო ნახევარმთვარევ,
ჩემო მთვარევ მთლიანო...
ჩემო, ჩემო მარიამ,
ჩემო დედავ, მშობელო,
ჩემო ჯვარო, სანთელო,
შენ ჩემო ღვთისმშობელო...
ჩემო სატროფოვ, სინმინდევ,
ჩემო რწმენავ, იმედო,
მინდა ჩემი სიტყვებით
შევძლო, დაგაიმედო...
რადგან შენ ხარ კერია,
რადგან შენ ხარ ტაძარი,
შენზე უფრო ძვირფასი
არაფერი არ არი...
ირემივით ვიქნები
შენთან თავისუფალი,
შენ ხარ ჩემი სამშობლო,
შენ ხარ ჩემი უფალი...
ჩემო სტუმართმოყვარევ,
ჩემო თბილის ქალაქო,

ჩემო კარგო ქვეყანავ,
 ჩემო მტკვარო, არაგვო...
 ჩემო, ჩემო მთანმინდავ,
 ჩემო თერგო, ენგურო,
 დაგებედოს მშვიდობა,
 სიყვარული გერგუნოს...

რობორც თაგად მზებ

ღრუბლიანი სიყვარული რაა,
 მე სიყვარულს ვინატრებდი მზიანს,
 სწორედ ისეთს, როგორც თავად მზეა,
 არავის რომ არ აყენებს ზიანს...
 ტრიალებს და საღამომდე ცდილობს
 მხოლოდ სითბო, მხოლოდ სითბო მომცეს,
 მარტოდ მარტო არასოდეს არ ვარ,
 მის სხივებმა ტანი დამიკოცნეს...
 ხელზე ხელი მაგრად მომიჭირეს,
 არ გამიშვეს თუ არ დავიძინე,
 მთვარესთან და ვარსკვლავებთან ერთად
 ღრმა სიზმრებში თუ არ ჩავიძირე...
 სუროსავით თუ არ მოვეხვიე
 და ლამაზ ბიჭს არ ვაჩუქე გული,
 მოფერებით თუ არ გავახარე
 უჩემობით დღემდის დაჩაგრული...
 ფეხის წვერზე არ ვიარე მასთან,
 სხივის მსგავსად, შეუმჩნევლად, ფრთხილად...
 ლაპარაკი თუ მომინდა, ის ხომ
 შეიძლება, შეიძლება ტკბილად...
 ზოგჯერ მინდა, ოქროსფერი ვიყო,
 ზოგჯერ მინდა, შავი მქონდეს თმები,
 მზეთუნახავს მე არ ვგავარ, მაგრამ
 მზემ თუ მნახა, მაშინათვე ვდნები...
 ღრუბლიანი სიყვარული რაა,
 მე სიყვარულს ვინატრებდი მზიანს,
 სწორედ ისეთს, როგორც თავად მზეა,
 სხივოსანს და გულით მუდამ მთლიანს...
 ერთხელაც არ დაიღლება, ოღონდ
 კიდევ უფრო უკეთესი გავხდე,
 დილაზე კი სანამ თვითონ მოვა,
 მე ჩაცმული, მზადყოფნაში დავხვდე...

ლექსის წინაშე

ვარ ყურმოჭრილი ლექსის წინაშე,
ვარ ყურმოჭრილი,
მქვია უყურო,
ჩემი ხელიდან გაფრენილ ლექსებს,
რადგან ვერ ვისმენ,
მინდა, ვუყურო...
მინდა, ვხედავდე, ყოველი ასო
როგორ უხდება
სტროფს და სტრიქონებს,
მე ვერ ვიქნები ლექსის გარეშე,
ვერ შემაჩერებს
თუნდაც სიქორე...
კარგი იქნება, ვიცოდე ხატვა,
ჯერ დავწერო და
მერე დავხატო,
პეპელასავით დავჯდე ყვავილზე
და ის ყვავილი ლექსი
გავხადო...
ვარ ყურმოჭრილი ლექსის წინაშე,
ვარ ყურმოჭრილი,
მქვია უყურო,
ჩემი ხელიდან გაფრენილ ლექსებს,
რადგან ვერ ვისმენ,
მინდა, ვუყურო...



ნონა პაპაიძე

სიტყვების მარბალიტები

წყაროდ გადმომდის გულიდან,
სიტყვების მარგალიტები,
რომ წარმოვიდგენ, მე, იმას,
რა დიდ სიყვარულს მპირდები.

სულ შენს გარშემო ტრიალებს,
ჩემი ფარული ფიქრები,
ასე მგონია, მთვრალი ვარ,
არასდროს, გამოვფხიზლდები.

შენს დანახვაზე, ყოველთვის,
ტრფობის ნექტარით ვივსები,
ისე შეგწირავ სიცოცხლეს,
ნუთითაც არ დავფიქრდები.

თუმცა არ მინდა, ვისმინო
ფუჭი, ლიტონი სიტყვები,
გული სხვისკენ თუ გაგინევს,
წავალ და გაგერიდები.

ახლა ერთ რამეს გაგანდობ,
გულწრფელად გამოგიტყდები:
ქვეყნად შედევერი რომ შევქმნა,
მუზად მხოლოდ შენ მჭირდები.

და იმიტომ, რომ მაჩუქე,
ეს საოცარი ნუთები,
იმ დღემდე, სანამ ვიცოცხლებ,
შენ ჩემი კერპი იქნები!

მთვარის შევყურებ მკრთალს

დილით შევნატრი, ხალას,
ნაზ-მოვარდისფრო ცას,
ღამე ვარსკვლავი, ლურჯი,
მიკრავს ფარულად თვალს.

სევდა რომ გიპყრობს, მაშინ,
მთვარეს შევყურებ, მკრთალს,
მის ფსკერზე ვეძებ, თითქოს,
შენთან მოსასვლელ გზას.

ღრუბელს გავურბი, პირქუშს,
ვუფრთხი ყინვას და ქარს,
სიზმარში ვხედავ, ხშირად,
როგორ ვერ განვდი ხმას.

მე ეს სიშორე, ჩვენი,
გულს მიღონებს და მკლავს,
ისე გენდობი, კარგო,
როგორც მორწმუნე ხატს.

ყურს ვუგდებ, პირად, განცდებს,
აღლოს და გულისთქმას,
დღეს, სიყვარულის, ვიცი,
მხოლოდ, შენ გამო, მნამს!

თეთრი „ნიბლია“

მე ჩემს სევდაში ისე ვეხვევი,
ვით შავ ღრუბლებში, თეთრი ნიბლია,
კაცის, ქვეყნის და ღვთის სიყვარული,
გულში, როგორც მზე, ისე მინთია.

ოცნების ბალში ფრენა ნავარდი,
ზოგს ეჩვენება, ფუჭი ხილია,
თავისუფლების ბადალი, ჩვენთვის,
ვიცი, ნამდვილად, არაფერია.

იგი შემდგომში, რაღას გვარგია,
თუ ბედნიერად დღემდე გვივლია,

კაცი, დღედაღამ გახარებული,
ასე მგონია, ცოტა ბრიყვია.

ჭეშმარიტება, მოკვდავებისთვის,
არცთუ იოლი ასახსნელია,
ვინც ეზიარა მას სიცოცხლეში,
ის ნეტარი და სულით დიდია.

ადამიანი, მრავალტანჯული,
არცთუ იოლი ასახსნელია,
ვინც ეზიარა მას სიცოცხლეში,
ის ნეტარი და სულით დიდია.

ადამიანი, მრავალტანჯული,
პატივისცემის, ქების ღირსია,
თუ გამართლებულ სხვის ცხოვრებაზე,
მას არასდროს არ დაუჩივლია.

ყველა საზღვარი ქრება, იშლება,
ადამიანი როცა ფიქრშია,
ხმას რომ გაიღებს, იქვე რწმუნდება,
მისი სიტყვები რარიგ მწირია.

განა სევდაში ის ჩავაქსოვე,
რაც მხოლოდ ჩემი, სულის ტვირთია,
წმინდა სანთელი, ეკლესიაში
ბევრჯერ, სხვის გამოც, ხომ დაგვინთია.

ნუთუ, ვერ ხედავ, ჩემო ჩიტუნავ,
რა, უნაპირო სივრცე გიპყრია,
მოდის, გავცვალოთ ჩვენ ბედ-იღბალი,
შენ ქალი იყავ, მე კი – ნიბლია.

ამ ქვეყანაზე ძალზე ბევრი რამ,
მარტო ალლოთი თუ გამიგია,
დარდშიც სიცოცხლის გამოძახილი,
წრფელი გრძნობა და საღი ფიქრია.

სევდაა სულის ფარული კვნესა,
მე მისთვის ჩუმად, რა არ მინდია,
მასში სხვებისთვის გაუგებარი,
ჩვენი პირადი განცდის ბინდია!

„ჭბმბაზი“

სცენის პარტერია რაღაც მოხატული;
და თან ჩაცმულობა – კიდევ სასაცილო.
კინო დადგმული და გრძნობა მარაზმული
– გთხოვთ, რომ ტაშის დაკვრით გარეთ გააცილოთ.
სახეც არეკლილად მოჩანს მტვერისაგან,
სცენარს ათლეტურად მისდევს მონოლოგი.
რაღაც ნაგლეჯივით დავრჩი მთელისაგან;
და დღეს უპროლოგოდ შედგა ეპილოგი...
და კვლავ რეჟისორი სახეაღწერილი,
ვენებდაბერილი ყვირის ბოლო ხმაზე.
რაღაც სცენარია უცხოოდ დაწერილი,
რადგან გველიმება ცრემლით სახის წვაზე.
მინდა, ამ სახიდან ფერთაშეხამება
მხრებზე მოკიდებით ღანვებს ჩამოვგლიჯო...
მინდა, სცენარი და თუნდაც ეს როლები
მარტომ კულისებში ჩუმად ამოვგლიჯო.
თუნდაც პიესები ფურცლად დაწერილი,
გრძნობის კიდობანში უხვად ჩავალაგო.
და თან საათები წამად განელილი
გულის ფეთქვასავით მინდა დავალაგო.
სცენის მოციმციმე შუქთა სიმფონია
ირგვლივ სიჩუმე და სმენა გართული
ყველას სიხარულის განცდა მოჰფენია,
სახეს ნილაბი ხომ გვიდგარს გამართული?!
ახლა სუფლიორი ნიშნის მოგებისთვის;
გვირჩევს, გავაგრძელოთ ჩვენი მასკარადი.
რადგან უწყინარი სახის მორგებისთვის
დღეს ხომ ტაშის ღირსი არის მასხარაც კი...
და დღეს მონოლოგის ფურცლებარეული
ვდგავარ თქვენ წინაშე, ვფიქრობ, არ დამცინით.
ხანაც ფხიზელი და, ხანაც დალეული
გთხოვთ, რომ ტაშის დაკვრით, მეც კი გამაცილოთ...

შენზე დავწერო?!

– შენზე დავწერო?! – გეკითხები, ნუღარ იცინი.
ნუ გაანითლებ მაგ ლოყებს და თვალებს ნუ მაღაფ.
– კი, დამინერე, – მეუბნები, და თან სიცილით;
მე კი გპასუხობ: – დაგინერ, და მაგასაც ნახავ.
ნახავ, თუ გრძნობა გულის ფეთქვას როგორ მადარდებს,
როგორ ვენევი ამინდებს და სულში ყალიონს.
როგორ მტანჯავენ შენი თმების ხეთა შრიალი,
როცა უღმერთოდ, სახის ნაკვთებს ურცხვად გიმაღავს.
და რომანტიკულ შუაღედში მინდა ღრიალი,
რადგან თვალები, შენი მსგავსი ჯერ არ მინახავს...
რადგან თვალებით, ყველა გრძნობის ჰგავდი დედოფალს.
და შენ წინაშე ანგელოზნი მათ ფრთებს კეცავდნენ...
ყველას უყვარდი, ვინც გხედავდა, ყველას უყვარდი...
მაგრამ მოსვლას და შენთან ჩურჩულს ვეღარ ბედავდნენ.
მე კი გავბედე, მოვედი და ვამბობ, მიყვარხარ.
მიყვარს მაგ ტუჩის სიმწიფე და ლოყის სინითლე...
სწორედ ამ გრძნობას სამყაროში გიდად მივყავარ,
შენ დამიბრუნე ამ სხეულში სულის სიმშვიდე.



დავან სოფრდავანიძე

ნოდარ ძირკვბძეს

ზამბორისერზე სუფრას გაშლიდი,
კაი დრო იყო – მებევერებოდი,
ლექსის საღერღელს უცებ აშლიდი,
ჩვენც ქართულ სიტყვას ვეფერებოდი.
მწვანე ტბის პირას, ნავომარას ჩრდილს,
მოედებოდა მეტი ქარიზმა...
მაშინ სად იყო შენ-ჩემობია,
არც ავყოლივართ ქვენა ქარის ხმას.
ვეფერებოდი ლოდნარის ჯვარს და
თვალს შევუდგამდით ანონილ კბოდეს,
ღამე უსევდა ციციანათელებს
მთის სიმაღლეზე შეფენილ ოდებს.
რთველს შემოჰქონდა ორომტრიალი,
ცას ედებოდა ლექსი – ცუნამი...
და ლომთა „პარადს“ გუნდრუკს უკმევედნენ
ჩვენი ფრიდონი, ჩვენი ზურაბი...
ეჰ, ნოდარ, ძმაო, რა დრო გასულა!..
აქ ბატონობა უნდა იქედნას...
თქვით სეფესიტყვა, თქვით სადღეგრძელო,
ნამოგვეშველეთ, ძმებო იქედან!..

* * *

სიზმრად ვნახე, ჰო, ის იყო, –
– ჩემი დიდი პაპის პაპა,
შემოვიდა დიდაჭარით
და ანთებდა გზისპირ ლამპარს

გამეღვიძა... მზე ბრწყინავდა,
რა საამო დარი არის...
ხილვა ახდა – ნათლობა გვაქვს
ევასი და მარიამის...

– გეთანხმები ჩემო კარგო, – მპასუხობს დედაბრიშვილი. – ხელოვნებამ უნდა დამანახოს, რომ როგორც ცხად ილუსტრაციაში, ზღაპრებშიც რეალური ადამიანები ცხოვრობენ. უბრალოდ, ზოგჯერ, მხატვრის მიერ განზოგადებული სიუჟეტი მხატვრულობისათვის აუცილებელი ხდება. გამაჩნია თბილისის უნივერსიტეტის 1937 წლის გამოცემა „ქართული ხალხური ზღაპრები“, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე ჯადოსნური ზრაპრების კრებული, ფერადი ილუსტრაციით. მხატვარი რევანზ მირზაშვილია. მასში ზოგიერთი თავსართი იქნება თუ ბოლოსართი ისეთი საინტერესოა, რომ გინდა სულ უყურო და არც მოგებზრდება ადამიანს. საოცრად მხატვრულია „გაუციხარი ხელმწიფის“ ან „ივანე ცისკრის“ თუ „ქალაბიჭა და გაქვავებული ქალაქის“ თავსართები. ფერებიც ლამაზი შეურჩევია მხატვარს. ნამუშევარი ხაკისფერით აქვს შესრულებული.

– მე წიგნით გავიზარდე, – ბატონო შოთა. დედაჩემი სულ მიკითხავდა ძილის წინ. იცით, განსაკუთრებით რა მოსწონდა? – ფორცაზი! შესრულებული იყო მუქ მწვანე ფონზე ღია გოგირდის ფერითა და ღია ხორბლისფერი კონტურებით. საამურ განწყობილებას ქმნიდა ჩვენი ხალხის ზღაპრების მოტივებზე შექმნილი საერთო კომპოზიცია. თავ-ბოლოში, როგორც ფრიზი, გასდევდა ცხოველთა სამყაროს ეპოსი.

ამ თემაზე ნაშრომი შესანიშნავი ფოლკლორისტის, მიხეილ ჩიქოვანის, რედაქციითა და კომენტარებით გამოიცა. სამწუხაროდ, მე ახლა გავეცანი მის წინასიტყვაობას, სადაც ასეთი რამ წერია – ილია ჭავჭავაძე ღრმა ლირიული განცდით თხზავს ზაქროს მწყემსობაში გატარებულ დროს:

„და დავაბამდით რაკი ძროხასა,
ტყის პირს ერთ დიდ ცეცხლს გავაჩაღებდით
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ცეცხლის გარშემო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა მღერა, სიცილი,
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა“.

– ადამიანის მხატვრულ შემოქმედებაში ზღაპარს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ჩემო კარგო, – მეუბნება ბატონი შოთა, – იგი ხალხის გენიალობის გამოვლინებაა, რომელიც ეპოსში უმაღლეს მწვერვალს აღწევს. მისი შენახვა და მოვლა მეცნიერებისა და მწერლობის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს.

ბერძნული მითოლოგია თუ სიტყვიერება საუკუნეთა განმავლობაში არ კარგავდა თავის მიმზიდველობას. მე-19 საუკუნის დასაწყისის ცნობილი საზოგადო მორვანე იოანე ბატონიშვილი დანვრით განიხილავდა ბერძნულ მითებს. კითხვაზე – რა არის მითოლოგია? – იოანე პასუხობს: „მითოლოგია (მითოლოღია) არს ხელოვნება, ანუ აღმოჩენა ზღაპარსიტყვაობათა ღმერთისათვის და სარწმუნოებათა ძველთა ბერძენთა და რომაელთა...“

– როგორც უკვე მოგახსენეთ, – ბატონო შოთა, – გავეცანი მ. ჩიქოვანის ნაშრომს და იქ მრავალ საინტერესო რამეს წავაწყდი. მაგალითისათვის მინდა შევეხო რუსთაველის კიდევ ერთ სიბრძნეს. პოეტი გვამცნობს, რომ ტარიელის საძებრად წასულ ავთანდილს გზაზე სამი ძმა შემოეყრება, რომელთა შორის ერთი ტარიელის მიერ მათრახით თავგაპობილია. ავთანდილს შეებრალება იგი და მოსარჩენად წამალს ასწავლის:

აი იქა, იმ ხეთ ძირში,
მწვადი უხრუნვენ ნებასო,

წყლულს ირმის ტვინი წაუსვით
იტყვიან მოსვენებასო.

ირმის ტვინის წამლად გამოყენება ძველი საბერძნეთის კლასიკური მითოლოგიის გმირებს, მედეასა და იაზონს, გვაგონებს. ავთანდილი დასახიჩრებულის ძმებს ურჩევს, რომ წყლულზე ირმის ტვინი წაუსვით, მაღამოსავით დაადეთ და მოისვენებს, მორჩებაო. ამ შემთხვევაში ირმის ტვინი, იქნებ, პრომეთეს მალამოს შორეული პარალელია.

არგონავტების თქმულება მოგვითხრობს, რომ იაზონის სიმშვენიერებით გატაცებულმა მედეამ გადაწყვიტა დაეხმაროს მას მეფისგან მიცემული უძიმესი დავალებების შესრულებაში. ცეცხლმქშინავი ხარების დამორჩილება და ურჩხულის კბილების ნათესზე ამოსული ჯარის დამარცხება იაზონს არ შეუძლია ჯადოსნური საშუალებების გამოყენების გარეშე. მედეა გადაწყვეტს უშველოს იაზონს, რისთვისაც შოულობს თილისმას, ანუ „პრომეთეს მალამოს“.

„მთვარესავით გაბრწყინებულმა ქალწულმა სკივრიდან სასწრაფოდ ამოიღო ეგრეთწოდებული „პრომეთეს მალამო“ და, მომსახურე ქალების თანხლებით, ეტლით გაემართა ქალღმერთების ჰეკატეს სამლოცველოსაკენ. პრომეთეს მალამოს მეტად სასწაულებრივი თვისება ჰქონდა – ვინც ამ მალამოს წაიცხებდა, მთელი სხეული ფოლადივით უმაგრდებოდა, ძალ-ლონე და გაბედულება ემატებოდა და უძლეველი მტრის წინააღმდეგ გალაშქრებას დვილად ახერხებდა“.

– ამ სასწაულმოქმედ მალამოს ამზადებდნენ იმ სამკურნალო ბალახებიდან, რომლებზეც კავკასიონის მთებზე მიჯაჭვულმა ელინელთა სახელგანთქმულმა გმირმა პრომეთემ მოწამლული სისხლი დააქცია, – მერთვება საუბარში ბატონი შოთა.

პრომეთეს მალამო და ირმის ტვინი შორეულ ნათესაობაში უნდა იყვნენ, მაგრამ მათ შორის დიდი ეტაპობრივი განსხვავებაცაა – პირველი მცენარეული წარმოშობისაა, მეორე კი – ცხოველური. როგორც ცნობილია, მცენარის, ანუ ხის, კულტი წინ უსწრებდა ცხოველთა კულტს. ამდენად პრომეთეს მალამო, მეცნიერთა თილისმა, ისტორიულად წინ უნდა უსწრებდეს ცხოველური წარმოშობის წამლებს, ამ შემთხვევაში ირმის მალამოს.

– მითოლოგია, ყოველგვარი მითოლოგიური ელემენტით, ხალხურ შემოქმედებაში ადამიანზე ბუნების ძლევამოსილების შედეგია, – ბატონო შოთა. – ამის მასალები უხვადაა წარმოდგენილი იაფეტურ ეპოსში, რომელიც აკადემიკოს ნ. მარის თქმით, ბუნების სტიქიურ ძალთა ასახვას წარმოადგენს წინაისტორიულ ეპოქაში. იგივე ითქმის ეგვიპტური ხელოვნების მიმართაც. ბერძნული მითოლოგია ვერასოდეს გახდებოდა ეგვიპტის ხელოვნების ამოსავალ წერტილად, თუმცა, ერთმანეთის დამოუკიდებლად ორივე მანძილზე მითოლოგია იყო. აქედან გამომდინარე, ჩვენი დასკვნით, ქართული საგმირო ეპოსი შეუძლებელია შექმნილიყო ქართული იაფეტური ეპოსის, ხალხის ფანტაზიით შექმნილი წარმართული თქმულებების გარეშე, რომელშიც ასახული იყო წინაისტორიული ადამიანის საზოგადოებრივი ყოფა.

– ქართული ზღაპრები უძველესი ხანის მრავალ გადმონაშთს შეიცავს, – მეუბნება დედაბრიშვილი. – ამ გადმონაშთთა შორის ყურადღებას იპყრობს მომაკვდავი გმირის სახე, რომელიც სხვადასხვა საშუალებით ცოცხლდებოდა. გამაცოცხლებელ საშუალებად გამოიყენებოდა უკვდავების წყარო, ცხვირსახოცი, თილისმანი, ვაშლი და სხვა. სხვადასხვაგვარ გაჭირვებაში დაღუპულ გმირებს სიცოცხლეს უბრუნებდნენ და მათ გამარჯვებას უბრუნველყოფდნენ.

– ეს ხომ ძველი ქვეყნებიდან მომდინარეობს, – ბატონო შოთა. – ასურულ-ბაბილონური თამუზი, ეგვიპტური ოსირისი, ბერძნული დიონისე და მათ შესახებ ჩვენამდე მიღწეული გადმოცემები ამის კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენენ. მომაკვდავი გმირები მომდევნო საფეხურზე რელიგიურ-სა-

რწმუნოებრივ სამოსელში, ანუ ქრისტეს შესახებ არსებულ ლეგენდებში, წარმოგვიდგებიან. ზღაპრებმა იგი უფრო პირველყოფილი, მაგრამ მეტისმეტად გაფანტული, დანაწევრებული სახით შემოინახა. ზოგჯერ მოქმედება ქვესკნელში (ქვეცაში) ხდება, ზოგჯერ კი – დედამიწაზე (შუა ცაზე).

ზღაპრული პერსონაჟის გაცოცხლების მოტივი ფართოდ შემოიჭრა საგმირო ეპოსშიც, რაც ამირანსა და ტარიელსაც დაუკავშირდა. ჩემი აზრით, ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“ ეს მოტივი ნათლად და წარმოდგენილი. ტარიელი, ეს ყოვლისშემძლე გმირი, სევდისაგან ან სიხარულისაგან ხშირად სიკვდილს მიეცემა და მის მობრუნებაში ავთანდილს, ან მის ორეულ უშკურს, ხან ცრემლი შევლის, ხანაც – თევზის სისხლი.

ტარიელი ამ შემთხვევაში ინარჩუნებს ზღაპრული გმირის დამახასიათებელ თვისებებს, თუმცა მეტად რეალური პიროვნებაა. ხალხურმა შემოქმედებამ ტარიელს (შესაძლებელია, უძველესი ხანის მითური არსების – ამირან-პრომეთეს მსგავსად) ნამდვილი ადამიანის სახე მისცა, აღჭურვა ჩვეულებრივი მომაკვდავის თვისებებით და ამავდროულად მიანიჭა ყველა ის საუკეთესო თვისება და მხარე, რომელიც ჭეშმარიტ ადამიანს უნდა ჰქონდეს.

ამ შემთხვევაში ზღაპრულ ეპოსთან დაკავშირებით ჩვენ ხალხური „ვეფხისტყაოსნიდან“ გმირის სიკვდილის სამ შემთხვევას შევხებით, მეოთხე სიკვდილი კი მის მამინაცვალ დევს უკავშირდება.

პირველი შემთხვევა: ავთანდილი ნესტან-დარეჯანის ამბის გაგების ნიშნად სატრფოს ბეჭედს უჩვენებს. ამ ბეჭედის დანახვაზე ტარიელი სიხარულით კვდება. ავთანდილი ძლიერ შეწუხდა, რადგან ძმადნაფიცის სიკვდილის მიზეზი თვითონ გახდა. დაჯდა და იქვე ტირილი დაიწყო, წყალიც ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად ნახა. მაშინ მან თვალებიდან ცრემლი მოიწურა და ტარიელს დააპკურა, რის შემდეგაც იგი მალე გაცოცხლდა.

მეორე შემთხვევა: ტარიელი მხეცთა ბრძოლას შეესწრო. ჯერ უყურა, მაგრამ როდესაც ბრძოლამ უთანასწორო ხასიათი მიიღო, ზედიზედ ორივე ნადირი მოკლა და შემდეგ თვითონაც სიკვდილს მიეცა. უშკური ტარიელს მკვდარს ნახავს და ღმერთს ეხვეწება „ღმერთო, თუ გაცოცხლება უწერია... ტარიელს, მე გვეიქნევ ზეცაში ისარს და იმის სისხლმა მოარჩინოს ტარიელიო. გეიქნია ისარი ცაში, მოკლა თევზი და ჩამოვარდა. იმის სისხლი წაუსვა და მორჩა ტარიელი“.

მესამე შემთხვევა: ხელმწიფის შვილი ტარიელს ცოცხალ-მკვდარს ნახავს: „ნახა, რომ ტარიელი ქვე ეგერ აგდია მკვდარ-ცოცხალი. საჩქაროდ მიიღბინა, ამეილო კაპლი და სულში ატაკა, ტარიელი ფეხზე წარმოადგინა“.

მეოთხე შემთხვევა: ტარიელმა დევები დახოცა და დაჭრილ-დაჩეხილნი ხრამში ჩაყარა. ამ დროს ბუქმა ერთი დევისთავი მოიტაცა და წაიღო. ტარიელმა დევების სადგომი განმინდა და დედამისიც აქ მოიყვანა. ერთხელ, როცა ტარიელი სანადიროდ მიდიოდა, ნახა, რომ დევის კისრიდან ხმა მოისმოდა. დაბრუნდა თუ არა სახლში, ყველაფერი დედას უამბო. „დედამ სთხოვა იმ თავის მოტანა; ტარიელმა მეორე დღესვე აუსრულა ეს თხოვნა. ასმამ დევის თავი სუფთა და მიმალულ ადგილას დაასვენა და ყოველ დღე თბილ წყალს ასხამდა. მისდა სასიხარულოდ, დევის თავ-კისერს სხვადასხვა ტანის ნაწილები მიეზმოდნენ და დევი გაცოცხლდა. დევი და ასმა დაცოლქმარდნენ“.

ბატონმა შოთამ პაპიროსი „ყაზბეგი“ გააბოლა და მისი ნამწვავი ლუდნარეკ საფერფლეში ჩააგდო, რამაც შიშინი დაიწყო და ჩაქრა.

– მე ვხედავ, როგორ გიყვარს ხალხური შემოქმედება, მოი მალჩიკ, მაგრამ ზოგიერთი რამ ღიმილს იწვევს, – მითხრა მან. – დიდი პოეტი შესანიშნავი ზომიერებით აღგვიწერს გმირის გრძნობა-მიხდილობას, სიკვდილის პირამდე მისვლას; რუსთაველმა ზღაპრული მოტივი იმდენად შეკუმშა და გარდაქმნა, რომ უბრალო თვალისათვის სრულიად დაფარა მისი ისტორიული ნაწილი. მითურ-ზღაპრული ელემენტები „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად, ასეთია „მონა გრძნეულის წამოსასხამი“, „მოლი“, რომელიც მფრინავი ხალიჩის თვისების მქონეა.

„მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედან ტანსა,
მასვე წამსა გარდიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა“.

„მოლის“ შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა რუსთველოლოგთა შორის. ვფიქრობ, რომ დიდი პოეტი ამ შემთხვევაში ხალხური გადმოცემის ნიადაგზე დგას; რუსთაველმა იცის სხვადასხვა გადმოცემა უძველეს ციხე-ქალაქთა არსებობის შესახებ და ერთ-ერთი ასეთი თქმულების გამოყენებით საუკეთესო საშუალება გამოიყენა მიუხედავად ქაჯეთში წერილის მისატანად.

– საინტერესოა, ბატონო შოთა, ქართულ ზღაპარში საიდან შემოაღწია „ფასკუნჯის“ ცნებამ, – შევცვალე საუბრის თემა მე. – მას უძველესი მნიშვნელობის წინამძღვრები ქართულ ლიტერატურაში არ გააჩნია. ტარიელის ზღაპრებში გამოყენებულია ფასკუნჯის ფრთა, რომელსაც სამკურნალო თვისებები ახასიათებს. აი, როგორ აგვიწერს ამას სახალხო მთქმელი: ტარიელი ავთანდილს გადაეხვია და ჩაკოცნა, მაგრამ გმირის მოხვევნა ისეთი ძლიერი იყო, რომ მასზე არანაკლები შეძლების მქონე ვაჟკაცს სამი ნეკნი ჩაუმტვრია. სწორედ აქ გამოდის სცენაზე ჩვენთვის საინტერესო სასწაულმოქმედი ფრთა. ტარიელი ფასკუნჯის ფრთას წაუსვამს ავთანდილს და სწრაფად განკურნავს.

კავკასიური და ინდოევროპული ფოლკლორის შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ ფასკუნჯის მოტივი არ არის მხოლოდ გმირული ეპოსის კუთვნილება. ის მრავალგან გვხვდება როგორც ქართულ ზღაპრებში, ისე სვანურ, ოსურ და საერთოდ, კავკასიის ხალხთა ფოლკლორში და არა მარტო მათში.

– ფასკუნჯი საერო ლიტერატურაში თავდაპირველად თარგმნილ ძეგლებშიც გვხვდება, – აგრძელებს თემას დედაბრიშვილი. – მაგალითად, ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ თარგმანებში ის რამდენჯერმეა მოხსენიებული:

1. სპანდიატისაგან დაკოდილი და რაშმოკლული როსტომი ზაალთან მიდის. „რამს შევჯდე, ზაალს ნავიდე, – სხვა მირჩევნია აღარა“. ზაალი ხედავს, რომ როსტომ პილოტანი დაძაბუნებული და დაკოდილია; საჭიროა მიშველება, სასწრაფო განკურნება. ზაალ თქვა: „ფასკუნჯს მოვიყვან, – გული ნუ აგიჩქარდების“. ირანულ-სპარსული წარმოდგენით, ფასკუნჯი და მისი ორეული სიმურღი ცაში ცხოვრობს; ეს არის ფასკუნჯის პირველი არსებითი თვისება, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პალეონტოლოგიური ძიებისათვის.

2. როცა ფასკუნჯი მთაზე ცეცხლის პირას მჯდომ ზაალს ნახავს გაუკვირდება და ჰკითხავს: „რას გაუხდინხართ“, ანუ რა დაგმართებიათ? შეკითხვაზე ზაალი ამცნობს: „ლომგულის პილოტანის ტანს ავი კაცით სწყლულეხ და მისი რაში დაკოდილი უსულოდ დამიგდება“. ფასკუნჯი ზაალს ამშვიდებს: „მაგ საქმითა გულსა ნუ შეეჭირვების“. ფრინველი ალუთქვამს სასწრაფო დახმარებას და მოითხოვს დაკოდილი გმირის რაშთან ერთად მიყვანას. ზაალი მოთხოვნას სასწრაფოდ შეასრულებს.

ფასკუნჯი მკურნალია, მას შეუძლია უკურნებელი სენისაგან ადამიანის ხსნა. მისი წამალი ჯადოსნური სიჩქარით მოქმედებს, სასწაულმოქმედი. ამ თვისებისაა არა მარტო მისგან შენამზადები წამალი, არამედ თვით ამ ფრინველის ფრთაც, რომლის ქრილობაზე შეხება წყლულის გამართლებასა და მორჩინას იწვევს.

„სიმურღმან დაკოდილზედა წამალი დასდვა ნებისა;
ჭანგითა რვა ისრის პირი მან ამოართვა ვნებისა“.

სიმურღიც ცის მცხოვრებია და ფრინველური თვისებები აქვს, თუმცა ამავე დროს, არც ცხოველურ ბუნებასაა მოკლებული. მის ფრინველობაზე ჯადოსნური ფრთა მიუთითებს, ხოლო ცხოველურ, ლომის ბუნებას მკურნალობის პროცესი ააშკარავებს; სიმურღმა დაკოდილ როსტომს წყლუ-

ლიდან „ჭანგითა რვა ისრის პირი მან ამოართვა ვნებისა“. სიმურღს, იგივე ფასკუნჯს, რომ ფეხი არ ჰქონოდა, მაშინ არც ჭანგი ექნებოდა და, მაშასადამე, მას ვერც მკურნალობის დროს მოიხმარდა.

– ჭანგი, როგორც ვიცით, ბატონო შოთა, „არს მხეცთა ფერხის ფრჩხილი მოდრეკილი“. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სიმურღი პირდაპირი სახითაა გადმოღებული ძველი სპარსული ტექსტიდან, მაგრამ როგორც შემდეგ ირკვევა, მთარგმნელს სიმურღი ყველგან არ შეუცვლია ფასკუნჯით.

როსტომს საკუთარი ძალით არ შეუძლია სძლიოს მონინაალმდეგე სპანდიატი. საკუთარ უძლურებას თვითონვე აღიარებს და დახმარებას მოითხოვს. ფასკუნჯმა კარგად იცის რაშიცაა სპანდიატის სიძლიერე და როგორ შეიძლება მისი დაძლევა.

ზღაპრული ფრინველი ამ საიდუმლოების გასანდობად როსტომს შორს, ჩინეთის ზღვის პირას, დაიბარებს. როსტომი რაშზე მჯდომარე მიიჭრა დანიშნულ ადგილას, „სიმურღი (ფასკუნჯი კი) მაღლა ჰაერთა მოვიდა“. ამ არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი ფრინველის გზა, წერილობით ძეგლების მიხედვით, მუდამ ჰაერში მდებარეობს, ფასკუნჯი ყოველთვის ციდან ეშვება ძირს.

– იცით ამან რა გამახსენა, ბატონო შოთა? წელან ჩვენს საუბარში თევზის სისხლი ვახსენეთ. ბებიარჩემი, ზოგჯერ, მიყვებოდა ასეთ ამბავს: „ფირყვენმა (ფარაონმა) გადანყვიტა ღმერთი მოეკლა და მას მშვილდი ესროლაო ღმერთმა. მან თევზი დაუყენა და იქიდან არის დარჩენილი, რომ თევზს არ ჰკლავენ, ესე იგი, თავს არ აჭრიანო“. არ ვიცი ბებიას საიდან ჰქონდა ამოკითხული ასეთი რამ.

– ზღაპარს ახლავს ხოლმე ასეთი მოარული ამბები. ომის წყურვილით შეპყრობილი სპანდიატის ხმაღს წინ ვერაფერი უდგება, ვერც ფრინველი, ვერც მხეცი და ვერც კაცი, – აგრძელებს თემაზე საუბარს დედაბრიშვილი. – გაზვიადებულმა სპანდიატმა ბრძოლა სიმურღსაც კი შეჰბედა და და მოტყუებით ლახვარზე წამოაგო. სწორედ ასეთ გაზვიადებულ ძალაზე შურისძიების მიზნით ზაალის ნაცნობი სიმურღი როსტომს საკულტო ხის ტოტისაგან გაკეთებული ისრით შეიარაღებს.

ხის ტოტის ჯადოსნური ძალის გამოყენება სპანდიატის სანინაალმდეგოდ, ჩვენი აზრით, წარმოადგენს იმ ძველთაძველი შეხედულებების ანარეკლს, რომელსაც ვპოულობთ საერთოდ ხის კულტის სახით, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხალხების ფოლკლორში.

ძველ საბერძნეთში ზევსი დაკავშირებულია წმინდა ხესთან, მუხასთან. ამ მცენარეს, ხალხის წარმოდგენით, სასწაულებრივი თვისებები ახასიათებს. სწორედ ამის გამო იყო, რომ ის არგონავტებმა გამოიყენეს ცნობილი გემის „არგოს“ აგების დროს. მუხის მასალისაგან გამაგრებულმა არგოსმა ზღვის სტიქიას ადვილად გაუძლო და ოქროს სანმისის მადებარი გმირები კოლხიდაში უვნებლად მოიყვანა. ხის, კერძოდ მუხის, კულტი ათასწლოვანი ისტორიის მქონეა. ორი ძმის შესახებ არსებული ზღაპარი გვიჩვენებს, რომ ხის კულტს ეგვიპტეშიც საპატიო ადგილი ეჭირა.

ქართულ მწერლობაში და ფოლკლორში არანაკლებ მნიშვნელოვანი ცნობებია ხის კულტის გავრცელების შესახებ. როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველოს თითოეულ კუთხეში დღემდე შენარჩუნებულია საკულტო ხეები. ისინი წარმართული წარმოდგენით ხელუხლებელნი არიან. კერძოდ: ცაცხვი, მუხა, ნიფელი, ნიგვზის ხე, ურთხმელი, ბზა და სხვა.

– ხის კულტი, ბატონო შოთა, ხალხურ ზღაპრებში და პოეზიაში ფართოდაა ასახული. „მონადირე და დიდი არწივის“ ზღაპარის შესაბამისად მუხაზე ერთი არწივი იჯდა; სხვა თქმულების მიხედვით, მამისაგან დევნილი ქალიშვილი მუხის ბოძში დაიმალება, ბოძს ზღვაში ჩააგდებენ და მზეთუნახავი მეორე ნაპირზე გაირიყება, სადაც მას ბედნიერება მოელის; ხშირად ქალწული ტანწერნეტა ალვის ხედ იქცევა და სხვა; ხალხურ ლექსებში კიდევ უფრო რელიეფურადაა შემონახული ხის საკულტო მსახურება: „მუმლი მუხასაო გარს ეხვეოდაო, მუმლი კვდებოდაო, მუხა რჩებოდაო“. ამავე ლექსებში მცენარის კულტი სიმბოლურ სახეს იღებს. ამის ნიმუშია, მაგალითად, „წუხელ სიზმარი ვნახე“, რომელიც აჭარაში ყოფილა გავრცელებული:

„წუხელ სიზმარი ვნახე, ნეტავ დედავ, რაო?
 ალვის ხე ნაქცეულიყო, ნეტავ დედავ, რაო?
 ორი ტოტი მომტვრეოდა, ნეტავ დედავ, რაო?
 ფურცელიც მთლად გასცვენოდა, ნეტავ დედავ, რაო?“

მწუხარე დედამ შვილის სიზმარი გლოვის დროს სიმბოლური ქარაგმით ახსნა:

„ალვის ხე, რომ ნაქცეულა, შვილო შენი ტანი არი,
 ტოტები რომ მომტვრეოდა შვილო შენი მკლავებია,
 ფურცლები რომ გასცვენია, შვილო შენი თმები არი“.

– ახლა ისევ ფასკუნჯის თემას დავუბრუნდეთ, ბატონო შოთა. მას კიდევ ერთი თვისება ახასიათებს – ადამიანის მსგავსად მეტყველების უნარი აქვს. ის ზაალსა და როსტომს ადამიანის ენით ესაუბრება. ამ შემთხვევაში სიმურღლი (ფასკუნჯი) ადამიანის თვისებებითაცაა აღჭურვილი.

ფასკუნჯი სასახლეში ცხოვრობს. ჰყავს ცოლი, შეუძლია ადამიანივით დაჩოქება და კოცნა. ასე, რომ (ფასკუნჯი-სიმურღლი), რომელიც, უთუოდ, უძველესი ხანის აზროვნების ნიადაგზე აღმოცენდა, ისტორიული კვლევის საგანია. მისი განხილვა შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის მასალების მიხედვით. „შაჰ-ნამეში“ მოთხრობილს თუ ხალხურ ნიმუშებს შევადარებთ, სადაც პირდაპირ ფასკუნჯზეა ლაპარაკი და არა მის შემდეგდროინდელ შემცვლელელებზე, ვნახავთ, რომ ამ ფრინველის ძირითადი თვისებები ყველგან ერთნაირია.

მას შემდეგ, რაც ფასკუნჯის საკითხი ნაწილობრივ ქართული ლიტერატურული და ფოლკლორული ძეგლების მიხედვით მიმოვიხილეთ, შეგვიძლია მეზობელ იაფეტურ და არა იაფეტურ ტომებსა და ერებს მივმართოთ.

იაფეტური კავკასია ლინგვისტური და ეთნოგრაფიული მოზაიკაა. არსად დედამინის ზურგზე არ არსებობს მოკლე მანძილზე იმდენი მრავალფეროვნება და სტადიური სიჭრელე, როგორც კავკასიაში. გეოგრაფიულ სახელწოდება კავკასიაში სრულიად განსხვავებული, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი, ენათა სისტემაა – ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის მეზობლად მოთავსებულია აშკარა შენაჯვარები სომხური ენა; აქვეა იაპონური სისტემის ენების წარმომადგენელი ოსური, რომელიც კვლევა-ძიების უკანასკნელი შედეგების მიხედვით, აღარ მიიჩნევა წმინდა ირანულ ენად.

აკადემიკოსი ნიკო მარი სვანურს უკავშირებს ოსურ ენას და ტერმინს „ფასკუნჯი“-ს ამ უკანასკნელში პირველიდან გადასულად თვლის. ოსურ ხალხურ შემოქმედებაში ფასკუნჯი უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი, ვიდრე სვანურში. ამ მხრივ ოსური გადმოცემები ქართულ ფოლკლორთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე სვანურთან.

– სომხურ ენაზე ფასკუნჯის შესატყვისი სახელია „პასკუჭი“, – მეუბნება დედაბრიშვილი. – სომხური ენის და ლიტერატურის დიდი მცოდნე ნ. მარი ადასტურებს, რომ „პასკუჭი“ საშუალო საუკუნეების პოეზიისათვის უცხოა და უფრო ადრეული პერიოდიდან გვხვდება. 1769 წლის სომხურ ლექსიკონში „პასკუჭი“ ახსნილია, როგორც птица зверонравная. სპარსული Sitampg-იც ფასკუნჯის შესატყვისი სახელია. სომხური ჰაიკური სიმურღლი ქართულად ფარშავანგია. როგორც ჩანს, ფარშავანგი ხშირად უნდა იჭერდეს ფასკუნჯის ადგილს. თუ ამას ზემოთქმულს შევადარებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფასკუნჯი ლეგენდარული ფრინველია. საერთოდ კი ფასკუნჯი იაფეტური წარმომოშობისა და შეესატყვისება სპარსულ სიმურღლს. ერთი და იგივე ფუნქციის შესრულებაში ერთმანეთს რამდენიმე პერსონაჟი ენაცვლება: სიმურღლი, ფასკუნჯი, არწივი, ორბი...

ფასკუნჯის, იგივე სიმურღლის, გამოხატულება პირველად ქართულ მხატვრობაში ატენის ეკლესიაზე გვხვდება ქვის რელიეფის სახით. ეს ჩვენთვის საინტერესო რელიეფი გარკვევით მოიცავს

ორბუნებოვან არსებას – როგორც ფრინველის, ისე ძალის დამახასიათებელი ნიშნებით. ქვის ოსტატს ფასკუნჯის კუდი და ფრთები თავისებურად გადმოუცია. რელიეფზე ისინი უდავოდ ფრინველის ატრიბუტია, ხოლო ამ საკვირველი არსების ფეხები და ენა სირბილის მდგომარეობაში მყოფ ძალს მოგვაგონებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძალღვივით გრძელი ენა, რომლითაც ეს რელიეფი ქრონოლოგიურად უპირისპირდება სპარსულ ცნობებს. როგორც ცნობილია, ატენის ეკლესია VI საუკუნით თარიღდება. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ქვის სურათხატოვნობაც ამ პერიოდს ეკუთვნის.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ VI-VII საუკუნეებში საქართველოში ფასკუნჯის შესახებ თქმულება არსებობდა, რომელმაც თავისი ამკარა გამოხატულება ხუროთმოძღვრებაშიც ჰპოვა.

– ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა გარდა, ჩვენამდე მიღწეულია უძველესი ხანის სკიფური ექსპონატი, რომელზედაც გამოხატულია მფრინავ მდგომარეობაში მყოფი სიმურლი. სხეულზე გველი ახვევია და მისი თავი ნისკარტით უჭირავს. ამ ფრინველის ორბუნებოვნებას წინ გამონვდილი თათები ამჟღავნებს.

აქვე სასანიდთა ეპოქის სახელგანთქმული მინიატიურებიდან ვერცხლის ერთ მედალიონზე შევჩერდები, – ბატონო შოთა. – ამ მედალიონზე მკვეთრადაა გამოხატული სიმურლის ორბუნებოვნობა: ფრინველი-ძალღვივ ან ძალღვივ-ფრინველი. სასანიდთა კულტურის უშუალო ანარეკლი აკადემიკოსმა ნ. მარმა აღმოაჩინა ანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ესაა ჭიშკარზე გამოხატული რელიეფი არწივისა, რამაც კედლის მხატვრობაში სიმურლის გამოყენების მეორე ნიმუშიც მოგვცა.

ტიგრან ჰორენცის ეკლესიაში (1215 წ.) გამოხატული ცხოველ-ფრინველი სასანიდური ქსოვილთა დასურათების უტყუარ ანარეკლს წარმოადგენს. აქვე ყურადღებას იპყრობს ამირანის მეგობარი ყურმა, რომელიც ხალხური გადმოცემით „ყორანის ნაშობი იყო“.

სვანური თქმულების მიხედვით, ყურმა ორბუნებოვანია. „მას ბეჭებზე ორბის ფრთები აქვს“. ორბუნებოვანი არსების გამოხატვას ქრისტიანულ რელიგიურ ადგილებზე მოსდევს ახალი საფეხური მათი წარმოსახვისა. კვეთილი ქვის ფასკუნჯის გარდა, ლომ-კაცის, ქალ-ვეფხვის და სხვა. ამის ნიმუშია მცხეთის სვეტიცხოვლის საყდრის ქვის რელიეფი ლომისა კაცის თავით, რომელიც მოთავსებულია აღმოსავლეთის მხრით მალლა საყდრის გარეთა კედელზე. ორბუნებოვნების მაჩვენებელია, ასევე, აქ კედლის ფრესკაც განფენილი სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომელზედაც გამოსახულია ვეფხვის სხეული ქალის თავით. ჩემი აზრით, ბატონო შოთა, ორბუნებოვნება უძველესი ხანის გადმონაშთია და მას სტადიურად ერთბუნებოვან არსებათა გამოხატვის ახალი საფეხური მოსდევს.

– თუ ქართული ხელოვნების უძველეს ძეგლებს დავათვალიერებთ, ვნახავთ, რომ ამგვარი გამოხატულებანი მარტო მცხეთაში ან ატენში როდი გვხვდება, – ამბობს დედაბრიშვილი. – მაგალითად, ცნობილი საფარის ეკლესიის სახურავის ქვემო კუთხეში არწივის რელიეფია დატანებული. მხატვრობაში და ხუროთმოძღვრებაში ეს ძეგლები მიგვაჩნია იმის ამსახველად, რაც ზეპირსიტყვიერებაში არწივის სახითაა გადმოცემული. ვფიქრობ, ფასკუნჯის, იგივე სიმურლის, ფუნქციის არწივებში, ან სხვადასხვა ძეგლში ასახვა უნდა მომხდარიყო ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაში. პალეონთოლოგიურმა ძიებამ მოითხოვა არა მარტო ქართულ-მეგრულ-სვანური ფოლკლორის შედარება და განხილვა, არამედ კავკასიურ-ირანული წყაროების მოშველიებაც. კოსმიურ-ტოტემური აზროვნების საფეხურზე შექმნილი წარმოდგენა მითიური ფრინველის შესახებ ახალ გარემოებაში სრულ ტრანსფორმაციას განიცდის.

უცებ ბატონმა შოთამ საუბრის თემა შეცვალა და, პოლ ვალერის მოშველიებით, ნიგნის დანიშნულებაზე წამოიწყო საუბარი.

– ყოველი წიგნი, ბოლოს და ბოლოს, სხვა არაფერია, თუ არა ავტორის შინაგანი მონოლოგის ფრაგმენტი. კაცი სულის საშუალებით საკუთარ თავს ესაუბრება; ამ საუბრისას ავტორი მსჯელობს, რაღაცას არჩევს და ასეთი არჩევანი მისივე თავმოყვარეობითაა განპიროვნებული, – თქვა მან. – ამა თუ იმ აზრში მას საკუთარი პირადი მე უყვარს, ამა თუ იმ აზრში საკუთარი თავი სძულს. ამ გონებრივ კალეიდოსკოპში, მისი სიამაყე, მისი ინტერესები რაღაცას იზიარებენ, რაღაცას უარყოფენ, ხოლო, რაც მას სურს იყოს, ამ მხრივ, არჩევანს ახდენს იმაში, რასაც თავად განასახიერებს. ასეთია გარდაუვალი კანონი.

ამის შემდეგ უცებ დაეშორდი მოხუცს. რაღაც გამახსენდა და ფოსტისკენ გავეშურე, მერე საჯარო ბიბლიოთეკისაკენ წავედი. იქ გამოვიწერე ძველი ბერძნული ფილოსოფია და ხელმეორედ დაუფუწყე კირკიმალი. მეორე დღეს როცა აკადემიაში მივედი, ერთმა ჩემმა საყვარელმა პედაგოგმა მითხრა შოთა დედაბრიშვილი გარდაიცვალა და იქ მივდივარ სამძიმარზეო.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ საუბარი ხელოვნებაზე, რა თქმა უნდა, გრძელდებოდა. ხან ვისთან და ხანაც ვისთან. ზოგი მხატვარი იყო, ზოგი – ჟურნალისტი, ზოგიც – მწერალი, რომელთა აზრი უდავოდ ანგარიშგასაწევია. ფილოსოფიაში ხომ არის უარყოფის უარყოფა? ჩვენში ხშირად მტრად გადაეკიდებიან ერთმანეთს თუ არ დაეთანხმე, ან არ დაგეთანხმა. ეს ხომ ხელოვნებაა?! ყველას თავისი გემოვნება და ხედვა აქვს და ვისაც ვინ მოეწონება იმას უწევს ანგარიშს. რატომ უნდა დაიჟინო გინდა თუ არა ჩემი იწამეო? პირადად ჩემთვის ყველაფერი ანგარიშგასაწევია, ღვარძლისა და უსამართლობის გარდა.

სოკრატე (ძვ.წ.აღ. 469-399) დაიბადა ქალაქ ათინაში. მამამისი ქვის მთლელი იყო და შვილს თავის ხელობას ასწავლიდა, პარალელურად სკოლაშიც ატარებდა. შემდეგში უდიდესი ფილოსოფოსი ამბობდა: სწავლამ მარტო ის მომიტანა, რომ თვალნათლივ დამანახა, რომ მე არაფერი ვიცი. თუ სინდისი გეუბნება რაღაც გააკეთო, შენც გააკეთე, რადგანაც იცოდე ეგ კარგია. თუ გეუბნება ნუ გააკეთებ, შენც ნუ გააკეთებ, რადგანაც იცოდე, რომ ეგ საქმე ცუდია. გამოდის, რომ სინდისი ნამდვილი ღვთიური ხმაა ადამიანში, ღვთიური მრჩეველია ადამიანისა.

იგი ქადაგებდა, თუ გინდა რომ ადამიანებმა პატივი გცენ, უნდა იშრომო მათთვის, ეცადე ისე არ მოკვდე, რომ არც არა ხალხს არგო და არც არა თავის თავს. კარგი ქცევა, კეთილი საქმე თავის დღეში სირცხვილი არ არის. კარგ ამხანაგთან თვითონაც კარგი გახდები.

გაგრძელება იქნება



ნოდარ ბარაშიძე

ლადო კოტეტიშვილი (1895-1940): აჭარელი მკვლევარის ერთი ფსიქოლოგიური თავისმებრების შესახებ

ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი, ექიმი ლადო კოტეტიშვილი (ვახტანგ კოტეტიშვილის უმცროსი ძმა) ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იქვე, კლინიკაში, დარჩა ნევროპათოლოგად. 1921 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში, მუშაობდა ექიმად კახეთში, შემდეგ იყო საექიმო პუნქტის გამგე აჭარაში, ხულოს რაიონში. თბილისში მუშაობდა ექიმ-ორდინატორად, ნევროპათოლოგად. სიცოცხლის ბოლო 1939-1940 წლებში იყო სან-ჰიგენური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

როგორც ცნობილია, 1937 წელს კოტეტიშვილებმა დაკარგეს საგვარეულოში გამორჩეული კაცი, ლადოს ძმა, ცნობილი ლიტერატურათმცოდნე – ვახტანგი. მას დარჩა 15 წლის ქალიშვილი – ლილი და 2 წლის ბიჭი – ვახუშტი. ბიძა ლადო იყო დაობლებული ოჯახის მეურვე და მფარველი.

ამ ტრაგედიიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1940 წელს, 45 წლის ასაკში გარდაიცვალა ლადოც. მას დარჩა მეუღლე – ნინო მაყაშვილი და სამი შვილი: იათამზე, ელისო და ნანა. იათამზე კოტეტიშვილი ახლა ცნობილი ფსიქოლოგია.

იგი დამსახურებული პროფესორია. წლების მანძილზე განაგებდა დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგიური ფსიქოლოგიის ლაბორატორიას. ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისა და აქვე მუშაობის პერიოდში (1970-1980 წლები) საშუალება მქონდა ქალბატონ იათოს მეშვეობით უშუალოდ მეგრძნო კოტეტიშვილთა ტალანტიც და ჭეშმარიტი მამულიშვილობაც. როგორც აღვნიშნეთ, ლადო კოტეტიშვილმა შეისწავლა ძველი ქართული სამკურნალო მწერლობა. მან გამოაქვეყნა სამი მნიშვნელოვანი ძეგლი: „უსწორო კარაბადინი“, „ნიგნი სააქიმოი“, „იადიგარ დაუდი“. ლადო კოტეტიშვილის წვლილი მედიცინის ისტორიის განვითარებაში სათანადოდ შეაფასა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც დიდად ნუხდა, რომ ლადოს ნაადრევმა და მოულოდნელმა სიკვდილმა მისი ესოდენ მნიშვნელოვანი მოღვაწეობა შეწყვიტა.

1998 წელს გამოქვეყნდა ლადო კოტეტიშვილის საინტერესო ნაშრომი „საექიმო იდეები ვეფხისტყაოსანში“. მას კიდევ დარჩა გამოუქვეყნებელი შრომები, წერილები და ჩანაწერები. ერთ-ერთი ჩანაწერი ეხება აჭარას და დათარიღებულია 1928 წლით. ლადოს ქალიშვილმა,

ქალბატონმა იათომ დიდსულოვნად მოგვანოდა ჩვენ ეს ხელნაწერი იმ კეთილი სურვილით, რომ თუ რომელიმე ადგილობრივი გამომცემლობა მიზანშეწონილად ჩათვლიდა, უფრო გამართლებული იქნებოდა მისი პირველად გამოქვეყნება სწორედ აჭარაში, რაც ჩვენი წინასიტყვაობით განხორციელდა კიდევ უფრონაღ – „ლიტერატურული აჭარაში“ [1].

ამ პატარა ჩანაწერში ბათუმიდან ხულოსკენ მიმავალი ლადო კოტეტიშვილი გადმოგვცემს ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობაში მიღებულ შთბეჭდილებებს, ადამიანებთან შეხვედრის ეპიზოდებს, რასაც ადგილი ჰქონდა ეტლით, ფეხით თუ ფურგონით მოგზაურობისას. აღწერს გარემოს ლამაზ სურათებს, ხშირად აქოჩრილ ტყეებს, საშიშრად გადმოკიდებულ კლდეებს, ამაყ მთებს, აჭარელი კაცის მძიმე შრომას, მის „ჯიუტ ბრძოლას თავხედ ბუნებასთან“. ლაპარაკობს აჭარელთა ხაზგასმული მორიდების, ზრდილობიანობის, სიტყვაძვირობისა და ჩაფიქრებული იერსახის შესახებ.

მისი შთაბეჭდილებით, აქ რაღაც საიდუმლო ფიქრს მისცემია ბუნება, ოსმალეთიდან მომავალი ჭოროხიც თითქოს მწარედ გაჩუმებულა, ფეხაკრეფით მიიპარება ზღვისკენ და კენესით, ტირილით ებლაუჭება მის ტალღებს. ჭოროხის დუმილი ერთგან იზარება გაქანებული აჭარისწყლით, ეღვარე ხმალივით რომ ხლეჩავს მის ტანს, მაგრამ ჭოროხის ზვიადობა მალე აყუჩებს, ახრჩობს, ადუმებს მასაც.

ბუნების სურათების ასე თავისებურად, განსულიერებულად აღქმა-წარმოდგენის ფონზე, ლადო კოტეტიშვილი გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებას თუ მოსაზრებას აჭარელი მაჰმადიანის შესახებ. იგი წერს: გლოვის ზარად გაისმის მწუხარე „იაზანის“ ხმა მიყრუებულ ხეობაში. მწუხარე „ხოჯა“ ქვითინებს აჭარისტანის მაღალ მინარეთებზე. აქ მაჰმადის მკაცრ ყურანს ქართულ კილოზე იმღერებენ არაბულის სიტყვებით. არამგონია, სადმე ჰშინებოდეთ მაჰმადის სჯულის ისე, როგორც აჭარაში. ეს ისტორიული შიშია. შეხედეთ აჭარელს ლოცვის დროს და

მაშინვე წარმოგიდგებათ სასტიკი ხმალი იმის თავზე ამართული, რომელიც ასე შიშით ალოცებდა მის წინაპართ. მზის ჩასვლას და ამოსვლას აქ რაღაც საიდუმლო პოზით ეგებებიან. აჭარელი ყოველ დღეს ლოცვას შიშით იწყებს და შიშით ათავებს. არამგონია, ქალებს სადმე ჰშინებოდეთ მამაკაცის, როგორც აჭარაში. ეს შიშიც გასაგებია ისტორიულად. ვინ იცის, ყველაზე სასტიკად ოსმალეთის ტყვეობას ქალები განიცდიდნენ. ვინ იცის, რამდენი სილამაზე და ცრემლი შეენირა თათრულ ჟინიანობას. აკი, ამიტომ დაშინებულან – ქურციკივით გაურბიან მამაკაცებს. თეთრი ჩადრი კი არ მალავს, უფრო ამჟღავნებს აჭარელი ქალის სილამაზეს, გიშერი თვალის ძალას. სიმღერა აქ თითქოს დავიწყებულია. რაღაც საიდუმლო დუმილით დაიარება აჭარელი, რაღაც მოკრძალებული სიჩუმეა გამეფებული მთელ აჭარაში [3].

ასე ახასიათებდა აჭარელ მაჰმადიანს ვითარების თვითმხილველი ლადო კოტეტიშვილი თითქმის 100 წლის წინათ. მას შემდეგ ამ კუთხით ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ, ვფიქრობ, აქაურ მაჰმადიან მორწმუნეში, ბუნებით უშიშარ ქართველში, ისევ დარჩა არაცნობიერში გადასული და ლოცვასთან თავისებურად შერწყმული შიშის სპეციფიკური გრძნობა.

ვინაიდან აღნიშნულ დახასიათებაში, ძირითადად, შიშის რელიგიურ (თუმცა, არა მხოლოდ რელიგიური ნიშნით აღბეჭდილ) გრძნობაზეა საუბარი, ამ დახასიათების შეფასება-ანალიზამდე, მიზანშეწონილია გავისხენოთ, რომ ადამიანისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გრძნობები იყოფა ხუთ ჯგუფად. ესენია: ესთეტიკური, ინტელექტუალური, მორალური, პრაქსიული ანუ მოქმედებასთან დაკავშირებული და რელიგიური გრძნობები.

რელიგიური გრძნობები აღმოცენდება ღმერთის რწმენასთან, ღმერთისადმი სამსახურთან მიმართებაში და განიცდება, როგორც იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მზადება. ამ გრძნობებს მიეკუთვნება მორწმუნე ადამიანის სპეციფიკური გრძნობები, რომელსაც იგი განსაკუთრებით

განიცდის რელიგიური რიტუალების შესრულების მომენტში. ფსიქოლოგიაში და ღვთისმეტყველებაში აღიარებული ავტორიტეტი – გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ რელიგიური გრძნობების ნამდვილი ბუნების გაგებისათვის აუცილებელია ადამიანი თავად განიცადოს ისინი [2:148-163].

ადამიანი ღმერთთან ურთიერთობას ახორციელებს ლოცვისა და აღსარების საშუალებით. ლოცვა არის ღმერთის წინაშე სხვადასხვა გრძნობის „გადმოღვრა“ სიტყვებით. ის წმინდა ფსიქოლოგიური მოვლენაა, რომლის დროსაც ყოველივე ცუდი, ყველა უწმინდური აზრი და ბიწიერი ლტოლვა ქრება „გულიდან“. ლოცვა სულის მოქმედებაა, რომლის წყალობითაც იცვლება და მდიდრდება მლოცველის შინაგანი სამყარო.

აღსარება არის საერთო განწმენდის ნაწილი, რომელსაც მორწმუნე საჭიროებს. აღსარების შემდეგ მორწმუნე ადამიანი განახლებული ცხოვრებით ცხოვრობს, თითქოს თავიდან იწყებს ცხოვრებას.

გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ცნობილ „ცდილსეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“ რელიგიურ გრძნობებს შორის ასახელებს: რელიგიურ სიხარულს, რელიგიურ მწუხარებას, გულმონყალების გრძნობას, რელიგიურ სიყვარულს, რელიგიურ შიშს და სხვა. ამასთანავე, იგი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ჭეშმარიტ რელიგიურ გრძნობებს არაფერი აქვთ საერთო ფანატიზმთან. ფანატიზმი რელიგიის ნილაბქვეშ ფარავს (მაღავს) ბოროტ ზრახვებსა და ვნებებს.

დავუბრუნდეთ აჭარელი მაჰმადიანის ფსიქოლოგიისა და ლოცვის კოტეტიშვილისეულ დახასიათებას. რაა ნიშანდობლივი მასში? თავიდანვე თვალში საცემია ქართული სინამდვილისათვის შეუსაბამო სურათის სათანადო ემოციურ ფერებში წარმოჩენა. კერძოდ, მუეძინის ლოცვის სიტყვები აღქმულია გლოვის ზარად და მწუხარე ხოჯის ქვითინად. ვფიქრობთ, ეს არის ვითარების ზოგადი დახასიათება და არა მისი აღქმა მხოლოდ ქრისტიანის მიერ. ტრადიციულ მუსლიმურ ქვეყნებში და ასეთივე გარე-

მოში ყველაფერი პირიქითაა. მინარეთებიდან მომდინარე ხმა მოეძინისა იქ აღიქმება ჩვეულებრივ მოვლენად, რაღაც ღვთისმიერის, მორწმუნეთათვის სავალდებულოა და სასიხარულოს მაუწყებლად (და, როგორც დასტურდება, არა მარტო მუსლიმთათვის). ზოფიერთი გამოწკლისის გარდა, სხვა ეროვნების არამუსლიმის მიერაც ეს ლოცვა ძირითადად აღიქმება დადებით კონტექსტში, ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელ ატრიბუტად, ბუნებრივ მოვლენად. მაგრამ ქართველში იგი მაინც სხვა, სპეციფიკურ, ამბივალენტურ გრძნობებს იწვევს. ამ ვითარებას ერთგვარად ადასტურებს თვითდაკვირვების მონაცემებიც, რომლის მსგავსი სხვებისგანაც მომისმენია. რამდენიმე წლის წინათ, ტურისტული მოგზაურობისას საშუალება მქონდა ერთი კვირა მეცხოვრა მინარეთებით მდიდარი სტამბოლის აია-სოფიას ტაძრის (მუზეუმის) ახლო მდებარე სასტუმროში. აღმოჩნდა, რომ თურქეთის სინამდვილეში მოსმენილი მუეძინის სიტყვები მართლაც სპეციფიკურად განიცდება, ვიდრე იგივე სიტყვები ჩვენს სინამდვილეში. მართალია, ეს განცდა უაღრესად ინდივიდუალურია, მაგრამ უცხოეთში მას უფრო ფონისმიერი, ნეიტრალური, ან ამბივალენტური ელფერი აქვს, სამშობლოში კი ტკივილიანი გრძნობის სახეს იძენს, რაც სრულიად გასაგებია. აქ, მუეძინის ხმა ჩემთვის უცხოა და მტკივნეულ ასოციაციებას იწვევს, იქ, შესაბამის ქვეყანასთან მიმართებაში და მისი რელიგიის კონტექსტში აღიქმება.

ყველაზე განსაკუთრებული მაინც აღნიშნულ დახასიათებაში არის აჭარელი მაჰმადიანისათვის დამახასიათებელი თავისებური შიშის გრძნობა, რომელსაც კოტეტიშვილი სამართლიანად „ისტორიულ შიშს“ უწოდებს. საერთოდ, აჭარელი ქართველი შეუდრეკელი, უშიშარი და გაბედულია, მაგრამ აქ ლაპარაკია სხვა სახის შიშზე. ცხადია, ეს არის არა რელიგიური შიში, არამედ ისტორიული წარსულიდან მომდინარე, არაცნობიერში გადასული ფიზიკური დასჯის შიში. ესაა არა ზემოაღნიშნულ (გაბრიელ ეპისკოპოსისეულ) ჩამონათვალში მითითებული

შიში, არა ღვთის წინაშე შიში, არამედ ფსიქიკის ღრმა ფენებში დაღეჭილი ამქვეყნიური ყოფნა-არყოფნის შიში.

ლადო კოტეტიშვილმა სწორად დაინახა და ახსნა აჭარელი მაჰმადიანისათვის დამახასიათებელი, რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებული შიშის თავისებური გრძნობა, რომელიც რელიგიური შიშისაგან განსხვავებით, ისტორიულ ჭრილში რომ განვიხილოთ, მეორადი წარმოშობისაა. ის, მორწმუნეს მიერ ისე განიცდება, თითქოს რელიგიური შიშია, მაგრამ ფაქტობრივად სულ სხვაა, იძულებით თავს მოხვეული და თაობათა გამოცდილებაში ფიქსირებულ-გა-


ნმტკიცებული მდგომარეობაა (თუმცა რელიგიური შიშიც მეორადი წარმოშობისაა, მაგრამ ეს სხვა საკითხია).

ასე რომ, ოდესღაც, გამაჰმადიანების სიტუაციაში მდგარი ქრისტიანი აჭარელი განიცდიდა ორმაგ შიშს: შიშს უფლის წინაშე ქრისტიანობის დაკარგვისათვის და სიკვდილით დასჯის შიშს მისი შენარჩუნებისათვის. ბოლოს და ბოლოს, როდესაც მომხდურმა იმძლავრა, ყველაფერმა ამან ასახვა ჰპოვა აჭარელი მაჰმადიანის იმ სულიერ მდგომარეობაში, რომლის შესახებაც კარგად ლაპარაკობს ლადო კოტეტიშვილი თავის მცირე მოცულობის ჩანაწერში.

ლიტერატურა:

- ნ. ბარამიძე, ლადო კოტეტიშვილი, ექიმი, მეცნიერი, მამულიშვილი, ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, №8, 2001.
- გაბრიელ ეპისკოპოსი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 1993.
- ლადო კოტეტიშვილი, აჭარაში, ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, №8, 2001.

წილი



რამაზ სურმანიძე

ცნობილ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, მკვლევარსა და პუბლიცისტს, სხვადასხვა სახის პრემიების ლაურეატს, ბატონ **რამაზ სურმანიძეს** ვულოცავთ დაბადების 85 წელს; ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

*საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია
აჭარის მწერალთა სახლი
ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია*

სიმღერა „ჭვანჭარი ხინწკალა“

(ტექსტის და მუსიკის ავტორის ვინაობა)

რამდენიმე თვის წინ, საქართველოს ტელევიზიის პირველ საზოგადოებრივ არხზე, შესრულდა მელოდია სიმღერის გარეშე, იმდენად ოსტატურად, რომ, ალბათ, ყველა მსმენელ-მყურებლის მონონებაც დაიმსახურა. სამწუხაროდ, მე ვერ მივუსწარი და ვერც მოვისმინე სიმღერის შემსრულებელთა გვარები (მგონი საოჯახო გუნდი იყო). საუბარია სიმღერა „ჭვანჭარი ხინწკალა“-ზე, რომელიც ამჟამად აჭარის თითქმის ყველა გუნდის რეპერტუარშია, მაგრამ მეცნიერ-მკვლევართა გარდა არავინ იცის ვინაა ტექსტისა და მუსიკის ავტორი.

ამ ხარვეზის გასარკვევად, დასაწყისში გავეცნოთ ლექსის ტექსტს, რომელიც ჩვენს დროში შესრულებულ სიმღერაში ასე ჟღერს:

„ათი თითი, ბროლის ხელი,
წმინდა წელში ჩახლართული.
ფანჯარასთან მომდგარიყავ
ნაპნები გადმოგეყარა,

ლოყა თეთრი, ბაგე ტკბილი,
ზედ შექერი მოგეყარა“.

როგორც ვხედავთ, შემსრულებლები იცნობენ მხოლოდ 6 ტაეპს. ეს მოსათმენია, მაგრამ ლექსი სახეშეცვლილი და სიტყვებგადაადგილებულია. ფაქტობრივად კი საკმაოდ ვრცელია (34 ტაეპი), რომლის ჩანერა და მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ 1904 წელს, **ნიკო მარის** სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის პერიოდს მიეწერება (ნიკო მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები. ბათუმი, 2012 წ. გვ. 172-179. **მამია ფაღავას** საერთო რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით).

ლექსის ვარიანტები გამოქვეყნდა 1915 წ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს №30-ში. ერთ-ერთი ვარიანტი კი, „აჭარული დესტანი“-ს სახელწოდებით, 1926 წელს ხულუს გოგიტიძისგან ჩაიწერა **მაკარ ხუბუამ**, ამჟამინდელი შუახვევის რაიონის სოფელ ქიძინიძეებში (ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა. ბათუმი. 1932 წ. გვ. 44).

აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება სრულყოფილად გამოკვლეულია. **აზიზ ახვლედიანმა** გამოსცა ვრცელი მონოგრაფია, სადაც ჩვენთვის საინტერესო თემა საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი (აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. ბათუმი, 1970 წ. გვ. 182-195), მაგრამ სიმღერის ავტორის ვინაობაზე არაფერია ნათქვამი.

1993 წელს **ემენ დავითაძის** რედაქციით **მამია ხარაზმა** გამოსცა „აჭარის სახალხო მელექსეთა ანთოლოგია“, რომელშიც სხვებთან ერთად ჩვენთვის საინტერესო ლექსის ტექსტი მთლიანადაა მოტანილი (ბათუმი, 1993 წ. გვ. 138), თუმცა მუსიკის ავტორს არც ისინი ეხებიან. მის ვინაობაზე საუბრის წინ მკითხველს ვთავაზობ ლექსის 16 ტაეპს, რომელსაც ადრიდანვე იცნობდნენ აჭარაში (ჭვანაში) და სიმღერის ტექსტში შეტანილი იყო. აი ისიც:

ფანჯარასთან მომდგარიყავ,
ნაწნავი გადმოგეყარა,
ათი თითი ბროლის ხელი
წმინდა წელში ჩაგეყარა.
ლოყა შენი ვარდისფერი,
ზედ შექერი მოგეყარა;
რა იქნება შენც გიყვარდე,
გენაცვალა თლათ ქვეყანა.
რალა შენი ბედიც მომცა,
თუ გამჩენმა მომიყვანა.
გაგიგორდები კლავებზე,
როგორც რომ შენი ბალანა.

.....

ღმერთო, შენცა შეიბრალე
ამისი მთქმელი ფუხარა,
სიყვარული ვინც არ იცის,
იმას ასწავლეთ დიდხანა.

* * *

ვინაა ლექსის ავტორი?

ყველა ზემოდასახელებული მკვლევარი თუ ავტორი ერთსულოვნად აცხადებს, რომ ამ ლექსის შემთხვევლია **ჭვანული შირინ შარაშიძე**. ემენ დავითაძემ და მამია ხარაზმა მისი ბიოგრაფიაც გამოაქვეყნეს. აქ ნათქვამია რომ იგი და-

იბადა 1875 თუ 1880 წლებს შორის. მას იცნობდნენ **ვოდელიოლის** გვართაც, რადგანაც მისი მამაც მელექსე-მომღერალი („ვოდელია“) იყო.

შირინ შარაშიძე ბავშვობიდანვე ვერ ეგუებოდა რუსეთის იმპერიის რეჟიმს, ამიტომ ფარულად თუ აშკარად გამოდიოდა არსებული ნყობილების წინააღმდეგ; სატრფიალო ისტორიულ და საგმირო ლექსებთან ერთად, თხზავდა მჩაგვრელთა მიმართ შექმნილ სატირულ ლექსებს, ამიტომ შირინ შარაშიძეზე რუსეთის ადმინისტრაციამ მეთვალყურეობა დააწესა და ეძებდა საბაბს მის შესაპყრობად.

შირინ შარაშიძის დევის მიზეზზე სხვადასხვა ავტორს განსხვავებული ვერსიები გააჩნდათ. **ემენ დავითაძე** იშველიებს ბათუმის ს. კ. ინსტიტუტის ფონდს (№54, გვ. 132) და თვლის, რომ მან მამის მკვლელობა შური იძიო (გვ. 133); ამასვე იმეორებენ **ნოდარ შარაშიძე და დემურ ქათამაძე** (ჭვანის ხეობა, ბათუმი, 2002 წ. გვ. 270, 382-384). **აზიზ ახვლედიანი** სხვა მოსაზრებას გვთავაზობს. მას პირადად უსაუბრია ცნობილი ყაჩაღის მევლედ დიასამიძის შვილთან ადემთან, რომელიც მაშინ 77 წლისა და ბევრის მომსწრეც იყო. ამ საუბრიდან ირკვევა, რომ „**ჭვანული ვოდელიოლი** ლამაზი კაცი იყო. მაგას ყავდა შეყვარებული ქალი, ლექსით შეაყვარა თავი (ალბათ, ჩვენს მიერ ზემომოტანილ ლექსს გულისხმობდა, რ.ს.). ამ შირინს დუუყდენ გოგოს ძმები და დაყარეს ყურშუმები“ (გვ. 190, 191), მაგრამ შირინი გადარჩა და რუსეთის კონტროლირებად შავშეთს შეაფარა თავი. ამ დროს „მევლედის და მისი ამხანაგების მოლაღატე მეზერჯოლლები წასულან თურქეთში. იქ იყო დიდი კაჩალი ვოდელიოლი-ჭვანელი. იმან რომ შეიტყო, აგინი ფუშტები არიანო, ყველაი დახოცა... ბოლოს თავრობამ დეიჭირა, გაპარსა თავ-წვერი, მუსაჯა თორმეტი წელი და ხელფენშეკოჭილი წეიყვანეს პარახოტით, ღამე გადახტა ზღვაში, გევდა ჭოროხის პირში და იქიდან სათათრეთში“ (გვ. 1919). როგორც ჩანს, ამჯერად ოსმალეთის იმ პროვინციაში, რომელსაც რუსეთი ვერ აკონტროლებდა.

ამის შემდეგ **შირინ შარაშიძის** კვალი იკარგება. ნიკო მარი და აზიზ ახვლედიანი თვლიან,

რომ იგი შავშეთში იყო და ავრცელებდა თავის ლექსებს, ემენ დავითაძის აზრით, ოსმალეთში „დევნილი სახალხო გმირი და მელექსე მარტოობაში გარდაიცვალა“ (გვ. 134). ნოდარ შარაშიძისა და დემურ ქათამაძის მოსაზრებით მან ოსმალეთში ოჯახი შექმნა და ცოლ-შვილი ჰყავდა.

შირინ შარაშიძის (ვოდელიოლლის) სიცოცხლის ბოლო წლებზე ჩვენც ვერაფერი მოვიძიეთ და დღემდე მისი გარდაცვალების მიზეზი და ადგილი უცნობია.

1989 წელს თურქეთში, მუჰაჯირების მიერ დაარსებულ სოფელ ბალჩაყაიაში, საინტერესო ამბები ჩაინერა პროფესორმა **შუშანა ფუტკარაძემ**. ვახტანგიძეების ოჯახში იგი გაეცნო ჰაჯი-ახმედს და მასთან სტუმრად მყოფ თერნალელ (შუახევის რ.) იდრისოლლის, რომელსაც საკუთარ დუქანში შემთხვევით გაუცნია კაცი, რომელსაც ვოდელიოლლი ვარო, უთქვამს: „... ერთი ბერი კაცი მოვდა დუქანში, ჩაცმული აქ ლამაზათ. დედევ, ჩემთან მოდი დაჯექ-მეთქი.

– მე ვოდელიოლლი ბერი ვარო, გამოქცეული ბათუმიდანო... დეეჭირეს-ნა ჩემი თავი მემლექეთშიო. სახლის ზეიდან ამუელ, თოფი დავასე და წამუელო. ჩემ ხანუმსა იხსანაი ერქვაო. ქალსა ვუთხარ რომე კარქა შემომადევნე თუალი, ჩუენი ერთმანების ბოლო დანახვა არიო“ (**შუშანა ფუტკარაძე**. ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993 წ. გვ. 133).

ჩანაწერი ჩვენთვის ძალზე ძვირფას ცნობებს შეიცავს. ცნობილი ხდება, რომ შირინ ვოდელიოლლის 78-80 წლამდე (შესაძლოა მეტიც), ღრმად მოხუცებულობამდე, უცოცხლია, ცხოვრობდა ბახჩაყაიაში, აჭარაში დაუტოვებია ცოლი, რომელსაც იხსანი რქმევია. ალბათ, ეს ის გოგოა, რომელსაც „ლექსით შეაყვარა თავი“, შეირთო კიდევ, მაგრამ ცოლისძმებს დაერიდა (არის ასეთი გამოთქმა აჭარაში) და მეზობელ ახალდაბაში დაიდო ბინა. შვილი არ ჰყავდა, რამაც ამ სოფელში შარაშიძეთა ახალი გვარის გაქრობა განაპირობა. შვილები რომ ჰყოლოდა, შირინი მათს შესახებ აუცილებლად მოუყვებოდა თერნალელ იდრისოლლის.

შირინ ვოდელიოლლის დაუსწრებლად იცნობდა ს. იფხრეულის მცხოვრები 80 წლის დურ-

სუნ (დურალა) საღრიძე: „ვოდელიოლლი შირინი იყო გამიგონია-ო“ უთქვამს მას მეცნიერისათვის (იქვე, გვ. 295).

დღეს ჩვენთვის ცნობილია შირინ შარაშიძის 7 ლექსი: „ვოდელიოლლის ლექსი“, „აჭარული დესტანი“, „დამწვარი გული“, „ვერკი, ვერკი ვერკისფერი“, „აკოშკაზე მომდგარიყავ“, „სატრფოსთან განშორების ლექსი“ და „ცოტა რამეს მოგახსენებ“.

* * *

შირინის ბიოგრაფიიდან ერთ მომენტს გავიმეორებ. მკვლევრები ეყრდნობიან 1904 წელს ნიკო მარის ნათქვამს და მისი დაბადების საორიენტაციო თარიღად 1875, 1880 წლებს მიიჩნევენ. ლექსების განალიზებით დავრწმუნდით, რომ ორივე ვარაუდი ნაწილობრივ სწორია. ნიკო მარის მიერ 1904 წელს ჩანერილი ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ნათქვამია:

„ფირალად რომ გამოვედი
არ ვიყავი ოცი წლისა“.

ნიკო მარი ამ ლექსს 3-4 წლის წინ, ე.ი. 1900 წელს დაწერილად თვლის. ამის მიხედვით შ. შარაშიძე თითქოს მართლაც 1880-ში დაიბადა. მაგრამ მკვლევრებმა ანგარიში არ გაუწიეს ლექსის შინაარსს. ავტორი ამბობს ფირალად რომ გავედი, მაშინ 20 წლისაც არ ვიყავიო, რომელშიც არ იგულისხმება ლექსის დაწერის დრო. ამ მოსაზრებას აბათილებს და შედარებით ზუსტ დროს გვთავაზობს ლექსის მეორე ვარიანტი, რომელიც დაცულია ბათუმის ს-კ ინსტიტუტში (ფ. XI, 1961 წ. გვ. 28). აქ ნათქვამია:

„ფირალად დავიარები
და ვიქნები ოცდახუთში“.

თუ სიტყვების, „გამოვედი“ და „დავიარები“ მნიშვნელობას სწორად გავიგებთ, დავრწმუნდებით, რომ შირინ შარაშიძე ფირალად „გავარდა“ 20 წლის ასაკში, ე. ი. 1895 წელს „ამ სახელით ის ხუთ წელს „დვიარებოდა“, ე.ი. დაბადებულია 1875 წლის ახლოს, ხოლო ლექსი შეთხზულია 1900 წლის ახლო ხანებში, რაც ემთხვევა ნიკო მარის ჩანაწერებს.

* * *

შირინ შარაშიძის სადაურობას ჩემს მიერ მოხმობილი ყველა ავტორი ეხება და მას **ჭვანულად** აცხადებს. აქ სადავო არაფერია, მაგრამ ვინაშც ამ საქმესთან ახლა გაუჩნდა ინტერესი, საჭიროდ მიმაჩნია მათთვის ზოგი რამ სხვა ავტორებისა გავიმეორო, ზოგიც საკუთარი მოსაზრებები გაუზიარო. პირველ რიგში შირინ შარაშიძის სადაურობას შევეხები. ამის შესახებ პირდაპირი მინიშნებები გვხვდება მისივე ლექსებში.

ნიკო მარმა იმერხევის სოფელ თეთრაქეთში მოლა იბრაიმ ჩაუშოდლუსგან ჩაინერა „ვოდელიოლის ლექსი“, რომელშიც ნათქვამია:

„ოდელიოლის თუ იკითხავ
ჭვანას აქ მისი ვათანი“ (სამკვიდრებელი).

სოფელ მერისში ჩანერილ ვარიანტში ვკითხულობთ:

„ღალატიდან მეშინია,
ველარ დავდექი ჭვანაში“ (ა. ახვლედიანი).

ლექსი „კატა და თავგი“ ასე ბოლოვდება:

„ამ ლექსისა გამომთქმელსა
ჭვანელს ეტყვიან ფირალსა“ (ნ. მარი).

ნიკო მართან საუბარში მოლა იბრაიმს დაუმატებია, „ჭუანა აჭარას არი“-ო.

ერთი შეხედვით დადასტურებული ფაქტი დაზუსტებას მაინც საჭიროებს. ამ შემთხვევაში სახელი „ჭვანა“ ჩემი აზრით, ინერება არა სოფლის, არამედ ხეობის მნიშვნელობით. ხეობის ყველა მცხოვრებს, ხიჭაურიდან ნაღვარევამდე ხშირად ჭვანელს ეძახდნენ. გარდა ამისა, საკუთრივ ჭვანაში შარაშიძეები არასოდეს არ ცხოვრობდნენ. ეს გვარი საკმაოდ გავრცელებულია სოფლებში: წყაროთაში, ჭალაში, ვანში, ცხემლისში, ინკირვეთსა და ხაბელაშვილებში. დასახელებულთაგან რომელი სოფლიდან შეიძლება იყოს შირინ შარაშიძე (ვოდელიოლი)? ნოდარ შარაშიძე და დემურ ქათამაძე ეყრდნობიან ზეპირ გადმოცემას და თვლიან, რომ იგი სოფელ ახალდაბიდან, კერძოდ, ცაცნაურის უბნიდან იყო, მაგრამ ახლა

იქ არც ერთი შარაშიძე არ ცხოვრობს (გვ. 270). შევეცდები ამ თემაზეც გამოვთქვა ჩემი აზრი. რადგანაც სადაურობის გარკვევას კავშირი აქვს მელექსე აბრაგის გაქცევის მიზეზთან, ჩემმა ვარაუდმა შესაძლოა შეცვალოს ამ საკითხზე დღემდე დამკვიდრებული მოსაზრება.

მე-19 საუკუნის ბოლოს, ბათუმის ოლქში მოქმედებდა 127 მუსლიმანური სკოლა (მედრესე). ამ სკოლებზე რუსეთის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ზედამხედველობა დაანესა. მისი მთავარი მიზანი იყო მოსწავლეთა შორის არ გაღვიძებულიყო ქართული ეროვნული სულისკვეთება, ე. ი. ცარიზმის ხელისუფლებას ერჩია ახალგაზრდობა ყოფილიყო უცხო რელიგიის ფანატიზმის ტყვეობაში, ვიდრე ესწავლა ქართული წერა-კითხვა, გაცნობოდა ქართულ წიგნებს და დაებრუნებინა ეროვნული ცნობიერება.

მედრესეთა მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებამ კეთილსაიმედოდ გამოაცხადა. გამონაკლისი იყო: გონიოს უბნის საბაურის, ზემო აჭარის უბნის ვარჯანაულის (ჭვანის) და ბარათაულის მუსლიმანური სკოლები და მათი მასწავლებლები: „ალი-ეფენდი ხაჯი ოსმანოლოლი, მოლა ქამილ პაპიოლოლი-ნაკაშიძე (სოფ. წყაროთის მცხოვრები) და მოლა რეჯებ მჟავანაძე სოფ. გომარდულიდან (ხარიტონ ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათუმი, 1944 წ. გვ. 125-128). მათი არაკეთილსაიმედოობა გამონწვეული იყო იმით, რომ ზაქარია ჭიჭინაძის დახმარებით შეისწავლეს ქართული წერა-კითხვა, შეგირდებსაც ფარულად უკითხავდნენ ქართულ წიგნებს და ასწავლიდნენ ანაბანას.

1893 წელს გაფორმებულ ერთ დოკუმენტზე, რომელზეც დასმულია 15 არაბული ხელმოწერა, რეჯებ მჟავანაძე და ახმედ პაკოლოლი-შარაშიძე (სოფელ ჭალიდან) ქართულად აწერენ ხელს, რაც იმ დროისთვის მოულოდნელ იშვიათობას წარმოადგენდა (საბუთის ასლი ჩემთან ინახება – რ.ს.).

შირინ შარაშიძის მსგავსად, რეჯებ მჟავანაძეც მოჯანყე-მელექსე იყო. ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე ლექსი ხალხში გაავრცელა და ისინი სიმღერადაც იქცა. ხელისუფლება მასაც ემუქრებოდა და დევნილმა რეჯებმა ოსმალეთში გაქცევით უშველა თავს.

შირინ შარაშიძის ლექსები მოლა ქამილ ნაკაშიძემ პირველ რიგში გაავრცელა წყაროთელ მოსწავლეთა შორის, მაგრამ თავად ავტორი ადმინისტრაციამ ვერ მოიხელთა. აგენტები ადმინისტრაციის წინაშე პირნათელი რომ ყოფილიყვნენ, ლექსების გამავრცელებელ არაკეთილსამედო მოლა ქამილ ნაკაშიძეს ჩაუსაფრდნენ, მოისყიდეს მკვლევები და საკუთარ სახლში გამოასალმეს სიცოცხლეს. ეს მოხდა 1899 წელს (**ნოდარ შარაშიძე, დემურ ქათამაძე, გვ. 47**. ავტორები ლექსის შემთხვევლად **რეჯებ მჟავანაძეს** ვარაუდობენ. სინამდვილეში იგი შირინ შარაშიძესია).

ქამილ ნაკაშიძის მკვლევლობამ შეაშფოთა მოსახლეობა, პირველ რიგში ლექსების ავტორი, ახალგაზრდა შირინ შარაშიძე, რომელიც მოკლულის ახლო ნათესავი იყო. მანაც არ დააყოვნა და მალე ქამილის მკვლელზე შური იძია (მთხრობელი ქამილ ნაკაშიძის შვილიშვილი, ჭალის მცხოვრები, 92 წლის ახმედ თოფუზის ძე შარაშიძე).

ეს ცნობა საშუალებას გვაძლევს სხვა ავტორთა მოსაზრებებში შევიტანოთ ცვლილება: შირინ შარაშიძეს ხელისუფლება სდევნიდა არა მამის, არამედ უახლოესი ნათესავის, ქამილ ნაკაშიძის, მკვლელთან ანგარიშსწორების გამო.

ამავე ცნობით შეიძლება გავაკეთოთ მეორე დასკვნაც: შირინ შარაშიძე არის ჭვანის თემის სოფელ წყაროთიდან. გამორიცხული არაა, რომ ამ სოფლის მომიჯნავე ახალდაბაშიც ცხოვრობდა.

* * *

ორიოდე სიტყვა „ჭვანური ხინკალას“ მელოდიის შემქმნელზეც უნდა ვთქვათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შირინ შარაშიძის მამა გა-

ნთქმული მელექსე-მომღერალი და მოცეკვავე ყოფილა. შარაშიძეთა საგვარეულოში ეს ხელოვნება თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ისინი ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის ოსტატებიც იყვნენ. მათ შორის აბას შარაშიძე (ჭიბონი) და ახმედ შარაშიძე (ჭიბონი, დოლი).

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია შირინ შარაშიძის მამის სახელი, რომელსაც, სწორედ სიმღერების შეთხზვისა და ოსტატურად შესრულების გამო ოდელიოლი შეარქვეს. საყურადღებოა, რომ ეს თიკუნი შარაშიძეებში იხმარებოდა არა ტრადიციულად დამკვიდრებული ოსმალური გვარის მნიშვნელობით, არამედ იგი ამ ოჯახის ნართაული მეტსახელი (ლალაბი, ლაყაფი – საბა) იყო, რაც თავისთავად შირინ შარაშიძეზეც გადავიდა, როგორც ლექსთმთხველზე და მომღერალ-მოცეკვავეზე. ერთ-ერთ ლექსში თავისთავზე ამბობს:

„ფირალობა დამიმტკიცეს,
ველარ ვქენი სახლში რჩენა.
სამა-სიმღერა მიყვარდა
ქოშიებში წამოფრენა“.

ჩვენი ღრმა რწმენით, „ჭვანური ხინკალა“-ს მელოდიას საკუთარი ლექსი შეუწყო **შირინ შარაშიძემ**, რაც ჩვენამდე ოდნავ სახემეცვლილი მოვიდა. სიმღერის სახელი, სიტყვა „ხინკალა“ ხინკი-დან მოდის, რაც შერჩეულ მარცვალს და მითი შეკაზმულს ნიშნავს (ქეგლ-ი, იაკობ გოგებაშვილი). სიმღერა მართლაც გულში ჩამწვდომი მელოდიითაა შეკაზმული და როგორც ტექსტით, ისე მუსიკით ატყვევებს მსმენელის გულს.

22.12.2017 წ.

აუსილებელი ბანმარტები

გურიელთა და ხიმშიაშვილთა ისტორიული მოყვრობის თემაზე მუშაობისას (1967 წ.), ისტორიკოს ხარიტონ ახვლედიანის რჩევით, გავეცანი სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებს, მათ შორის დავით წერეთელის (სხვიტორელის) ხელნაწერს (№103); ეს საბუთი ერთადერთია,

რომელშიც დეტალურად აღწერილია სიმონ გურიელის ქალიშვილის კესარიას (1785-1861) და სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟის აბდის (1789-1859) ქორწინება, აგრეთვე, მათი ქალიშვილის ესმას (1819-1893) ბიოგრაფია. ჩემი მუშაობის შედეგები გამოვაქვეყნე აჭარის ადგილობრივ პრესა-

ში (1968 წ.) ამ მასალით დაინტერესდა, აგრეთვე, ცნობილი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელმაც იგი გამოაქვეყნა ქუთაისის ჟურნალ „განთიადში“ (№4, 1978 წ.).

სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, დ. წერეთლის დღიურებში არის ცნობა სელიმის ვაჟის ახმედ ხიმშიაშვილის (1781-1836) მეუღლის დუდი-ხანუმ ბეჟანიძის (1810-1869) მიერ ცოლქმრულ ურთიერთობაში ჩადენილ ღალატზე.

საქართველოს ისტორია კარგად იცნობს მრავალ ცნობილ მანდილოსანს, რომელთა შესახებ ვრცელდებოდა სხვადასხვა შინააარსის ტყუილმართალი მათი საქციელის შესახებ. სამწუხაროდ, ამგვარ ჭორს ვერ ასცდნენ ქართველი მეფე-ქალები და დიდებულები. ამიტომ დავით წერეთლის ჩანაწერი ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩნიე და ნაწილობრივ დავიჯერე კიდეც, თუმცა მან მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს, ემოციური ფონი შემიქმნა და გამიჩინა სურვილი დამედასტურებინა, ან უარმეყო ეს ჩანაწერი.

მომდევნო წლებში საშუალება მქონდა გავცნობოდი მასალებს, რომლებსაც როგორც პირდაპირი, ისე ირიბი დამოკიდებულება აქვს ახმედ ხიმშიაშვილთან და მის ოჯახთან და ნაწილობრივ გამოდგება დ. წერეთლის ჩანაწერის უარსაყოფად, მაგრამ ესეც საკმარისად არ მივიჩნიე თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ამ თემაზე დასაბრუნებლად.

2011 წელს გამოქვეყნდა ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წიგნი „დავით წერეთელი (სხვიტორელი)“, რომელიც პირველი გამოკვლევაა აკაკის ძმაზე. პირველობასთან ერთად, იგი ერთ-ერთი სრულყოფილი ნაშრომია, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ამომწურავად გააშუქა სხვიტორელის შემოქმედება. ბუნებრივია, წიგნში შეტანილია ყველა მასალა და ზემოთ დასახელებული ცნობაც

ახმედ ხიმშიაშვილის მეუღლეზე დუდი-ხანუმ ბეჟანიძეზე (წიგნის სისრულისთვის ავტორი ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო), თუმცა ამ ცნობისათვის მას არავითარი შეფასება არ მიუცია და არც რაიმე კომენტარი გაუკეთებია (ესეც ავტორის უფლებაა), ამდენად ჩემს მოსაზრებაზე მას არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

2016 წელს მოსკოვის სამხედრო ისტორიული არქივიდან მივიღე საკმაოდ მდიდარი მასალა შერიფ ხიმშიაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, მის მრავალრიცხოვან ცოლ-შვილზე, ქონებრივ მდგომარეობაზე, უმაღლეს ორგანოებში მიწერ-მოწერაზე და ა. შ. ამ მასალებში არაერთგზის ჩანერილია შერიფ ხიმშიაშვილის დაბადების თარიღი და სხვა ცნობები, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ დავით წერეთლის დღიურების უარსაყოფად. მეც დავუბრუნდი ამ თემას, მოვამზადე სამეცნიერო ნაშრომი და მოხსენებით წარვსდექი ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე.

მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ჩემი გამოსვლა რატომღაც პროფ. ა. ნიკოლეიშვილის წიგნს დაუკავშირა და მიიჩნია, თითქოს მოხსენება ამ ნაშრომის საპასუხოდ მომზადდა.

როგორც ვთქვი, ეს განზრახვა ნახევარი საუკუნის წინ გამიჩნდა, როცა ერთ-ერთი პირველი გავეცანი დ. წერეთლის დღიურებს და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ აქ სხვა მკვლევრების ნაშრომის კრიტიკა გამორიცხულია.

ბატონ ავთანდილთან მაქვს უაღრესად ჯანსაღი შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა, ამიტომ ასეთი ფორმით და მეთოდებით საუბარს მას (არც ჩემს თავს) არ ვაკადრებ და ბოდიშს ვუხდი ამ გაუგებრობისთვის.

14.11.2017 წ.



ექსპედიციის დღიურები¹

27 ივლისი, ხუთშაბათი. მზე უკვე ამოსულიყო, როცა გავიღვიძეთ. საუზმის შემდეგ ექსპედიციის ნაწილი იუსუფელში წავიდა, უპირველესად, მანქანის შესაკეთებლად, – ხელის მუხრუჭი მოიშალა. სახიფათოა გაუმართავი მანქანით მთის ფერდობებზე, ხშირად ალპურ ზონაში, შეფენილი ტაოს სოფლების მიხვეულ-მოხვეულ გზებზე სიარული... ქალებმაც ისურვეს ქალაქში წასვლა: ვიდრე მანქანას შეაკეთებენ, თვალს წყალს დააღვინებენ, მაღაზიებს შემოივლიან და დაბრუნდებიან.

მე სასტუმროში დავრჩი. ვიფიქრე, დავწერ-მეთქი რამეს, ამიტომაც არ წავყევი მიმავლებს. სასტუმროს პატარა ოთახში სანოლზე ჩამომჯდარი (მაგიდა ნომერში არ გვაქვს, არც სკამი იყო, მოთხოვნის შემდეგ შემოგვიტანეს) ჩანანერებს ვაკეთებ მომავალი წიგნისათვის.

სასტუმროში დარჩა ნუგზარიც, „იარებს იშუშებს“ ბრძოლაგამოვლილი...

თითქმის სამი საათი გავიდა, ქალაქში წასულები კი არ ჩანან. შუადღენამაზის დრო ამცნო ხოჯამ მლოცველებს, რაც იმის ნიშანია, რომ ჩვენი დროით შუადღის პირველი საათია...

როგორც იქნა, დაბრუნდნენ წასულები: მანქანა ვერ გაუმართავთ, სათადარიგო ნაწილი არ აღმოჩნდა იუსუფელში. ართვინში დაურეკავთ,

მემედ ალი ქესკინისათვის (ჩვენთვის მამუკა ბისონიდისათვის – ავტ.) უთხოვიათ, მოიკითხე, ეგებ თქვენთან იყოსო საჭირო დეტალი. მალე ართვინიდან დარეკეს, ხვალ გამოგიგზავნითო მანქანის ნაწილს...

ტარიელი წუხს, საშიშიაო უხელისმუხრუჭო მანქანით აღმართებში სიარული.

გადავწყვიტეთ, დღეს ელიასხევის ქვემო სოფლებში ვიმუშავეთ, საფრთხეში არ ჩავიგდებთ თავს და მალლა დასახლებებში არ წავალთ.

დევისა პირველი დასახლებაა ელიასხევის ხეობაში, ელიასხევის უბანი. მას **ქუჩუკ ხევეკ-საც** ეძახიან. **დევისა** (<***დევ-თ(ა)-ის-ა**) საყურადღებო სახელური ფუძეა **-ის** მანარმოებლით. იგი ვილაცის კუთვნილებაზე მიუთითებს. საძიებელია **დევ** ფუძის მნიშვნელობა. შესაძლებელია, იგი ქართული ზღაპრის პერსონაჟს, დევს დავუკავშიროთ. იგივე ფუძე მეტსახელადაც გვხვდება ქართულ კულტურაში, რისი დასტურიცაა გვარ-სახელი **დევი(ს)ძე, დევა(ს)ძე...** აქვე, ზემოთ **ბალხი** და **ბალხიბარია**, მეზობლად – **კალმახეთი**, სადღაც **ქაჯისკარიც**.

დევისა, მთაში – **დევსაგარა, ბალხი, ბალხიბარი** (შდრ. ამირანის ეპოსის ჩა-ბალხ-ეთ-ი), **კალმახეთი, ქაჯისკარი...** ასოციაციურად ამირანის ეპოსთან მაკავშირებს და მითოლოგიურ სამყაროში გადაყავარ.

¹ გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №2, 2018 წ.

დევთისაში არ გავეჩურებულვართ, ელიასხევე-ში ავედით. სოფლის ცენტრში, დუქანთან, ორი მამაკაცი, – ნეჯათ აჯარი და იბრაიმ ოზდემირი – ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. მათთან მივედით, გავეცანით. მაგიდასთან მიგვიწვიეს, ჩაი შემოგვთავაზეს. უფრო გაშინაურებისათვის 1995 წლის ექსპედიცია გავიხსენე, იმ დროს გაცნობილი ელიასხეველებიც: რეჯებ ქესკინი, ადემ ფოლადი, ბექირ გიურქი და სხვები.

ბექირის სიძე ვარო, – ნეჯათ აჯარმა!

გავიხსენე ბექირისა და რეჯების მიერ გამოჩენილი ყურადღება წინა ექსპედიციის დროს: რეჯებმა მოგვატარა ელიასხევის მექართულე სოფლები, ბექირი გაგვყვა ქვაბაგში...

ტაოს მექართულე სოფლებში ხშირად გაიგონებთ, „ჩვენი დედები ბათუმიდან აქ მოვინეს...“ ანდა: „ჩემი დედა აჭარადამ მოსულია...“ რატომ მაინცდამაინც ბათუმიდან /აჭარიდან მოვიდნენ ელიასხეველთა დედები? რა აკავშირებთ ელიასხეველებსა და პარხლელებს ბათუმთან?

პარხლელებს² ბათუმთან რომ ჰქონიათ ურთიერთობა, ამას ბათუმელთა მეტყველებაში დაცული ფრაზეოლოგიური გამოთქმაც მოწმობს: **პარხალი** (იტყვიან ადამიანზე, რომელიც ბევრს ჭამს)³ და ისიც, რომ ბათუმელთა ხსოვნას შეუნახავს პარხლიდან მოსული დღიური მუშების შესახებ გადმოცემები. ვფიქრობთ, ძიება სხვა დეტალებსაც გამოავლენს...

– ნეჯათ ბატონო, იბრაიმ ბატონო, ჩვენ წიგნს ვწერთ თქვენს კუთხეზე. ახლა მასალების შესაგროვებლად ჩამოვედით. თქვენი დახმარება გვჭირდება, ოცდაორი წლის წინ დანყებული საქმე რომ დავასრულოთ. ბევრი რამ თქვენზეა დამოკიდებული, როგორი შრომა დაინერება. თქვენი ნათქვამი ყოველი სიტყვა თქვენივე ავტორობით შევა წიგნში. სხვაგვარად, მომავალი წიგნის თანავტორები იქნებით თითოეული თქვენგანი.

არ ვიცი, რამდენად გასაგებად ვუთხარი ნეჯათსა და იბრაიმს სათქმელი, ერთი კია, თანამშრომლობაზე უარი არ უთქვამთ.

– ადგილის სახელებით დავინყოთ, ჩაგვანერინეთ სოფლებისა და ყანა-ბაღჩების ძველი სახელები.

– დევნყოთ:

**დევთისა,
ქორიათი|ქორიეთი,
ელიასხევი,
ყარჩი ყანა,
ბაირ ყანა,
ქაფშოლი,
ბონმინდა,
დიდი მამული,
თერსეკეთი,
ფარული,
წყარო ღელე,
წინსაყარი,
ცუცეკარი,
ცუცაგარა,
დოლეკარი.**

დასახელებულ ტოპონიმებში ყანა მინის, კარი – ეზოს, საკარმიდამოს, აგარა კი – „საზაფხულო სადგომის“ (საბა) მნიშვნელობითაა ნახმარი.

ყურადღებას მივაქცევთ გეოგრაფიულ სახელს **ქორიათი|ქორიეთი**. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ თანამედროვე ტაოურში **ქორი** ბოსელში შემოღობილი კუთხეა წვრილფეხა საქონლისათვის, „პურტყისათვის“. სხვაგვარად, **ქორს** განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას ჰქონდა ძველ ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში, მათ შორის შავშურში. **ქორიათი|ქორიეთი** ტოპონიმის პოვნეიერება ელიასხევი დასტურია იმისა, რომ ტაოურში **ქორს** იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც შავშურში (იგივე მნიშვნელობა ჩანს კლარჯულშიც, აჭარულშიც): **ქორიათი|ქორიეთი** ის ადგილია, სადაც ქორებია.

– კარგი მდინარე გაქვთ, სუფთა, ცივი, თევზი იქნება, ალბათ, ელიასხევეში!

– ელიასხევე კააა, თევზი არი, დეაჭირო'ნა, შეჭამო.

– თევზს რით იჭერთ?

² შევნიშნავთ, რომ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე პარხლის ხეობის სოფლებიც მექართულე იყო.

³ შდრ.: პარხალი – მეტსახელი კაცისა. იხ. შ.ნიფარაძე, დასახ. ნაშრ.

– თევზს კანჯაფთ ვიჭირავთ. ერთი პეპელა კანჯა არი, ერთი ნურმალ კანჯა არი... ავითაც (აქ: ბადე) ვიჭირავთ. კანჯას მისინას (აქ: ნეილონის ძუა) მოვაბამთ, მისინა სარზე ებმება. წყალში ბოტოტები არიან, წყალი შიგან, იმა გადაჭრი, წამუბამ. ჯაყელსაც ვხმარობთ, ჰამა თევზი ჯაყელზე არ მოვა.

– ბევრია ელიასხევეში თევზი?

– სივთა ბევრი იყო აქ თევზი, ახლა დააბლდა.

– რატომ დააბლდა, ბევრს იჭერენ თუ სანამ-ლავს ყრიან ლელეში?

– რა ვიცი, მე აქ არ ვდგავარ, ბურსას ვარ, – თავი აარიდა პასუხს ნეჯათმა. მეც საუბრის თემა შევცვალე.

– ტყეებში ნადირი ბევრია?

– დათვიც არი, ღორიც არი... ღამე მოვა. პირტყვეს შეჭამს დათვი, თხაჲ, ცხვარი... ახლა ბოვრი არიან.

დათვი ანუხებს ელიასხევს, სხვა ნადირიც. მოკვლა აკრძალულია. სარაკუნას|ტაკტაკა-ს|დათვითავს ანყობენ ელიასხეველები ნადირის დასაფრთხობად, მაგრამ დათვი მალე ერევეა შესაშინებლად მოწყობილ „დათვითავს“ და ჩამოდის სოფელში: ბალს მიირთმევს, პანტასაც, თუთას დარეკავს, ნათესებს ანადგურებს, პურტყეს ჭამს... „დიდი გააურია იგი (დათვზე ამბობს – ავტ.), აუუუუ! ოო, კაც არ შეჭამს აბა? დიგინახოს არ შეჭამს? დაღეჭა ჩვენი ბებე'რი, დაღეჭა, ჰო, კაცი დაღე'ჭა“ – გვითხრა ცუცუკარელმა ფატმა ჩორაფჯიმ⁴. შენუხებული ელიასხეველები ჩუმად კლავენ აბეზარ ნადირს, აღარ ერიდებიან მთავრობის აკრძალვას.

– კარგად ლაპარაკობთ ქართულად, – შევუქე ქართული მასპინძლებს.

– ჩვენ ალფაზე არ დევნახეთ, ალფაზე არ არი აქ. ანადამ, დედეადამ... ყურიდამ ყურში ვისწავლეთ, მიხდი?

– მივხვდი, ბატონო ნეჯათ, გავიგე, რისი თქმაც გსურს...

– ჩვენც გედევცვალენით (შევიცვალეთ – ავტ.), ყურიდან ყურში გაგონილი ვიცი, ალფაზე არ გვაქ, – აზუსტებს იბრაიმი.

კარგი ნათქვამია „ყურიდან ყურში გაგონილი“ გურჯიჯა, ოჯახში დედისაგან და სხვათაგან ნასწავლ ქართულს ნიშნავს იგი. მხოლოდ „ყურიდან ყურში გაგონილით“ სწავლობდა ოჯახში ბავშვი ქართულს. და სწავლობდა მანამ, სანამ „ყურიდან ყურში ესმოდა“ იგი. ახლა რომ აღარ ესმის, ამიტომაც ვერ სწავლობს ბავშვი წინაპართა ენას, პატარაობიდან იმას სწავლობს, რაც ესმის, თურქულს. ამიტომაც „გედევცვალენ“ ელიასხეველები. არადა, მათი გაგებით „გურჯიჯა არ იცის, გურჯი არ არის. იპარიკავს გურჯია, არ იპარიკავს – გურჯი არაა“. საინტერესო ფაქტია ეთნონიმ „გურჯის“ გაგებისა ტაოურში.

– თქვენს სოფელში ბევრი ყორეა, ვინ აკეთა?

– აქ მინა არ არი, ყორე'და აშენო, გასწორედეს, დათესო ქერი, დიკა, მარქვალე, ლეზიო...

– ქერს, დიკას წისქვილში აფქვევდით, ალბათ!

– ჰო, წისქვილში (წავიღებდით – ავტ.), ფქვილ ვიქმოდით, ბელელში, ხაროში ჩავხყურიდით, ვიხმარდით.

– უნინ სოფელში საქონელი ბევრი ჰყავდათ, დაიღებზე დაგყავდათ, ალბათ, ზაფხულობით.

– ფური ბეური იყო, პირტყვიც, ნანველიც... ფახრაჯებში ნანველს ჩადებდეს (აქ: ჩაასხმიდნენ – ავტ.), ადულებდეს, სანურავში ჩახყურიდეს (ყველს – ავტ.), ცხელ შრატში ჩადებდეს, მუჭირებდეს, გაშრებოდეს. შინაჲ გაშავდებოდა, ვშჭამდით...

მძალე ყველის დამზადების შესახებ გვესაუბრება იბრაიმი, რამდენად გასაგებად აგვისსნა მისი მონათხრობიდანაც ჩანს, მაგრამ მაინც ჩავთვალე საჭიროდ მთლიანად მომეყვანა მისი ნათქვამი, უპირველესად ყურადღებას იქცევს ზმნური ფორმები: ჩადებდეს, ადულებდეს, ჩახყურიდეს, მუჭირებდეს, გაშრებოდეს.

ერთი ამბავიც მოგვითხრო იბრაიმმა, ძველეთისაგან გაგონილი; საინტერესოდ მეჩვენა, მკი-

⁴ მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი, 2005, 166-167.

თხველსაც დააინტერესებს-მეთქი, ვიფიქრე და ისე მოვიხმობ, როგორც მოვისმინე:

„ჩემი გენჯობა აქრობაში გეარა... ბევრი გეგონე: ქედი არია, იმი გადაღმა გიათ ქედ ვეცყვით, ქეშიში ცხოვრობდა იქ. დეკაც მალ-ლა, ინტკორ, ხრისტიანი ყოფილა. კაცი იქა, ქალი – აქ, შელიგში. მეზრები იქ არი, ძველი მეზრები. ზეთ, აილაში, ინტკორ ვეცყვით, დეკაც აზელილი უქნია, კანალი უშენ[ებ]ია, კანალში ჩადებდა [აზელილს – ავტ.], ქეშიში აწევდა, შეჭამდა...“

მოყვანილ მოთხრობაში ქეშიშის [მღვდლის – ავტ.] ხსოვნაა ტაოელთა მეხსიერებაში. სხვაგან გაიგონებთ, რომ მათ კუთხეში ძველთაგან მუსლიმანები ცხოვრობდნენ, ელიასხევეში კი მღვდელზე საუბრობენ. ძნელი სათქმელია, რატომ ცხოვრობდნენ მღვდელი და მისი ცოლი ცალ-ცალკე. ცოლი არ ჩნდებოდა ხალხში [შელიგში – ავტ.], მეუღლეს, ქეშიშს საჭმელს [აქ: აზელილს – ავტ.] ჩუმად უგზავნი, „კანალით“, არხით... კითხვა ჩნდება, მღვდელი ხომ ფარულად არ ეწევა ქრისტიანულ ღვთისმსახურებას? ფარული ქრისტიანობის კვალი შეიძლება დავინახოთ იბრაიმის მონათხრობში, კვალი, რომელიც ფერმკრთალდება და თანდათან იშლება აქაურთა ხსოვნაში.

დაჟინებით ამტკიცებს ნეჯათ აჯარი, რომ მისი წინაპარი აჭარიდან მოსულა ამ კუთხეში. მოდით, მოვუსმინოთ მას, მოთხრობა განსჯისათვის კი დავეუტოვოთ მკითხველს: **„ოთხი თანე ძმა მოსულა აჭარადამ, ერთი დედე აქ მოსულა, აქ დამჩალა [აქ: მომკვდარა – ავტ.]; ერთი თანე ერზრუმ დამჩალა, ერთიც – ორდუს დამჩალა. ერთი ურფა თერეფისკე წესულა, დაკარქულა. ერთანე ვერ ვიპუეთ...“**

სხვა ტაოელთა ბაბუების მსგავსად, ნეჯათის ბაბუაც ბათუმში ფურუნში საქმობდა თურმე, **„ქარჩაზე ნევდოდეს, თველზე მოვდოდეს“**, ბათუმიდან მოჭქონდაო დედეს ყაპვე, შექერი, ჩასაცემელი...

ვეცნობით ელიასხეველი ტაოელების ცხოვრებას, ვისმენთ მათ მოთხრობებს და ვხედავთ,

რომ ძნელი და მძიმე ცხოვრებით უცხოვრია აქაურ კაცს, შრომასა და ჭაპანწყვეტაში გაუტარებია ცხოვრება, „ფუში კი არ უძღებოდა“. მნიშვნელოვანია, რომ, მიუხედავად გაჭირვებისა, სახლში სტუმრისათვის ოთახი ჰქონდა, სტუმარს **„პურ მიაართმიდეს, დაანვენდეს...“** ერთ ფაქტსაც მივაქცევ ყურადღებას: **„[კაცი] თუ პურ მიაართვამს მუსაფირ, იმა ალა ვეცყვით“**, – გვეუბნება ნეჯათი. აქ ჩანს სტუმრისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და სოფლის განწყობაც – სტუმარს თუ გაუმასპინძლდება კაცი, ალაა, აზნაურია⁵.

სოფელში შესული, ბუნებრივია, დავინტერესდი საცხოვრებელი ნაგებობით, სახლით და ტაოური კარ-მიდამოთი.

ფიქრიანი კაცია ნეჯათ აჯარი. მას ტაოურ ქართულზეც უფიქრია და ქართულის მდგომარეობაზეც საქართველოში:

– ჩვენი ლაპარაკი გადარეველა, ასიმილე ქნილა. თქვენიც გადარეველა რუსულს უკან...

ტაოურში თურქული ელემენტი შესულა და შეურყვნია, საქართველოს ქართულში – იგივე რუსულ ენას გაუკეთებია. ასეთია ნეჯათის ლინგვისტური „ხედვა“.

ბუნებრივია, ჩვენ არ შევეუდგებით მასპინძლის ლინგვისტური „კონცეფციის“ განსჯას. მთავარია, რომ ნეჯათი და, მასთან ერთად, ბევრი ტაოელი ფიქრობს ტაოური ქართულის ბედზე თურქულ გარემოში. **„ჩვენი დაბადული ენა ქართველია, მასკა დევნავლე თურქია. ჩემმა ებემა (აქ: ბებია) თურქია არ იცოდა“** – გვეუბნება ინფორმატორი. იგი ხედავს, რომ იცვლება თაობები, იცვლება ქართული ენის ცოდნის ხარისხი:

ბებიამ (ებემ) თურქული არ იცოდა, ოჯახში და სოფელში ქართულად ლაპარაკობდა ყველა. ქართული ენის ცოდნა საკმარისი იყო კომუნიკაციისათვის...

მამამ ქართულიც იცოდა და თურქულიც. ოჯახსა და სოფელში ჯერაც საკმარისია ქართული, მაგრამ მამას ოჯახსა და სოფელს გარეთ უხდება ურთიერთობის დამყარება, მისთვის აუცილებელია სახელმწიფო ენის ცოდნა...

⁵ იხ.: შ. ნიჭარაძე, დასახ. შრომა.

შვილმა (აქ: ნეჯათმა და მისმა თაობამ) სკოლაში ისწავლა თურქული. სკოლამდე ოჯახსა და სოფელში იგი ქართულად ლაპარაკობდა. ოჯახში საურთიერთო ენა ქართული იყო...

შვილიშვილმა ქართული არ იცის: ოჯახში ქართულად აღარ ლაპარაკობენ, აქ თურქულმა ჩანაცვლა წინაპართა ენა, შვილიშვილისათვის ქართული არაა „დაბადული ენა“ (სჯობს, „აკვნის ენა“), ამ ფუნქციას უკვე თურქული ასრულებს.

ასეთია ტაოურ ოჯახში თაობათა შორის ქართული ენის ცოდნის დინამიკა. სურათს ხედავს თითოეული ტაოელი, ბევრს ადარდებს, სევდას ჰგვრის არსებული ვითარება. ხეობის, სოფლის თუ ოჯახის ლინგვისტური სიტუაციის შეცვლა უკვე შეუძლებელია – ასიმილაციის პროცესი საკმაოდ შორსაა წასული.

ვსაუბრობთ ელიასხვევლებთან, ვცდილობთ, ჩვენთვის საინტერესო კალაპოტში გადავიყვანოთ დიალოგი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გვინტერესებს, ძველი თუ ახალი...

რამდენიმე სიტყვამ მიიქცია ჩემი ყურადღება, კერძოდ:

ებე – ბებიას მნიშვნელობით. სამხრულ კილოთაგან აჭარულმა იცის ებე, ნიშნავს ბები-აქალს, მეანს⁶, იმავე მნიშვნელობით იხმარება კლარჯულსა⁷ და შავშურში⁸.

ყრალი მოლი (აქ: ბალახი) – ანწლი.

ხოზიკო – მრავალძარღვა.

სუსხვაა|ჭიმჭარი (ჯინჭარი): „ფიშნარჯევში ჩვენ ჯიმჭარ ვეტყვით, იგი სუსხვაა ეტყვის“.

ჭიმჭარი|ჯიმჭარის სინონიმია **სუსხვაა** ([მ] სუსხვაა). უკანასკნელი სახელი შერქმეულია მისი თვისების მიხედვით.

ბგანო|ბგანო – გოგო, ქალი.

ტაოელებმა იციან **ბულლო** (შდრ. ბუერა – ქეგლ) და **სამყური|სამყურა** (ბალახის სახეობაა – ავტ.).

ყური მომჭრა წელიწადის დროების სახელწოდებებმა: **ზღაფხული და ზღამთარი**. ორივე ფორმა ღ'ს გაჩენის იშვიათი ნიმუშია. არც აჭარულში, არც შავშურსა და კლარჯულში აღნიშნული ფორმები არ შეგვხვდრია: **ზღაფხული, თველი, ზღამთარი, ქარჩა** – ჩამოგვითვალეს ელიასხვევლებმა.

ტაოში არ იციან შემოდგომა, იციან – [რ]თველი.

არ იციან გაზაფხული, იტყვიან – ქარჩა⁹.

ბევრჯერ ვყოფილვარ ელიასხვევში. მშვენიერი სოფელია მდინარე ელიასხვევის ორივე ნაპირას გაშენებული. უფრო მარჯვენა სანაპიროა დასახლებული, – მდინარის პირიდან იწყება და შეეფინება **სატალახე** მთის ფერდობებს.

ელიასხვევი სამი უბნისაგან, მაჰალესაგან შედგება: **ფუჩიანნი, ბრაქიანნი, არტანი|არტანი** (<*არტიანი'საგან). ყურადღებას მივაქცევ, რომ სოფლის უბნები შტო-გვარების თუ „ქობის სახელების“ განსახლების ადგილია:

ფუჩიანნი – ფუჩიანების უბანი;

ბრაქიანნი – ბრაქიანების;

არტანი – არტიანების.

ბარემ ვიტყვი, რომ ტაოურში ჩანს ნ'არიანი მრავლობითი, ჯერ არ დაგვიდასტურებია სახელის თ'ანიანი მრავლობითის ფორმა. ვფიქრობ, ესეც საყურადღებო ფაქტია.

– ბატონო ნეჯათ, ადგილის სახელები ჩაგვანერინე, რასაც გაიხსენებ გვასწავლე, – ვთხოვ ნეჯათს.

გარკვეული პაუზის შემდეგ ნეჯათმა ჩაგვანერინა ელიასხვევის მიკროტოპონიმები:

ბუძალეღე,

მოდევლი,

არტანი,

ფერსექეთი (<*ფერსექედი),

ადითავი

⁶ იხ.: შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

⁷ მ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბ., 2016, გვ. 1052.

⁸ მ. ფალავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტყარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, თბ., 2011, გვ. 572.

⁹ გაზაფხული, თოვლის დნობის დრო. იხ.: მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, IV, ბათუმი, 2005, 173.

ფაცახები – კარგი არა და ბეჩი¹⁰. ფაცახ – ბეჩი, განმარტა ინფორმატორმა.

ტაოელებისათვის ყველა დიდი მდინარე ჭოროხია. ამიტომაც, როცა გეუბნებიან, „ჭოროხში მივალ, თევზ ვიჭირავ“, სრულიადაც არ გულსხმობენ მაინდამაინც იმ მდინარეს, იუსუფელს რომ ჩამოუვლის... დღეს ელიასხევზე გვითხრა „ჭოროხში მივალ“ ერთმა ელიასხვეველმა.

დიახ, ტაოელთა გაგებით, ელიასხევი ჭოროხია, პარხლისწყალიც ჭოროხია, იუსუფელთან რომ მდინარე ჩამოივლის, ისიც ჭოროხია, ოლთისისწყალიც ჭოროხია...სხვაგვარად, ყველა დიდი მდინარე ჭოროხია. ერთ ადრე გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილში აღვნიშნავდი ტაოელთა ამ „დაკვირვების“ შესახებ. ბევრმა არ დაგვიჯერა, ერთმა, თქვენი მოგონილიაო. მე ვიცოდი, რომ დავწერე ის, რაც ჩემს მეგობრებთან ერთად მოვისმინე და ჩავინერე, ამიტომაც განმარტება არ მიმიცია აბეზარი ოპონენტისათვის, თუმცა ვიდარდე კი. ბებიაჩემისაგან გაგონილი ერთი ანდაზა გამახსენდა – „კაცი ომში იყო, შინ დაბრუნებულს ქალი ომის ამბავს ახვედრებდაო“ და იმით ვინუგეშებდი თავს. ასე სჭირდა ჩვენს გამქიქებელსაც. ჩვენ ველზე ვაგროვებდით მასალებს, თვითონ სახლში მჯდომი ჩვენს შრომას აფასებდა, უფრო აფასებინებდნენ, ჭოროხის ეტიმოლოგიასაც ადგენდა. ვერ ჯდებოდა ტაოელთა „ხედვა“ მის მსჯელობაში. ამიტომაც გაბრაზდა ტაოელებზე, „როგორ თუ ყველა დიდი მდინარე ჭოროხიაო“, ეს როგორ თქვესო, მე ხომ უკვე დავადგინე ჭოროხის ეტიმოლოგიაო.

აღბათ, არ ნაუკითხავთ ტაოელებს შენი სტატია, თორემ არ იტყოდნენ-მეთქი, „მოვბანე პირი“ ტაოელებს. იმდენად შევწუხდი, კინალამ ბოდიში მოვუხადე გაბრაზებულ მეცნიერს იმიერ და ამიერ ტაოს სახელით. ისიც დავამატე, მაინცდამაინც ქართულიც არ იციან-მეთქი ტაოში, ქართული წერა-კითხვა მაინც-მეთქი.

რამ გამახსენა ახლა ოცი წლის წინანდელი ამბავი?

ჰო, იმან, რომ წელს კიდევ გაიმეორა ერთმა ელიასხვეველმა „ჭოროხში მივალ, თევზ ვიჭირავ“

ვო“ და ელიასხევისკენ გაიშვირა ხელი. ახლა მეც „მეწყინა“, ვიფიქრე, კიდევ არ ნაუკითხავს-მეთქი ის „კვლევა“, ანდა ჯიუტები არიან-მეთქი ტაოელები, დაუჩემებიათ „ყველა დიდი მდინარე ჭოროხიაო“... კაცო, დაფიქრდი კი მაინც, ეგებ, არ არის?!

ისე კარგად კი მოუფიქრებიათ. ჭოროხი მათი მდინარეა, შუანელი მაინც, სახელიც მათ შეარქვეს და მათვე იციან, რატომ და რა ნიშნით.

მე ვუნონებ ტაოელებს მდინარის სახელდების მოტივს, სხვამ თავისი საქმისა თავად იცის... ცუდი დრო იყო გასული 90-იანები...

დიდი ადგილი დავუთმე ძველ ამბავს, უკვე დავინწყებულს. ჩანს, არ დამვიწყნია...

ტაოში მზიანი დღეები დიდად სჭარბობს წვიმიანს, განსაკუთრებით ზაფხულში... ნიადაგი თუ არ მოიწყო, მოსავალს ვერ მიიღებ. ამიტომაც უშენებიათ ტაოელებს სარწყავი არხები. სოფლებში ბევრ მოთხრობას გაიგონებთ არხის მშენებლობაზე, თუნდაც ასეთს:

„ქვები გუუჭრიან, ჰემ გუუხრეტიან, რუ უშენებიათ, წყალი მუუყვანიათ. თავიდან ორი თანე კედელი არი. ძველი რუ – ისე სახელი დუუდვიან“.

იოლია სათქმელად, დედებს „ქვები გუუჭრიან, ჰემ გუუხრეტიანო...“ მაგრამ წარმოვიდგინოთ მათი სამუშაო იარაღები და პირობები და მივხვდებით, რა ჯაფა გადახდენიათ არხის მშენებლებს. ძნელი საქმე იყო არხის მშენებლობა და სოფლის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა. იოლი რომ ყოფილიყო, ამ საქმეს თამარა დედოფალი არ იკისრებდა, სხვაც შეძლებდა მას. ხშირად არც თამარა დედოფლისათვის ყოფილა იოლი წყლის მოყვანა სოფლამდე...

„ჯიფში მაქვა ფარები,

ჩხაკა-ჩხუკით ვიარები“

წაიმღერა იბრაიმ ოზდემირმა.

ცნობისმოყვარე ელიასხვეველები შეიკრიბნენ ჩვენ გარშემო. მალე ადემ ფოლადიც მოვიდა, ძველი ნაცნობი ჩემი. „მე ბევრი მაპატიჯა* ამა-ნო“, – უთხრა ადემს ნეჯათ აჯარმა.

¹⁰ შდრ.: თურქ. beç, შტერი, ყეყეჩი, რეგვენი. იხ. შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

*მაპატიჯა – აქ: მანვალა, მტანჯაო. საყურადღებოა, რომ ტაოურს დაუცავს პატიჯის' ძველი მნიშვნელობა¹¹.

კარგა ხანს ვისაუბრეთ ელიასხვევლებთან, საყურადღებო მასალასაც მოვუყარეთ თავი. ლინგვისტურად საყურადღებო იყო:

ა. ლექსიკური ერთეულები.

ბ. -დამ თანდებული.

გ. გეოგრაფიული სახელები.

დ. ზოგიერთი სახელური თუ ზმნური ფორმა...

ელიასხვევის შემდეგ „ჭილათის ციხეზე“ უნდა ავსულიყავით, პარხლისწყლის მარცხენა სანაპიროზე. იგი მთის ციცაბო ფერდობებზეა აშენებული, ჭილათს გაღმა. სახელიც მდებარეობის გამო ვუნოდეთ, ძველი სახელი ამ ციხისა აღარავის ახსოვს, არც ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წყაროებშია ნახსენები იგი.

ჩანს, არცთუ იოლი მისადგომია ჭილათის ციხე.

ელიასხვევში მოგვისწრო ბინდმა. დღეს ვერ ავალთ ციხეზე, სამომავლოდ უნდა გადავდოთ მისი შესწავლა.

სასტუმროში დავბრუნდით. ცოტა დავისვენეთ. ვახშამდე ჯერ კიდევ დროა. რამაზი მოელაპარაკა მუხოს, „აგარის“ მეპატრონეს, ინტერვიუზე დაითანხმა. მეც იქვე ჩამოვჯექი, შორიდან ვუსმენდი მუხოსა და რამაზის დიალოგს, ჩუმად ვინიშნავდი ჩემთვის საინტერესო სიტყვებსა და ფრაზებს.

ბარემ ვიტყვი, მუხო დევაძე, ასე უნოდებს თავის თავს ჩვენი მასპინძელი, ნამყოფია საქართველოში, – ბათუმში, ქუთაისში, თბილისში, ხშირად მასპინძლობს ტაოში სტუმრად მყოფ ქართველებს. მის მეტყველებას აშკარად ეტყობა არატაოური ქართულის გავლენა, თუმცა არც ტაოურის გარჩევა გაუჭირდება მსმენელს.

მუხოსთან საუბარში რამდენიმე სიტყვა მეუცხოვა და ჩავინერე კიდევ:

„**მე უნინ მძლოლი ვიყავ, მომძაგდა**“, – გაიხსენა თავისი ახალგაზრდობის ერთი ეპიზოდი მუხომ.

მომძაგება, ვფიქრობ, საინტერესო სიტყვაა **მობეზრების** მნიშვნელობით.

საყურადღებოა თავად მთხრობელის ლინგვისტური დაკვირვებები:

მომსურდა ვამბობთ [ჩვენ] – თქვენ მენატრება.

როგორ იქნა?

გამთელდა [ვიტყვით ჩვენ] – თქვენ გაჯამთელდა.

აქ მარქვალი – თქვენ კარტოფი.

აქ ხვართობა – თქვენ ლაპარაკი.

ასეთი „დაკვირვებები“ სხვაგანაც შეგვხვდა. ვფიქრობ, მკვლევარმა ყურადღება უნდა მიაქციოს ინფორმატორთა ლექსიკურ შედარებებს, საბოლოოდ, სხვა მონაცემებთან ერთად, იგი საფუძვლად დაედება სამხრული მეტყველების დიალექტურ დაყოფას.

მუხოს საუბრიდან კიდევ რამდენიმე სიტყვა-ფორმამ მიიქცია ყურადღება, ბარემ აქვე მოვიყვან:

– **მე ბურსაში ვიარებოდი და დევნახე, ასე'და ვქნაო და ვაშენე, *ქოხები ვაშენე.**

– ****ზოხან ცოტა გათოვდება, დიდი ყინვაც არ არი.**

– **ხალხი არი, რაჰათ ვერ ***იქამ.**

***ქოხი** – სახლი, აქ: ძელური. შდრ. ქოხი: „ფოთელთა და ჩალათაგან სახლაკი“¹². ტაოურში ქოხს ზოგადად სახლის მნიშვნელობაც აქვს.

****ზოხან** (ზმნ.) <ზოგხან (შდრ. ზოგჯერ). ტაოურმა არ იცის ზოგჯერ, იცის ზოხან|ზოგხან, აღნიშნავს დროს.

*** საყურადღებო ზმნური ფორმაა **იქამ>იქმ ქმნა'** ფუძისაგან ნანარმოები. ძირი უნდა იყოს ქმ(<ქამ), ნ' შემდეგ ჩანს განვითარებული.

„აგარასთან“ ახლო გეოგრაფიული სახელები მოვკითხე მუხოს:

¹¹ **პატიჯი<პატიჟი**'საგან. ძველ სამწერლობო ქართულში ნიშნავს სასჯელს: პატიჟად სიკუდილი განაჩინა“ (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., 1973). „ვეფხისტყაოსანში“ პატიჟი ტანჯვის მნიშვნელობითაა ნახმარი (იხ.: ვეფხისტყაოსანი, 1986, გვ. 415. ნ. ნათაძის განმარტება). ტაოურში პატიჯის მნიშვნელობა იგივეა, რაც – „ვეფხისტყაოსანში“.

¹² ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

ვანისჯევი,
ჭილათი,
*კილაზე,
**მახათეთი,
***ფიქალთავი,
კერეველათი,
უტავი...

****ქობაჲ ზომით არი, ჰამა აქ ქობაჲ ხალხი ცხოვრობს, – განმარტა მთხრობელმა.

დასახელებულ ტოპონიმებთან დაკავშირებით რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებთ:

***კილაზე** < **კილაძე** (ძ:ზ მონაცვლეობით) საინტერესო გეოგრაფიული სახელია ტაოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, ზოგადად, ქოროხის ხეობაში. თუნდაც იმიტომ, რომ თითო-ოროლა ასეთი სახელები (აჭარაში შედარებით მეტია). **კილაზე** თურქულად გამოთქმული **კილაძე** ა.

****ფიქალთავი** – ფიქალ' სახელური ფუძე ტოპონიმს შეუნახავს. ფიქალი იცის შავშურმა, არ დაგვიდასტურებია იგი კლარჯულში.

*****მახათეთი** – მახათა მამაკაცის სახელი ჩანს. **მახათეთი** კიდევ მახათას სახლეულის საცხოვრისია.

******ქობაჲ** < **ქვაბაჲ** – **ქვაბ'** მარტივი ფუძე უნდა გამოიყოს აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელში, ბოლოკიდურა ა' სუფიქსია. ადგილობრივები სხვადასხვა ფორმას იყენებენ: **ქვაბაჲ** | **ქობაჲ** | **ქობაჲ** **კარი** | **ქვაბაჲ** **კარი**. **ქობაჲ** ფონეტიკურად სახეცვლილი (ვა>ო) **ქვაბაჲ** არის, **ქვაბ'** კიდევ ცნობილი ფუძეა ქართულში: „ქვაბი – კლდე გამონაკაფი“ განმარტავს საბა¹³.

დავასრულეთ მუხო (მუხამედ) დევაძესთან საუბარი. სასტუმროს ნომერში ავედი. ვფიქრობ: ბევრჯერ ვყოფილვარ პარხლისწყლის ხეობაში, ბევრჯერ გამჩენია სურვილი, ავსულიყავი ჭილათის ციხეზე, ვერ მოვახერხე. დღესაც გადავწყვიტე, ზაზასთან და ჯიმშერთან ერთად მენახა ჭილათს გაღმა ბებერი ციხე, ვერ მოვახერხე. დრო აღარ დავგრჩა, დაგვალამდა ელიასხევში. ვერც დღეს ავიხდინე სურვილი...

ქოროხის ქვეყნები მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით: ციხემრავალი (და ეკლესიამრავალიც) ქვეყანაა ტაო. ჯერჯერობით ბევრი არაფერი ვიცი მათ შესახებ, ნინ საინტერესო ლაშქრობები და კვლევები გველოდება...

განსაკუთრებულია ტაოს ეთნოგრაფია. ვფიქრობ, ტაო ამ კუთხითაც გამორჩეულია; იგი საინტერესო ნაწილია ქართული კულტურული სივრცისა. დღეს ტაოში ხელშესახებია ძველი ტერასული მეურნეობა. მეურნეობის ეს ტიპი ჩამოყალიბდა ბუნებრივი პირობების შესაბამისად: მცირემინიანია ტაო, სავარგულების სიმცირეს განიცდის აქაური სოფელი. ტაოელი იძულებული იყო ყორეები ეშენებინა, უმეტესად მოზიდული მიწით ხელოვნური დამინდვრება, ბაქანი შეექმნა და იქ გაემართა მეურნეობა – ეხვნა, ეთესა, გაეშენებინა ბალ-ვენახი...

ტაოს ქვეყანაში ყურადღებას იქცევს საირიგაციო სისტემა, – სარწყავი არხები, რუები. ძველად არხები აქ „თამარას უშენებია“, „თამარას მუყყვანია რუები“. არხებს აკეთებენ ახლაც. თუ არ მორწყა ყანა და ბაღჩა, ტაოელი მოსავალს ვერ მიიღებს, მზე გახრაკავს ნარგავსა და ნათესს, ირწყვება ჭალებიც, სათივეები. სოფელში წყლის რიგია: განსაზღვრულია, რომელი ოჯახი როდის მორწყავს კუთვნილ სავარგულს. წყლის რიგს სოფლის მიერ არჩეული „სუბაში“ მეთვალყურეობს.

არქიტექტურული თვალსაზრისით გამოირჩევა ტაოური სახლი, რელიეფს შეხორცებული ადამიანისა და ცხოველის სადგომი.

ტაოს მკვლევარმა კიდევ ერთი რამ უნდა გაითვალისწინოს: ძველად სოფლები მაღლა, მთის ფერდობებზე იყო გაშენებული. ზამთარში თოვლის საფარი – სამ, ზოგჯერ ოთხ მეტრსაც აღწევდა. სახლსაც ბუნებისა და რელიეფის შესაბამისს აშენებდა ტაოელი. ჩვეულებრივ ტაოური სახლი რამდენიმესართულიანია: პირველი სართული ქვისაა, იქ ბოსელია გამართული მსხვილფეხა საქონლისათვის, იქვეა შემოდობილი ადგილი წვრილფეხა საქონლისათვის, პურტყვისათ-

¹³ ს.ს. ორბელიანი, იქვე.

ვის, როგორც ტაოელი იტყვის. ტაოში მას ქორს უწოდებენ. სახლის მეორე სართულზე ადამიანთა საცხოვრებელია. მესამე სართულზე სხვენია: აქ გამართულია ბელელი, აქვე ინახავენ თივას პირუტყვისათვის, „თივას ჯოხავენ“. სახლის სართულები შიგა კიბეებით უკავშირდება ერთმანეთს.

სხვაც მრავალია შესასწავლი ტაოს ეთნოგრაფიაში: გულდასმით შესწავლას მოითხოვს ტაოელთა ტრადიციები, ქორწილი, გართობა-თამაშობანი...

ტაოს დიდი ქვეყნის მხოლოდ მცირე ნაწილში, ერთ ხეობაში, გადარჩენილა ტაოური ქართული და ფოლკლორი. საგულდაგულოდ უნდა შეგროვდეს, რაც გადარჩა და მასზე დაყრდნობით უნდა შევძლოთ ტაოური კილოსა და ფოლკლორის რეკონსტრუქცია. ოპტიმისტურად განგვანყობს უკვე შეგროვებული მასალა.

ტაოელთა ისტორია იკითხება ტოპონიმიაში: ქვეყნის როგორც მეთურქულე, ისე მექართულე ნაწილში გადარჩენილა გეოგრაფიულ სახელთა ძველი, ქართული (და არა მარტო) ფენა. მათი შესწავლა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ტაოს მოსახლეობის ისტორიული შედგენილობა...

ვხედავ, საკვლევე-საძიებელი ბევრია ტაოს ქვეყანაში. უპირველესად ემპირიული მასალაა შესაგროვებელი, შემდეგ მისი ანალიზი. ახლა მთავარია ჩვენი მონდომება, ერთის მხრივ, და ისიც, თუ რამდენს „გვიწილადებს“ თავად ტაო...

28 ივლისი, პარასკევი. გათენდა. ცხელა. ცხრის ნახევარზე, ადგილობრივი დროით, ვისაუზუმეთ და ველზე გასასვლელად მოვემზადეთ. დღეს ექსპედიცია ორად გაიყოფა: ერთი ჯგუფი ელიასხევის სოფლებში იმუშავებს (მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, ნ. მგელაძე, მ. ბარამიძე, თ. სირაძე). მათ ტარიელი წაიყვანს დათქმულ ადგილას; მეორე (ზ. შაშიკაძე, ჯ. ჩხვიმიანი და მე – მ. ფალავა) ქოროხის ხეობას ავუყვებით იუსუფელს მალლა და რამდენიმე ძეგლს შევისწავლით...

10 საათისთვის უკვე იუსუფელში ვიყავით.

იუსუფელს გაღმა, ქოროხის მარჯვენა ნაპირზე, შემადლებულ ბორცვზე მცირე ბაზილიკაა.

მისი ნახვა გადავწყვიტეთ პირველად. ხიდით პარხლისწყლის გაღმა გავედით და თექყალესკენ მიმავალ გზას დავადექით. ბოგირით გადავედით მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც მოზრდილი დასახლებაა. სოფელში გზა არ შედის, გარს უვლის მხოლოდ მას, ვინრო ორღობებით უკავშირდება სახლები ერთმანეთს. ხიდის თავში მანქანა გავაჩერეთ და ორღობებით ბაზილიკისკენ წავედით...

ძნელადმისადგომი არაა სამლოცველო. ახლა აღმოვაჩინე, რომ ტაძრის სახელი არ ვიცი, არც იმ დასახლებისა, რომლის აღმოსავლეთითაც ბაზილიკა დგას. მოდით, დროებით უსახელო ბაზილიკა ვუწოდოთ მას, ან იუსუფელს გაღმა მდგარი ბაზილიკა.

მალე სალოცავთან ვიყავით...

წყალსა და დროს გადაურეცხავს ირგვლივ ყველაფერი.

ავზომეთ ბაზილიკა. მისი ზომები გარედან ასეთია: 4მX3მ; შიგა ზომებია: 3.65X2,5. ეკლესია გარედან შემოსილი უნდა ყოფილიყო დამუშავებული მოზრდილი საპირე ქვებით, დაახლოებით 50X40 სმ. სიდიდის. ახლა პერანგი მთლიანად შემოძარცვია სალოცავს. კედლებს დღესაც ატყვია საპირე ქვების ნაკვალევი.

ეკლესიაში შევედით. გულდასმით ვათვალიერებთ, იქნებ, მოხატულობის კვალი აღმოვაჩინოთ, ანდაც სახურავის ნარჩენი.

მოხატულობის კვალი არ ჩანს.

გულდასმით სწავლობს ჯიმშერი სამლოცველოს: ზომავს, აკვირდება კედლებს, განსაზღვრავს ნაგებობის ადგილმდებარეობას...

კედლების სისქე 50 სმ.-ია. ნაგებობა კირხსნართა და დაუმუშავებელი ქვითაა ნაგები; კარი სამხრეთიდანაა; ბაზილიკას აქვს ორი სარკმელი, – აღმოსავლეთით, საკურთხევლის მხარეს და დასავლეთ კედელზე.

ტაძარი ისეთივეა, ნიკო მარი შავშური ტიპის ეკლესიას რომ უწოდებს.

სოფელში გამოვედით. მოვიკითხეთ, რა შენობააო სოფლის განაპირას.

– სათვალთვალო კოშკიაო, – შემხვედრმა.

ბუნებრივია, არ დავუჯერეთ. არაა საკამათო, რომ სოფლის მცირე ეკლესიაა და იმიტომ.

ჩანს, ჩვენ წინ ძველი დასახლებაა თავისი სამლოცველოთი.

სოფლის სახელი ვიკითხეთ.

ჰამზაოლულარ მაჰალესიო, – ჰამზაოლლების უბნელმა.

ჩვენ ძველი, ქართული სახელი გვანტერესებდა, ვიკითხეთ კიდეც.

ესააო ამ უბნის სახელი, – შემხვედრმა.

კიდეც ერთმა ფაქტმა მიიქცია ყურადღება: სოფელში, **ჰამზაოლულარ მაჰალეში**, ძველი, ტაოური სახლი არ ჩანს, ახალი სახლები უშენებიათ ჰამზას ჩამომავლებს. ჩანს, დასახლების ძველი ტიპი შეუნარჩუნებიათ.

საინტერესოა თვით ტოპონიმი **ჰამზაოლულარ**, რომელიც ქართული (უფრო ტაოური) ჰამზიანის თურქული ტრანსლიტერაციაა, სხვაგვარად, ადგილის ახალი სახელწოდება ძველის, ქართულის მოდელითაა შექმნილი.

ჭოროხის ხეობას ავუყვებით მალა.

კავკასისძეთა ციხის (თ. „თექ ყალე“) გაღმა, ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, მთის ფერდობზე კიდეც ერთი მცირე სამლოცველო, ერთნავიანი ბაზილიკა დგას. მდინარისპირა ფერდობები დღეს უკაცრიელია, მარტოდ შეყუჟულა მთის ნაშალ ქვა-ლორღში პატარა ეკლესია. დღეს უცნაურად გვეჩვენება უკაცრიელ ადგილას მარტომდგომი სალოცავი. ვინ იცის, იქნებ, წარსულში ეს ფერდობებიც დასახლებული იყო, ბაზილიკა კი სოფლის ეკლესიის ფუნქციას ასრულებდა. არავინ იცის, წინათ რა ერქვა იმ ფერდობებს, არც სამლოცველოს სახელია ცნობილი.

ბარემ ვიტყვი, რომ იუსუფელი-ისპირის გზაზე, მარჯვნივ, სადღაც ტაოსა და სპერის საზღვართან, გზის თავზე, კიდეც ერთი სამლოცველოა, ისეთივე, როგორიც – წინა ორი, შავშური ტიპის მცირე ეკლესია.

ქისქიმში (ახლა: ალამბა) ავედით, ძველი **ხევეკი ქისქიმში**. ერმანი მაჰალეში გავჩერდით.

დასახლება იუსუფელი-ისპირის გზაზეა, ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე.

გზისპირა საჩაიესთან გავჩერდით. ცხელა. გაუსაძლის სიცხეში ჩაი ვერაფერი საშველია მიუჩვეველი კაცისთვის, მაგრამ იმ იმედით, რომ ქისქიმის შესახებ რაიმე ინფორმაციას მოვიპოვებთ, ჩაის ვუკვეთავთ; ცივი წყალიც მოვიტხოვეთ. საჩაიეს პატრონს, ალი ახჩის გამოველაპარაკეთ, სოფლის გეოგრაფიული სახელები გამოვკითხეთ უპირველესად, ძველი სახელები გვანტერესებსო, – ეუბნება ზაზა.

დაიწყო ალიმ ტოპონიმების ჩამოთვლა:

ორთა მაჰალე (შდრ. შუა უბანი, შუბანი. ვფიქრობთ, ორთა მაჰალე შუბანის პირდაპირი თარგმანია, კალკია).

თილქი მაჰალესი (შდრ. მელიის უბანი, მელისუბანი).

ქანსასი (შდრ. **ქანზასი|ქანძასი**, დასაშვებია: **კანზასი|კანძასი**),

ანჩითიქ,

ჩუქურ მეშე (შდრ. ჩაღრმავებული ტყე, გობელი ტყე. თ. göbek – დვიბე, დუბე¹⁴).

გუფლალიმ სირთი,

აზვაქ'|აზვაკ,

კანსას მერზე (*მეზრე?),

ქისქიმ კალესი.

– ვინ ააშენა ქისქიმის ციხე? – ეკითხება ზაზა მასპინძელს, თუმცა გრძნობს მოსალოდნელ პასუხს.

– სომხებმა ააშენეს! – პასუხობს საჩაიეს სომეხი პატრონი.

– მაინცდამაინც კარგ მისამართზე ვერ მოვედით, – ქართულად გადავულაპარაკე ზაზასა და ჯიმშერს, სანამ ახალ სისულელეს გავიგონებთ, სჯობს, ნავიდეთ.

ჩაისა და წყლის საფასური გადავიხადეთ, სამი ბოთლი წყალი კიდეც გამოვალეხინეთ ბოქლომდადებული მაცივრიდან ალი ახჩის და გზას დავადექით.

ოშნაკის ციხეზე ნავედით პირველად. ძველი სახელი არავის ახსოვს, ახლა ოშნაკი ჰქვია სო-

¹⁴ იხ.: შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრომი.

ფელს, სიმაგრესაც პირობითად **ოშნაკის ციხეს** ვუნოდებთ.

ციხეზე ასვლამდე სოფელს ვათვალიერებთ.

მშვენიერი სოფელია ოშნაკი, ქედის ფერდობებზე გაშენებული. ჭოროხისპირა ველებზე, მერეებზე ბალები გაუშენებიათ ოშნაკელებს: ვაზი, კაკალი, მსხალი, ატამი... სხვა ხეხილიც ჩანს ბალებში, ბრინჯის ნათესებსაც შენიშნავს კაცი.

გალმა, ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, ოშნაკის გალმა უბანია გაშენებული. გაღმობანი ხრიოკი ადგილია, ჩანს, უკვე დაცლილი: ძველი, ზოგჯერ ისლით დახურული სახლები და ეზო-კარში მდგომი თითო-ოროლა ხე თქმულის დასტურად გამოდგება.

ციხეზე ავედით. აღვნიშნავ, რომ სიმაგრე არაა ძნელად მისასვლელი.

მოზრდილი ნაგებობა უნდა ყოფილიყო ოშნაკის ციხე. დღეს გადარჩენილია ერთი კოშკი. იგი შემალღებულ ადგილზე დგას. აქედან მეციხოვნის თვალი შორ მანძილზე ხედავს ჭოროხის ხეობას. კოშკს ქვემოთ ძველი კედლის მცირე ნაშთია, ქვითა და დულაბით ნაშენი. კოშკის აღმოსავლეთითაც კედელია ამოყვანილი და შექმნილია ხელოვნური ბაქანი. ჩანს, ეს ქვემოციხეა.

კოშკის კედლები სქელია, ნაშენებია დულაბითა და დაუმუშავებელი ქვით. კოშკს დასავლეთიდან ორი სარკმელი აქვს. კოშკის გადარჩენილი კედლის სიმაღლე სამ მეტრამდეა, სისქე ერთი მეტრი.

ოშნაკის ციხეზეც უშრომიათ განძისმაძიებლებს: კედლები უნგრევიათ, თხრილები გაუჭრიათ ციხის ტერიტორიაზე...

სამხრეთიდან ციხე ბუნებრივი სიმაგრითაა დაცული, ფრიალო კლდით, სხვა მხარეები კედლებით უნდა ყოფილიყო გამაგრებული.

ცხელა. შუადღის მზე გვაცხუნებს. ჭირს მზის გულზე მუშაობა. ჯიმშერი დაწვრილებით სწავლობს ციხის ნაშთებს. კოშკზე აცოცდა, ზემოდან ათვალიერებს გარემოს ძველ მეციხოვნესავით. მე დაბლა ჩამოვედი, ე.წ. ქვემო ციხეში, იქიდან ვადევნებ თვალს ჯიმშერის ფუსფუსს.

მზე აცხუნებს, ხეობაში ნიავი არ ქრის, ლამისაა, ჭოროხიც გაჩერდეს, სიცხისაგან გულშე-

ნუხებული. გახურებულ ქვაზე ვზივარ და ვინერ რალაცას, ოფლი ღვარად ჩამომდის... ჯიმშერი ჯერ ისევ მაღლაა: ზომავს, ინერს, სურათებს იღებს, კომპასითა და ალტმეტრით რალაცებს აზუსტებს, როგორც იტყვიან, არის ერთ საქმეში. ზაზამ კარგა ხანს ითმინა მზის ქვეშ, ბოლოს მანქანაში მოკალათდა, გაგრილებულ მანქანას მაინც დაგახვედრებთო დასიცხულებს.

მწყურია. წყალი აღარ გვაქვს. ალი ახჩის დუქანში შეძენილი წყალი დავლიეთ... რა გაენწყობა, უნდა გავუძლოთ...

როგორც იქნა, ჯიმშერი მორჩა ციხის შესწავლას და დაბლა ჩამოვიდა.

სოფლისკენ წავედით. გზის მარცხნივ მაღალია და საჩაიეა. მანქანა გავაჩერეთ, საჩაიეში შევედით წყლისა და ჩაის დასალევად, იმ იმედითაც, რომ დამლაპარაკესაც ვნახავდით ვინმეს.

საჩაიეს პატრონი კარგი მოსაუბრეა. წყალი მოგვართვა, ახლა ჩაის ამზადებს, თან გაუჩერებლად საუბრობს, გვაცნობს გარემოს: ეს ოშნაკის ციხეაო, იმ ციხეზე გვეუბნება, საიდანაც მოვდივართ; ისპირისაკენ კიდევააო ერთი ყალე.

– ოშნაკის ციხეზე ვიყავით, – ეუბნება ზაზა, ადგილის სახელები ჩაგვანერინეთ, ძველი სახელები, თუ იცითო.

სალქუთი,

ფათი (ტყეა),

ყუმელეთი (ახლა: სარიჩაი),

ისასორი (*ისაზორი||ისაძორი?)...

საყურადღებო ტოპონიმებია, ზოგიერთი ფუძე ქართული ჩანს, – გადავულაპარაკე ზაზასა და ჯიმშერს.

– ზაზამ უთარგმნა ინფორმატორს ჩემი შენიშვნა. არ გაკვირვებია საჩაიეს პატრონს, უფრო ჩვენ დავრჩით გაკვირვებული, როცა თქვა: აქ ქართველებს უცხოვრიათ სომხებთან ერთად, ადგილების სახელები თქვენებურიაო.

ალი ახჩიმ, ოშნაკელმა სომეხმა, სომხების აშენებულიაო ციხე, ადგილის სახელებიც სომხურიაო; აგერ გვეუბნებიან, „ქართველებს უცხოვრიათო აქ სომხებთან ერთად...“ ხომ უცხოვრიათ ამ კუთხეში ქართველებს, თუნდაც

სომხებთან ერთად! ესეც მნიშვნელოვანი ინფორმაციაა ადგილობრივთა მესხიერებიდან და ისიც, რომ „ადგილების სახელები თქვენებური-აო“ (აქ: ქართული).

განაგრძობს მასპინძელი ჩამოთვლას:

- ***ხოდუჩური,**
- სალაჩური,**
- ****მოხურგითი,**
- *****სარენს'ი,**
- ჩანეს'ი,**
- ******ჩორგენის'ი,**
- მურუნშენს'ი,**
- ფალენშენს'ი,**
- ხოსთავალ'ი,**
- ქუფერ'ი,**
- ფესერ'ი,**
- ჯალანს'ი,**
- ჯინგოლი,**
- ანდუარ'ი,**
- ხაშთავ'ი,**
- *******ყარაყამიში,**
- სანგრექ'ი.**

*ხოდუჩურსა და სალაჩურში —ურ სუფიქსი შეიძლება გამოვყოთ, რომელსაც აკ. შანიძე განიხილავს, როგორც წარმომავლობის აფიქსს და წერს: „ურ'ის დართვისას (ისე როგორც —ელ'ის დართვისას) გეოგრაფიულ სახელს, რომელსაც ბოლოში —ეთ და —ის აქვს, შეიძლება ეს —ეთ ჩამოშორდეს ძველი წარმოების თანახმად: დუშეთი — დუშური“¹⁵. არნ. ჩიქობავას —ურ||-ულ სუფიქსი რა კატეგორიის (არაადამიანთა კლასის — ავტ.) მანარმოებლად მიაჩნია¹⁶. თუ ეს ასეა, ორივე გეოგრაფიული სახელი ქართული სუფიქსითაა ნაწარმოები, საძიებელია ხოდურ' და სალაჩ' სახელური ფუძეების მნიშვნელობა.

**ქართული წარმოებისა ჩანს მოხურგითი, რომელშიც გამოიყოფა —ით სუფიქსი. აკ. შანიძე ერთგან აღნიშნავს: „კვლევას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რა წარმოშობისაა ი თ'ზე

დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა: როკ-ით-ი, ღვანკ-ით-ი... ცხადია, რომ აქ, ზოგან მაინც, ფუძისეული ხმოვანი უნდა ვიგულოთ, ხმოვანი, რომელიც ი დეტერმინანტის სახელობითის ფუძეზე შეზრდისა და ბრუნვის დაბოლოებად ქცევის შემდეგ სახელობითის ნიშნად უნდა ყოფილიყო გაგებული, როგორც ამას ვხედავთ უცხო წარმოშობის სიტყვებში: სურა-ი (არაბ.), გემი (თურქ.) და სხვ.¹⁷ ვფიქრობთ, მოხურგ-ით'ში —ით ფორმანტია.

***ყურადღებას იქცევს —ს' დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები: სარენ-ს', ჩანეს-ს', მურუნშენ-ს', ფალენშენ-ს', ჯალან-ს'. საინტერესო სახელური ფუძეებია დასახელებული გეოგრაფიული სახელები.

****ამკარად ქართულ წარმომავლობას ავლენს ჩორგენის'ი, -ის სუფიქსიანი წარმოება.

***** არაქართული ჩანს ყარაყამიში, ჯინგოლი, ხაშთავი და სანგრექი. ასევე საძიებელია ქუფერ', ფესერ', ანდუარ' გეოგრაფიული სახელების მნიშვნელობა და შედგენილობა. ერთი შეხედვით უსუფიქსო წარმოებასთან გვაქვს საქმე. ტოპონიმებმა უნდა დაგვიდასტუროს ჩვენი მასპინძლის ნათქვამი: „ქართველებს უცხოვრიათ აქ სომხებთან ერთად“.

გარეთ გამოვედით. ჩაის მიირთმევენ ადგილობრივები, საუბრობენ, დრო გაჰყავთ. გამოელაპარაკა ზაზა:

- საიდან ხართო აქ მოსული?
- ახისხელი თურქები ვართო, — ერთმა.
- კავკასიელები ვართო, — მეორემ.

რაც მალლა, სათავისკენ მივუყვებით ჭოროხის ხეობას, ადგილობრივი მოსახლეობის აზრი უფრო მტკიცდება, რომ მისი წინაპარი მოსულია: ვინ — ახისხადან, ვინ — კავკასიიდან, ვინ — ყივჩაღეთიდან, ვინ — ბათუმიდან... გვიჩნდება კითხვა და პროტესტის გრძნობაც: რა, ამოდენა ხეობა უკაცრიელი იყო? აბა, ვინ ააგო ეს ციხე-კოშკები? ვინ გაიყვანა ამდენი სარწყავი

¹⁵ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1971, გვ. 128.
¹⁶ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ., 1942, გვ. 137.
¹⁷ იბ. აკ. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. თბ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981, გვ. 440.

არხი?! ვინ აშენა ამდენი ყორე და შექმნა ტერა-სები? სად წავიდნენ ამის შემოქმედი ძველი ტა-ოელები?! ვინ დაარწმუნა ეს ხალხი, რომ მოსუ-ლები არიან?

ბუნებრივია, ვილაც მოვიდა სხვა კუთხიდან, ვილაც წავიდა კიდეც წინაპართა მიწიდან, მა-გრამ ვილაც ხომ დახვდა ახალმოსულებს?! სწო-რედ იმ დამხვდურებზე ვსაუბრობთ, მათ შთა-მომავლებს ვეძებთ ამ ქვეყანაში...

დავტოვებ საჩაიე. მალე **ნიხახის** ციხეზე ვი-ყავით, იგი სოფელ ჟოქუშლუს შესასვლელშია.

ციხე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე, მა-ღალ ბორცვზეა აგებული: ჭოროხს გადაჰყურე-ბს კოშკი, ჯერ კიდევ ფეხზე მყარად მდგარი. 10 მეტრზე მეტი იქნება მისი სიმაღლე.

ნიხახის ციხეს კარი აღმოსავლეთიდან აქვს. სხვა შესასვლელი, თუ არ ჩავთვლით „არქეო-ლოგთა“ ნაღვანს, ციხეს არა აქვს. კარის ჩა-რჩოს ახლაც აჩნია ურდულის კვალი. ურდული კიდევ – „კართ ნასაყარი კეტი“ (საბა). კარის წაყრა, დაყრა კეტიტ ხდებოდა. იგივე კეტი ძირი უდევს დაკეტივას.

ციხე იმდენადაა „შენახული“, რომ შესაძლე-ბელია მის გეგმაზე საუბარი: გადარჩენილი კედ-ლის სიგრძე 20 მეტრზე მეტია. ნაშენია დაუმუ-შავებელი ქვითა და დულაბით.

X-XI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდესო ნიქახი, – ფიქრობს ჯიმშერ ჩხვიმიანი.

სიმაგრე ორიარუსიანი უნდა ყოფილიყო: გა-დარჩენილი კარით შედიხარ ქვედაციხეში, არკი-ანი კარით კი – ზემოციხეში. ციხის მოღწეულ კედელზე ჩანს ქონგურები.

როგორც ვთქვით, კოშკი საკმაოდ მაღალია, ჩანს, სამსართულიანი. მის შიგა კედლებს ჯე-რაც ეტყობა სართულბშორისი ძელების კვალი.

ნიხახის ციხეს ახსოვს შემოსევები. ერთი ოს-მალური მატთანე მოგვითხრობს: 23 ციხე დაი-პყრო ოსმალთა ლაშქარმა, აქედან 15 მიწასთან გაასწორა. ჩამონათვალში სხვებთან ერთად ნიქახის ციხეცაა. ჩანს, მთლად ვერ გაასწორა მიწასთან ოსმალთა სიმაგრე. დაკვირვებული თვალი ციხეზე დაინახავს გვიანდელი გადაკე-

თების კვალს. ჩანს, ჯერ კოშკი აუშენებიათ, აღ-ბათ, სათვალთვალთ, შემდეგ ციხედ უქცევიათ, უფრო გვიან საისრეები – სათოფურებად...

დავასრულეთ ნიქახის ციხის დათვალთვალ-ბა-შესწავლა. ცხელა. იხრაკება ჭოროხის ხევი.

დღე ნაყოფიერი გვექონდა: რამდენიმე ციხე და სამლოცველო შევისწავლეთ, ჩავინერეთ გე-ოგრაფიული სახელები, – ზოგი ქართული, ზო-გიერთი – არაქართული. აქაურთა მესხიერებას შეუნახავს იმის ხსოვნაც, რომ აქ „ქართველებს უცხოვრიათ სომხებთან ერთად“. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი ცნობაა, ამიტომაც მერამდენედ აღვნიშნავ მას. თუნდაც იმიტომ, რომ სხვაგან, არაერთ დასახლებაში, აქცენტს სომეხთა||ერმე-ნთა საცხოვრისზე აკეთებენ, რომ აქ ერმენთა ძველი საცხოვრისია, რომ ეს ციხეები ერმენებს აუშენებიათ...

იუსუფელში ჩამოვედით, მალე სასტუმროში ავედით.

სალამოს სასტუმროს ეზოში ვმსჯელობდით დღეს შესწავლილი ძეგლების შესახებ. არ გვი-კვირს, რომ ქართული საისტორიო წყაროები არ იცნობენ მცირე სამლოცველოებს, ყველა სო-ფელში რომ გვხვდება: სად ეკლესიის ნაშთებია გადარჩენილი, ზოგანაც ხსოვნა სოფელში არსე-ბული ქილისას||ქილისეს თუ საყდრის შესახებ, ზოგჯერ გეოგრაფიულ სახელსაც შეუნახავს ინფორმაცია სოფლის სამლოცველოზე... სო-ფელს დაუცავს იმის ხსოვნაც, რომ აქ ძველად „ხრისტიანებ უცხოვრიათ“, უფრო სომხებს, აბა, გურჯი ხომ „ქრისტიანი არ იქნებოდა“. ისე, კაცმა რომ თქვას, შავშთა, კლარჯთა, ტაოელ-თა, მუჰაჯირთა შთამომავლების ცნობიერება-ში გურჯი მუსულმანი ქართველია, საკუთრივ ქართველი კი – ქრისტიანი. ძნელად თუ შეხ-ვდებით თურქეთელ ქართველებში კაცს, რომ-ლისთვისაც ქართველი ეროვნებაა, ნაციაა და არა ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელი...

უფრო ის გვაკვირვებს, რომ ქართული სა-ისტორიო მწერლობა არაფერს, ან ძალიან ცო-ტას, გვეუბნება ჭოროხის ხეობაში არსებულ ციხეებზე. დღეს ოშნაკი და ნიქახი ვნახეთ, სა-

ყურადღებო სიმაგრეები, ქოროხისა და მიმდებარე მცირე ხეების დარაჯები, ქართულმა მატრიანემ მათ შესახებ არაფერი იცის. და კიდევ, რაც უფრო მალლა მივდივართ ქოროხის ხეობაში, ქვეყნის ამ ნაწილის შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები მცირდება. რატომ? ვსვამთ კითხვას, დამაჯერებელ პასუხს კი ვერ ვპოულობთ. ქვეყნის ცენტრს მოშორებული განაპირა კუთხეები, ქვეყნები, მემატინის ყურადღების მიღმა რჩებოდა...

29 ივლისი, შაბათი. დილის შვიდ საათზე მთელი ექსპედიცია ფეხზე იყო. მზემ მაინც დავგასწრო. ცხელოდა. სამზადისს შევუდექით. დღეს კვლავ ელიასხევის ხეობაში ვიმუშავებთ. პირველ რიგში მანქანა გასამართი: ხელოსანთაა მისაყვანი და ხელის მუხრუჭი შესაკეთებელი (გუშინ ართვინიდან მემედ ალი ქესკინის მიერ გამოგზავნილი სათადარიგო ნაწილი მივიღეთ).

ტარიელი მხლებლებთან ერთად იუსუფელში წავიდა ხელოსანთან, სხვები „აგარაში“ ველოდებით. თითქმის სამი საათის შემდეგ დაბრუნდნენ წასულები, მანქანა შეეკეთებიათ, არაფერი გვიშლის ხელს, სამუშაოდ წავიდეთ.

მანქანაში ჩავსხედით და გზას დავადექით. ელიასხევის გადასახვევთან მისვლამდე ცენტრალური გზიდან მარჯვნივ გადავუხვიეთ და ბალხის აღმართებს შევუდექით. რამდენიმე მოსახვევის შემდეგ ბალხიბარის სანახები გამოჩნდა, – მთის ფერდობს შეყუყული სოფელი.

– მოდი, პირველად ბალხში ავიდეთ, შემდეგ ბალხიბარში ჩამოვიდეთ, – ამბობს მალხაზი.

– შენ რას იტყვი? – მეკითხებიან ექსპედიციის წევრები.

– დავინწყით ბალხით, მთავარია, ვიმუშავოთ მეთქი...

ბალხიბარს გვერდი ავუარეთ და გზა გავაგრძელეთ. მალლა მივინვეთ: გავიარეთ ლიტრევი, ნითლე[ე]კარი... წინ კიდევ საკმაო გზა გვიდევს. მძლოლის გვერდით სავარძელზე მოხერხებულად მოკალათებული ვფიქრობ. ტაოს პირველი ექსპედიციის დროსაც ვიყავი ბალხში. კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, 1995 წლის შე-

მდეგ. საინტერესოა, თუ შემხვდება ვინმე ძველ ნაცნობთაგან. და კიდევ, გავიხსენებ კი სოფლის ორლობებს? ერთი კია, ნახული ძნელად მავინწყდება.

ზაზას ხმამ გამომიყვანა ფიქრებიდან... ჩვენს გაღმა მშვენიერი სანახებია: მთის კალთებზე გაშენებული სოფლები, ალპური მდელოები, ნისლში გახვეული მასისის მწვერვალი...

ბალხში ავედით. გზაზე მანქანა გავაჩერეთ. გზის ქვეშ ძველი ბალხური უბანია ტაოური სახლებით. მანქანის ხმაზე ეზოში შაბან, მევლუთ (თ'თი დააბოლოვა თავისი სახელი მასპინძელმა, ჩვენ მევლუდ'ს გამოვიყენებთ, ასე უფრო ქართულად ჟღერს) და აიჩა შირინები გამოვიდნენ. მევლუდი და აიჩა სტუმრად არიან სოფელში, ანკარიდან ჩამოსულან ზაფხულის არდადეგებზე. ვერ ეგუება ანკარაში გაზრდილი ბალხელი აიჩა, უნივერსიტეტის სტუდენტი, სოფლის ცხოვრებას, განსაკუთრებით ბუზი და ჭიანჭველები ანუხებს, არც ბოსლიდან გამოსული საქონლის შარდისა და ნეხვის სუნი სიამოვნებს მაინცდამაინც. ჩანს, მევლუდს უნდა მშობლიურ სოფელში ყოფნა, აქ კარგად გრძნობს თავს ნაჯაფი; მამის ხათრითა და რიდით აიჩაც ითმენს აბეზარ ბუზებსა და კოლოს, სხვა „მფრინავ ცხოველებსაც“, გულს რომ უწყალებს ადამიანსა და საქონელს. რას იზამს, ეს სოფელია და სოფელს თავისი ცხოვრება აქვს.

– დიდი თოვლი იცის ბალხში? – ვეკითხები შაბანს.

– კი, იცის!

– ზამთარშიც აქ დგახარ?

– მე აქ არ ვარა, ზამთარი – ბალხიბარ!

– ბატონო შაბან, მევლუდ, სოფლის ადგილის სახელები ჩაგვანერინეთ. წიგნს ვწერთ თქვენს კუთხეზე, ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. თუ გვასწავლით, წიგნიც კარგი გამოგვივა.

მევლუდს აშკარად ესიამოვნა, როცა თავი გავაცანით, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორები ვართო.

– ჩემი აიჩაც სტუდენტია, ბიოლოგიას სწავლობსო უნივერსიტეტში, – სიამაყით გვითხრა.

მოვეწონეთ აიჩას არჩევანი. თანდათან გავ-
შინაურდით, დამხვდურებიც აღარ გვერიდები-
ან... ასე სჯობს, ასე უფრო იოლია მუშაობა.

მეველუდმა გეოგრაფიული სახელების გახ-
სენება დაიწყო, იქვე მდგომი შაბანიც ეხმარება
თუ წაიბოროძიკებს უფროსი ძმა, ოცდაათი წელი
ბალხსმოცილებული.

ნაფაცხევი – ადგილი, სადაც ფაცხეები (აქ:
სახლები) იყო.

ქედისყანა||ქედისყანა<*ქედიყანა,
ყვერეთი||ყორეთი,

ესენი ბალხის აილებიაო, მაღლა.

ახლა ყანების სახელები ჩაინერეთო, მეველუ-
დმა:

საკენჭვიანი<*საკენჭიანი,
ჭყანა – წყლიანი ადგილია და ასე იტყვიან...
ჭანჭახი,
ელიახყანა||ელიაჰყანა<*ელიაყანა,
გორამეთი,
მაღალევი (შდრ. მაღალები),
ტყისძირი,
კაპანეთი,
წისქვილიკარი,
ვანეთი,
დიდჭალა,
გირძელჭალა,
წყაროთვალი,
სერი,
სანაცრია,
ხალბაქი,
საყურვანი<*საყუროვანი,
სატილვანი<*სატილოვანი,
ბანგურა,
მეჯაქეთი,
ფელკიტრიმა,

ფილავრეთი<*ფილაურეთი, ორმაგი სუფიქ-
სით ნაწარმოები ფუძეა (შდრ. ფილაური),

შიმექლი ყააღარი.

ოცდაექვსი გეოგრაფიული სახელი ჩამანერი-
ნეს ძმებმა შირინებმა, მეტი ვერ გაიხსენეს. ჩემ-
თვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო, რომ
ოცდაექვსიდან ოცდახუთი ქართული ფუძეა,

სულ ერთია – თურქული, იქნებ, მისი ქართული
შესატყვისიც მოიძებნოს. ჩემთვის ასევე სიახლე
იყო ბალხში –**ევ** სუფიქსიანი გეოგრაფიული სა-
ხელის დადასტურება – **მაღალევი**.

ბალხის ტოპონიმთა ნაწილი –**ეთ** სუფიქსი-
თაა ნაწარმოები: **ყვერეთი||ყორეთი, გორამე-
თი, კაპანეთი, ვანეთი, ფილავრეთი**.

ასევე დადასტურდა სხვა მანარმოებლებით
ნაწარმოები სახელები.

ოვან: **საყურვანი<*საყურ-ოვანი, სატილ-
ვანი<*სატილ-ოვანი.**

იან: **საკენჭვიანი**’ი.

ყურადღებას მივაქცევ იმასაც, რომ ადგილო-
ბრივ წარმოთქმაში სახელურ ფუძეში ხ (ზოგჯერ
– ჰ) ისმის, სრულიად ზედმეტი, გვაქვს „ხანმეტი“
თუ „ჰანმეტი“ ფორმები: **ქედისყანა (||ქედისყა-
ნა), ელიახყანა (||ელიაჰყანა)**... ანალოგიური
ფაქტების ძიებას გავაგრძელებთ, ეგებ რაიმე და-
სკვნის საშუალება მოგვცეს ახალმა მასალებმა.

სახლის შესახებ ვეკითხები ძმებ შირინებს,
უფრო ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად.

– **ძირიღამ ბოსელი, მერე სახლი, ენ თავი-
ღან სათივრე და ბელელი. ბოსელი, ქორი ერ-
თგანაა. ჩემი ქორი ეს არი** (მაჩვენებს ბოსელში
ცალკე შემოღობილ ადგილს – ავტ.). **ახორში
ფური, ჯარი, ქორში – პირტყვი** (ცხვარი, თხა,
ვაცი, ვერძი – აზუსტებს პირტყვის<*პირუტყვის
მნიშვნელობას მეველუდი).

აქ თარზი (სტილი – ავტ. შდრ.: თარგი) **ასეა:
ქომო ბოსელი, ქორი შიგანაა, მაღლა სახლი,
ზემო – სათივრე, ჩარდახი, ბელელი, ზემო – ყა-
ვარი. აქ კიბე, ქოშა** – აკონკრეტებს მეველუდი.

ვიდრე შირინებთან საუბარს გავაგრძე-
ლებ, ერთ ფაქტს მივაქცევ ყურადღებას: **პირ-
ტყვი<*პირუტყვი** ბალხში, ტაოს სხვა მექართუ-
ლე სოფლებშიც, წვრილფეხა საქონელია და არა
ზოგადად საქონელი. შდრ. „შენ პირუტყვი ხარ
და მე – მეტყველი...“ (ილია). **პირუტყვი – მე-
ტყველის** ანტონიმია ქართულში. ტაოურში მას
განსხვავებული მნიშვნელობა მიუღია.

მკითხველისათვის ასევე საინტერესო იქნება
ძმები შირინების ლინგვისტური დაკვირვებები:

ბალხში – ფათათესი, ქობაში – მარქვალი.

ბალხში – ბგანო, ხევეკში – განო, ქალი – ნო. – ბი დახკარგულია, ჭო დამჩალა...

საყურადღებო დასკვნას აკეთებს შაბან შირინი: „ხევაში ორჯინალია, აქ (ბალხში – ავტ.) – არა“.

– აიჩამ ქართული არ იცის? – ვეკითხები მეველუდს იქვე მდგარ შვილზე.

– გეგებს, არ იხვართებს. ღენჭები არ ხვართობენ. ჩვენც არ ხვართობთ, შენს უკან ვიცი, ჰამა არ ხვართობ.

დიახ, აიჩამ ქართული არ იცის, ხვდება კი. ახალგაზრდები, ზოგადად, ქართულად ვერ ლაპარაკობენ, შენ რომ ნახვალ, არც ჩვენ ვილაპარაკებთო, მეველუდმა. ესაა რეალობა. აქაურ ქართულ ოჯახებში ურთიერთობის ენა ქართული აღარაა, თურქულად ხვართობენ ოჯახის წევრები ერთმანეთთან.

ვათვალიერებთ შირინების კარს, წინამძღვრად შაბანი გვყავს:

სახლისი კარი (აქ: ეზო – ავტ.), **ე – გზა, ე – ფურუნი** (თონე – ავტ.), **ე ბალი, ფიდან** (ნერგი – ავტ.) **ბალი, ვაშლი, ლეპიო, კაკალა... კაკლი-მყვარი** (აქ: ციყვი – ავტ.) **ჰო, სინჯაბი არი...**

ყურადღებას იქცევს ბალხის დასახლება: გზა სოფელში არ შედის, გარს უვლის მხოლოდ. სახლები ერთმანეთის მიყოლებითაა და ვინრო ორლობებით უკავშირდება ერთმანეთს. ჩანს, ოჯახები „ბუდეებად“ ცხოვრობენ, სხვაგვარად, შტო-გვარები ქმნიან სოფლის უბანს. ანალოგიური დასახლება გვხვდება ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც, გამოკვეთილია იგი მაჭახელში: ძნელი-ეთი, კახიეთი, ქავთარეთი...

– ტყეში ნადირი ბევრია? – ვეკითხები ძმებს.

– **დათვი არი, ღორი არი აქა, თხა არი, ვაცი არი აბანი, თილქი არი** (თილქი – მელი – დააზუსტა მეველუდმა), **გელიც არი...**

– აიჩას რატომ არ მოსწონს სოფელში? – ვეკითხები შაბანს.

– **აქ ჯიმჭველები არიან, აქ მოსლა არ უნდანან!**

ძმები ისევ დაუბრუნდნენ გეოგრაფიულ სახელებს:

ტყი ძირი, მაჰმადიან ტყე, ხუხულა წვერი, ქაჯი კარი, ნაგარა წვევი, სამანჯახო, დაყენული, კომშაგარა, სალდე კარი.

კარგია, რომ გაიხსენეთ კიდევ ცხრა სახელი. ჩემი ყურადღება მიიქცია ტოპონიმმა **ქაჯი კარი**. მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. საქმე იმაშია, რომ ერთ ადრინდელ შრომაში **ბალხი** ამირანის ეპოსს დაუკავშირეთ, ახლა აქ, ბალხში, **ქაჯი კარის** პოვნიერება კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს ვარაუდს.

– შაბან, მეველუდ, ბალხის გვარებიც ჩაგვანერინეთ, ძველი სოფლები მაინტერესებს.

– **ძველი სოფლები თამ არ ვიცი, დაჰმართ:**

უტავლოლი (<*შდრ. უტავლიოლუ), **ბასლიანი,**

სალრიანი (შდრ. *სალრიანი),

ხლათები (შდრ. <*ხლათიანი),

ფესტილები (შდრ. ფესტილიანი),

ნონოლაჟ,

ყურული,

ეფენდოლი,

ჩოლაღიანი (შდრ. *ჩოლაღები),

ტარლოღიანი,

ქუნქლიანი,

ოხშიანი,

ფევზიანი,

აბაზიანი (შდრ. აბაზა, მამაკაცის საკუთარი სახელი, აქედან გვარი – აბაზაძე),

ყარამანღიანი (შდრ. ყარამან-ღი-იანი <*ყარამან-ელ-იანი?).

დასახელებულ „გვართაგან“ უპირველესად ყურადღებას მივაქცევ **–იან** სუფიქსიანებს: **ბასლი-იანი, სალრი-იანი, ჩოლაღ-იანი, ტარლოღ-იანი...**

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ტაოურში გამოვლენილი **–იან** იგივეა, რაც სვანური გვარის

მანარმოებელი –იან სუფიქსი? დიახ, იგივეა. მოვიყვანო ამონარიდს ერთი ლექსიკონიდან: -იან სუფიქსი გამოიყენება „ადამიანის საკუთარ სახელთაგან ნარმოებისას – შტო-გვარისადმი მიკუთვნებას: ზურაბი – ზურაბ-იან-ი... ამ რიგისაა სამეფო დინასტიის სახელწოდებაც არშაკ-იან-ი, სადაც –იან ცვლის უცხო ნარმომავლობის –იდ სუფიქსს: არშაკ-იდ-ი... ოჯახის შტო-გვარის საწარმოებლად გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში; რაჭული დიალექტის რივნისთაურ... კილოკავში: ხოშიტ-იან-ი, ნანუკ-იან-ი... მსაზღვრელად გამოყენებისას დაერთავს მრავლობითობის –თ სუფიქსს: ბიჭია ხოშიტ-იან-თ (იავარაუდება, რომ სახელობითში უნდა ყოფილიყო: *ხოშიტ-იან-ნი“¹⁸.

მოყვანილი მოსაზრება საყურადღებოა რამდენიმე თვალსზრისით:

1. ჩანს, **-იან** შტო-გვარის საწარმოებლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, რაჭული დიალექტის რივნისთაურ კილოკავში, გვხვდებოდა ძველ ქართულშიც, იხმარება სვანურში გვარ-სახელის საწარმოებლად. გასათვალისწინებელია, რომ სვანური **-იან** მეგრულში გვაძლევს **-ია** (<იან). ანალოგიური ფუნქციით **-იან** დადასტურდა ტაოურში.

2. **-იან** სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შტო-გვარის, „ქოხის სახელის“ ნარმოება.

3. შტო-გვარის საცხოვრისის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებში ტაოურში დადასტურდა ნარიანი მრავლობითის ფორმები: **ფევიანი...**

4. **-იან** სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით (**-იენ-თ, ენ-თ**) გვხვდება სხვა სამხრულ კილოებშიც.

თუ **-იან** სუფიქსის გავრცელების არეალით ვიმსჯელებთ, შეიძლება დავუშვათ, რომ იგი საერთოქართველური მოვლენაა.

შაბანისა და მეველეთის მიერ ჩამოთვლილ ტოპონიმთაგან ასევე საყურადღებოა **ხლათე-ბი, ფესტილები, ყურული**. ვფიქრობთ, სამივე სახელის ფუძე მეტსახელია, შერქმეული პიროვნებაზე, შესაძლებელია, მთელ ოჯახზეც კი. აქვე გავიხსენებ: შავშეთში, იმერხევში დავადასტურეთ „ქოხის სახელი“ *ფალავი: „შიშასავეთ დადიან ფალავები“. ფალავი (შდრ. ეფალავება), **ფესტილი (შდრ. გააფესტილა) გვხვდება აჭარულშიც.

***ფალავი** – ნაცვეთი, ნახევ-ნაგლეჯი, ტანსაცმელი, ძველმანი, ძონძი¹⁹, განმარტავს შოთა ნიჭარაძე. აჭარულშივე დასტურდება ზმნა **ეფალავება**, იტყვიან ადამიანზე ჩამოხეულ-ჩამოძონძილი რომ დადის, გადატანით ბავშვზეც, უფროსების ტანსაცმელს რომ იცვამს: „შეხედე ერთი რაფერ ეფალავება, მაგას გონია, შვენის...“ (ორთაბ.).

****ფესტილი** – ტყლაპი, გვხვდება სამხრულ მეტყველებაში. ჩანს, ტაოში მეტსახელადაც უხმარიათ. ამ ფუძიდან ნანარმოებია **გაფესტილება**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ცემა, ცემით გაბრტყელება, მიბეგვა, მიბეჭვა, დატუქსვა“²⁰.

მეტსახელებიდან უნდა მოდიოდეს ასევე ***წონოლაჟ, **წოლალიანი**.

***წონოლაჟ** – ძირითადი მნიშვნელობის გარდა აღნიშნავს 1. ქარხლის ფოთლებისგან დამზადებულ საჭამანდს და 2. მსხლის ჯიშია ერთგვარი, წონოლა ნაყოფს იხმამს²¹.

****წოლალიანი** ნანარმოებია **წოლალ'** სახელური ფუძისაგან. **წოლალი** (იხ. თ. ცოლაკ) 1. ცალხელა, უხელო, ინვალიდი; 2. ხეიბარი, საპყარი, კუტი²², განმარტავს შ. ნიჭარაძე.

წოლალი ტაოში საფუძვლად დადებია მეტსახელ გვარს **წოლალიანი**. იგივე ფუძეა გამოყენებული კლარჯულ „გვარში“ **წოლაქოლი...**

¹⁸ ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 215.

¹⁹ შ. ნიჭარაძე, დასახ. შრომა.

²⁰ იქვე.

²¹ შდრ.: შ. ნიჭარაძე, დასახ. შრომა.

²² იხ. შ. ნიჭარაძე, დასახ. შრომა. შდრ.: შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ნიგნი პირველი, ბათუმი, 1993, გვ. 643.

კარგა ხანია ვსაუბრობთ შირინების კარზე. ინფორმატორები გაგვიშინაურდნენ, ცდილობენ, ბევრი გაიხსენონ... ერთი გულისტკივილი გაგვანდო შირინმა: „ზემვანი არი სოფელი, ალაგებ სახელი ფაქანე ქართულია: დიდელე, ბოლოყანა... კაცები ხვართობენ კი, ქართული არ ვართო...“

გაკვირვებულია შირინი, სოფლის ადგილების სახელები თუ ქართულია, სოფლის კაცები რატომ ხვართობენ, ქართველი არ ვართო? ვინ დაარქვა ქართული სახელები ამ ადგილებს? ზემვანი სოფლის მცხოვრებლებსაც უნდა გაეუგოთ, ქართული რომ არ იციან, იმიტომ ამბობენ, „ქართული არ ვართო“. დიახ, თუ ქართველი ხარ, ქართული უნდა იცოდე, სხვაგვარი ქართველობა ჭოროხის ხეობაში არ იციან...

ერთი ამბავიც მოგვითხრო მევლუდმა, აქამდე რომ არ ვიცოდით:

– **სავრიათ წყალი თამარას მუყყვანია. ისე ბევრი ზორი ყოფილა ქი, ყველაფერი გაყიდა, რომ არ ეყო ქუფების გაყიდა. სავრიეთისთვის უთქმია ქი [თამარას], შენ ბევრი წყალი გქონდესო, ბალხიბარისთვის უთქმია, არ დადგესო თქვენთან წყალი“.**

რამდენი უღვანია დედოფალს, ტაოს წყალი რომ ჰქონოდა, აღარაფერს ვამბობ შავშეთსა და კლარჯეთზე, საყურეებიც გაუყიდა, ფული რომ დაღვეია. ჩემთვის, და ალბათ, მკითხველისთვისაც, გაუგებარია, რატომ დალოცა თამარა დედოფალმა სავრიეთი „ბევრი წყალი გქონდესო“ და რატომ დაწყევლა ბალხიბარი „არ დადგესო თქვენთან წყალი“? რატომ გაუწყრა დედოფალი ბალხიბარს? ბალხელთა მესხიერებას პასუხი არ შეუნახავს. იქნებ, თავად ბალხიბარელებმა „იცოდნენ“ თამარა დედოფლის წყრომის მიზეზი.

ვნახოთ, ეგებ ჩვენც გაგვანდონ ცხრა საუკუნის წინანდელი საიდუმლო...

შირინების კარიდან ორღობეებით დაბლა ჩამოვედით, ჯამიკარზე. მევლუდი და აიჩა გვახლავს. ცოლ-ქმარი გავიცანით ჯამეს ეზოში. ქართულად ორივე ლაპარაკობს, თუმცა უჭირთ. სახელი ვკითხვით ახალგაზრდა ქალბატონს. ვერ

მიხვდა, გაკვირვებულმა იკითხა: სახელი რაა? აღარ გამიმეორებია კითხვა, ამიტომაც ჩანანერშიც უსახელოდ მოვიხსენიებ.

– ქართულად აქ რომელ მაჰალეებში ლაპარაკობენ?

– **ფევზიანში არ არიან, ნითლეკარ არიან ბევრი (გულისხმობს ქართულის მცოდნეებს – ავტ.), აბაზიან არ არიან, ყარამანლიანში... იქაც არ არიან. ხუცეკარში ერთია, ისაც ჩვენი მუხტარი, ონახეთკარში არიან...**

ბალხის სამ მაჰალეს დაუვიწყია წინაპართა ენა, – ფევზიანში, აბაზიანში, ყარამანლიანში ქართული აღარ იციანო, ხუცეკარში მხოლოდ მუხტარი ლაპარაკობსო ქართულად.

ბევრია ბალხისთანა პატარა დასახლებისთვის ქართულის არმცოდნე ოთხი უბანი. ცუდია, რომ ფევზის, აბაზას, ყარამანის, ხუცის ჩამომაველებმა წინაპართა ენა არ იციან.

ერთ გარემოებასაც მივაქცევ ყურადღებას: **ფევზიანი** – ქოხის სახელია, ფევზის ჩამომავლები ინოდებიან ასე, **ფევზიანი** (<ფევზიანნი – ორივე ფორმას იყენებენ), სოფლის უბანსაც ჰქვია, უბანს, სადაც ფევზის სახელეული ცხოვრობს. იგივე ითქმის **აბაზიანსა** და **ყარამანლიანზე**: აბაზიანი (ქოხის სახელი) – **აბაზიანი|აბაზიანნი** – ადგილის სახელი;

ყარამანლიანი (ქოხის სახელი) – **ყარამანლიანი|ყარამანლიანნი** – ადგილის სახელი.

მათ გვერდით დასტურდება **ონახეთ კარი** (მდრ. ონახეთი), **ონახის** ჩამომავლების საცხოვრისი.

რა გამოვიდა? ადგილის სახელწოდებაში – **იან** და **–ეთ** ერთმანეთის ბადალია?

ყურადღებას მივაქცევ ტოპონიმს **ნითლეკარი** <“ნითლ-ევ-კარი”საგან. კიდევ ერთი **–ევ** სუფიქსიანი სახელი ტაოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში საინტერესო ფაქტია.

ჯამესთან წყაროა, ცივი და გემრიელი. ექსპედიციის წევრები ჯამეში შევიდნენ, მე და ზაზა წყაროსთან დავრჩით, წყალი დავლიეთ, შემდეგ კვლავ გავაგრძელეთ საუბარი მასპინძლებთან:

– კარგი ჰაერია ბალხში, სიგრილეა...

– **ჰავა კაა, ჰამა რა'ნა ქნა, მოზობელი არ არი...**, – დაიჩივლა ქალბატონმა.

დაცლილა ბალხიც, რამდენიმე ოჯახიდა ცხოვრობს, ისიც – ზაფხულობით, ზამთარში ისინიც ტოვებენ სოფელს...

როგორც ჩანს, დაცლა აქაური (და არა მართო აქაური) სოფლის ხვედრია. მცირელა დარჩა სოფლისა და წინაპართა კერის ერთგული.

წამოვედით ბალხიდან ინფორმაციით დატვირთულები. სოფელს ჩამოვუარეთ, ქვემოდან შევავლეთ ერთხელ კიდე თვალი: ბალხი ჯერ კიდე ინარჩუნებს ძველი ტაოური სოფლის იერს: ძველებური ტაოური ქოხები, ორღობეები, ძველი თქმულებები და გადმოცემები.

ბალხიდან **ონახთკარში** (<*ონახეთკარი?) წავედით. მანქანა გზაზე დავტოვეთ, სოფლის ბოლოს, ფეხით ავედით დასახლებაში. დიდხანს არ გავჩერებულვართ, წითლევკარში ჩამოვედით. ახალგაზრდა კაცი შემოგვხვდა, გავჩერდით:

– ხალხით ჭალაბოლლი, ქოხის სახელი ჭალაბოლლი, სულაღე, – გაგვეცნო ახალმოსულებს.

სახლში მიგვკაპატიყა მე და მალხაზი.

– პოლიციაში ვმუშაობო ხალითმა, ახლა აქ ჩამოვედი, მალე წავალო ისტამბულ. ჩაი და აირანი მოართვი სტუმრებს, – გასძახა მეუღლეს, თავად გავიდა და ხილი მოიტანა.

– ნუ შენუხდებით, ხალხით ბატონო, ნურც ქალბატონს შეანუხებთ, დაბრძანდით, ვილაპარაკოთ, სალაპარაკოდ მოვედით...

– **ვიხვარა'თოთ, მკითხე, გეტყვი!**

– რამდენი სახლია სოფელში?

– **ხუთი ხანე ვა'რთა!**

– ზამთარში თოვლი ბევრი მოდის? გზები იკეტება?

– **ახლა აფა'ქვენ, უნინ დაყაფანდე'ბა.**

განსხვავებულია წითლევკარელთა ქართული: ყურს ხვდება ტონური მახვილი (ფიქსირებული სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე) და კითხვითი ა ნაწილაკი, რომელიც მახვილიანია ტაოურში.

ფეხზე წამოდგა ხალითი, გაიარა, შემდეგ მე მომიბრუნდა და მეკითხება:

– **ძიგარას სვამხარ?**

– კი, ვენევი!

– **მეც ვსვამ, გაქვს ძიგარა?**

სიგარეტი მივანოდე. ერთი ღერი აიღო, კოლოფი დამიბრუნა. გქონდეთ, კიდეც მაქვს მანქანაში, – ვეუბნები მე...

სიგარეტი მოსწია, წყალი დალია და ჩვენთან მოვიდა. ჩამოჯდა.

– **კაა ხარა?** – მეკითხება მასპინძელი.

– **კაა ვარა!** – ვუქცევ ტაოურად.

– ამბობენ, წითლევკარში ხორუმი უყვართო, მართალია?

– **უნინ იყო, ახლა არ და'რჩეს, არ იჯები'ან. ჩვენი თულუ'მით ხორო'ში, ჩვენი თულუმი'ა. ორი თანე იყო, წე'ვნეს...**

ღია კარში დედალი შემოვიდა, ეზოში მამალი გაუჯავრდა, ყვილი დაინყო გაბრაზებულმა.

– რატომ ყვიის მამალი, რატომ ბრაზობს?

– **ქათა'ში წევდა აა, ყვირის!**

დიახ, მამალი „ყვირის“ წითლევკარში, შეშინებული ქათამი (აქ დედალი – ავტ.) იმალება.

ყურძენს შეექცევა ჩვენი მასპინძელი, პურს აყოლებს. ჩვენც გვთავაზობს, მიირთვიეთო. რამდენჯერმე გასძახა ცოლს, ჩაი მოართვიო სტუმრებს.

შემდეგ მოგვიბრუნდა ხალითი და თავისი ლექსიკური დაკვირვებები გაგვაცნო:

– **ჩემი ბებე'რაა, თქვენი – ბებე'რი!** (ბებერაა – აქ: ცოლი). **ბებერი და, ქა'ლი.**

პუტური ქა'ლი – ბგანო, ბიჭი – პუტური კაცი...

– ხალხით ბატონო, ჯინების შესახებ გაგიგონიათ რამე?

– **უნინ იყვნეს, ახლა არ ვი'ცი!**

– უნინ რომ იყო, არაფერს მოყვებოდნენ ჯინების შესახებ?

– **ჯინები სალამოზე დააქვავებ'ბენ ქოხებზე, საჯე'ბზე, დააბეჩე'ბენ და. ართულ იკითხებ'ბენ ყურანი, ბელქი წევდე'ნა. ხანჩი მიდიან, ხანჩი არ მიდი'ან. მიდი'ან, კიდრე მოდი'ან!**

– ვინმემ ნახა ჯინი?

– **უნინ დუუნახი'ან, მე არ დიმინახი'ან. კარქა უნინ ბევრი ყოფი'ლან. ღამი კაცები**

დუჭირი'ან [ჯინებს], უფერხული'ან, ღამი უჭირი'ან, უფერხული'ან...

ჯინების ამბავს მთელ ქორხის ხეობაში გაიგონებ: აჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში. ხშირად მოთხრობებიც ემთხვევა ერთმანეთს. და რომ ემთხვევა, არ გვიკვირს, ქორხის ხეობა ხომ ერთიანი კულტურული სივრცეა.

– სიცხეებია თქვენს კუთხეში. დიდი ხანია, არ მოსულა წვიმა?

– **ამეზღამ აქ'ნა განჯმდეს, ერთი საათი განჯმდება, ნავა სამი-ოთხი დღე, ისევ მო'ვა!**

– ხალით ბატონო, თქვენ, თქვენი ბებერი, კარგად ხვართობთ ქართულად; ელიასხევეშიც ხვართობენ, ქვაბაიშიც, ზოგან არ იციან; არც გენჯებმა იციან ქართული, ქართულად არც თქვენი შვილები ხვართობენ...

– **ისინი პუტრული'დან ხვართობენ თურქია. მე ვიცი, ღენჭებმა არ იციან, არ ხვართობენ გურჯიჯა. აქ ხვართობენ, იქ არ ხვართობენ...**

– სოფელში რუ გაქვთ, ვინ მოიყვანა? – ვეკითხები ხალითს.

– **თამარამა (sic) უშენები'ა, ისე'ა. ბილეზუგები, ქუფები უყიდი'ა, უშენები'ა. ერთი კილომეტრი კანალია, იმდენი დიდი'ა.**

– თამარა ვინ იყო? – კითხულობს მალხაზი და პასუხის მოლოდინში აპარატს რთავს.

– **თამარა კარქა უნინ ერთი რუსის ბებერი ყოფილა. იმხან რუსი იყო და... თამარა ბინ სენე ყოფი'ლა, უთამამები'ა, წესულა რუსი...**

კარგი დიალოგი გამოგვივიდა. ჯერ ერთი, ნითლევეკარელთა ხსოვნას შეუნახავს თამარ დედოფლის სახელი. მოთხრობებში ხაზგასმულია, რომ რუს მშენებლობა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, უპირველესად ჩანს ფინანსური პრობლემები. ამიტომაცაა, რომ თამარი ზოგ მოთხრობაში ბილეზუგს (სამაჯურს – ავტ.) ყიდის, ზოგში – ქუფებს (ყურსაკიდებს – ავტ.), სხვა მოთხრობაში კიდევ ნაწნავებს მოიჭრის და გაყიდის, ალებული ფულით დაწყებულ მშენებლობას ასრულებს. ტაოელთა ხსოვნაში თამარი მზრუნველი დედოფალია, სოფელს სარწყავ წყალს აწვდის...

ჩვენთვის მოულოდნელი იყო ინფორმატორის პასუხი, რომ თამარი „რუსი ბებერი ყოფილა“. უნებლიეთ გვიჩნდება კითხვა: რატომ რუსი ბებერი? (ბებერი – აქ ცოლი). ქორხის ხეობაში სხვაგან არ მოგვისმენია, რომ თამარ დედოფალი „რუსის ბებერი იყო“. ხალითმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ თამარს „უთამამები'ა, წესულა რუსი“.

პასუხგაუცემელი კითხვა დამრჩა: წყარო ხალითის ინფორმაციისა, რომ თამარი „რუსის ბებერი“ იყო, ხალხური გადმოცემაა, ხალხის ხსოვნაა, თუ სადმე ნაიკითხა მოთხრობელმა? სხვაგვარად წიგნის ინფორმაცია თუ ხალხური?

დაბოლოს, ხალითი არხს „კანალს“ უწოდებს. საიდან „კანალი“ (რუს. Каналь – არხი) ტაოურში?

ერთ სინტაქსურ კონსტრუქციას მივაქცევ ყურადღებას: **„თამარამა უშენები'ა“** მიცემითის ნაცვლად მოთხრობითი გამოიყენა მოთხრობელმა, რაც, ბუნებრივია, არაა დიალექტური ნორმა და ენის უცოდინრობით უნდა აიხსნას.

ვუსმენ ხალითს და ვხედავ განსხვავებას მის მეტყველებასა და სხვა სოფლების, თუნდაც ბაღის მეტყველებას შორის, კერძოდ:

– ხელშესახებია და სისტემურად ისმის ტონური მახვილი: **სათი'ვე, ხვარი'თობ...**

– ისმის პალატარული ხმოვნები (უმლაუტი – ავტ.): **განჯმდეს, კიდრვ...**

– რამდენჯერმე დავაფიქსირე კითხვით ა' ნაწილაკი: **კაჲ ხარა'?**

– ლექსიკიდან ყურადღებას იქცევს: **ხვართობა||ხვართობა ლაპარაკის მნიშვნელობით, პუტრული** – პატარა. აღვნიშნავთ, რომ **ხვართობა** სხვა სოფლებშიც გავიგონეთ...

იატაკზე გადაჯდა ხალითი. სიგარეტს აბოლებს, აშკარაა ვერ ისვენებს, უფრო ბრაზობს ცოლზე, ჩაი რომ დაუგვიანა. ხშირად იხედება სამზარეულოში, აჩქარებს. ჩანს, ქალბატონი არ ჩქარობს, ამიტომაც ბრაზობს ხალითი. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა, უკვე მერამდენედ, ყურძენს გვთავაზობს, ჭამეთ, თან ვილაპარაკოთო.

– ნუ აწუხებთ ქალბატონს, ვისაუბროთ, – ვამშვიდებთ ხალითს.

– ხალხთ ბატონო, აქაური ადგილის სახელე-
ბი ჩაგვანერინე!

მცირე პაუზის შემდეგ დაიწყო:

ტუბათი (შდრ.: *ტბეთი),

ქედქედი,

ფაგარა'

კილდიათი,

ვერანე,

გორამეთი,

ოფო წინი (შდრ.: *ოფე წინი, ორმოს, აუზის
წინა²³),

გონთ',

ბანნალ',

ქერც იქით,

ახალშენი,

კაპანეთი,

ქედყანა,

კვერეთი,

სოშთ',

ფოსო,

მინჯახო,

დიდ ახო,

სატალახე,

ხოჯაგილი,

ქერემგილი,

ქოროლიგილ',

ჰაჯიგილ'.

მეტი არ ვიცი!

– ბევრი გცოდნია, კარგია. ნითლეკარის მა-
ჰალეებიც გვითხარი ბარემ.

ჭალაბოლლი,

დელიოლლი,

ჩაუშოლლი,

ფესტილოლლი,

ქუჩუკალოლლი,

ბასილოლლი (შდრ. **ბასილაზე**),

ჰაჯიგილი,

ხოჯაგილი,

ქერემგილი,

ქოროლიგილი.

სოფლის უბნები მოვიკითხეთ; ინფორმატო-
რმა ოჯახების, „ქოხის სახელის“ საცხოვრისები
ჩამოგვითვალა. ნითლეკარშიც იგივე სურათია,
რაც სხვა სოფლებში – ბუდობრივი დასახლება.

მალხაზი კითხვებით ავსებს მასპინძელს, მე
კიდევ ვაკვირდები მის მეტყველებას. ზოგჯერ
ისეთ სინტაგმებს შევნიშნავ, რომლებიც მა-
ფიქრებს:

[ტყეში] ვაცები არიან, დათვი, ღორი, გელი...
გელი იცი? ძალღ გავსა. საღამოზე ფაქა მოდი-
ან, აქ ჭამენ: **ვაშლი ჭამენ, სხალი ჭამენ**, ახლა
თუთა არ დარჩა და ახლა სხალი ვაშლი'ნა შე-
იქნას, იმა ჭამენ... [ბზე] **ზამთარი** შეჭამონ'ნა
ფურები...

საზგასმული ფორმები: სახელობითი მიცემი-
თის ნაცვლად, სახელობითი მოთხრობითის ნაცვ-
ლად უცნაურად მეჩვენება ტაოურში. სხვათა მე-
ტყველებასაც დავაკვირდებით, თუ ანალოგიური
ფორმები დადასტურდება, დიალექტურ მოვლე-
ნად ჩავთვლით, თუ არა – ენის უცოდინრობით
უნდა აიხსნას დასახლებული შემთხვევებიც.

ერთ ფაქტსაც მივაქცევ ყურადღებას, კერ-
ძოდ, ხალხთ ჭილაბოლლისათვის ყველაფერი
პატარა წინილია:

**ძალღი პუტრუჲ – ძალღი წინილი, კატა პუ-
ტრუჲ – კატი წინილი, წინილი – პუტრუჲ და!
ქათმის პუტრუჲ – წინილი და!**

კარგა ხანს ვისაუბრეთ ჭილაბოლლის ქოხში,
მასალებიც ჩავინერეთ და დედალ-მამლის ჩხუ-
ბიც ვნახეთ: „**დიდი მამალი არი და *ექუჩება, აქ
მორბის**“ – აგვიხსნა ხალხთმა.

***ექუჩება – გაურბის.**

წამოვედით ნითლეკარიდან. დაღამებამდე
ჯერ დროა, კიდევ მოვასწრებთ რომელიმე უბა-
ნში მუშაობას.

მოსლიეთში წავედით. მანქანა დასახლების
მისადგომებთან გავაჩერეთ. ბილიკით შევედით
უბანში. ეზოში არავინ ჩანს. ვათვალიერებთ,
ეგებ გამოჩნდეს ვინმე სულიერი, დამლაპარაკე.
ერთი ქოხის აივნისა და ქალისა და კაცის საუბა-

²³ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

რი გავიგონეთ. გამოველაპარაკეთ! სახლში მი-
გვინვიეს...

მალე აჰმედ გულმეზის აივანზე ვიყავით მთე-
ლი ექსპედიცია.

ლამაზი სოფელია მოსლიეთი: მთის ფერდო-
ბებზე შეფენილი ძველი დასახლება. ყორებით
დაუტერასებიათ ფერდობები, ტერასებზე კი
გაუშენებიათ დაბლარი ვენახი, კაკალი, ბალი,
ვაშლი... ბოსტანში ჩანს სხვადასხვა მწვანილი,
ფხალი, ლობიო. „თამარას წყაროთი“ ცოცხლობს
დღესაც მოსლიეთი. მთავარია, რომ სოფელში
ყველა ქოხში გურჯიჯა ხვარათობენ.

აჰმედ გულმეზი სოფლის ყოფილი მუხტარია,
კარგად იცის აქაური ამბები. ერთი კია, ქართუ-
ლი უჭირს, თუმცა საუბარს ახერხებს. უკეთე-
სად ლაპარაკობს მისი მეუღლე, სეჰერი. სამზად
ოთახში ფუსფუსებს ქალბატონი, ყური ჩვენკენ
აქვს, როგორც კი გაუჭირდება აჰმედს რომელი-
მე კითხვაზე პასუხის გაცემა, წამოეშველება...

მოსლიეთლები ბალხიდან ჩამოსახლებულან.
მასპინძელმა აგვისსნა: „ჩვენი მაჰალე ბალხია,
ჰამა – ვერანია. აქობა – ბარი“. ჩანს, თავდა-
პირველი საცხოვრისი ბალხი იყო, შემდეგ ჩა-
მოვიდნენ ბარად და ახალი სოფელი გააშენეს.
ბარემ ვიტყვი, რომ წინათ ელიასხევის სოფლე-
ბი მთის მაღალ ფერდობებზე იყო გაშენებული,
სადაც დღეს უმეტესად მეზრეები ან ჯილბებია,
ხეობაში გზა რომ შემოვიდა, მოსახლეობამაც
დაბლა ჩამოინაცვლა და ახალი სოფელი გააშე-
ნა. ძველად გზები მთებზე გადიოდა...

მოსლიეთელთა დიდი ნაწილი „მუჰაჯირში
წასულა“ (აქ შიგა მიგრაცია, შიგა გადასახლება
უნდა ვიგულისხმოთ და არა მუჰაჯირობა ტრა-
დიციული გაგებით), თურქეთის დიდ ქალაქებში
თუ ქალაქთან ახლოს დასახლებულა, თუმცა
წასულები ვერ ივინყებენ მშობლიურ სანახებს,
გონებით მუდამ აქ არიან, ზაფხულის თვეებს
კი ყოველთვის სოფელში ატარებენ. აჰმედის
თქმით, „აპრილში მოვალთ, ყოჩა (ქოლოცა –
ოქტომბერი) წავალთ“.

სოფელს სარწყავი არხი ჩამოუდის. როგორც
ვთქვით, რუს გარეშე წარმოუდგენელია ტაოუ-

რი სოფლის ცხოვრება. წყალი სიმდიდრეა, სი-
მდიდრის წყაროა ტაოელისთვის.

– ეს რუ ვინ მოიყვანა? – გულუბრყვილოდ
ვეკითხები ქალბატონ სეჰერს, თუმცა პასუხი
ვიცი, მაინც მაინტერესებს მასპინძლისგან გა-
გონება.

– თამარასი მოყვანილია და...

– ვინ იყო ეს თამარა, ამდენი რუ/არხი რომ
უშენებია?

– თამარა იშტე გურჯის ფადიშაჰი ბგანუ
(ფადიშაჰის ქალი – ავტ.)... მე კარქა ხვარათობ-
დი, ახლა აჰმედამ ახვარათეთ!

– გმადლობთ! ახლა აჰმედს მივუბრუნდი,
მასთან გავაგრძელე ხვარათი.

– რამდენი ქოხია სოფელში?

– ოროცი ხანე იყო, ახლა ოთხი ხანე დარჩა.

ასაკოვანი კაცია აჰმედ გულმეზი, ჩანს,
მთლად „კაა არაა“, ამიტომაც გვთხოვს ქალბა-
ტონი სეჰერი: „შენ დასხი, მასე ხელები ერყე-
ვა“. პარკინსონი ანუხებს მოხუცს.

– თქვენ ახლა რით მოხველით? – გვეკითხე-
ბა აჰმედი.

– არაბაით მოვედით, გზაზე „ავაყუდეთ“.

– თქვენ ცოლს, სეჰერს, რას ეტყვით?

– ბებე’რი და!

– სახლს?

– სახლ ქოხ ებნევი’ან!

აჰმედის ბებერიც გამოვიდა აივანზე, ჩაი და
აირანი მოგვართვა.

– თქვენი ქორწილი გაიხსენეთ, როგორი ქორ-
წილი გქონდათ? – კითხულობს მაია.

– ვრა თანე ვერძი დავკალით. იმ ხანზე
ჯეაზი (მზითევი – ავტ.) არ იყო. ტიკზე უკრა’ვ-
დენ, ფერხულო’ბდენ. დამვიწყდა, მეტი არ
მასსოვს.

მოგვიანებით ქალბატონმა სეჰერმა გაიხსე-
ნა: „დუგუნ ვიქმოდით, ხარ დავკლიდით, ბგა-
ნო თერეფში ნევლე’ბდით...“

გვონებ, პირველად დაფიქსირდა ქოროხის
ქვეყნების საქორწილო ტრადიციაში, რომ სიძის
მხარეს დედოფლის ქალის ბგანოს ოჯახში ხა-
რის ხორცი მიაქვს ძღვნად.

– ქორნილში ხომ იმღერებდით? არ გახსოვთ ძველი სიმღერა? – არ ეშვება მამია.

– **მე დამვიწყდა, არ ვხარა'თობთ, გვამინყდე'ბა!**

– საქონელი გყავთ? – ვცვლი საუბრის თემას.

– **მყო'დეს, ბევრი ცხვრები მყო'დეს, ვაცე'ბი მყოდეს... გავყი'დე. ჩვენ ასე დავჩნეთ ბერ-ბებერი.**

– შვილები და თორები ხომ გყავთ?

– **ათ და ექსი თანე თორი მყა'ვან!**

ქალბატონმა სეჰერმა ისიც გაგვიმხილა, რომ „**ოთხი თანე სახლი გვექონდა, *გეახრაკაო. აჰმედმა ვერ იპუა ქია, მოხკლიდა, ფინთია**“.

*გეახრაკა – დაინვა.

მოხუცი ცოლ-ქმრის, ბერ-ბებერის, აჰმედ გულმეზისა და სეჰერ შენის მეტყველებაში განსაკუთრებით ხელშესახებია ტონური მახვილი.

და კიდევ: უცნაურად მეჩვენება აჰმედ ილმაზის საუბრიდან ზმნური ფორმა **მყო'დეს** (შდრ. **მყავდეს**). ანალოგიური ფორმა არ შემინიშნავს სხვათა მეტყველებაში.

ტაოურში გზადაგზა დასტურდება „ხანმეტი“ (ზოგჯერ – „ჰამეტი“) ფორმები: **მოხკლიდა, დახკლავდა...**

– რა გვარები ცხოვრობენ მოსლიეთში?

თოფლიანნი,

ჰელიმიანნი,

ხოჯიანნი,

ეფენდიანნი,

ყავაზიანნი,

იბიშიანნი.

დასახელებულს დაუმატეს:

ნონოლაჲ,

ლახტარი,

ბეჩელა...

ჩამოთვლილი სახელები ლაღაბი გვარებია, „ქობის სახელები“ და არა გვარი ტრადიციული

გაგებით. „ყავაზიანნი“ და მასთან ერთად ჩამოთვლილი გვარები ნ'არიან მრავლობითშია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოფელში გვარები ბუდეებად ცხოვრობენ, შესაბამისად, გვარისა და მისი საცხოვრისის აღსანიშნავად ერთი და იგივე სახელი გამოიყენება.

– ბარემ ადგილის სახელებიც ჩაგვანერინეთ, – ვთხოვთ მასპინძლებს.

გორამეთი,

ჩილინთური,

ქენენარი (<*ქენენარი?).

კილდი თავი,

კოჭიანვევი,

ფაკერდი,

ქეთსიქითი,

ვერანე,

ასკილგორ'ი.


შენიშნავთ: ა. ტაოურში ალაგ-ალაგ დარდება ჯ თანხმოდანი. მას ხშირად ცვლის ხ, და რაც მთავარია, ჯ'ს არ აქვს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია.

ბ. კოჭიანვევში გამოვყოფთ „ქობის სახელს“ კოჭიანი. შდრ. კოჭიანთ ჯევი.

„მზე ზღვაში ჩავიდა“, ჩვენი დაბრუნების დროა. დავტოვეთ კეთილი მოხუცები მოსლიეთში და „აგარაში“ დავბრუნდით.

მთელი დღე შრომაში გავლიეთ. ვინ დიალექტოლოგიურ მასალას იწერდა, ვინ – ფოლკლორულს, ვინ კიდევ – ეთნოლოგიურს... ფოტოაპარატომომარჯვებული თამარი ყველაფერს ფოტოზე აღბეჭდავდა, ექსპედიციის ფოტომატეიანეს ქმნიდა.

მერაბ ხალვაშსა და ადამ მახარაძეს ველოდებით ამ საღამოს... დაგვირეკეს, იუსუფელში ვართო, ღამის 10 საათი იქნებოდა, სასტუმროში რომ მოვიდნენ...



ნოდარ ბასილაძე

ნოდარ დუმბაძე — ჰუმანისტი

„ყოველი ეპოქისა და ქვეყნის ხალხისთვის ძვირფასი და ახლობელია მეტადრე იმ მწერალთა სახელები, ვინც მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ეროვნული გრძნობის განმტკიცებასა და მშობელი ხალხის სამსახურს შეაღია, ვინც ქადაგებდა სიკეთეს, ჰუმანიზმს, ხალხთა შორის ძმობასა და მეგობრობას. და თუ მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ამ მხრივ ვინმეს მშობელი ხალხის წინაშე ვალმობდილად შეუძლია ჩათვალოს თავი, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ნოდარ დუმბაძე. ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ რგებია ვინმეს ისეთი აღიარება და დაფასება, როგორც ნოდარ დუმბაძეს ხვდა წილად. მისი წიგნები ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სამაგიდო წიგნებადაა ქცეული და გაუთავებელი კითხვით იცრიცება“ (გ. გვერდნითელი). მწერლის შემოქმედების ეს დიდი მაგნიტური ძალა უნდა ვეძიოთ მის გმირთა ღრმადამიანურობასა და კაცთმოყვარეობაში, სიყვარულსა და სიკეთეში, ხალას იუმორსა და ნათელი მომავლისადმი ურყევ რწმენაში.

მწერლის მთელი შემოქმედება ჰუმანიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის ნათელი შუქით არის გაბრწყინებული, რაც თავად ავტორის შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს.

ადამიანებისადმი ნოდარ დუმბაძის სიყვარულსა და სიკეთეზე ყველა ერთნაირად საუბრობს, მაგრამ მე მინდა აქ მოვიშველიო მისი

ერთ-ერთი კოლეგისა და მეგობრის, პოეტ სილოვან ნარიმანიძის მოგონება.

დიდი მწერალი ზაფხულს, როგორც წესი, გულირიფში, ზღვისპირას ატარებდა. აქ იდგა მისი პატარა ქოხი, გვერდით კი კარლო კალაძის, კონსტანტინე სიმონოვისა და სხვათა სახლები იყო ჩამწკრივებული.

ერთ დღეს იგი, მეგობრებთან ერთად, კოდორის ხეობას აყოლია. „ერთ-ერთი სოფლის ცენტრში მანქანები გაჩერდა და ყველანი გადმოვედით, – წერს ს. ნარიმანიძე.

ბავშვები დარბიან, თამაშობენ, მხიარულობენ, დასდევენ ერთმანეთს, მათ შორის ერთი ბიჭი ღობის კუთხეში დგას, ძალზე მოწყენილია, არ მონანილეობს საერთო თამაშში, სევდიანი მზერა აქვს. იმისკენ გავეშურეთ.

– ძამა, რა გვარი ხარ? – ეკითხება ნოდარი. ბიჭი შეიმშუშნა, გამოერკვა, უხალისოდ მოგვიბრუნდა.

ბიჭი ობოლი გამოდგა. მამამისი ექვსი თვის წინ ჩამოუსვენებიათ მთიდან, სადაც ავტომობილის მძლოლად მუშაობდა, აქ ის მორებს ამზადებდა და ბარში ეზიდებოდა თურმე, ერთ-ერთი მორი დაგორებულა, ზედ დაცემია იმ კაცს და მოუკლავს. ბიჭზე ძალიან უმოქმედია ამაგდარი მამის ტრაგიკულ სიკვდილს...

ჩავინერეთ ბიჭის გვარი, სახელი, მისამართი, დავპირდით, რომ იმ დღეებში კიდევ ვნახავდით.

– ძნელია ობლობა, – მეუბნება ნოდარი... მაინც როგორ გამხდარა, ავადმყოფური სახე აქვს, აუცილებლად ამოვიდეთ ამ დღეებში და ვნახოთ“ (3, 305).

მეორე დღესვე ისინი იმ სოფელს წვევიან, სადაც წინა დღით იყვნენ. „სოხუმში გავიარეთ, – განაგრძობს ს. ნარიმანიძე, – მაღაზიებში შევედით და საჩუქრები ვიყიდეთ: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტკბილეული, ბურთიც... სოფლის ცენტრში მივედით, სადაც გუშინ ვიყავით. ვკითხულობთ ჩვენი ნაცნობი ბიჭის სახლს.

ჯერ შავებში ჩაცმულმა ქალმა გამოიხედა, მერე კი ის ბიჭი გამოჩნდა, დაგვინახა და მორცხვი, მორიდებული ნაბიჯებით მოგვიახლოვდა. გვთხოვს, მობრძანდითო სახლში. ჩვენ უარს ვაცხადებთ და საჩუქრებს ვაჩივრებთ ხელში.

გაკვირვებულია, ვინ ვართ, არ იცის. ჯერ უარობს, მერე მაღლობას გვიხდის და სახლისკენ გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, მერე ისევ მოიხედავს უკან, მოიბრუნებს ჩვენთან და გვეუბნება:

– ძალიან გთხოვთ, ცოტა ხანს დაიცადეთ, ბიძიებო, ხომ დამიცდით? ხუთ წუთში გამოვალ.

– დაგიცდით, დაგიცდით, – ვაიმედებთ.

ჩვენ იქვე გზის პირას სკამზე ჩამოვსხედით და ვმუსაიფობთ. ბიჭი ისევ გამოჩნდა, ხელში ცელოფნის პარკი უჭირავს, ხილით არის სავსე.

– მიირთვით, ჩვენი ბალის ხილია, – გვეუბნება და პარკს გვანვდის, მერე ამატებს, – რა ვუთხრა დედას, ვინ იყვნენ-მეთქი.

– უთხარი, ნათლიები იყვნენ-თქო, ვეუბნებით ჩვენ და ბიჭს ვემშვიდობებით, თან ვარიგებთ, როგორი მოქალაქე უნდა დადგეს, როგორ უნდა იცხოვროს.

– არ ვიცი, მან როგორ მიიღო ჩვენი სტუმრობა, – გვეუბნება მერე გზაში ნოდარი, – მაგრამ ჩემთვის რომ ბავშვობაში ასეთი ყურადღება ვინმეს გამოეჩინა, ალბათ, სიკვდილამდე არ დამავინყდებოდა...“ (3:306-307).

ასეთი ჰუმანისტი, მხურვალე გულის მწერალი იყო ნოდარ დუმბაძე. იგი ყოველ ადამიანში დადებით თვისებებს ეძებდა, ქურდსა და კაცისმკვლელშიც კი ადამიანურ გრძნობებს ქექა-

ვდა და პოულობდა კიდევ. ასეთებია ლიმონა და ტიგრანა რომანში „თეთრი ბაირალები“. ლიმონა ქურდია, ტიგრანა კი – კაცისმკვლელი. ორივეს მართლმსაჯულება თავისას მიუზღავს, მაგრამ მწერალი ამით არ კმაყოფილდება. იგი უფრო ღრმად იხედება თითოეული მათგანის სულში და პოულობს ადამიანობის იმ რაციონალურ მარცვალს, რომელიც არ შეიძლება არ გააჩნდეს ნებისმიერ ადამიანს. როცა ლიმონა შემთხვევით გაიგებს, რომ მისი დის თანაკურსელის მამას ძარცვავდა, იგი ნაძარცვს უკან აბრუნებს და ქურდობაზე ხელს იღებს, ტიგრანა კი ეხვეწება ძია ისიდორეს, იმ შენი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა მე დამაბრალეო. „...მე ვკისრულობ მაგის სიკვდილს, მაგის ოხერი დედაც ვატირე, მე დამაბრალე, ძია ისიდორე, შენი ჭირიმე, ჩემთვის სულ ერთია, გინდ ერთი მომიკლავს და გინდ ორი... ოღონდ შენ თქვი სასამართლოზე, რომ მე მოვკალი, გესმის, ძია ისიდორე, ოღონდ შენ თქვი!“ (2:432).

დიდმა მწერალმა ომიდან გამოქცეული, დეზერტირი, დათიკო ბრიგადირიც („მე ვხედავ მზეს“) არ გასწირა მთლიანად და მასშიც იპოვა ადამიანობის მარცვალი: როცა ადიდებულ მდინარეს მიჰქონდა ულამაზესი სულისა და უკეთილშობილესი გულის გოგონა – ხატია და მდინარეში „ფეხის შედგმას ვერავინ ბედავდა“, მის ბობოქარ ტალღებს დათიკო შეება და გოგონა დახრჩობას გადაარჩინა. მანამდე მას ყოველთვის მგელივით ტყისკენ ეჭირა თვალი, ახლა კი (ხატიას გადარჩენის შემდეგ) იგი სოფლისკენ მიმავალ გზას გაუყვა, თუმცა მიდიოდა და არ იცოდა, სად, რადგან სოფელმა იგი არ მიიღო. ამით მწერალს სურს გვითხრას, რომ არის დანაშაული, რომელსაც შენდობა და შეწყალება არა აქვს.

ნოდარის გმირები მასავით ყოველსმომტევებლები არიან. ეს ყველაზე მეტად ჩანს რომან „მზიანი ღამის“ მთავარი პერსონაჟის თეიმურაზ (თემო) ბარამიძის ხასიათში. მისი გული, მიუხედავად თავს დამტყდარი და გადატანილი არაერთი უბედურებისა, სიკეთითა და ადამიანების სიყვარულით არის სავსე. ყოველ ადამიანში იგი მხოლოდ დადებითს ეძებს და არ სურს დაინახოს

ზოგიერთი მათგანის მანკიერი მხარეები, მათ შორის, ბოროტებაც კი. დედის არაერთი შეგონების მიუხედავად, რომ კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაც, იგი ივინყებს ბოროტებას და მკაცრად ისჯება. თემო სრულ ნდობას უცხადებს თავისი კარის მეზობელს, შინსახკომის მუშაკს – აბიბო თოდრიას, კაცს, რომელმაც ერთხელ უკვე კინალამ დალუბა მისი ოჯახი, და მას ციხიდან გამოქცეული მეგობრის რამაზ კორსაველის, მეტსახელად „თავერას“, დახსნას სთხოვს, მაგრამ ტყუფდება და ისევ ისჯება: აბიბო დახსნის ნაცვლად თავერას გასცემს და ამ უკანასკნელს ისევ ციხეში უკრავენ თავს. ამის შემდეგ თემო შურისძიების გრძნობით ივსება და აბიბოს მოკვლასაც კი ფიქრობს, მაგრამ ერთ დღეს, როცა იგი სადარბაზოში მომაკვდავ აბიბოს პოულობს, მას მხსნელად ევლინება. „ზურგზე მოვიკიდე და მესამე სართულზე ავიყვანე, დავანვინე კართან, ჯიბეები მოვუჩხრიკე, გასაღები ვიპოვე, კარი გავალე და მის სამუშაო ოთახში ნოხგადაფარებულ ტახტზე დავანვინე, საკინძე გავუხსენი, ქამარი შევხსენი და ფეხზე გავხადე.

აბიბო იწვა ჩემს წინ და კვდებოდა. კვდებოდა კაცი, რომლის სიკვდილს ვნატრობდი, კაცი, რომელმაც სულში ჩამაფურთხა, მიწასთან გამასწორა, გამწირა, და ამ კაცის სული ახლა ჩემს ხელში იყო“ (1:562).

მიუხედავად ამისა, თემურ ბარამიძეს არ ძალუძს შურისძიება, რადგან მასში სიყვარულის დიდი ძალაა დაგუბებული. ამიტომ იყო, რომ მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა, წყალი დააღვინა, ფანჯრები გამოაღო, ოთახი გაანიავა და შემდეგ მომაკვდავს მთელი ღამე უთია. თანდათან იგი სიძულვილისგან დაიცალა და აბიბოსადმი სიბრალულით აივსო, ამ უკანასკნელმა კი მისი ხელი დაიჭირა, კოცნა დაუნყო და შებლაგვა:

„– მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! – მე ხმას არ ვიღებდი, – ამბობს თემო.

– მაშინ, მომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?

– მე მკვლელი არა ვარ, ძია აბიბო! – აბიბო მიყურებდა თავისი გამჭირვალე ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე

რალაც და ეს რალაც ცრემლი იყო – აბიბო ტიროდა“ (1:565-566).

ჭეშმარიტი ჰუმანიზმის, უანგარო სიკეთისა და ქართული სტუმართმოყვარეობის საუკეთესო მაგალითია სოფლელი კაცის, ბაბილო ვაშაყმაძის საქციელი რომანში „მე ვხედავ მზეს“. მასში ერთი ასეთი ეპიზოდია: ხატია და სოსოია მეზობელ სოფელში ტანსაცმლის სიმინდზე გადასაცვლელად მიდიან. ომის მძიმე, მშვიერი წლებია. ქვეყანას უჭირს და უჭირს ბაბილოსაც, მაგრამ იგი ბავშვებს ღამეს გაათევენებს და დილით უსასყიდლოდ აძლევს მთელ ტომარა სიმინდს. სოსოიას ნათქვამზე – მე მათხოვარი არა ვარო, ბაბილო ასე პასუხობს: „– რაო, რა მითხარი?.. მათხოვარიო?.. რალაც ორი კეკალი სიმინდი მისცეს კაცმა კაცს, მათხოვრობაა მაგი? არ გცოდნია შენ რაა მათხოვარი“... (1:362).

ნოდარ დუმბაძემ კარგად იცის, რომ კაცი იმედით, ხვალინდელი დღის სიხარულით ცოცხლობს. ამის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია. ამიტომ იგი არ უქრობს იმედის ამ შუქს თავის გმირებს.

„– დღეს ჩვენი ფოსტალიონი იყო ჩვენთან, გერასიმეს ბიჭის დალუპვის ცნობა მოიტანა. მე ვერ ვეტყვი, შენ უთხარიო, მითხრა, – თქვა ილარიონმა...

– მერე, უთხარი გერასიმეს? – ვკითხე მე, – ამბობს ზურიკელა.

– შენ ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო, კაცი ყოველდღე ელოდება ბიჭის დაბრუნებას და ახლა რომ ეს ამბავი უთხრას, ხომ დაინგრა ოჯახი! – შემომიტია ილიკომ...

– აბა რას აპირებ?

– რას ვაპირებ? – მკითხა ილარიონმა და უბეში ხელი ჩაიყო, მერე იქიდან დაბეჭდილი ქალაქი ამოიღო, უყურა, უყურა და უცებ ბუხარში შეაგდო. ალი ავარდა და ილარიონის სახე გაანათა, მას ლოყაზე ორი კურცხალი ეკიდა.

– ამას ვაპირებ, ჩემო ბიძია, თუ ღმერთმა ქნა და ცოცხალია, გამოჩნდება, თუ არა და ელოდოს მამამისი, კაცი იმედით ცოცხლობს“ (1:76-77).

რომელი ერთი მაგალითი გავიხსენოთ! განა სამაგალითო არაა ბებია ოლლას, ილიკოსა და ილარიონის საქციელი? როცა ისინი გაიგებენ, რომ თანასოფლელები ჯარისკაცებისთვის საჩუქრებს აგროვებენ, მაშინვე დაფაცურდებიან და თუ რამ კარგი გააჩნიათ, არ იშურებენ. „მე რა სიკეთე მაბადია ამ ქვეყანაზე, არაფერი, – ამბობს ილიკო. – ერთი ნაბადი მაქვს და აგერაა აყუდებული კარებთან, ადექი, ზურიკელა და შემოიტანე ოთახში... ჩემისთანა ხრონცმა ბერიკაცმა თუ არ ატარა მაგი, არ დაიქცევა ქვეყანა. მე, ჩემო ბიძია, ამ დაბამბულითაც იოლად ვავალ, ან სიცაა გაზაფხულდება.“

გარეთ გავედი და თითქმის ახალი შავი ნაბადი ოთახში შემოვიტანე. ეს ის ნაბადი იყო, ილიკოს რომ საბნად ეხურა, სიცოცხლეს ერჩია და ილარიონს არ ათხოვა ქორნილში, – გამიფუჭებო“ (1:78-79).

ილარიონი გარეთ გავარდა. არ გასულა ხუთი წუთი და მან „კარები შემოალო, მერე მივიდა ოთახის კუთხეში და ილიკოს ნაბდის გვერდით ახალთახალი, ჯერ ჩაუცმელი ჩექმები დაანყო“.

იმ საღამოს ოლლა ბებია მ ზურიკელა დაანვინა და თვითონაც დაწვა დასაძინებლად, მაგრამ შემდეგ ჩუმად წამოდგა, ტანზე ჩაიცვა, სასთუმლის მხრიდან ლეიბი გამოარღვია, ბლუჯა-ბლუჯა მატყლი გამოაძრო და მის ჩეჩვას შეუდგა. „ლოგინზე წამოვჯექი, – ამბობს ზურიკელა, – დიდხანს ვუცქერდი ბებიას და თვალეებზე ცრემლმომდგარი ვფიქრობდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი ჯარისკაცი, რომლისთვისაც ბებია ამ სითბო მოიკლო და მისი მოხუცი სხეულით გამთბარი მატყლით ახლა, ამ თეთრი ზამთრის ცივ ღამეში წინდას უქსოვდა“ (1:80).

ზნეობის ასეთ გაკვეთილებს კიდევ მრავალჯერ ჩაუტარებენ ზურიკელას ოლლა ბებია, ილიკო და ილარიონი. ისინი თითის ქნევითა და დიდაქტიკური დარიგებებით კი არ აბეზრებენ თავს მოზარდს, არამედ საკუთარი პირადი მაგალითით ზრდიან.

ზურიკელამ სოფლის სკოლა დაამთავრა და უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად გეზი

თბილისისკენ აიღო. მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს რკინიგზის სადგურამდე წაყვანა სთხოვა. აი, იგი უკვე სადგურშია. მგზავრობის ფული უნდა გადაუხადოს მძღოლს, მაგრამ მისი ამოლება არ გინდა?! „როგორც იქნა მივაგენი გამოკერებულ ჯიბეს, – ამბობს ზურიკელა. – ცალი ხელით მარვალს ვქაჩავდი ზევით, მეორეთი კი ჯიბის თავს დავუნყე მორღვევა. ის-ის იყო, ფული უნდა ამომელო და მძღოლისთვის გადამეთვალა, რომ მანქანის გუგუნი გავიგონე. მოტორმა ჯერ ცხვირი დააცემინა, შემდეგ კვამლი შემომაფუტა. სანამ გონს მოვიდოდი, მძღოლმა გარს შემომიარა და ცხვირწინ დამიმუხრუჭა. კაბინიდან ყურებამდე გაღიმებული, განითლებული თავი გამოყო, ფაფახი თავზე ჩამოიფხატა და სიცილით მითხრა:

– გეყოფა, ჩაიცვი აწი! – მერე ერთი კიდევ დააცემინა ცხვირი მანქანას და გაქანდა“ (1:107), ხვანჯარგახსნილი ზურიკელა კი იქვე დატოვა. ომის დროს მანეთიც დიდი ფული იყო. ასე დაულოცა შორეული გზა უცნობმა მძღოლმა ზურიკელას და კიდევ ერთი ზნეობის გაკვეთილი ჩაუტარა.

ზურიკელა უკვე თბილისშია, დეიდა მართასთან მდგმურად ცხოვრობს. ილარიონი არ ივიწყებს მისი დაბადების დღეს, თბილისში ჩადის, შვიდას მანეთსა და ბებიას წერილს გადასცემს და ზნეობის კიდევ ერთ გაკვეთილს უტარებს ზურიკელას. ასე თანდათანობით მცირდება გზა „მარადისობის კანონის“ არსში გარკვევამდე, კანონისა, რომელსაც შემდეგ ბაჩანა რამიშვილი აღმოაჩენს. ამ კანონის ლაიტმოტივია ადამიანების სიყვარული. მწერალი მას ასე აყალიბებს: „– ადამიანის სული, გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“... (2:715-716).

მარადისობის კანონის შეცნობაში ზურიკელას დეიდა მართას დამაქრული ჩაი და შუალამისას მის საძებრად ქუჩა-ქუჩა სირბილიც დაეხმარა. ერთხელ ღამით ზურიკელას შეაგვიანდა და იგი მილიციის სამორიგეოში წააბრძანეს. „უცებ სამორიგეოს კარი გაიღო და შიგ გიჟივით დეიდა მართა შემოვიდა, – ამბობს ზურიკელა, – გაკვირვებული მორიგე ფეხზე წამოიჭრა და დაფეთებულ დეიდა მართას ჰკითხა:

– დეიდა მართა, რა მოხდა, ამ შუალამეზე აქ რამ მოგიყვანა?

– ბიჭი დამეკარგა, შვილო... ჩემი მდგმური ბიჭი, ზურიკო ვაშალომიძე, წავიდა და აღარ მოვიდა, მთელი საავადმყოფოები მოვირბინე, მთელი მილიციელები შევანრიალე, ვერსად ვნახე...

მე ვიჯექი კუთხეში, თვალეზე ქუდჩამოფხატული, ვუსმენდი ამ სათნო დედაკაცს, ვუსმენდი და მიხაროდა, რომ დამეძებდა მე, მე ვილაც უცხოთა და გადამთიელს... ისე როგორც მე დავძებდი ხოლმე სოფლის კუპრ ღამეში გაბნეულ ბოჩოლას“ (1:169-170).

აი, ასეთი სიყვარული განსაზღვრავს ნ. დუმბაძის პერსონაჟთა დამოკიდებულებას ერთმანეთისა და მოვლენებისადმი. მწერლის შემოქმედებაში იგი ყველაფრის საფუძველთა საფუძველია. ზურიკელას აღზრდილობის საზომიც ესაა. ამ ნიშნით აფასებენ მას ბებია, ილიკო და ილარიონი. სიყვარულის მაგალითს კი ისინი თავად აძლევენ შეგირდს, რადგან მათ ერთი დღეც არ უცხოვრიათ ერთმანეთისა და სიყვარულის გარეშე, ერთად იზიარებენ ჭირსაც და ლხინსაც. სწორედ ეს სიყვარული აკავშირებს მათ ერთმანეთთან, სოფელთან, მეზობლებთან, მინასთან. ბებიასა და შვილიშვილს შორის სიყვარული გასაკვირი არაა, მაგრამ ილიკოსა და ილარიონსაც რომ თავდავინყებით უყვართ ზურიკელა? ამიტომაც სიკვდილის წინ ბებია თავისთან იხმობს მეგობრებს და ზურიკელას ეუბნება: „– ამათ ხომ უყურებ, ილარიონს და ილიკოს, არ დაკარგო, ნენა, ეს ორი კაცი, შენზე ამოსდით მზე და მთვარე, ყველაფერი დაუჯერე. ამათ რომ სიკეთე აქვთ შენთვის გაკეთებული, იმას შენ ვერ

გადაუხდი და ნურც დაპირდები. ისე გიყვარდეს, როგორც მაგათ უყვარხარ!“ (1:213).

ამრიგად, ბებია შვილიშვილს ილიკოსა და ილარიონისადმი მხოლოდ სიყვარულს სთხოვს, რამეთუ სიკეთის მისხალ-მისხალ აწონვა და გადახდა თავად სიკეთეს არ ეკადრება. გარდა ამისა, სიყვარულიც ხომ იგივე სიკეთეა.

და მაინც, საიდან გაჩნდა ასეთი სიყვარული? რა იყო ის პირველი ბიძგი, რომელმაც მეზობლებს შორის სიყვარულის ქარბორბალა დაატრიალა? ეს იყო ზნეობრივი „ვალი“, თანადგომა ჭირში მყოფი მოყვასისა და მეზობლისადმი, რითაც ამაყოფს ყოველი ჭეშმარიტი ქართველი. ამიტომაც ამბობს ძია ისიდორე რომანში „თეთრი ბაირალები“: „– უამრავი ნაკლის მიუხედავად, ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწავდა, კავკასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს“ (2:357).

გულწრფელი, უანგარო სიყვარულის ნიმუშია, ასევე, რომანში „მარადისობის კანონი“ ბაჩანა რამიშვილისა და მისი მეგობრების – ვერელი ბიჭების დამოკიდებულება გიჟი მარგოსადმი. როგორც კი შეიტყვეს მარგოს ავადმყოფობა, მაშინვე მასთან გაჩნდნენ. „სიცხიანი მარგო ლოგინში წრიალებდა, – ამბობს მწერალი. – ბიჭები რომ დაინახა, განცვიფრდა, ჯერ იდაყვებზე წამოინია, მერე თავი ბალიშზე გადააგდო და ცრემლი წასკდა. ბოლოს სიცილი აუვარდა, ნერვული და ბედნიერი სიცილი...“

– თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, განა არ ვიცოდი, რომ მნახავდით, ცოტა დაიშალეთ, მწკრივში ნუ დგებართ, თორემ პანაშვიდი მგონია... თქვენ შემოგვევლოთ გიჟი მარგოს ჯანი“... (2:594).

ბიჭებმა მარგოს იმ უბანში ცნობილი ექიმი, პროფესორი ეგნატე ჯიქია მოუყვანეს, მაგრამ ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და თავი უიმედოდ ჩარგო ხელებში. ერთ-ერთმა ბიჭმა პროფესორს ჩუმად ფული ჩაუცურა ჯიბეში, მაგრამ მან იგი უკანვე ამოიღო, საკუთარი დასტა თუმნიანებიც დაუმატა და ოთახიდან გარეთ გავიდა.

მეორე დღეს ბაჩანა რამიშვილს გამოცდა ჰქონდა, მაგრამ სუსტად ხარ მომზადებულიო, უთხრა პროფესორმა.

ავად ვიყავიო, იცრუა ბაჩანამ.

„– ავად კი არ იყავი, რამიშვილო, იმ გიჟის კუბოს მისდევდი გუშინ დიდი ჭირისუფალივით, შენ გგონია, ვერ დაგინახე?“ – უთხრა პროფესორმა.

– გიჟი არ იყო, პატივცემულო პროფესორო! – სიტყვა შეუბრუნა ბაჩანამ.

– მაშ, რა იყო, მეფე ერეკლე იყო, მთელი ქალაქი რომ გადარიეთ და ორი საათით მოძრაობა გააჩერეთ?“ (2:600).

ბაჩანა წამოდგა და წასვლა დააპირა, სხვა დროს მოვალეო, მაგრამ პროფესორმა შეაჩერა და ჰკითხა: მარგო შენი რა იყო?

– და იყო ჩემი! – ისევ იცრუა ბაჩანამ.

პროფესორმა თვალი თვალში გაუყარა. ბაჩანამ ვერ გაუძლო მის მზერას და თავი დახარა. მცირე ხნის დუმილის შემდეგ პროფესორმა მატრიკული დახურა და ბაჩანას გადაანოდა. ბაჩანამ იგი ჯიბეში ჩაიდო და დერეფანში გავიდა ისე, რომ არავის შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია, რა მიიღო. უნივერსიტეტის ბაღში მან მატრიკული გადაშალა და თვალებს არ დაუჯერა – მის მატრიკულში ხუთიანი ეწერა. „ეს იყო პირველი ხუთიანი, რომელიც ბაჩანამ მიიღო თავისი სიცოცხლის მანძილზე“, – ამბობს მწერალი. ცოტა ხნის შემდეგ მან კვლავ გადაშალა მატრიკული, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, რადგან თვალეები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

იგივე შეიძლება ითქვას კოლმეურნეობის ფერმის გამგის – გლახუნა ქერქაძის („მარადისობის კანონი“) საქციელზე. როცა იგი გაიგებს, რომ ბაჩანა ჭლეტით არის დაავადებული და ამიტომ სთხოვს ზაფხულში ფერმის საქონელთან ერთად მთაში წაყვანას, ბიჭს გულში ჩაიკრავს და ეტყვის: „– რა ვქნა ახლა მე, რომ გამიცვიდე იმ ტყე-ღრეში და თოვლ-ჭყაპში, რომ მომიკვდე, რა ვუთხრა ისედაც გაუბედურებულ ბაბუაშენს, რა ვქნა, შენ მოგიკვდე გლახუნა ბიძია, მთაში

და ტყეში კი არა, შენ ახლა ბამბაში და ბუმბულში გჭირდება შენახვა და მოვლა მუმიასავით.

– არ გამანბილო, გლახუნა ბიძია! – ამოუჯდა გული ბაჩანას და ორთავე ხელი წელზე შემოხვია გლახუნა ქერქაძეს პატარა ბავშვივით.

– არა, ბიძია, არა, შენ შემოგველოს გლახუნას თავი, სიკვდილს გაუნბილებიხარ, უბეში გაგზრდი, ბიძია, თხის რძით გაგზრდი, მახარე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, ნიავს არ გაგაკარებ, სუ, ბიძია, სუ, ისე გაგხდი ორ თვეში, სამწლიან ბუღას კისერს უგრხავდე, გაჩერდი ანი, შე მაძაღლო, კი მოვერევით მაგ სატკივარს მე და შენ, ორი კაცი ერთად სიკვდილს კი არა, ღმერთს წააქცევს თუ დაეტაკა, გაჩერდი ანი, მე შენ გეუბნები...

ბაჩანა დიდი ხანია გაჩერებული იყო და აღარ ტიროდა, – ამბობს მწერალი, – მაგრამ ახლა გლახუნა ქერქაძე ტიროდა ბავშვივით და კაცი არ იყო მისი გამჩერებელი“ (2:495).

ასეთი ძმობის მაგალითებით ნ. დუმბაძე გვიჩვენებს, თუ როგორ უადვილდება ადამიანს მძიმე სულიერი მდგომარეობის გადატანა, როცა ერთის წუხილი მეორის წუხილიცაა, როცა ერთის დარდს მეორეც იზიარებს და ერთად ცდილობენ ამ დარდის თავიდან აშორებას.

გზად მიმავალმა სოსოიამ და ანატოლიმ („მე ვხედავ მზეს“) შემთხვევით შენიშნეს, რომ დიდი თოვლი სადაცაა ქვეშ მოიქცევედა ლუკაია ფოცხიშვილის სახლს. შენიშნეს და დაუკითხავად შევიდნენ ეზოში, გადმოთოვლეს სახლის სახურავი, მოხუცებს ომში დაკარგული ერთადერთი ვაჟიშვილის დაბრუნების იმედი ჩაუსახეს და წავიდნენ.

ადამიანის სიყვარული ნოდარ დუმბაძის იუმორშიც კარგად ჩანს. მისი გმირები შემკული არიან თბილი, ხალხური იუმორით, რომელიც გამორიცხავს სარკაზმს. ეს არის რაღაც სიმწარესთან გაზავებული, ცრემლნარევი სიცილი, როცა ტირილს სიცილი ცვლის და სიცილს ტირილი. მასში ჩანს ხალხის გულისტკივილიცა და სიხარულიც, ცხოვრების უკმაყოფილებაც და უკეთესი მერმისის იმედიც. მაგრამ ამ სიცილის

მთავარი დანიშნულება მაინც „სიკეთისათვის კარის გაღება“ (გ. ასათიანი). ამიტომაც უყვარს ყველას ნოდარ დუმბაძის გმირებიცა და მათი შემოქმედიც.

რომანში „მე, ბაბია, ილიკო და ილარიონი“ არის ასეთი ეპიზოდი: როცა ოპერაციის შემდეგ ილარიონი ქალაქიდან სოფელში ბრუნდება, იგი ცდილობს ილიკოს დაუმალოს, რომ ცალი თვალი მასაც არა აქვს, რადგან ამ უკანასკნელს მუდამ „ბრუციანს“ უძახდა და ახლა თვითონაც „ბრუციანი“ გახდა. ილიკო დიდხანს იკატუნებს თავს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ შინ მიმავალი ეზოდან მაინც მიაძახებს: „– ილარიონ!.. თვალის ჩადება არ დაგავინყდეს ამელამ ჭიქაში!.. ისე ბედი მაქვსო, შენ უნდა თქვა, ნადირობა ქე გიყვარს და თვალის დახუჭვა აღარ დაგჭირდება ანი, იარე და ხოცე რაც ამ სოფელში ძაღლებია. არ გაუშვა არც ერთი.

– ილიკო ჩიგოგიძე, ცოდვა არ ჩამადენიო! – იკივლა ილარიონმა და ჭიშკრისკენ გამოქანდა.

– არ მომეკარო, ილარიონა შევარდნაძე, თორემ ჩაგიტყნავ მაგ შუშის თვალს და მდიე მერე კუდში!..“ (1:157).

ილარიონი დაქანცულივით, უხმოდ ჩამოჯდება კიბეზე. ილიკო გვერდით მიუჯდება, თუთუნს მიანოდებს და ეუბნება: „– ერთი სიკვდილი გავათავე, რომ გავიგე... მე და შენ რამ გავგყო, ბერიკაცო, შენი თვალის დაფსება ჩემი თვალის დაფსებაა, მაგრამ მაინც ვიციგნე, არ მეგონა, თუ გენყინებოდა. შენც კი მიძახი ბრუციანს, მარა ხომ არ მწყინს მე? ცალთვალა იყო, შე უპატრონო, კუტუზოვი, მარა დედამინის გულში რა იდვა იმას ხედავდა. რა მოხდა, ერთი თვალი, შე გლახა, მაგი კი არა, ორივე თვალი რომ დაგვეფსოს, რა დაგვეკარგავს, ჩავკიდებთ ერთმანეთს ხელს და ვივლით ამ დუნიაზე. ვერ ვივლით და აგი ბიჭი გვათრევს...

ილარიონი წამოდგა და ოთახში შევიდა. მალე იგი ისევ დაბრუნდა და ილიკოს მიმართა:

- „– აგი ტარანია, კარგია ღომზე და ადესაზე!
- ძალიან გემრიელია. – თქვა ილიკომ.
- შენ ჩამოგიტანე! – თქვა ილარიონმა.

– ვიცოდი, რომ ჩამომიტანდი. – თქვა ილიკომ. მერე გამოართვა შეხვეული, ადგა და წავიდა.

– მოიცა, გაგაცილებ! – უთხრა ილარიონმა.

– კარგი, გამაცილე. – უთხრა ილიკომ. ისინი ერთად გამოვიდნენ ეზოდან და გაყვნენ შუკას“ (1:158).

ეს ეპიზოდი გვხიბლავს ადამიანის სულის სიანკარით, მისი გულის სითბოთი და ენერჯის დიდი ძალით. ეს ენერჯია დამუხტულია ადამიანისადმი სიკეთითა და სიყვარულით, რომელიც ყოველგვარ წყვდიადს გაანათებს.

ცნობილი რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი წერს: „ყოველთვის ვუყურებდი ამ სცენას და ყოველთვის ვაკვირდებოდი მაყურებელს (ლაპარაკობს სპექტაკლზე – ნ. ბ.), ტიროდა ყველა. განა ამ წუთას არ იცინოდნენ! და მაყურებლები კი არა, ვტიროდით ჩვენც, ვინც კულისებში ვიდევით. ეს ძალიან იშვიათად ხდება“... (3:332).

ნოდარ დუმბაძის ჰუმანიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მის უკანასკნელ რომანში „მარადისობის კანონი“. მასში ავტორი გადადის მებრძოლ, ქმედით ჰუმანიზმზე. რომანის მთავარი გმირი ბაჩანა რამიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოაჩენს მარადისობის მაღალზნეობრივ კანონს, რომელიც უარყოფს ყოვლისმომტვევებლობას, ბოროტებასთან კომპრომისს და თანაარსებობას. თუ მანამდე ნ. დუმბაძის გმირები გვერდს უვლიდნენ და თვალს არიდებდნენ ბოროტებას, ახლა ისინი, სიკეთის ძიებასთან ერთად, დაუნდობლად ებრძვიან მას. რომანის ყველა ეპიზოდი სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას ემსახურება. მწერლის სამოქმედო პროგრამაა ფაუსტური ჭეშმარიტება: „სიცოცხლისა და თავისუფლების ღირსია მხოლოდ ის, ვინც ყოველდღიურად იბრძვის მის მოსაპოვებლად“.

ბაჩანა რამიშვილმა, თეიმურაზ ბარამიძისგან განსხვავებით, კარგად იცის, რომ ბოროტებას მიტვევა კი არა, ამოძირკვა უნდა. მისი მოთმენა და მშვიდად ცქერა მხოლოდ ხელოვნური გულის პატრონს თუ შეუძლია, სიყვარულით სავსე ადამიანური გულისთვის კი ამის ატანა შეუძლებელია.

ამიტომაც ეუბნება პროფესორი ბაჩანას: „– თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ“... (2:716).

ეს რომ სიმართლეა, ამის მაგალითები რომანში მრავლადაა.

ბაჩანა რამიშვილს ორი საფიცარი, ორი ღმერთი ჰყავდა ამქვეყნად – ბაბუა ლომკაცა და მწყემსი გლახუნა ქერქაძე. ეს უკანასკნელი დეზერტირმა და ტყეში ყაჩაღად გავარდნილმა მანუჩარა კიკვაძემ მოუკლა. ორივე მათგანი სპეტაკი სულის ადამიანები იყვნენ. მათგან ისწავლა ბაჩანამ სიყვარულიცა და სიძულვილიც – მოყვასის სიყვარული და მტრის სიძულვილი. ბაჩანას სიყვარული და თანადგომა, სხვათა ჭირისა და ლხინის თანაზიარობა ჩვეულებრივ მოთხოვნილებად აქვს გადაქცეული, მაგრამ მას ხელი ოდნავადაც არ აკანკალებია, როცა სიცოცხლეს ასალმებდა მანუჩარა კიკვაძეს, უდანაშაულო კაცის მკვლელსა და სამშობლოს მოღალატეს.

სიკეთისა და სიყვარულის სახელით ბაჩანას გული კიდევ მრავალჯერ ამხედრდება. როცა იგი ინფარქტგადატანილი საავადმყოფოში წევს, ღამის ქოთანს დაამსხვრევს თავზე ნუგზარ დარახველიძეს, ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკის თამბაქოს დამზადების უფროსს, მილიონობით მანეთს რომ იჯიბავს და ერთადერთ ღმერთად ფული გაუხდია. ბაჩანას ასეთ საქციელს მამა იორამიც კი მოწონებით ხვდება.

ასეთივე ვერაგი და გაიძვერაა სანდრო მალაფერიძე, ბენვეულის სანარმოო კომბინატის მმართველი, შემდგომში ერთ-ერთი რესტორნის დირექტორი. მწერალი ღრმად გვახედებს ამ სოციალური „ვირთხების“ ბილწ სულში და მათ მიმართ სიძულვილისა და შურისძიების გრძნობით გვაავსებს.

ნოდარ დუმბაძის ჰუმანიზმი ფართო და მრავალმხრივია. იგი თავის თავში აერთიანებს არა მარტო ადამიანების, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსების სიყვარულს. გავისხენოთ ავთო ჯაყელის საქციელი რომანში „ნუ გეშინია, დედა!“ იგი დათვის ბელს, რომელსაც სამხედრო ნაწილში ზრდიდნენ, გამოართმევს უფროსს,

თითქოსდა ზოოპარკში ჩასაბარებლად, და ტყეში უშვებს.

ცხოველებისადმი ასეთივე სიბრალულია გამოსატყული მოთხოვრებებში „კუკურა“, „ძალი“, „კორიდა“ და სხვა.

მოთხოვრებაში „კუკურა“ სიღარიბისაგან გატანჯული ბიჭი გადაიფიქრებს ძროხის გაყიდვას, როცა გაიგებს, რომ მყიდველი მის დაკვლას აპირებს, „ძალის“ მთავარი მოქმედი პირი გოგიტა კი ნაცვლად იმისა, რომ მოკლას ძალი, როგორც ცოფიანი, მას არ ჰკლავს და უშვებს.

ძალის დიდი სიყვარულია გამოსატყული, ასევე, რომანში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. კურდღელზე ნადირობისას ილარიონს საკუთარი ძალი შემოაკვდება. ზურიკელა და ილარიონი „ტრაგიკულად დაღუპულ“ მურადას ჭადრის ძირში მარხავენ და ქელესსაც უხდიან. პურის ჭამის დროს მურადას საფლავს სიმონა მენისქვილის ძალი – მურადას დედა მიუახლოვდება და ცოტა მოშორებით ჩამოჯდება. ასე იქცევა კიდევ ოთხი ძალი. „– მატრონას თავგასიებული ძალი რატომ არ მოვიდა ნეტავი? – იკითხა ილარიონმა.

– ემდუროდა მურადას, შარშან ვაჩხუბე და დაკბინა მურადამ, – ამბობს ზურიკელა.

– ასეთ დროს მდურება ვინ გაიგონა, ფუი, შევარცხვინე მაგის ძალლობა,

კაცი არ ყოფილა მაგი და გული არ ჰქონია! – თქვა ილარიონმა და გადააფურთხა“ (1:58).

კარგი იქნებოდა, ძალის მისამართით გამოთქმულ ამ საყვედურს ადამიანებიც რომ არ ივიწყებდნენ!

როგორც დავინახეთ, ნოდარ დუმბაძე მხოლოდ იმაზე წერს, რაც საკუთარი თვალთ უნახავს და განუცდია, რომლის უშუალო მონმე და მონანილევ თავად ყოფილა, მაგრამ ყველაფერს ნატურალისტურად კი არ გვიხატავს, არამედ წერს ისე, როგორც ეს სინამდვილეში უნდა იყოს. თავისი პერსონაჟების პროტოტიპებს იგი თვითონ კი არ ქმნიდა, არამედ ცხოვრების ნიაღში პოულობდა, მათ ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა და ისე უბრუნებდა მკითხველს. თვით რეალური

ცხოვრებიდან არიან აღებული ილიკო ჩიგოგიძე და ილარიონ შევარდნაძე, აკაკი დევდარიანი და ტიგრან გულოიანი, ჭიჭიკო გოგოლი და სხვები, ხოლო ზურიკელა ვაშალომიძე, სოსოია მამალაძე, თეიმურაზ ბარამიძე, ავთო ჯაყელი, ზაზა ნაკაშიძე და ბაჩანა რამიშვილი თავად მწერლის პროტოტიპები არიან. მათთვის არაფერი ზოგადადამიანური უცხო არ არის, მაგრამ ისინი, ამავე დროს, არიან ქართველები, მრავალგვარი

ისეთი ნიშნებით, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი ქართველისთვისაა დამახასიათებელი. რეალისტი მწერალი ყველას და ყველაფერს სიკეთის თვალთვლით ზომავდა და აფასებდა. ადამიანობის, კაცობის სხვა საზომი მისთვის არ არსებობდა. ასეთი იყო სინამდვილისადმი დამოკიდებულების მისეული პრინციპი. ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ და მოქმედებენ.

ციტირებული ლიტერატურა

1. დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი პირველი, თბ., 1988.
2. დუმბაძე ნ., თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი მეორე, თბ., 1989.
3. მზიანი გულის მწერალი: წერილები, გამოსათხოვარი სიტყვები, მოგონებები, ლექსები ნოდარ დუმბაძეზე, თბ., 1986.



ტინა შიოშვილი

მარადიდული ფოლკლორული მარბალიტები

ისტორიულმა ძნელბედობამ შუაზე გაყოფილი სოფლების სევდაც დაგვიტოვა. ერთ-ერთი ამგვარი ტკივილია ულამაზესი მარადიდი, დღესაც ზემო და ქვემო მარადიდად რომ მოიხსენიებენ სოფლის ორივე ნაწილის მკვიდრნი. ზემო მარადიდი (მურათლი) დღეს, სამწუხაროდ, თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ქვემო მარადიდი კი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, მაგრამ წინაპართაგან ნაანდერძევი სიტბო და სიყვარული, მონატრება და ლტოლვა ბოლომდე შერჩა ორივე მხარეს; ეს მონატრება და სისხლის ყივილია, ზემო მარადიდელ სახალხო მთქმელს – ნიზათ ოზთურქს რომ ათქმევინა:

კირნათიდან მარადიდ
ქოფრი გაკეთდეს, მინდა;
ენწინ შენ თუ გამოხვალ,
გაჩუქავ შავი წინდა!

ჩვენი ჟურნალის მკითხელებს ვთავაზობთ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი სამეცნიერო ექსპედიციების მიერ ზედა და ქვედა მარადიდში მოპოვებული ხალხური პოეზიის მცირე ნაწილს. დაე, ეს ნობათი იყოს მარადიდელთა ერთობის, ძმობისა და მარადიული სიყვარულის კიდევ ერთი ნათელი გამოსხივება.

ზემო მარადიდი (მურათლი, თურქეთის რესპუბლიკა)

სატრფიალო

1.

ხელზე ინა დევდევნი,
თითი დამწვარი მაქვა;
მე სიმღერა ვერ ვიტყვი,
გული დამწვარი მაქვა!

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68 წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლისს სოფელ მარადიდში (მურათლი).

2.

რა ლამაზი გიხდება
გულზე შავი დუგმესი;
მოგიტაცავ, წიგყვან,
შენ თუ ჩემი იქნები!

მთქმელი მემნუნე შაჰინი, 70 წლის, მცხოვრები სოფელ ხინწკანაში. მათ გვარს, მთქმელის განმარტებით, „გორგოშაებს“ ეძახიან.

ჩაიწერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18 ივლისს სოფელ ხებას უბანში – ხინწკანაში.

3.

მიხვალ, მიხვალ ადაში,
ვარდი ვიკრეფ კალთაში;
რა ლამაზი გოგო ხარ,
ჩიმიჯექი კალთაში!

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

4.

გამოვხედე დილაზე,
მიხვიდოდი თი გზაზე;
რა ლამაზი გიხდება
ჩაქეთ-ფანტოლი ტანზე!

მთქმელი ხატიჯე აიდემირი (ნაზაროლი), 58
წლის, მცხოვრები სოფელ ხეხას უბანში – ქვემო
ხინწკანაში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს
სოფელ ხეხას უბანში – ქვემო ხინწკანაში.

5.

ჭოროხ ნაფოტი მოაქ
სელვის ჩამონათალი;
ჩიტო, მოხ და მითხარი
ჯაროს ჩამონათვალი.

მთქმელი მელექ ოდაბაში, 67 წლის, მცხოვრები
სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

6.

ბაბრიქაში ლამბები
ერთ სირაზე ენთება;
მე ქი შენ თავ დევნახავ,
გულსი ცეცხლი მენთება.

მთქმელი მუჰარემ გიული, 57 წლის, მცხოვრები
სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 20 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

7.

ნენე, კვერცხი შიმიწვი,
ტაფაში ავგორდები;

სევგულ, შენ რომ დიგინახავ,
ჭკვიდან გავდელდები!

მთქმელი ფადიმე ოსქანი (თელლოლი), 79
წლის, მცხოვრები სოფელ ხინწკანაში.

ჩაინერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18
ივლისს სოფელ ხინწკანაში.

8.

გალმა თეთრი ქათამი
გამოღმით მოკაკანებს;
შენი თვალიც მომგონდება,
გულში გამაკანკალებს.

მთქმელი ხატიჯე აიდემირი (ნაზაროლი), 58
წლის, მცხოვრები სოფელ ხეხას უბანში – ქვემო
ხინწკანაში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს
სოფელ ხეხას უბანში – ქვემო ხინწკანაში.

მთქმელის განმარტება: „– ნენე-ბაბაჲ მაჭახლი-
დან გადმოსულან, ჩვენ აქ დაბადებული ვართ“.

9.

ბათუმში წვიმა წვიმს,
ქუთაისში დარია;
ჩემი ამფერი სიყვარული
ბარიშნების ბრალია.

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

10.

ჩიტი დაჟდა ხის ტანზე,
თავი გედენწყო ანზე;
ჩემი ჯაროს მუუხდება
დუზი ურუბა ტანზე.

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

11.

თითზე მაქვა აუზული
ოდენ ნამოდებული;

აარო, რავა დევბინყო

აარო, შენი ნათქვამი!

მთქმელი ფადიმე ოსქანი (თელლოლი), 79
წლის, მცხოვრები სოფელ ხინწკანაში.

ჩაინერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18 ივლ-
ის სოფელ ხინწკანაში.

12.

თავზე ააზმა მბურია

წმინდა ძივის ნაწყობი;

არ დეიჯერო, სევგულო,

დუშმანის დანაწყობი!

მთქმელი ფადიმე ოსქანი (თელლოლი), 79
წლის, მცხოვრები სოფელ ხინწკანაში.

ჩაინერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18 ივლ-
ის სოფელ ხინწკანაში.

საქორწილო

1.

ნალიაში ფუჩეჩი,

ქოთანს გავარდა ნერჩი;

გიძახდი: „ქემალოლი,

გამომიგზანე ელჩი!“

მთქმელი მემნუნე შაჰინი, 70 წლის, მცხო-
ვრები სოფელ ხინწკანაში.

ჩაინერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18
ივლის სოფელ ხინწკანაში.

მთქმელის განმარტება: „- ამას გოგო იტყვის“.

2.

თითზე აუზული მაქვა,

აუზულს თვალი არ აქვა;

ბოშინა ნუ მიყურავ,

შენზე თვალი არ მაქვა!

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლის
სოფელ მარადიდში (მურათლი).

მთქმელის განმარტება: „- გოგომა ეტყოდა
ბიჭ“.

3.

ცივი წყალზე წვეელი,

ვერ ავაგსე გუგუმი;

ღმერთმა კაჲ მომანრას

ჩემი აბის დუგუნი!

მთქმელი ჰებიე ქარამანი, 59 წლის, მცხოვრები
სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლის
სოფელ მარადიდში (მურათლი).

4.

ნენევ, კვერცხი შიგვინვი,

ტაფაში გავგორდები;

რატონ არ მაქორნილავ,

აგერ რო დავბერდები!

მთქმელი ემინე მაადენი (ბექიროლუ), 77
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 20 ივ-
ლის სოფელ მარადიდში (მურათლი).

5.

ნენევ, კვერცხი შიმინვი,

ტაფაში გავგორდები;

უსეინ უსტის გოგო ვარ,

ბიჭისთინ გავდელდები!

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლის
სოფელ მარადიდში (მურათლი).

6.

თავზე ააზმა მახურია,

ოღლია, ოილი!

ჩემი ბაბამა არ მიმცეს,

დავალია, დავალი!

მთქმელი ემინე მაადენი (ბექიროლუ), 77
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 20
ივლის სოფელ მარადიდში (მურათლი).

7.

დოდოფალი მომყავან

ესული და დესულიო;

დოდოფალი მომყავან,
არ გეგონოს ორსულიო!

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

8.

გელინო, გელინო,
ნელ-ნელა წამობძანდი,
კარი თავი მაღალი!
დედამთილი ნენესავეფ,
მამამთილი მამასავეფ,
მული გყავსა დასავეფ,
მაზლი გყავსა ძმასავეფ!

მთქმელი ემინე მადენი (ბექიროლლუ), 77
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაიწერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 20 ივლ-
ის სოფელ მარადიდში (მურათლი).

9.

ბოსტანში თეთრი ჭია
გეენია, გამეენია;
ამ დამსილი სოფელში
სიძობა არ გენია!

მთქმელი შეჰრიე იაზიჯი, 65 წლის, მცხოვრები
სოფელ ბერზნევში, გამოთხოვილია ჯღელიფეთიდან.

ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს
სოფელ ბერზნევში.

მთქმელის განმარტება: „– გოგომ ბიჭი დანყველა“.

10.

ე რა სოფელია,
ასული და დასული!
ცარიელად არ გეგონონ,
ორსულია, ორსული!

მთქმელი მემნუნე შაჰინი, 70 წლის, მცხოვრები
სოფელ ხინწკანაში.

ჩაიწერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18
ივლისს სოფელ ხინწკანაში.

მთქმელის განმარტებით, დედოფალი ფეხმძიმე
აღმოჩნდა და ბიჭმა გამოუთქვა.

საყოფაცხოვრებო

1.

ერთი ვაჩხი ვიყავ
ვარდის კუკული,
შევდა შერიმა და
დიმილპა გული.
გებვენები, ნენე,
ჩემთინ ნუ ტირი!
ნევალ და არ მოვალ,
ნენე, ნუ ტირი!

მთქმელი ფადიმე ოსქანი (თელლოლი), 79
წლის, მცხოვრები სოფელ ხინწკანაში.

ჩაიწერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18
ივლისს სოფელ ხინწკანაში.

2.

მოვალ-მივალ ადაში,
ვარდი ვიკრეფ კალთაში;
რა მალე მოვათავე
ბაბას სახლის თალაში!

მთქმელი ჰებიე ქარამანი, 59 წლის, მცხოვრები
სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

მთქმელის განმარტება: „– ამას გათხოვილი
ქალი იტყვის“.

3.

საჭიკარტეს ბუ ყვირის,
საგუგულეს – ოროლი;
ყველას თითო ქალი ყავს,
დურსუნ ემias – ორ-ორი.

მთქმელი მემნუნე არსლანი, 56 წლის, მცხო-
ვრები სოფელ ხეხას უბანში – ზემო ხინწკანაში.

ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს
სოფელ ხეხას უბანში – ზემო ხინწკანაში.

4.

ბოსტნი ბოლო თხილები,
ჩვენ ვართ ემას შვილები;

ერთი ლამაზი სახში

ჩვენ გავხტებით შილები.

მთქმელი მემნუნე შაჰინი, 70 წლის, მცხოვრები სოფელ ხინწკანაში.

ჩაინერა ნათია ფარტენაძემ 2017 წლის 18 ივლისს სოფელ ხინწკანაში.

მთქმელის განმარტებით, ერთმანეთს მიუმღერეს მან და მისმა რძალმა – სებილე შაჰინმა.

5.

ბახჩის უკან ბიბრები,

მოყრილან დედაბრები;

დედაბრებო, რა იჯებით,

თქვენ წედით და

გამოგზავნეთ გოგვები!

მთქმელი მელაჰათ ბალაბანი, 69 წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 20 ივლისს სოფელ მარადიდში (მურათლი).

6.

დედამთილი ოდაში

ალარ არი მოდაში.

მთქმელი ხატიჯე აიდემირი (ნაზაროლი), 58 წლის, მცხოვრები სოფელ ხეხას უბანში – ქვემო ხინწკანაში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს სოფელ ხეხას უბანში – ქვემო ხინწკანაში.

7.

დედაბერი ბერდებოდა

ორდოს უკან გორდებოდა.

მთქმელი მემნუნე არსლანი, 56 წლის, მცხოვრები სოფელ ხეხას უბანში – ზემო ხინწკანაში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს სოფელ ხეხას უბანში – ზემო ხინწკანაში.

8.

თელას ქერქი გავაძერ,

გავაბი, გამოვაბი.

შენისთანაჲ თურქიჯი

ჩემ ახორში დავაბი!

მთქმელი ჰებიე ქარამანი, 59 წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლისს სოფელ მარადიდში (მურათლი).

9.

ჰაიდე, ნევდეთ ბათუმში,

ფეხი ჩავყე ფოთინში;

ამეველევი თურინჯი,

გადავაგდე ბირინჯი.

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68 წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლისს სოფელ მარადიდში (მურათლი).

10.

დედამ კაბა შამიკერა

ნელზედ გამოჭირებული;

ათი წლისაც გამათხუა,

გულიც მაქ ატირებული.

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68 წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლისს სოფელ მარადიდში (მურათლი).

11.

ხვალ არაფა, ზეგ ბაირამი,

ჭამე კატის აირანი!

მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68 წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 17 ივლისს სოფელ მარადიდში (მურათლი).

12.

კატაფხია კაპანი,

გიმიგორდა აკვანი.

მთქმელი მემნუნე არსლანი, 56 წლის, მცხოვრები სოფელ ხეხას უბანში – ზემო ხინწკანაში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს სოფელ ხეხას უბანში – ზემო ხინწკანაში.

13.

ზედუბანი დუზია,
გოგვები უჯუზია.
მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

14.

კატაფხია ფხიანი,
ქალი, კაცი თმიანი.
მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

15.

საქათმიდან გამოუშვი
ძველი თეთრი ვარია;

კინცხურეთს გედეველი,
ქლასკურის წყალ-ქარია.
მთქმელი ჰაჯერ ოზთურქი (სალიროლი), 68
წლის, მცხოვრები სოფელ მარადიდში (მურათლი).
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 16 ივლისს
სოფელ მარადიდში (მურათლი).

16.

მარტში ძროხა გაძლება,
ამოვა ბალახები;
შეჰრიემა ჭიჭყოს
ბერზნევის ტალახები!
მთქმელი შეჰრიე იაზიჯი, 65 წლის, მცხოვრები
სოფელ ბერზნევიში. გამოთხოვილია ჯღელიფეთი-
დან.
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 18 ივლისს
სოფელ ბერზნევიში.
მთქმელის განმარტება: „– ჩემ დუგუნში გამო-
მიმღერეს“.

ქვემო მარადილი (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, საქართველო)

სატრფიალო

1.

მე ნალიაში ვერ ევალ
კიბეუყუდებელაჲ;
მე იქიდან ვერ ჩამუალ
შენზე ჩუუხუტებელაჲ.
მთქმელი ფატი კარალიძე, 36 წლის, დაბადე-
ბული და გაზრდილია ხელვაჩაურის მუნიციპალი-
ტეტის სოფელ მარადიდში, ფანჩეთის უბანში.
გათხოვილია ქ. ბათუმში (ზ. ფანასკერტელის ქ.
№46). მუშაობს სოფელ მარადიდის საჯარო სკო-
ლის საქმეთა მწარმოებლად.
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 31 აგვის-
ტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მა-
რადიდში.
მთქმელის განმარტებით, შაირი დაუსწავლია
ბებიასაგან („დიდნენესაგან“) – ფადიმე წითელაძი-
საგან (გარდაიცვალა 2003 წელს).

2.

ყველა ხემ რო ჩიჩეგი ქნა,
შენ რას უცდი, წიფელაო?
ნამომყევი ტყეში,
ჩემო ლოყანიტელაო!
მთქმელი აიშე ლომიძე-ლომაძისა, 84 წლის,
მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სო-
ფელ მარადიდში.
ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 1 სექტე-
მბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ
მარადიდში.

3.

გალმაში თეთრი ქათამი
გამოღმით მოკაკანებს;
შენ რომ მომაგონდები,
ზღვასავით მაკანკალებს.

მთქმელი ნაჯიე დიდმანიძე, 80 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

4.

ხილი-ხული აყვავდა,
შენ რა იჯები, წიფელავ?
არ მომიკდე, არ დამტოვო,
ჩემო ლოყანითელავ!

მთქმელი ემინე ხუსეინის ასული დიდმანიძე, 76 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 21 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

5.

მალლაზე ქორი ფრინავს,
ქორია თუ მერცხალი?
ინშალლა, მე ვიქნები
შენი თმის სავარცხელი!

მთქმელი ემინე ხუსეინის ასული დიდმანიძე, 76 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 21 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

6.

თბილისიდან წამოვედი,
წამოვიღე ნისია;
ერთი გოგო შევიყვარე,
არც კი ვიცი, ვისია.

მთქმელი თინა გურგენიძე-ლომაძისა, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 3 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, სასახლეთის უბანში.

7.

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა
ალვის ხის ჩამონათალი;
დადექ, წყალო და მიამბე
საყვარლის შემონათვალი.

მთქმელი მერი ჯიბლაძე-გურგენიძისა, 71 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მარადიდში, ძაბლავეთის უბანში. გამოთხოვილია შუახევის რაიონის სოფელ გოგაძეებიდან.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 3 სექტემბერს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

საქორწილო

1.

ხერტალმა ხელი დამგალა
ხერტალგასატეხელიო;
სოფლის ბიჭმა დამაპირა
კისერმოსატეხელიო.

მთქმელი აიშე ლომიძე-ლომაძისა, 84 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 1 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში.

2.

ჟავეს ვიღებ დერგიდან,
ნუ მიყურებ გვერდიდან;
ამნიეთ, გამათხუეთ,
მომარჩინეთ დერდიდან!

მთქმელი ნაჯიე დიდმანიძე, 80 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

3.

ახალუხი შიგიკერავს,
ჩიგინცია ქილები;

მე მაინც არ ნამოგყვები,
აკრიჭინე კბილები!

მთქმელი ნაჯიე დიდმანიძე, 80 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

4.

სახლი უკან დერგები,
ბევრი მაქვა დერდები;
მამაშენ ნუ უყურებ,
უქალო დაბერდები!

მთქმელი ნაჯიე დიდმანიძე, 80 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

5.

აიშემ მოქსოვა თორი,
ელჩები მოვდენ ორი;
გოგვებო, მაქ რა იჯებით,
გულზე მოგედვენ ფორი!

მთქმელი ნაჯიე დიდმანიძე, 80 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

6.

ჭოროხი ადიდებულა,
ვერ გადმოველ ნავიდან;
ვინმეს არ დუუჯეროთ და
მე წიმიყვაჲ ხვალიდან!

მთქმელი ემინე ხუსეინის ასული დიდმანიძე, 76 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 21 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

7.

გელინო, გელინო,
კარი თავი მაღალია,
ნელ-ნელა გამეიარეო;
კარგად დახვეტე,
მტვერი არ ააყენო,
დედამთილ კაი ენა უთხარიო!
დედამთილი დედასავეფ,
მამამთილი მამასავეფ,
მაზლები გყავ ძმასავეფ,
მულები გყავს დასავეფ!

მთქმელი ლუთფიე ლომიძე-ლომაძისა, 90 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში), გამოთხოვილია მარადიდის ერთ-ერთი უბნიდან – ძაბლავეთიდან.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში.

საყოფაცხოვრებო

1.

პოეტობა ხელს არ მიწყობს,
მარადიდში ვარ გაზრდილი;
ისეთ ლექსებს ვერ გამოვთქვამ,
თქვენ რომ დარჩეთ კმაყოფილი.

მთქმელი თინა გურგენიძე-ლომაძისა, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, სასახლეთის უბანში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 3 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, სასახლეთის უბანში.

2.

თავი მტკივა, თავმა იცის,
ჩემი დერდი სხვამ რა იცის!..

მთქმელი ლუთფიე ლომიძე-ლომაძისა, 90 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში), გამოთხოვილია მარადიდის ერთ-ერთ უბნიდან – ძაბლავეთიდან.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში.

3.

დედამთილი ვწინნე, ვწინნე,
თმებით ვათრიე;
მამამთილს წვერი დავეპუნნე,
თოკი დავგრიხე.

მთქმელი აიშე მსხალაძე, 77 წლის, დაიბადა და გაიზარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, გათხოვილია სოფელ ქედქედში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 31 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

4.

დედამთილი ავადა მყავს,
მამამთილი წუხარე;
ისე კარგათ მოუარე,
გადავასხი დულარე.

მთქმელი აიშე მსხალაძე, 77 წლის, დაიბადა და გაიზარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, გათხოვილია სოფელ ქედქედში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 31 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

5.

ყანაში გოლი დადგა,
შერბეთი არ გახდება;
ახლანდელი გოგგვები
მოზაფე არ გახდება!

მთქმელი ნაჯიე დიდმანიძე, 80 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

6.

ზოგს სიმდიდრე აქვს ულევი,
ზოგს – სინდისი და ვალები,
ზოგს ერი უყვარს, ზოგს – ბერი,
ზოგსაც კი – რუსის ქალები.

მთქმელი თინა გურგენიძე-ლომაძისა, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 3 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში.

7.

თელას ქერქი გავაძრე,
ხიდან ხეზე გავაბი;
ქალაქელი ბიჭები
ჩემ ახორში დავაბი.

მთქმელი ნაჯიე დიდმანიძე, 80 წლის, ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. ამჟამად გარდაცვლილია.

ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 24 ივნისს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში. მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

8.

იაშა დიდმანიძისა და ლეილა კახაბერიძის გამაირება

- ლეილა, ეს რა ჩამესმა
რძალმა გაგტეხა წელშია!
- თვალეში ვერვინ ჩამხედავს,
მეუღლე მიდგას გვერდშია!
- მესმის, ძლიერი ქმარი გყავს,
გამორჩეული ძმებშია.
- მიტომაც ლალად დავდივარ,
არ ვიღუნები წელშია.
- ნეტავი, სადღა ნაუხვალ,
რძალმა თუ გკიდა თმებშია?
- ისეთი აღარ გეგონო,
რომ ვერ გაარჩევ მკვდრებშია!
- სოფელში ჭორები დადის,
რძალმა მოტეხა ფეხია.
- ნეტავი, რამ გაგაოცათ,
ხომ არ დამეცა მეხია?
- რძლებს მარადიდი არ უნდათ,
მათთვის ქალაქი სჯობია.
- ვინც მარადიდზე ცუდს იტყვის,
არ აცდეს გეზენ ქობია!
- მიტომაც დაიმსახურე
კეთილი რძალის სახელი!
- კირნათის ღვიძლი შვილი ვარ,
აღარ გეგონოთ მახველი!
- შენთან ვიყავ და რა ვნახე –
ცოლს ჩაუგდინხარ ხელშია.
- რა ვქნა, ყოველ დღე ვიჩხუბო?
ამომივიდა ყელშია!
- მსმენოდა, ვაჟკაცი იყავ

რისთვის დახარე თავია?
 – ცოლის სიავეს მერჩივნა,
 რძალი მყოლოდა ავია.
 – ხომ გაგაფრთხილა ექიმმა
 საქმეს შეუშვი ხელია!
 – ვინ გაგაჩერებს მანამდე,
 სანამ არ გაგძვრეს სულია.
 – მაშ რისთვის ნახველ სტამბულში,
 რისთვის დახარჯე ფულია?
 – მე უფროსს ვემორჩილები,
 მას გავუკეთე გულია.
 – ტყუილად ნუ გეცინებათ
 ყველანი ერთ ბედს ქვეშა ვართ.
 – დედამთილები – რძლის ხელში,
 ჩვენ კი ქალების ხელთა ვართ!

მთქმელი ლეილა კახაბერიძე, 50 წლის მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, სკელეს უბანში. გამოთხოვილია კირნათიდან. ფილოლოგი, სოფელ მარადიდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 აგვისტოს. მთქმელის შენიშვნით, გაშიარება შესდგა 2010 წელს ლეილა კახაბერიძის შვილის ქორწილში.

8. სალიხასა და ბიძამისის გაშიარება

სალიხა: – ბიძი, დუუქორწილებელი
 აღარ ყოფილა საშველი;
 იმფერი გოგვები ვნახე,
 არ მოგინდება საჭმელი.
 ერთი შენთინ ავარჩიე,
 ცოტა არის ჯენდეკი,
 ჩამოგიყვან, თუ შეინდომებ,
 მისი ნახვით აშენდეგი.
 კოკონაჲ თუ გადათხარა,
 კოდმე, თუბი, ხენდეკი;
 იშმარი მომე, მომწერე,
 ნამეყყვანო ჯენდეკი?
 ბიძა: – ოლონდ რუსის ქალი იყოს,
 იყოს თუნდა ჯენდეკი;
 ჩამეიყვაი, გამომადგება
 მე გადავთხრი ხენდეკი.

მთქმელი სალიხა კახაბერიძე, 60 წლის. ცხოვრობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათში. ამჟამად გარდაცვლილია. ჩაინერა ლეილა კახაბერიძემ 1999 წლის 27 ივლისს სოფელ კირნათში.

ჩამწერის განმარტება: „სალიხა კახაბერიძემ სავალდებულო სამხედრო სამსახური რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში გაიარა. ახალგაზრდა ბიჭს სახლში 40-45 წლის ბიძია ჰყავდა დასაქორწილებელი და, რუსეთში ამდენი ქალი ერთად რომ ნახა, იფიქრა, ერთს ბიძაჩემისთვის ჩავიყვან საქართველოშიო და წერილი გამოუგზავნა ბიძიას ლექსად. შენუხებულმა ბიძიამ პასუხი მისწერა, ასევე, ლექსად“.

მასალა დაცულია ბსუქცფა-ში.

საყმანვილო

1.
 ნიპა, ნიპა, ნიპონია,
 კატას კვერცხი უპოვონია,
 შეუნვია, უჭამნია,
 პირზე ამჩნია, უხარია.
 ბულუ, ბულუ, ბულუ...
 (ამ სიტყვებთან ერთად შეულიტინებენ)

მთქმელი ესმა ჯაფარიძე-დიასამიძისა, 48 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში). საშუალო სკოლის დირექტორი.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 31 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

ჩამწერის შენიშვნა: გაუგონია ბებიასაგან – აიბე ჯაფარიძისაგან, რომელიც ცხოვრობდა სოფელ ჩაქვში, გამოთხოვილი იყო სოფელ ტბეთიდან (შუახვევის მუნიციპალიტეტი).

2.
 ცერმა თქვა: – მშიაო.
 საჩვენებელმა თქვა: – რა ვჭამოთო?
 შუათითმა თქვა: – ვიშრომით და ვჭამოთო!
 არათითმა თქვა: – რასაც ღმერთი მოგვცემს, ის ვჭამოთო!
 ნეკა თითმა თქვა: – მოვიპაროთო!
 ურტყეს და არ გაიზარდა.

მთქმელი ესმა ჯაფარიძე-დიასამიძისა, 48 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში). საშუალო სკოლის დირექტორი.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 31 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

3.

- ყიყლიყო, მამალო,
- სად ყივი?
- ჭინჭრებში.
- რა გაცვია?
- ფაჩუჩები.
- ვინ გიყიდა?
- ბაბუმ.
- ბაბუ სადაა?
- ხიდზე.
- ხიდი სადაა?
- წყალმა წეილო.
- წყალი სადაა?
- მზემ გააშრო.
- მზე სადაა?
- გორას ეეფარა.
- გორა სადაა?
- ხარმა დახნა.
- ხარი სადაა?
- მოკტა.
- იმის ჭლიკები მოგხდა!

(ბოლო სიტყვები დასწრებაზეა)

მთქმელი ნადია დიასამიძე, 57 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში), საშუალო სამედიცინო განათლებით.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 31 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

4.

- ჩემი ჭადი-ყველი სად წევდა?
- კატამ მოიპარა.
- კატა სად წევდა?
- ხიდზე გაიარა.
- ხიდი სად წევდა?
- წყალმა წეილო.

– წყალი სად წევდა?

– მზემ დააშრო.

მთქმელი მერი ჯიბლაძე-გურგენიძისა, 71 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, დაბლავეთის უბანში, გამოთხოვილია შუახევის რაიონის სოფელ გოგაძეებიდან.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 3 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

5.

„კუკუმალის“ გათვლა

კუკუ-კუკუ მალულა,
სიდან შემოპარულა?

შენ თუ მე,
თვალი დახუჭე!

მთქმელი მერი ჯიბლაძე-გურგენიძისა, 71 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში, დაბლავეთის უბანში, გამოთხოვილია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაძეებიდან.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 3 სექტემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (ცენტრში).

6.

„დახუჭობანას“ გათვლა

კუკუ მალულა,
ტყიდან გამოპარულა,
დაიჭირა ლამურა,
შეხტა, შეახრამუნა.

ქალი უქნევს ხელსა:

– აქ ჩამოდი, ჩემსა!

ღვინოს დაგაღვევინებ
ა-ლის-ფერ-სა!

მთქმელი ნორა დიდმანიძე, 65 წლის, მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (სკელეს უბანში). გამოთხოვილია სოფელ მახოდან. საშუალო განათლების მქონე.

ჩაინერა თინა შიოშვილმა 2017 წლის 30 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდში (სკელეს უბანში).

დედა უნივერსიტეტი და მისი საბაზო კურსდამთავრებულები

1918 წლის 8 თებერვალი, წმინდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღე, ოქროს ასოებით ჩაინერა საქართველოს ისტორიაში, ასრულდა ქართველი ინტელიგენციის დიდი ხნის ნანატრი ოცნება, თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. მას შემდეგ საუკუნე გავიდა...

უნივერსიტეტის 1970 წლის კურსდამთავრებულები ხშირად გამოვიხმობთ იმ დიდებულ პერიოდს წარსულიდან, ვიხსენებთ დროს სუნთქვასავით გარდასულს, ყველაფერ საუკეთესოს და წმინდას, რაც უნივერსიტეტთან, მის თეთრ გუმბათებთან, სწავლის დაუვინყარ წლებთან და ჩვენს საუცხოო მეგობრებთან არის დაკავშირებული... მანამდე კი გადავშალოთ წარსულის თავფურცელი და ყური მივუგდოთ რას მოგვითხრობს მემატინე...

გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა 1897 წლის გაზაფხულზე შემოწირულობებით შეგროვებული ფულით თბილისის ერთ-ერთ უკაცრიელ გარეუბანში, ვარაზისხევში 200 დესეტინა მიწა იყიდეს, რომელიც მაშინ უღრანი ტყით იყო დაფარული და იქ უზარმაზარი შენობის აგება დაიწყო. გაზაფხულის მზით გაცისკროვნებული დღეა, ვარაზის ხევის მალლობზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი; აქ საძირკველი ეყრებოდა ქართული გიმნაზიის შენობას, რომელშიც მისი მოაზროვნე მესვეურების ჩანაფიქრით მომავალში ქართული უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო...

სამხრობას გადაცილებული იქნებოდა, ხევში რომ ეტლები შემოგორიალდა, ყველამ, დიდმა თუ პატარამ თვალყური ეტლებს მიაპყრო, ხალხის ტალღა იქეთ დაიძრა და შეკრებილი საზოგადოება სიყვარულით მიეახლა ქართული გიმნაზიის აშენების ინიციატორებს: ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ცნობილ საზოგადო მოღვაწე ქალს მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანისას, ქართული სკოლების დიდ გულშემატკივარს, გენერალ-ლეიტენანტ ქრისტეფორე მამაცაშვილს, ახალგაზრდა მეცნიერსა და მკვლევარს ექვთიმე თაყაიშვილს და სხვა მრავალ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს...

ცერემონიის დაწყებას ნიშანი მისცა გიმნაზიის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარემ, ხუროთმოძღვარმა ნიკო ცხვედაძემ; კალატოზები აფუსფუსდნენ, ამოძრავდა ხალხიც, ისმოდა მხიარული შეძახილები. უცებ ხალხის ტალღა გაიხსნა, ორმა ქართველმა ჩოხოსანმა ვაჟკაცმა დიდ კალათში ჩადგმული ღვინო მოიტანა და საძირკველთან დადგა. კალატოზებმა დოქები წინასწარ მომზადებულ ადგილებში მოათავსეს და კირით თავი გადაულესეს. ხალხმა საძირკველის წინა ფასადს ოქროსა და ვერცხლის ფულები ჩააყოლა...

საძირკვლის კურთხევის პარაკლისს იხდიდა დიდუბის ეკლესიის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. გულშიჩამწვდომად გალობდა სამღვდლოთა ქორო, შემდეგ გალობა გიმნაზიის მოსწავლეთა ომახიანმა ქართულმა სიმღერამ შეცვალა... ერთი წუთიც და ვარაზის ხევთან თავმოყრილი ხალხის ყურადღება გიმნაზიის მოსწავლის ვანო სარაჯიშვილის ხავერდოვანმა და გულშიჩამწვდომმა ხმამ მიიპყრო... ასე გაგრძელდა სიხარული, მზეშინა და ლიტანიობა საღამომდე.

მადლმოსილი ქართველი ხუროთმოძღვარი ნიკო ცხვედაძე აგებდა ერის საშვილიშვილო შენობას, მას ბევრი აქილიკებდა, ლანძღავდა, მაგრამ იგი ყურს არავის უგდებდა და საქვეყნო საქმეს თავდადებულად აკეთებდა. აგურს აგური ემატებოდა და ვარაზის ხევის მაღალ ადგილზე შენდებოდა ქართველი ერის მომავალი. მას სწამდა და სჯეროდა, რომ ოდესმე თბილისშიც გაიხსნებოდა ქართული უნივერსიტეტი...

„არ ვიცი, მოვესწრები თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება“, – ამბობდა ჭეშმარიტი მამულიშვილი ნიკო ცხვედაძე. დიდმა ილია ჭავჭავაძემ, ერის სულიერმა მამამ, მას სახელად „ნიკოლოზ აღმაშენებელი“ დაანათლა. თავის მხრივ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ივანე ჯავახიშვილი გარშემო იკრებს თანამოაზრეებს და აყალიბებს „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს“. იგი ქართველ მოწინავე ახალგაზრდობას მეცნიერულ ჩვევებს უმუშავებს, ატარებს საუბრებს, ადგენს ქართული უმაღლესი სასწავლებლისა და უნივერსიტეტის დაარსების გეგმას. 1917 წლის შემოდგომაზე ივანე ჯავახიშვილი საქართველოში მოემგზავრება და იქმნება „საუნივერსიტეტო საზოგადოება“. რუსი მოხელეები ყოველნაირად აჭიანურებდნენ უნივერსიტეტის გახსნის თარიღს, ათასგვარ მიზეზებს ასახელებდნენ, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა, თავისუფლების მოყვარე ქართველობამ შვებით ამოისუნთქა, 1918 წლის 13 იანვარს ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის თავკაცობით შედგა უნივერსიტეტის დამფუძნებელი პირველი სხდომა, სადაც უნივერსიტეტის რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს... მას შემდეგ წლები მიინავლა, ქართული უნივერსიტეტი ყველა ქართველთა სინმინდე და სიამაყე გახდა...

1965 წლის სექტემბერში ამ სახელგანთქმული უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით ჩვენ, ჟურნალისტთა 754 ჯგუფელები... მაშინ უნივერსიტეტს დიდი რკინის ჭიშკარი ჰქონდა, მის ეზოში შესვლა ყველას არ შეეძლო. დიდ, მაღალ კარებს შეაღებდი თუ არა, მის მიღმა სხვა ცხოვრება იწყებოდა. ხელი უნებურად მიდიოდა ქუდისკენ, უნივერსიტეტში შევდიოდით ქუდმოხდილნი, როგორც წმინდა ტაძარში...

ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო ამბავი იყო, უნივერსიტეტის დერეფნებში ყოველ დღე შეხვედბოდით ადამიანებს, რომელთა სახელს მსოფლიო იცნობდა, ისინი ამ ტაძრისაგან განუყრელნი იყვნენ და ვერ წარმოგვედგინა უნივერსიტეტი მათ გარეშე. გვქონდა ბედნიერება უნივერსიტეტში შევხვედროდით აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს, გიორგი წერეთელს, კორნელი კეკელიძეს, გიორგი ახვლედიანს, ილია ვეკუას, ევგენი ხარაძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, მარიამ ლორთქიფანიძეს და სხვა სახელოვან და გამოჩენილ ქართველ მოღვაწე პროფესორებს. ჩვენ მათ მიმართ ვგრძნობდით აუნერველ მოკრძალებასა და თავყვანისცემას.


მახსოვს, ნელა ამოვივლიდა უნივერსიტეტის კიბეებს აკაკი შანიძე, დერეფნებსა და აუდიტორიებში ატყდებოდა ჩურჩული, ბატონი აკაკი მობრძანდებო. იგი კი მოდიოდა, უკვე 100 წელს მიტანებული, თოვლივით თეთრი და სპეტაკი. შევიდოდა აუდიტორიაში და დინჯად, აუჩქარებლად გააბამდა საუბარს ქართული ენისა და ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, მის მრავალხმოვანებასა და სილამაზეზე. ისიც მახსოვს, სტუდენტები ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს, დღეს სად არის შალვა ნუცუბიძის ლექცია, სად, რომელ აუდიტორიაში კითხულობს? 93-ე დიდი აუდიტორია ხშირად ივსებოდა სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტი ახალგაზრდობით...

ჩვენი სწავლის პერიოდში უნივერსიტეტში გამოდიოდა გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, მისი რედაქტორი გახლდათ ზაალ ჟვანია, კაცი მეტად განათლებული და მომხიბვლელი. გაზეთის რედაქციასთან შექმნილი იყო ახალგაზრდა შემოქმედთა წრე, სადაც იკრიბებოდნენ მომავალი მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები. სტუდენტები კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, იყო კამათი და აზრთა ჭიდილი. ბევრჯერ დავსწრებივარ ასეთ შეხვედრებს ჩვენს საამაყო და სახელოვან მეგობრებთან: თამაზ წივნივაძესთან, თეიმურაზ მეტრეველთან, სერგი მინაშვილთან, რაულ ჩილაჩავასთან, მანანა ვახტანგაძესთან, ჯემალ კვერენჩილაძესთან ერთად, ეს იყო დაუვინყარი, ჩემთვის ტკბილად მოსაგონარი წლები...

არ დამავინყდება განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა ჩვენს საყვარელ ლექტორებთან: ტარიელ კვანჭილაშვილთან, ნოდარ ტაბიძესთან, ივანე ქავთარაძესთან, დავით გამეზარდაშვილთან, ჩვენს განუმეორებელ ლექტორ-მეგობართან ნია აბესაძესთან, იოსებ ბოცვაძესთან, ოთარ ბაქანიძესთან და სხვებთან. ტარიელ კვანჭილაშვილი პირველი კურსიდანვე გვიკითხავდა ლექციებს ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში; იგი იყო ჩვენი 754-ე ჯგუფის ე.წ. „დამრიგებელი“. ომგადახდილი პროფესორი საკუთარი შვილებივით გვეპყრობოდა, გვექომაგებოდა. სემესტრების ბოლოს გამოცდებზე ჩვენსავით ღელავდა და განიცდიდა, როგორ ნიშნებს მივიღებდით. მესამე კურსზე ვიყავით ბატონმა ტარიელმა აგვიყოლია და დავთქვით, დილით ვინც პირველი მივიდოდა უნივერსიტეტის ბაღში ჩვენი ჯგუფიდან, ქალი საჩუქრად წითელ ვარდს მიიღებდა, ხოლო ვაჟი ერთ ბოთლ შამპანურს. ამ წამონყებამ ისე გამოაცოცხლა უნივერსიტეტი, რომ ლამის ფაკულტეტების ყველა კურსი და ჯგუფი ჩაერთო. ლექციებზე „გმირულად“, დამგვიანებლებიც კი ადრე, სისხამ დილით მოდიოდნენ. დილიდანვე იწყებოდა უნივერსიტეტის ბაღში გაუთავებელი ჟრიამული და მხიარულება. ჩვენი მშვენიერი და სათნო მეგობრები: ცირა აფციაური, მანანა ვახტანგაძე, ლიანა ფხალაძე, ნატო პატარიძე, იათამზე ანთაძე, ქეთევან ელიაშვილი, იზო კალანდია და სხვები ერთმანეთს ედავებოდნენ, – პირველი მე მოვედიო... ძალიან კარგად მახსოვს ისიც, როცა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულზე, დერეფანში, ყოველი თვის ბოლოს იდგა გრძელი რიგი, იყო ჭიდილი და სიცილ-ხარხარი, იყო განევ-გამონევაც, არა მე ვიდექი რიგში წინ და არა შენო, ყველას უნდოდა სანატრელი სტიპენდია პირველს აელო... ავიღებდით თუ არა სტიპენდიას ჩვენი გამორჩეული მეგობრის, თამაზ წივნივაძის, თავკაცობით ჩაუყვებოდით ვარაზის ხევს, შევიდოდით სასაუზმეში და იწყებოდა ჩვენი მოლხენა. ეს იყო გაუხუნარი და დაუვინყარი წლები.

ჩვენი დედა უნივერსიტეტის ასი წლის იუბილესთან სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული და ყოველთვის დიდი მაღლიერებით ვისხენებ სახელოვან და საყვარელ პროფესორებს, ილია ნატროშვილსა და ვანო მჭედლიშვილს, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის სტამბაში იბეჭდებოდა და გამოდიოდა ჟურნალი „ახალგაზრდა ჟურნალისტი“. მის სარედაქციო მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი კალმოსანი მეგობრები: თეიმურაზ მეტრეველი, მანანა ვახტანგაძე, ცირა აფციაური, ჯემალ კვერენჩილაძე, ანზორ კუდბა, რეზო აინურაძე, როსტომ თიგვიშვილი, იზო კალანდია, სერგი მინაშვილი და სხვები...

რაც თავი მახსოვს ანზორ კუდბა სულ მუდამ ფილოსოფოსობდა და ამ ჟანრის ნოველებისა და რომანების წერით იყო გატაცებული, დღეს ის დაღვინებული და ცნობილი მწერალია. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი დინჯი, აუღელვებელი ხასიათით, შრომისმოყვარეობით და ბეჯითი სწავლით, რითაც ბევრს მიაღწია. წერდა ფრთიანად და გატაცებით, მისი პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილები ქართული ჟურნალისტიკისა და მწერლობის კუთვნილება გახდა. ანზორი დღესაც ენამზეობს და დაუღალავად იღვწის ბათუმში, ლიტერატურულ სარბიელზე, ხშირად აქვეყნებს საინტერესო წერილებსა და ნაწარმოებებს ცნობილ ჟურნალ „ჭოროხში“, რომლის რედაქტორი, პოეტი სანდრო ბერიძე გახლავთ.



ჩვენი გურული ძამა, ჯემალ კვერენჩხილაძე მშვენიერ ლექსებსა და იუმორისტულ ჩანახატებს წერდა და წერს, ხშირად იბეჭდება გაზეთებში და დიდი მონონებით სარგებლობს, იგი ლანჩხუთლების კოლორიტი მოღვაწე გახლავთ. ნამდვილი ლამაზი ქართული ოჯახის თავკაცი, ოთხი სახელოვანი შვილის მამა.

მანანა ვახტანგაძე დღესაც მონოდების სიმალღეზეა, დიდი რუდუნებით, გემოვნებითა და სიყვარულით გამოსცემს ფართო პროფილის საერთაშორისო-სამეცნიერო ჟურნალ „კვალს“, არის მისი მთავარი რედაქტორი და სულის ჩამდგმელი. მისი მეგობრები ქედს ვიხრით ამ დაულალავი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი შემოქმედის წინაშე. მანანას სტატიები, ლიტერატურული წერილები და კორესპონდენციები პირუთვნელად გამოხატავს ერისა და ქვეყნის სატკივარს, გამოირჩევა მაღალი საზოგადოებრივი ჟღერადობით, ქვეყნის პრობლემებში პროფესიული და კვალიფიციური, ღრმა წვდომის უნარით. მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, ფინანსური სიძნელებისა, თავის მნიგნობარ ვაჟიშვილთან, დათო მაისურაძესთან, ერთად მაინც ახერხებს ჟურნალის გამოცემას და მისი ავტორიტეტის შენარჩუნებას.

სტუდენტობის წლებშივე არაერთხელ ასახელა საქართველო გამოჩენილმა ჟურნალისტმა და სპორტსმენმა, ჩვენმა სასიქადულო რეზო აინურაძემ, იგი ცნობილი და სახელოვანი რაგბისტი გახლდათ. ჩვენი ჯგუფელები ახალი გამოსულები ვიყავით ჟურნალისტურ სარბიელზე, როცა იგი საქართველოს ფისკულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. მას მოფერებით ყველა ლომგულს ეძახდა და დღესაც ასეა, თავისი აღნაგობითა და შეხედულებით მართლაც ლომგული პიროვნებაა... ასევე, ასახელა დედა უნივერსიტეტი ცნობილმა მნიგნობარმა და არაჩვეულებრივმა მეგობარმა სერგი მინაშვილმა, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიცვა ჯერ საკანდიდატო, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაციები და გახდა სტუდენტი ახალგაზრდობის საყვა-

რელი ლექტორი და დამრიგებელი. სერგი დღესაც აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა...

ჩვენი დედა უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ვერ მოესწრნენ განუმეორებელი ხიბლის უღალატო მეგობრები, არაჩვეულებრივი ნიჭისა და ბუნების ჟურნალისტები: თეიმურაზ მეტრეველი, შალვა ოსეფაშვილი, ავთანდილ ქურდიანი, „დინ რიდად“ წოდებული, ქეთინო ტაბატაძე, თეიმურაზ მორგუშია, ოთარ იაშალაშვილი, შალვა არაბული და ბიჭიკო პაპიაშვილი, ისინი თავიანთი სულის სისპეტაკით, კეთილშობილებითა და უზადო სიყვარულით, ჟურნალისტური მოღვაწეობით ამშვენებდნენ ქართულ პერიოდულ პრესას. უკვდავება მათ სპეტაკ სულებს მარადისობაში გარდასულთ. უნივერსიტეტთან ერთად დაუვიწყარია მათი სახეობა, თანადგომა და სიყვარული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტთა 754-ე ჯგუფელი გახლავთ დღეს საქვეყნოდ სახელმძღვანელო მწერალი, მაღალი ინტელექტის მქონე მოღვაწე, კრიტიკოსი და მოაზროვნე, ქართველ მწერალთა გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი თამაზ ნივნივაძე. მან მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული სიტყვასთან ჭიდილითა და ძიებით დაიმკვიდრა განსაკუთრებული ადგილი ქართულ მწერლობაში, ჟურნალისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში.

თამაზთან ახლობლობას და მეგობრობას ყველა უნივერსიტეტელი ცდილობდა და ესწრაფოდა, თავისი იუმორითა და ნიჭის წყალობით ის ახალგაზრდებს იზიდავდა, მთელ უნივერსიტეტში უყვარდათ და პატივს სცემდნენ. თითქმის ხუთი ათეული წელია ამ საამაყო ადამიანთან ვმეგობრობ და ბევრი რამითა ვარ მისგან დავალებული...

საქართველოში დღეს უამრავი დიდი თუ პატარა უნივერსიტეტია, მაგრამ თავისი დიდი ისტორიითა და ღირსებით მათგან გამორჩეულია დედა უნივერსიტეტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი უკვე საუკუნეს ითვლის. ვულოცავ ყველას, ყოფილ და ამჟამინდელ სტუდენტებს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.



გიორგი ხორბადაძე

გურამ გორგილაძის პოპულური თვალსაწიერი

ხშირად მკითხველი განსაკუთრებული ჩინ-მედლების გარეშე შეიყვარებს ხოლმე ამა თუ იმ შემოქმედს და თავად ხდება იმ პროცესების მასტიმულირებელი, რომელნიც შემდგომში სალიტერატურო კრიტიკაში აირეკლება. ხდება ისეც, რომ პროცესი პირდაპირ სალიტერატურო კრიტიკიდან იღებს სათავეს და ავტორიც შემდგომში უფრო მჭიდროდ ესისხლხორცება მკითხველს, მაგრამ მეორე ვარიანტი გაცილებით სათუო გახლავთ, რამდენადაც არაერთი შემთხვევის გახსენება შეიძლება, განსაკუთრებით საბჭოთა კრიტიკიდან, როცა საზოგადოებას ვერ მიუღია და ვერ გაუთავისებია ავტორი, მიუხედავად მავანთა დიდი სურვილისა. ეს კი ცხადყოფს, რომ შემოქმედის მთავარი გამარჯვება ხალხის სიყვარულია, რის გარეშეც კრიტიკა და ბიუროკრატია სრულიად უძლურია. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ გადახედოს და გადააფასოს უკანასკნელი რამდენიმე ათწლეული, რათა სათანადო ყურადღება მიაქციოს მწერლებს, რომლებმაც საკუთარი შემოქმედებით უკვე მოიპოვეს მკითხველის აღიარება და სიყვარული. ქართული სული, ქართული კულტურა და მენტალობა იმთავითვე მჭიდრო თანაარსებობაშია პოეზიასთან. ამას მეტყველებს ქართუ-

ლი ლექსის განვითარების დინამიკა, ძველი სასულიერო პოეზიიდან მოყოლებული, ვიდრე დღევანდლამდე. უკანასკნელ წლებში მრავალი ახალი წარმოჩნდა და ბევრი, არცთუ ურიგო, ავტორი შეემატა ქართულ ლექსს, თუმცა მათ შორისაც არიან რჩეულნი და რჩეულთა რიცხვი ნამდვილად არ არის იმდენი, რომ ჩვენი კრიტიკა ვერ გასწვდეს და სათანადო შესწავლის საგანი არ გახადოს მათი შემოქმედება. მიგვაჩნია, რომ სწორედ რჩეულთაგანია ზურაბ გორგილაძე თავისი საოცარი პოეტური სამყაროთი და ჭეშმარიტი ქართული ლექსით.

მას შემდეგ, რაც ვაჭა-ფშაველას ლექსები და პოემები საზოგადოებამ და კრიტიკამ საბოლოოდ მიიღო და აღიარა, მთიელთაგან ახალი თაობები შეემატა ლიტერატურულ ასპარეზს და ბევრმა ნათელი კვალიც დატოვა ქართულ პროზასა თუ პოეზიაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მთის ლიტერატურული ნაკადი, ძირითადად, თუშ-ფშავ-ხევსურეთის მთიანეთიდან დაიძრა და სხვა მხარეს განსაკუთრებულად არ შეხებია. მიუხედავად იმისა, რომ აჭარა ყოველთვის იყო და დღესაც არის ქართული კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავანე, აჭარიდან წამოსული მწერლები, შემოქმედებითი თვალსაზრისით, ერთიან ქართულ სალიტე-

რატურო კანონზომიერებაში თავსდებოდნენ, რაც თავისთავად არ გახლავთ მარტივი, მით უფრო, რომ ფართო კონკურენციის პირობებში უხდებოდათ შემოქმედებითი მოღვაწეობა და მრავალთა შორის გამორჩეულად დამკვიდრებაც ჭეშმარიტი ნიჭიერების გარეშე რომ არ ხერხდება, ესეც არახალია. ჩვენი საზოგადოება იცნობს და აფასებს არაერთ ქართველ მწერალს აჭარიდან, მაგრამ ვფიქრობთ, ვაჟა-ფშაველასეული მოდერნიზმის აჭარული ელემენტები ქართულ პოეზიაში სწორედ ზურაბ გორგილაძის ლექსმა შემოიტანა. ყველაფერი შეიძლება იყოს შედარებითი და, თუ ზურაბ გორგილაძის ვინმესთან შედარებას მოვიხდომებით, მაშინ ზურაბ გორგილაძე სწორედ იმ აჭარული ვაჟა-ფშაველა ქართული პოეზიისათვის. როგორც ჩანს, ამ შინაგან სიახლოვეს თავადაც გრძნობდა და განიცდიდა, რადგან ყველაზე ვრცელი ლექსის შემოქმედებაში სწორედ ვაჟა-ფშაველასადმია მიძღვნილი, თანაც ისე, რომ ლექსის ლირიკული გმირი ვაჟა-ფშაველასთან შესისხლხორცებული ავტორია. დიდი წინაპრის სათქმელგათავისებული ზურაბ გორგილაძე მკითხველს ასე მიმართავს: „შენი და ჩემი ქართული ვაჟას ქართული არიო“, რაც ზედმიწევნით ეხმიანება ჩვენს დამოკიდებულებას და სიმბოლურია სწორედ განხილული თვალსაზრისით.

საინტერესოა ისიც, რომ ზურაბ გორგილაძესაც, მისი დიდი წინამორბედის არ იყოს, თავდაპირველად ეჭვის თვალთ უმზერდნენ, როგორც ჩანს, მასაც „ენას უწუნებდნენ“, თუმცა დამწუნებელიც რომ აკაკი წერეთელი არ იყო, ესეც ფაქტია და ამიტომ ჭარბობს გულისტკივილი ზურაბ გორგილაძის ლექსებში: „სულში რისხვა გაჭენდება, გაჭენდება გმინვა ყველა ეზოდან, ჩემი კაი და ძირძველი აჭარლობა მავანს გულზე ეკლად რატომ ესობა?“ ეს ციტატა ლექსიდან „იქნებ“ იმავე გულისტკივილითაა დაწერილი, რასაც მომდევნო დამონმებული სტრიქონიც ასახავს. ავტორი აღშფოთებანარევი გაოცებით სვამს შეკითხვას: „ტბელობა და სელიმობა გან არ იყო ქართველობის სანინდარი პირველი?!“

გულდანყვეტილი პოეტი სხვა ლექსებშიც გადააგზავნის ამ თემის გამო სულში მყარად ჩაკირულ სევდას და ერთ შესანიშნავ ლექსში დანერს: „რა ვქნა! კლარჯული მზის ხავერდები, ცეცხლს საყელოში ლერწამს უკიდებს, საქართველოში ისე ვბერდები, რომ თბილისს ლექსი ვერ წავუკითხე!...“ სამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ ადამიანები, არა საკუთარი განვითარების, არამედ სხვისი ნიჭიერების დახშობის ხარჯზე ცდილობენ რთულ კონკურენციაში წინ წაწევა; სწორედ ეს სინდრომი იკვეთება ყოველ ჯერზე, როცა დასახელებულ ლექსებს და შემდგომ ზურაბ გორგილაძის მთელს შემოქმედებას გადახედავ. სახეზეა უნიჭიერესი შემოქმედი, თვითმყობადი პოეზიით, უამრავი მხატვრული სახე, რითმისა და რიტმის საოცრად მუსიკალური ჟღერადობა, ორიგინალური პოეტური აზრვნებით. პოეტი თანაბრად ბრწყინვალე პოეტურ ნიმუშებს ქმნის საკუთარი კუთხის კილოზეც და სალიტერატურო ქართულზეც, პოეზიაში შემოაქვს და ულამაზეს ჟღერადობას ანიჭებს აჭარის მთიანეთში ჩარჩენილ ძირძველ ქართულ სიტყვებს, მაგრამ ლექსს – „სიტყვავ ბატონო“, რომელშიც სწორედ ქართულ სიტყვას ეთაყვანება, ძირითადი ქართული სამეტყველო ენით წერს: „შენ, ჩემო ფესვო და ასპარეზო“ – მიმართავს პოეტი „სიტყვა ბატონს“ და ნათლად, დაბეჯითებით გამოხატავს დამოკიდებულებას ქართული სიტყვისადმი; მისთვის სიტყვა, უპირველესად, ფესვია და ამიტომ ხშირად ცდილობს ამ ფესვს მოუაროს საკუთარი ლექსით: „მე რასაც ვნახავ, რასაც ვიპოვნი, მტვერი იქნება შენი კიდობნის, ბული იქნება შენი ქალამნის და, ღმერთმა ნუ ქნას, ისიც ჰარამი, – რამეთუ შენი კვერთხი მპატრონობს, ქართულო სიტყვავ, სიტყვავ ბატონო!“. ფესვი თუ ხალხურ მეტყველებაში მარგალიტივით საძიებელი ძირძველი ქართული სიტყვაა, მაშინ თანამედროვე, ლიტერატურულად გამართული ქართული სიტყვა მასზე ამოზრდილი ყლორტია, რომლის ფესვისგან მოწყვეტაც ყოველად დაუშვებელია, ამიტომ არის იგი, კიდობანში მოთავსებული საგანძური, რომლის ფასს

ვერაფერს შეიძენს და არც რაიმე „საპირნონეს“ ინდომებს პოეტი ზურაბ გორგილაძე. მისი, როგორც პიროვნების მრწამსიც, სწორედ, უაღრესად ვაჟკაცური და უაღრესად პოეტურია: „ქნარებში – კეთილი ტიროდა აშიკი, ვნებებში – მტარვალი ბრუნავდა გენია, მაღლიდან გროშით გადმოყრილ ტაშისთვის მე ერთი სტრიქონიც არ წამომცდენია“, – დანერს ერთ მშვენიერ ლექსში ზურაბ გორგილაძე და თითქოს ამ ერთ სტრიქონში ჩახატავს საკუთარ პორტრეტს, რომლიდანაც კეთილშობილი, მაგრამ შეუვალი და პრინციპული კაცის სახე იკვეთება. სხვაგვარად ვერ იფიქრებ პოეტზე, რომელიც ამბობს: „გინდა დაჰკალი ჩემი კაცობა, გინდა ზედ გულზე ლოდი დამადე, ნეფის ჩოხაში ცხრაგზის ნაცოლარს, რა ვქნა, გენჯალავ, ვერ ვუთამაძებ“; ვილაცისთვის ეს პრინციპულობაც, იქნებ, უბრალო ახირებაა, მაგრამ – არა ზურაბ გორგილაძისათვის, რადგან, ნეფის ჩოხაში გამონყოფილი „ცხრაგზის ნაცოლარი“ მისთვის სიყვარულის გაიაფებასა და ტრადიციების ზურგის შემქცევს ნიშნავს, რომელსაც ვერც დალოცავს და ვერც მიესალმება სასჯელის შიშითაც კი.

უთუოდ უნდა აღინიშნოს პოეტის პროფესიონალიზმი, რომელიც დეტალებში გამოსჭვივის და მკითხველისთვის ხშირად შეუმჩნეველი რჩება; მაგალითისთვის დეტალურად მიმოვიხილოთ ზემოთ დამონშებული სტრიქონი: „ქნარებში კეთილი ტიროდა აშიკი“, რომელიც მშვიდი ტონით იწყება და თანდათან იძულებულს ხდის მკითხველს, თავად შეიტანოს ექსპრესია ნაკითხულ სტრიქონებში. მეორე პნკარის დასაწყისიდან სწორედ „მტარვალი გენიის ბრუნვით“ იღებს ექსპრესია სათავეს, ხოლო შემდეგ პნკარში „მაღლიდან გროშით გადმოყრილ ტაშისთვის“ წინადადების შინაარსი და ოთხ სიტყვაში გადახანილებული „ლ; შ; ყ; ტ; შ“ – ბგერების ჟღერადობა კულმინაციურად წევს ექსპრესიულ განწყობას და მთელი ლექსი გადაჰყავს ამ დინამიკაში. ბუნებრივია, პოეტს შეუძლია ისარგებლოს უამრავი სინონიმით, შეცვალოს ნებისმიერი სიტყვათშეთანხმება და „მტარვალი გენია“ გახადოს

„სასტიკი გენია“, ან „მაღლიდან გროშით გადმოყრილი ტაში“ ვთქვათ, „დარბაზში ფულივით გადახდილი ტაში“ – შინაარსი არ შეიცვლებოდა და მსგავსი ცვლილებაც უამრავი სავარაუდო შეიძლება მოვიფიქროთ, თუმცა, პოეტის ნიჭიერება სწორედ იმაშია, მოძებნოს საუკეთესო გამოსატყა და სწორედ იმ სიტყვათა კომბინაცია შესთავაზოს მკითხველს, რომლითაც საკუთარი განწყობის უმოკლესი გზით გადაცემას შეძლებს სხვისთვის. ალიტერაციებითა და შესაბამისი თანხმოვნებით შერჩეული სიტყვებით დალაგებული სტრიქონების მუსიკა ზოგადად არის დამახასიათებელი ზურაბ გორგილაძის პოეზიისათვის და ამ მაგალითების მოყვანაც არაერთია შესაძლებელი. მაგალითად, ავიღოთ შემდეგი სტრიქონი: „გადმოვარდნილს გოდერძით თუ ხინოს მთით თუ ორცვითაო, თავოს მთვარე თავდგირძის თუნთასავით მკოცნიდაო“, ეს მოკლე სტრიქონი მხოლოდ „თ“ ასო-ბგერის თორმეტ ერთეულს შეიცავს, რომ აღარაფერი ვთქვათ დამატებით ხუთი ერთეული „დ“ ასო-ბგერის შემცველობაზე, რომელიც სწორედ „თ“-სთან მიხლოებული ჟღერადობის თანხმოვანია. სტრიქონის ჟღერადობა, ასევე, გაძლიერებულია „გ“, „ც“, „ძ“ თანხმოვნების თანაბარზომიერი გადახანილების ხარჯზეც, რაც კიდევ უფრო მუსიკალურს ხდის სტრიქონს, საინტერესო კი სწორედ ის გახლავთ, რომ ავტორი სატყვათა და თანხმოვანთა არსენალს ხელოვნური ძალისხმევის გარეშე, მეტად ბუნებრივად ახერხებს და ტექნიკური გადატვირთულობით არ კარგავს ლექსის იმ სიხალასეს, რომელიც ამ ლექსის უმთავრესი ხიბლია.

ჭეშმარიტი პოეტისთვის გულწრფელობა უმნიშვნელოვანესია, მან კარგად უწყის, რომ მკითხველი სიყალბეს მყისიერად გრძნობს და მკაცრი ანტიპათიით ეკიდება, ამიტომ, პოეტისთვის სიკეთე და პრინციპებისადმი ერთგულება განუყოფელი თვითშეგნებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მარადიულ ღირებულებებს შეეხება. ზურაბ გორგილაძე არა მხოლოდ თავად არ წერს სტრიქონს „მაღლიდან გროშით გა-

დმოყრილ ტაშისთვის“, არამედ ვერ იგუებს, ვერ აიტანს სიყალბეს და ყალბ პოეტებს: „მათი ნერვები მშიშარაა და შემპარავი... ხოლო ლინკვინტა გასლეპილ კუდით, სულ იფარავენ უკანალს და ბნელში გარბიან. ხშირად კი, ხშირად უცხო ფეხებთან გორავენ მუდამ. ხოლო ძუკნები – გზადაგზა ყრიან წირპლიან ლეკვებს. ასე მრავლდება მანანნალა და სალახანა“ – ამ სტრიქონს ლექსში „ბებერი ძალი“ ვკითხულობთ. ლექსი ზოგადად ბავშვობის ნოსტალგიას გამოხატავს; საყვარელი „ბებერი ძალის“ გახსენება ერთგვარი ძაფია ბავშვობის წლებთან, რომელსაც „ტკბილს, მწარესა და ტკბილს...“ „ცრემლით და გაბავშვებით“ იხსენებს, ძაფი, რომელიც არ შეიძლება პოეტმა უწყვეტად არ შეინარჩუნოს სიცოცხლის ბოლომდე. რამდენიმე სიტყვით, თითქოს ყველა ძალი, რომელიც ერთხელ მაინც ეზოში განოლილი მზეს მიჰფიცხებია, ერთ სურათში ჩაუხატავს პოეტს: „შენ წევხარ ჩუმიდ ლაფაროში – თვალდახუჭული და ცალი ყურით ქვესკნელებს უსმენ“ – ვკითხულობთ ლექსში, თუმცა, აშკარაა, რომ სტრიქონში ძალების მაგალითზე, ალეგორიულადაა დახატული კონტრასტი ღირსებით და უღირსად ცხოვრებისა. შესაძლოა იცხოვრო ბებერი ძალის ერთგულებით და დაუვინყარი სიყვარული დაიმსახურო, ან უცხო ფეხებთან გორაობითა და ანგარებით თავადაც არაკაცად იქცე და მანანნალა და სალახანაც ამრავლო, რაც, რა თქმა უნდა, ზურაბ გორგილაძის მრწამსისათვის სწორედაც რომ პრინციპულად არის მიუღებელი.

ზურაბ გორგილაძის ლექსის აჭარული მოტივებიც ბავშვობიდან გამოყოლილი დიდი სიყვარულია, ოღონდ საინტერესო ის არის, რომ მკვეთრი აჭარული მეტყველების მანერითა და კილოთი დანერული ლექსიც კი აშკარად არ არის მარტოოდენ აჭარის სიტბოსა და სიყვარულზე შეჩერებული, ყოველი ასეთი ლექსი აჭარის მთების ექოს თანხლებით, სწორედაც რომ მთელს საქართველოს ესათუთება და ეხმიანება: „და თუ დღემდე მომყვება უყმურები ცოტა, საფორჩხელას ღელედან გამოყოლილს ვცოდავ, საფორ-

ჩხელას ღელედან დადევნებულს ვმღერი, ნენი! ჩემო გამდელი და ჩამქრალი ნენი“, – ნერს პოეტი და წარმოუდგენელია ამაზე მხატვრული და გასაგები ახსნა იმისა, რატომ ტრიალებს პოეტი საკუთარი ბავშვობის წიაღში და ამ წიაღიდან რატომ გამოდის სამშობლოს მოფერება თბილზე უფრო თბილი. ზურაბ გორგილაძისთვის ისიც კი წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ამას ვერ ხვდებოდეს მავანი, მაგრამ რეალობა ხშირად მოიცავს უსიამოვნო სიურპრიზებს და ისევ სვამს კითხვას გაოცებული პოეტი: „რაც ვიყავი კარგად იცი, თავად ჰკითხე შენ ხელდასმულ კაი ყმებს, აჭარლობამ, ამ ბედკრულმა აჭარლობამ, საქართველოს ნაუხდინა რაიმე?!“ რა თქმა უნდა, არასოდეს არაფერი ნაუხდინა აჭარობას, გაკეთებითა და შემატებით კი – უთუოდ ბევრი შეჰმატა. ზურაბ გორგილაძის ლექსმა ქართულ პოეზიაში აჭარული სუნთქვა, აჭარული არომატი შემოიტანა და ქართული პოეზიის საზღვრები საინტერესოდ გააფართოვა. აჭარულ მოტივზე ნათქვამი ქართული ნუხილი თუ აჭარულ მოტივზე გამხელილი ქართული სიყვარული ზურაბ გორგილაძის პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ლექსში „ჩაუმქრალი სანთლები (ჰოიდა ნანა)“ ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა, წარბგახსნილი დავალ განა, საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა, ჩემი ყველა მქუხარება, მწუხარებაც გენაცვალა“, თუ შეგნებულად არ აარიდებს ვინმე თვალს, შეუძლებელია, ეს სამშობლოს სიყვარულით ამოხეთქილი ლოცვა-ღალადისი გულში არ ჩასწვდეს და სწორედ ისე არ წაიკითხოს, როგორც ჩვენ განვიხილავდით ზურაბ გორგილაძის ლექსის აჭარული მოტივების მიმოხილვისას, მით უფრო, რომ ამ საკმაოდ მოზრდილი მოცულობის ლექსში ჩატეული ყველა ტკივილი, სწორედ მთელი საქართველოს ტკივილია, ხოლო აღწერილი სიუჟეტები იმდენად ლაკონიური, მაგრამ მრავლისმეტყველი, რომ აჭარის მთებს თრიალეთის ქედების შეთვალმზერებისასაც წარმოგადგენინებს და მთაწმინდის დანახვისასაც. კლდის კატარში აყვავებუ-

ლი მზეც და კლდის ბორჯღალზე აღმოცენებულ ბეჩქვი ყანაც ქართული მადლიანი მიწის ზოგადი სურათია, ამიტომ გადადის გორით-გორზე ვაზის სული, ამიტომაც, რომ პოეტი ტირილამდე ვერ შეჰგუებია, „ზღველთი ზვარე ზვავის ნაძოვს“ რომ დაემგვანა. ნუთუ მარტო აჭარის ტკივილია სხალთაში, სხალთხატებისთვის ყელში ნაჭერილი კანაფი, ან ჯვარქედაზე ჯამეს, ხოლო ვარდიქედზე ეკლის კარვის დადგმა? ამ სტრიქონებში ხომ უზუსტესი პოეტური ოსტატობით სწორედ ჩვენი ქვეყნის დიდი და ტკივილიანი ისტორიული წარსულის განცდაა გამოხატული! შემთხვევით არ წერს პოეტი: „ჟამმა ბევრი მამოჯირა, მომბეჟა და მავალალა... სიზმარ-სიზმარ მიბრუნდება, შატბერდი და შორი ბანა, იქ სათლები ჩემი სისხო, ჯერეთ კიდევ არ ჩამქრალან, მეყო ჟამმა ჟანგნაფლეთმა, რაც დამფლა და რაც დამგმანა!“ ეს სტრიქონები ნუხილიცაა და გაფრთხილებაც, გაფრთხილება იმისა, რომ მეტი ერთად დგომა, მეტი ერთ-სულ და ერთ-ხორც გაერთიანება გვმართებს, რაც, სამწუხაროდ, ხშირად გვაკლია ქართველებს. ამ ნაკლოვანების ნუხილი, ასევე, საოცრად შთამბეჭდავად გამოუხატავს ზურაბ გორგილაძეს მართლაც გენიალურ ლექსში „ორი რუსთაველი“. პოეტს უნდა დაიჯეროს, რომ ჩვენი – ქართველი ერის ასეთი ორსახოვნება, ურთიერთგატანისა და თანადგომის დეფიციტი, ცუდი სიზმარია, რომლიდანაც შეუძლია გამოიღვიძოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველივე ზურაბ გორგილაძისთვის არის კოშმარი, არც თუ ცოტა ჩვენიანისთვის კი ჩვეულებრივი რეალობაა და ამაზე თვალის დახუჭვას სწორედ ისეთი მოზარეობა სჯობს, როგორი მოზარეც ზურაბ გორგილაძეა საკუთარი პოეზიით. მან ისიც შესანიშნავად უწყის, რომ პოეტისთვის მომღერლობა გაცილებით იოლია, ვიდრე მოზარეობა, თუმცა, მისი სწორი და ბუნებრივი არჩევანი რთული და ეკლიანი გზაა. საინტერესოა თავად ლექსის „ორი რუსთაველი“ კონცეფციაც, რამდენადაც ეს ლექსი აშკარად საქართველოს ისტორიულ წარსულსა და დღევანდლობაზე ფიქრის ნაყოფია და გუ-

ლმხურვალე მონოდება ყველასადმი, ვინაიდან, იდეალური გმირების თვისებათა საპირისპირო თვისებები უმკვეთრეს კონტრასტს იძლევა და უდიდეს შინაგან ემოციურ ნუხილს იწვევს სწორედ ჩვენთვის ხშირად დამახასიათებელი ორსახოვნებისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, ჩაფიქრებას იმაზე, რომ ეს პრობლემა ისტორიულ ქრისტეში ყოველთვის გადამწყვეტ უარყოფით როლს ასრულებდა ჩვენი სამშობლოსთვის, მკითხველს აუცილებლად გაუჩენს მოტივაციას – პირველ ყოვლისა, საკუთარ თავში მოთოკოს და დაამუხრუჭოს სუბიექტივიზმი და ეგოიზმი. „უცებ... საქართველო უფრო უხვი იყო, მაგრამ იმდენადვე ხარბი...“, – წერს პოეტი და თითქოს ერთი ხელის მოსმით ასახავს ისტორიულ წარსულსაც და დღევანდლობასაც. ლექსის ყოველი სტრიქონი საოცარი ექსპრესიითა და გულშემატკივრის, პირში მომძრახე მოყვრის ნუხილით ასახავს ჩვენი ორბუნებოვნების პრობლემას: „უცებ... საქართველო უფრო მეტი იყო და მამაძაღლობაც მეტი, სულ ფეხზე ეკიდა მულაზანზაროელს, შენი გულანშაროს ბედი“, იშვიათად შემხვედრია ამაზე გულიანად და ამავედროულად გულისტკივილით, თანაც ასეთი ულამაზესი პოეტური მეტაფორით ნათქვამი თვითმხილება. პოეტს სინამდვილეში არა ორი რუსთაველი, არამედ ორი საზოგადო სახე დაუხატავს – ერთი მხრივ, ჩვენი გენეალოგიის ნაწილისა და სიამაყის – შოთა რუსთაველის ბუნებაში გამოსახული, ხოლო, მეორე მხრივ, სწორედ ანტი-რუსთაველის სახეობაში ჩატეული საზოგადოება, რომელიც, ასევე, ჩვენი გენის ნაწილია, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა გახლდეთ. ავტორმა შესანიშნავად უწყის, რომ, რუსთაველთან ერთად, ანტირუსთაველებიც მუდამ იქნებიან, მისთვის ტრაგედია მათი არსებობა კი არ არის, რუსთაველის გაანტირუსთაველებაა წარმოუდგენელიც და ტრაგიკულიც, ამიტომ ის, ვისაც რუსთაველის ხატებაში ჩატევის, ანტირუსთაველად არ უნდა გარდაისახოს, პირიქით, უნდა „ბოროტსა სძლიოს კეთილმან“. ასე სწამს ზურაბ გორგილაძეს და ამიტომაც, რომ მას უკეთესის იმედი აქვს, სიკეთის გამარჯვე-

ბის სჯერა. ბოლო სტრიქონში გამოღვიძებითა და აღვლენილი ღალადისით: „ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა, საქართველოს ორი რუსთაველი ჰყავდეს“ აკი მიანიშნებს კიდევ, რომ მეორე (უარყოფითი) მხარე ვერასოდეს გაიმარჯვებს პირველზე – მაღალბუნებოვნებაზე და ქართული ზნეობრივი ხასიათი, ისევე, როგორც საუკუნეების განმავლობაში, ყოველთვის იქნება ჩვენი გადამრჩენი.

ამავე ლექსთან მიმართებაში ბუნებრივად ჩნდება პარალელი, ასევე, აჭარაში მოღვაწე ქართველი პოეტის გენრი დოლიძის ლექსთან „ერთი ხელით“, სადაც, ასევე, ჩვენი ისტორიული წარსულის ანარეკლი იშლება და იმავე ორბუნებოვნებას განიცდის ავტორი; ამ ლექსშიც, ისევე როგორც ზურაბ გორგილაძის განხილულ ლექსში, ერთი მხრივ, სამშობლოს სიყვარული და ქართველთათვის დამახასიათებელი თავდადება შეპირისპირებულია ურთიერთგაუტანლობის მავნე ზნესთან; საინტერესოა, რომ ორი პოეტი სრულიად იდენტურ თემასა და პრობლემას რადიკალურად განსხვავებული სახე-სიმბოლოებით, პოეტური მეტაფორებითა და სიუჟეტით ხატავს, მაგრამ ორივე ლექსი, მიუხედავად ინდივიდუალური ხელნერისა, კონცენტრირებულია ერთ ძირეულ თემატიკაზე და ორივე მათგანი უაღრესად საინტერესო და მაღალმხატვრული ღირებულების პოეტური ნიმუშია.

ზურაბ გორგილაძის პოეზია მრავალფეროვანია როგორც სტილისტური და სალექსო ტექნიკის თვალსაზრისით, ისე თემატიკით. თავისუფლად არის შესაძლებელი რამდენიმე მოტივის ცალკე დამუშავება და გამოკვეთა; მაგალითად, ზურაბ გორგილაძის პატრიოტული, სატრფიალო თუ საღალაობო ლირიკისა, მით უმეტეს, რომ თითოეულ მათგანში კიდევ უფრო გამოწვლილვითი საკითხებისა და ასპექტების დაძებნა და ტენდენციის სახით გამოკვეთაც შეიძლება. განსაკუთრებით შთამბეჭდავი და დამახასიათებელია სატრფიალო და საღალაობო ლირიკის შემთხვევაში ქალისადმი, როგორც, ზოგადად, ფენომენისადმი დამოკიდებულება. „თუმცა სულში იფარვის და

ხეტილობს, მშვენიერი იდუმალი გენია, ქალი? ქალი? ქალი? – თანაც ულამაზო? დამკალი და ვერ წარმომიდგენია“, – წერს პოეტი და ამ სტრიქონით ყველა ქალის წინაშე ქედმოდრეკით გამოხატავს სიყვარულსა და პატივისცემას, ეს არ არის ინტიმური და პირადული დამოკიდებულება, ეს სწორედ ქალის ფენომენით მოხიბლული პოეტის განწყობაა, რამდენადაც პოეტისთვის სწორედ ქალი წარმოადგენს ცხოვრებისა და პოეზიის მთავარ მამოძრავებელ მუხტსა და ძალას. საინტერესოა, რომ ლექსში „კვდება გოგო სიცივით“, რომელშიც ახლადდაქალებული, ცელქობიდან პრანჭიაობისკენ გარდამავალ ასაკში მყოფი გოგონაა დახატული და ინტიმიც ოდნავ მეტია, პოეტი ქალის სილამაზის თაყვანისცემასა და ამ სილამაზის ხილვის ბედნიერებას ეფერება: „თოვლია და ქარბორია, გაფენილი ტრამალებს, გოგო, გული შეილილე, გოგო, მუხლი დამალე!“ – მიმართავს პოეტი ცელქ ქალიშვილს, რომელიც, ასევე, გოგონათა საერთო-კრებსითი სახეა და სინამდვილეში პოეტი ამ სიცილქესა თუ სიცილქით გახელებას უთუოდ კანონზომიერ და სიცოცხლის მშვენიერების ერთ-ერთ ასპექტად აღიქვამს. პოეტი სიყვარულისა და სილამაზის აპოლოგეტია და ის ასეთად რჩება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე: „სულო! რა უღმერთოდ შეივარდე, ლამის ვარსკვლავებს შემანვდინო, ახლა რომ ვინმე შემეყვარდეს... ახლა რომ ვინმემ შემაცდინოს...“ განიცდის ჭარმაგი პოეტი და სინამდვილეში სწორედ ასეთი, თითქოს შიშნარევი განცდის ფორმით, იგი აღიარებას უფრო ახდენს სწორედ იმისა, რაზედაც ზემოთ ვამახვილებდით ყურადღებას, რომ არ შეიძლება სიყვარულსა და სილამაზით ტკბობის სურვილს ასაკი შემოფარგლავდეს. ზურაბ გორგილაძის დამოკიდებულება ქალისადმი სათაურშივე ხდება საცნაური ლექსში „ქალი სამლოცველო“, რომელიც ქალისა და სიყვარულისადმი მიძღვნილ უამრავ ლექსს შორის უდავოდ არის ერთ-ერთი საუკეთესო: „დაცხრა ყვავილთა და ფერთა ბატალია, ახლა ველთაშიგან ქარნი კრიახობენ, რაღაც... მდიდრობის და ძარცვის ბადალია, ქალთან სიცოცხლე

და ქალთან სიახლოვე“ – ეს სტრიქონი მთელი ლექსის ერთგვარი რეფრენია, ამ სტრიქონით იწყებს და ამავე სტრიქონით ამთავრებს ლექსს პოეტი, მიუხედავად იმისა, რომ მთელს ლექსში მხატვრული სახეების შთამბეჭდავი მონაცვლეობა არ წყდება, თავად ლექსის დასრულებამდე. ბუნებრივია, სტატიის ფორმატში არ იქნებოდა მართებული ლექსის სრული ვერსიის ციტირება, მაგრამ კიდევ ერთი სტრიქონი კი უთუოდ უნდა შევასვენოთ მკითხველს: „ღმერთო დიდებულო, მოვედ აღსარებად, ამ ბრმა აგონიით ალბათ განგებ მცდიდი, ისე ძვირფასია ჩემი გამწარება, არცერთ სიხარულში რომ არ გაგიცვლიდი“ – ასეთია პოეტური სიყვარული, თავდადებაში გადასული და უალტერნატივო, არა იმიტომ, რომ ზურაბ გორგილაძეს სამოთხე არ ურჩევნია ჯოჯოხეთს, უბრალოდ, მას „სხვაგვარად არ ძალუძს“, რადგან, სწორედ ასეთია გულწრფელი და ნამდვილი ზურაბ გორგილაძე. პოეტის სატრფიალო ლირიკაც სწორედ გულწრფელობისა და უშუალოების კალაპოტში მოედინება, ეს კი ის კალაპოტია, რომელიც მკითხველამდე ყველაზე უმოკლეს მანძილს უზრუნველყოფს. „მყუდროებას და ფოთლებს ამდორებს მივინყებულები ტყეში ბილიკი, ამბობენ, თურმე შენ მე დაგტოვე, ძვირფასო ეს ხომ იყო პირიქით?“ ნაიკითხავ და თითქოს ნოსტალგიურ ტონალობაში აჟღერებული მელოდია ჩაგესმის, მართლაც რომ მუსიკასავით ჩასამღერებელი ლექსის წყალობით, რომელიც სევდიან სიმღერას გაგახსენებს, უთუოდ შეიგრძნობ დაკარგული სიყვარულის ტკივილიან სითბოს.

ზურაბ გორგილაძის მრწამსი, მისი პიროვნება და შინაგანი სამყარო მკვეთრად არის გამოხატული მის პოეზიაში, იმდენად, რომ ლექსების სრულად გაცნობისას, თითქოს, არა მხოლოდ ლექსებს ეცნობი, არამედ პოეტის ბიოგრაფიასაც, ოღონდ პროზაულად, მიღებული ფორმით დაწერილი ბიოგრაფიისგან განსხვავებით შემოქმედებაში ამოკითხული ბიოგრაფიული შტრიხები გაცილებით უფრო საინტერესო და მეტყველია, პოეტის ცხოვრებასთან ერთად,

მისი სულის კუთხე-კუნჭულიც შეგიძლია გულდასმით დაათვალიერო და გაცილებით სრული და შთამბეჭდავი პორტრეტი დაინახო პოეტისა და პიროვნების – ზურაბ გორგილაძისა. პიროვნებისა, რომლისთვისაც საწუთროს სირთულეები დასაძლევ და დაძლეულ დაბრკოლებებად აღიქმება, ხოლო რწმენა და უფლის გზა – ძვირფას და შეუცვლელ ღირებულებად. ლექსში „ბიოგრაფიის პატარა ნაწილი“ პოეტი წერს: „ვერა, ჩემს რწმენას ვერ ატიალებს დიდი საწუთროს პატარა ხინჯი“. ეს უბრალო, ლექსისთვის გამიზნული ფრაზა არ არის, ეს სიტყვები პოეტის დამოკიდებულებაა, სამყაროს მისეული აღქმაა, რომელიც უთუოდ სწორია და ჭეშმარიტი. ამიტომ, რომ ზურაბ გორგილაძის პატრიოტული ლირიკა მეტად შთამბეჭდავია და გულწრფელობით გამორჩეული. ჩვენ მიერ წინამდებარე კვლევაში მიმოხილული რამდენიმე საკითხი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისუფლად არის შესაძლებელი, ცალკე გამოიყოს და ინდივიდუალური შესწავლის საგანი გახდეს, მათგან კი, უმთავრესად, სწორედ ზურაბ გორგილაძისეული პატრიოტული ლირიკა უნდა გამოირჩეს და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შედარებით მრავალპლანიანი და მიმოხილვითი კვლევის ფარგლებში შეუძლებელია ამ მიმართულების სათანადო შესწავლა და მოკვლევა იქნეს ჩატეული, აუცილებლად უნდა შევეხოთ ლექსს „ეს მიწა გქონდეს“, რომელიც სამშობლოსადმი მიძღვნილ ყველა ქართულ პოეტურ ნიმუშს შორის, უდავოდ არის ერთ-ერთი საუკეთესო. ლექსის ყოველი სიტყვა, ყოველი სტრიქონი სამშობლოს განცდით, მისი ისტორიის პატივისცემითა და მომავლის იმედით არის აღბეჭდილი. სამშობლო და პიროვნული ღირსება – სწორედ ეს ორი ყველაზე მართალი მარადიული ღირებულება შობს ჭეშმარიტ მამულიშვილსაც და ქვეყნის ნათელ მომავალსაც; ხომ უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ღვინო ქართველი კაცისთვის, მაგრამ სულიერებისა და სამშობლოს სიყვარულის გარეშე დაღეული ღვინო ბოროტების მაპროვოცირებელია და არა სიყვარულისა; ამ ყოველივეზე ასე

წერს პოეტი: „სულში ვენახი ყვავოდეს, თორემ, ღვინო დალიონ, რამდენიც უნდათ“, ხოლო ჩვენი ქვეყნის ასეთი ხატოვან-მეტაფორული დახასიათება, აღწერა თუ დახატვა (რომელიც გნებავთ, ის ვუნოდოთ, ნებისმიერი შეესაბამება), მართლაც რომ რჩეულთ ძალუძთ და ხელენიფებათ: „ცაა არწივის, გორები – ქორის, მინდორში ჩიტებს ბურღლავს მიმინო“, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, პოეტი არც სამშობლოს და არც სხვა სინონიმური მნიშვნელობის სიტყვას ახსენებს, მაგრამ ლექსის მუსიკა, ტონალობა, პოეტური ხატწერა და პათოსი მკითხველს აიძულებს, დაუყოვნებლივ საქართველოს ხედები ჩაათვალიეროს წარმოსახვაში.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზურაბ გორგილაძის პოეტური სამყარო, მისეული ლექ-

სი და შემოქმედებითი აბრისი, იმდენად საინტერესო და ღრმა გახლავთ, რომ კვლევა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე კვლევის დასრულება და წერტილის დასმა. თუმცა, ნებისმიერ კვლევასა და სტატიას საკუთარი სივრცე და ფორმატი უნდა გააჩნდეს, შესაბამისად, ჩვენი მხრიდან, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მიმოვიხილეთ ერთიანი შემოქმედებითი თვალსაზრისი ზურაბ გორგილაძის პოეზიისა, გამოვკვეთეთ კონკრეტული საკვლევი საკითხები პოეტის შემოქმედების ნიალიდან და იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მართლაც ღირსეული შემოქმედის კვლევა სამომავლოდაც გაგრძელდება, ზურაბ გორგილაძის პოეზია გახდება უფრო ფართო შესწავლისა და განხილვის საგანი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ՀԵՐԱՆԻՑ 3

2018